სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაგეგმვისა და განვითარების სამსახური

2017 წლის ანგარიში


ბუნებრივი რესურსების დაცვა

დაცული ტერიტორიების სისტემაში გამოვლენილი სამართალდარღვევები

დაცული ტერიტორიების სისტემაში (597556ჰა) დაცული ტერიტორიების სააგენტო მართავს 495759ჰა ტერიტორიას ანუ საქართველოს დაცული ტერიტორიების 83%, სადაც დაცვის სამსახურში დასაქმებულია 354 თანამშრომელი, მათ შორის 255 რეინჯერი და უფროსი რეინჯერი. რეინჯერებზე სამართავად მოდის საშუალოდ 1944 ჰა ტერიტორია.


საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულია 2273 საკონტროლო რეიდი. 40097-ჯერ ჩატარდა პატრულირება. პატრულირების დროს გავლილმა საშუალო მანძილმა შეადგინა 1310471 კმ მათ შორის ფეხით 368470კმ, ცხენით 78679კმ, ავტოტრანსპორტით 850597კმ, წყლის ტრანსპორტით 12725 კმ. აღნიშნულის შესაბამისად დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ფეხითა და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებით ყოველდღიურად საშუალოდ გაიარა 17,1კმ.

საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის მონაცემებით გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 443 სამართალდარღვევის ფაქტი აღნიშნული ფაქტიდან 434 ადმინისტრაციულისა და 9 სისხლის სამართლის სამართალდარღვევისა ფაქტია.




გამოვლენილი ფაქტები სამართალდარღვევების მიხედვით შემდეგია 20– უკანონო თევზაობის, 147 - უკანონო ჭრა, 14 - უკანონო ნადირობა, 13- ტერიტორიის დანაგვიანება, 81 - უკანონო ძოვება, 61 - ნადიროების წესების დარღვევა, 12- თევზაობის წესების დარღვევისა და 95 - სხვადასხვა


სამართალდაღვევა. 2017 წლის 12 თვის განმავლობაში დამნაშავებზე გამოვლინდა 597 მ³-ზე უკანონო ჭრა.



ყველაზე მეტი გამოვლენილი სასამართლოზე გადაცემული უკანონო ქმედებები დაფიქსირდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკის ადმინისტრაციაში სადაც დაფიქსირდა 147 სამართალდარღვევის ფაქტი. შემდგომ მოდის კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია სადაც დაფიქსირდა გამოვლენილი 64 სამართალდარღვევის ფაქტი.




უკანონოდ მოჭრილი ყველაზე მეტი 435,61მ³-ის მოცულობის ხე-ტყე დამრღვევებზე გამოვლენილი მოდის ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაზე. შემდგომ მოდის მაჭახელას ეროვნული პარკისა ადმინისტრაციის ტერიტორია, სადაც უკანონო ჭრაზე გამოვლინდა 123,1მ³ ოდენობის ხე-ტყე.



უკანონო ქმედებები არ გამოვლენილა ყაზბეგის, იმერეთის და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე. ყველაზე მეტი ნადირობასთან დაკავშირებული 42 ფაქტი გამოვლინდა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიებზე. თევზაობასთან დაკავშირებული 20 ფაქტი გამოვლინდა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხოლო ძოვების წესების ყველაზე მეტი 24 ფაქტი გამოვლინდა ჭაჭუნის აღკვეთილის ტერიტორიაზე. ყველაზე მეტი ტერიტორიის დანაგვიანების 6 ფაქტი გამოვლინდა კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. 2016 წლის 12 თვის გამოვლინებულ სამართალდარღვევებთან შდარებით (425 შემთხვევა) 2017 წლის 12 თვის განმავლობაში გამოვლინებული სამართალდარღვევები გაიზარდა 18 ფაქტით რაც შეადგენს სამართალდარღვევების ფაქტების გამოვლენის 4,2%-ით ზრდას. აღნიშნული ფაქტებიდან 2016 წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტი 2017 წლის 12 თვის განმავლობაში გაიზარდა გამოვლენილი უკანონო ჭრების რაოდენობა 41 ერთეულით რის შედეგად გამოვლენილი უკანონო ჭრების რაოდენობა გაიზარდა 415მ^3-ით.

ხანძრები

დაცულ და მის მოსაზღვრე ტერიტორიებზე 2017 წელს დაფიქსირდა ხანძრების 21 ფაქტი მათ შორის 4 ვაშლოვანის ეროვნული პარკის ბუფერულ ზონაში. 1-ჯერ ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის ბუფერულ ზონაში რომელიც ჩააქრეს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და 13-ჯერ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებზე ხანძრების 3 ფაქტი დაფიქსირდა. ხანძრების შედეგად ძირითადად დაიწვა საძოვრებზე და ტყეში არსებული ტერიტორიები დაახლოებით 250 ჰექტარზე სადაც დაიწვა ბალახოვანი საფარი, ხმელი ხე-მცენარეები (მოთხრილ-მოტეხილი) და გაირუჯა ძირითადად ცოცხალი ფიჭვის სახეობის ხე-მცენარეები.





ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

ადგილობრივი მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლის 12 თვის მონაცემებით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 14000მ³ ხე-ტყე მათ შორის 13310 მ³-ზე მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე და 690მ³ I ხარისხის ხე-ტყე. ყველაზე მეტი 8392მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან ხოლო შემდგომ 2443მ³ მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყე გაიცა თბილისის ეროვნული პარკის ტერიტორიიდან. დაცული ტერიტორიების გარშემო მცხოვრები მოსახლეობიდან მეორე ხარისხის (საშეშე) ხე-ტყით დაკმაყოფილდა დაახლოებით 2660 ოჯახი. I ხარისხის ხე-ტყე გაიცა ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიიდან.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი


მომზადდა 2016 წლის ცხოველების და ფრინველების სტატისტიკა.





ცხოველებიდან მაქსიმალური რიცხოვნობით გამოირჩეოდა შველი, შემდგომ ჯიხვი და ირემი, შემდგომ არჩვი, დათვი და ნიამორი.

მომზადდა ირმის რიცხოვნობის 2016 წლის სტატისტიკური მონაცემები ბორჯომ-ხარაგაულის, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების და გარდაბნის აღკვეთილის პოპულაციების შესახებ.



გრაფიკულმა გამოსახულებამ აჩვენა, რომ 1990 წელს და რიცხოვნობის მკვეთრი დაცემა დაფიქსირდა 1995 წლიდან 2000 წლამდე. 2000 წლის შემდგომ ეტაპზე ფიქსირდებოდა რიცხოვნობის ზრდა უმნიშვნელო ფლუქტუაციებით. ირმის მაქსიმალური რიცხოვნობა დაფიქსირდა 2016 წელს.

სააგენტოს მიერ მუდმივად წარმოებს პროექტის „ჯეირნის რეინტროდუქცია საქართველოში“ მონიტორინგი და ჯეირნის მონიტორინგის მასალების შეჯამება ანგარიშის სახით. როგორც ცნობილია, წინა პერიოდებში წარუმატებელი რეინტროდუქციის შემდგომ რეინტროდუქცია აზერბაიჯანის პოპულაციიდან და მათი ბუნებაში გაშვებამ (ახალმა მიდგომამ)






საკმაოდ კარგი შედეგები გამოიღო. 2017 წლის მდგომარეობით სამუხის ველის თითქმის მთლიანი ტერიტორია ათვისებულია ქურციკების სხვადასხვა ჯგუფების მიერ. მათი ადგილსამყოფელის ძირითადი ცვლილებები განპირობებულია ისეთი ფაქტორებისგან, როგორიცაა ამინდი (გვალვის პერიოდში ქურციკების ჯგუფები ძირითადად სამუხის სამხრეთ ნაწილში, მდინარე იორის სასაზღვრო არხის მიმართულებით გადაადგილდებიან), სეზონები (გვიანი გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ქურციკების ნახვა მთელს ტერიტორიაზეა შესაძლებელი, ხოლო გვიანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე ისინი ძირითადად ისეთ ტერიტორიას იყენებენ, რომელიც ნაკლებადაა ფერმებით და ცხვრის ფარებით დატვირთული), გამრავლების პერიოდში ქურციკები უმეტესწილად სამუხის ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში (ვაშლოვანის ნაკრძალის მიმართულებით) არსებულ ტერიტორიას იყენებენ. თითოეული მონიტორინგის დროს ხდება ქურციკების სხვადასხვა რაოდენობის დაფიქსირება. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი სამუხის ველზე მათი შეხვედრის ალბათობა, რაც არამხოლოდ მონიტორინგის შედეგებით, არამედ მწყემსებისა და მესაზღვრეებისგან მიღებული ინფორმაციითაც დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ ქურციკის პოპულაციის აღდგენის პროექტის მიმდინარეობისას დაფიქსირებულია რამოდენიმე ინდივიდის სიკვდილი. დღეისათვის არსებული მდგომარეობა პროექტის წარმატებულ




მიმდინარეობაზე მიუთითებს.




ჯეირნების გადაადგილების მარშუტები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსა და მინგეჩაურის წყალსაცავის მიმდებარე ტერიტორიაზე.


- გადამოწმდა ადმინისტრაციებიდან მოწოდებული „ბუნების მატიანე“ები.
- სამეცნიერო კვლევების მიმოხილვა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის განმავლობაში.


საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე 2017 წელს სულ 30 სამეცნიერო კვლევა განხორციელდა, მათი უმრავლესობა მოკლევადიანი და 3 კვლევა არის გრძელვადიანი, აღსანიშნავია შავი ზღვის ძუძუმწოვრების კვლევა. დაცული ტერიტორიებიდან მკვლევარებისათვის ყველაზე მეტ ინტერესს იწვევს ვაშლოვანის, ბორჯომ-ხარაგაულის და კოლხეთის ეროვნული პარკების ბიომრავალფეროვნება. ყველაზე აქტიური პერიოდი სამეცნიერო კვლევებისათვის ივნისის თვეა, რომლის შემდგომ დაიწყო კლება.





ასევე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ქართველი მეცნიერების ინტერესი დაცული ტერიტორიებისადმი მეტია, თუმცა უცხოელი მკვლევარების. დარგების მიხედვით ჭარბობს ზოოლოგიური კვლევები, შემდგომ სატყეო მიმართულების, გეოლოგიური, გეოგრაფიული, ბოტანიკური, სხვა დარგები კი თითო თითო კვლევით შემოიფარგლება.





27 იანვარს მონაწილეობა იქნა მიღებული დაცულ ტერიტორიების სააგენტოში თბილისის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვაში, რისთვისაც გასული წლის ბოლოს და იანვრის დასაწყისში მომზადებული იქნა ინფორმაცია თბილისის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების შესახებ და ასევე მომაზადდა მონიტორინგის გეგმა.

20 აპრილს კახეთის რეგიონის დაცული ტერიტორიების (ვაშლოვანის, ლაგოდეხის, ბაწარა-ბაბანეურის, თუშეთის დაცული ტერიტორიების და ჭაჭუნას აღკვეთილის) ბუნებრივი რესურსების სპეციალისტთათვის ჩატარდა ჩეხეთის საელჩოს მხარდაჭერით დაფინანსებული „ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზის ფუნქციონირების შესახებ“ ტრენინგი.

კინტრიშის დაცული ტერიტორიებისა და პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლის საგამოფენო დარბაზის მოსაწყობად მომზადდა ინფორმაცია ბიომრავალფეროვნების შესახებ საგამოფენო დარბაზის საინტერპრეტაციო დაფებისათვის.

24 აპრილს ჩეხეთის რესპუბლიკის ქ. ბრნოს სატყეო უნივერსიტეტის პროფესორების მიერ ო. ჰოლუშა და კ. ჰოლუშოვას მიერ თბილისის ეროვნული პარკის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებსა და რეინჯერებისათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე “ტყეთმოწყობის ძირითადი პრინციპები და აღრიცხვის მეთოდები“, რომლის ფარგლებშიც დახმარება გაეწიათ ორგანიზებასა, თარგმანსა და განმარტებაში.

გადამოწმდა და მიეწოდა რეკომენდაციები და შენიშვნები კოლხეთის, ალგეთის და მტირალას ეროვნული პარკის, ქობულეთის, ფშავ-ხევსურეთის, ყაზბეგის, კინტრიშის დაცული ტერიტორიებისათვის მომზადებული მენეჯმენტის გეგმის სამუშაო ვერსიებისათვის.

ბუნებრივი რესურსების მთავარი სპეციალისტის მიერ განხორციელდა მივლინებები, რომელზეც განიხილებოდა კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების, ყაზბეგის ეროვნული პარკისათვის მონიტორინგის პროგრამები და გაიცა რეკომენდაციები.

განხილულ და მომზადებულ იქნა რეკომენდაციები სამეცნიერო კვლევისათვის „მდ. რიონის შესართავსა და შავი ზღვის სანაპირო აქვატორიაში ზუთხისებრთა სახეობების კვლევა, იქთიოფაუნის ზოგადი შეფასება და თანმდევი პარამეტრების შესწავლა“.

განხილულ და მომზადებულ იქნა რეკომენდაციები „შავი ზღვის ძუძუმწოვრების (დელფინები და ზღვის ღორები) მენეჯმენტის გეგმის იმპლემენტაცია“.

მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში გამართულ შეხვედრაში და ასევე განხილული იქნა „საქართველოს ზოგიერთი დაცული ტერიტორიებისათვის UNESCO -ს სტატუსის მინიჭების შესაძლებლობები“ სამუშაო დოკუმენტი.

მონაწილეობა იქნა მიღებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომელიც აქტიურად მუშაობს ‘ზარალისა და ზიანის დათვლის მეთოდიკი“-ს მასალებზე.

პოლონურ ჟურნალში „Folia Forestalia Polonica“ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბუნებრივი რესურსების მთავარი სპეციალისტის, ხათუნა წიკლაურის თანაავტორობით, იმერული მუხისა და მუხის ხარაბუზის შესახებ სტატია, სახელწოდებით „The problem of relations on the territory of Ajameti Managed Reserve“ გამოქვეყნდა.

გაეროს განვითარების პროგრამის UNDP და გლობალური განვითარების ფონდის GEF -ის ერთობლი პროექტის ფარგლებში სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს და სსიპ დაცული ტერიტორიების თანამშრომლებისათვის (ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების, დაცვის დამსახურის უფროსების და რეინჯრებისათვის) ორ ეტაპად 13-16 დეკემბერს ქ. ბათუმსა და კაჭრეთში განხორციელდა ტრენინგი, რომელიც ეძღვნებოდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედ კანონმდებლობას, საერთშორისო კონვენციებსა და ქვეყნის ვალდებულებების, ტყის ფიტოპათოლოგიური გამოკვლევების: მავლებელი მწერებისა და სოკოების შესახებ. აღნიშნული პროექტის ფარგლებში გამოიცა სახელმძღვანელო „საქართველოს ტყის მავნებელი მწერები“, საველე მეგზური „მავნებელი მწერები და სოკოები“ , გამოიცა მრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკა ევროკავშირის ქვეყნებში. ჰაბიტატების დირექტივა, ფრინველების დირექტივა, “ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია“. ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები.

ეკო-განათლება და ინტერპრეტაცია

2017 წლის განმავლობაში საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა შეხვედრები, ლექცია-სემინარები, ტრენინგები, ეკო-გაკვეთილები ველზე, დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკო-ტურები და სხვა სახის გარემოსდაცვითი აქტივობები.

სოციოლოგიური გამოკითხვა

2017 წლის იანვარ-თებერვალში დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობაში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სოციოლოგიური კვლევის ცენტრის „გორბის”-ს მიერ მომზადებული - „საზოგადოებრივი აღქმისა და გავლენის მონიტორინგისა და შეფასების კითხვარის საშუალებით”.

საქართველოს დაცული ტერიტორიების დამხმარე ზონის მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- მოსახლეობის ცნობიერება;
- მოსახლეობის შიში და მოლოდინი დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში;
- სარგებელი და ზარალი;
- მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
- დაცული ტერიტორიის განვითარების პროცესში, მენეჯმენტის გეგმაში მონაწილეობა, აღიქვამენ თუ არა ისინი, რომ წარმოადგენენ სამენეჯმენტო პროცესის შემადგენელ ნაწილს.

ალგეთის, აჯამეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, თბილისი, თუშეთის, კინტრიშის, კოლხეთის, ლაგოდეხის, მარიამჯვარის, მაჭახელას, მტირალას, იმერეთის მღვიმეების, მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების, ქობულეთის, ყაზბეგის, ჯავახეთის, ფშავ-ხევსურეთის და ჭაჭუნას დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ გამოიკითხა 100 რესპოდენტი. სულ 2000-მდე რესპოდენტი. პასუხები დამუშავდა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

საანგარიშო პერიოდში განახლდა ურთიერთთანამფრომლობის მემორანდუმი სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ა(ა)იპ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტს, შპს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტს შორის და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდული ახალგაზრდულ ასოციაცია“დრონ“-თან. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან.
ქობულეთის დაცული ტერიტორიებს ადმინისტრაციამ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, ქობულეთის რესურსცენტრთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტთან არსებულ ჯგუფთან ,, ეკოკლუბი“.

პროექტები

მიმდინარეობს აჯამეთის აღკვეთილის განახლება, რომელიც ტყის ორგანიზაციის და განვითარების 10 წლიანი გეგმის შესაბამისად ხორციელდება: გაშენდება იმერული მუხის და ძელქვის ნარგავები, მოეწყობა სანერგე მეურნეობა და „Treepex”-ის პროექტის „დარგეხე“ ფარგლებში, პაშა ბანკის ფინანსური მხარდაჭერით წითელ ნუსხაში შეტანილი იმერული და ქართული მუხის 1 000 ნერგი დაირგო.
ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მომზადდა და გამოიცა წიგნი „გაიცანი ალგეთის ეროვნული პარკი“. წიგნში ასევე შეტანილია მანგლისის სკოლის მოსწავლეების თხზულებები და ილუსტრაციები. წიგნის მიზანია ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება. მასში გადმოცემულია ინფორმაცია ალგეთის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებაზე, და ასევე წარმოდგენილია სკოლის

მოსწავლეებზე გათვლილი ეკოთამაშები. წიგნი მომზადდა ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერით.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში გაიმართა ბიომრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილი კვირეულის, რომლის ფარგლებში დაცული ტერიტორიების სააგენტოში მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კაბინეტის, გეოეკოლოგიის წრის მოსწავლეებს ეკო-საგანმანათლებლო ლექცია-სემინარი ჩაუტარდათ. მოსწავლეებმა ინფორმაცია მიიღეს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, კატეგორიებზე, ზონირებაზე, ეკოტურისტულ სერვისებზე, დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული და დაშვებული საქმიანობების შესახებ. მოსწავლეებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ ისტორიებიც მოისმინეს. კვირეულში მონაწილეობისთვის მოსწავლეებს სერთიფიკატები გადაეცა.

კვირეულის ფარგლებში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფოიეში თბილისის 144-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მიერ გარემოსდაცვით თემაზე შექმნილი ნახატების გამოფენა გაიმართა.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ორ ნაკადად მოეწყო ინკლუზიური ეკობანაკი. ბანაკის მიზანია მოზარდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და მათი პრაქტიკული საქმიანობაში ჩართვა. სხვა თემებთან ერთად, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებმა ნატო სულთანიშვილმა და მარიამ თათარაშვილმა, ეკობანაკის მონაწილეებს მიაწოდეს ინფრომაცია დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, კატეგორიებზე, ზონირებაზე, ეკოტურისტულ სერვისებზე, დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული და დაშვებული საქმიანობების შესახებ. მოსწავლეებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ ისტორიებიც მოისმინეს. ბავშვებმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საგანმანათლებლო ბილიკიც დაათვალიერეს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკი მოეწყო საერთაშორისო ეკობანაკი. პროექტი, საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა Erasmus-ის მიერაა დაფინანსებული და მას არასამთავრობო ორგანიზაცია „დრონი“ ახორციელებს. ბანაკში 6 ქვეყნის: ნორვეგიის, დანიის, იტალიის, ჩეხეთის, ესტონეთის და საქართველოს 35 წარმომადგენელი მონაწილეობს. პროექტის მიზანი, ევროპელ ახალგაზრდებში. ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ბუნებასთან ჰარმონიული თანაცხოვრების პოპულარიზაციაა. პროექტის ფარგლებში, ბანაკის წევრები გარდა საგანმანათლებლო საქმიანობისა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის განახლების სამუშაოებში არიან ჩართულნი, როგორიცაა ბილიკების რემარკირება, საცეცხლე ადგილის მოწყობა-მოპირკეთება, ტერიტორიის დასუფთავება, სასმელი წყლის ადგილის მოწყობა და ეკო-ტუალეტის აშენება.

არასამთავრობო ორგანიზაცია CENN-თან თანამშრომლობის საფუძველზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ბანაკს ,,აღმოაჩინე საქართველო“-ს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელი, მარიამ თათარაშვილი ესტუმრა და ჩაუტარა სემინარი დაცული ტერიტორიების და ეკოტურისტული სერვისების შესახებ. ეკობანაკში ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფინალისტები იღებდნენ მონაწილეობას.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს პროექტი ,,ბექობის არწივის კონსერვაცია“. „საბუკო“-სთან ერთად პროექტში ჩართული არიან ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომლები და დედოფლისწყაროს #2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პადაგოგები. ამ პროექტის ფარგლებში 2017 წლის 19 მარტს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო მორიგი ღონისძიება და ჩატარდა პრეზენტაცია ბექობის არწივის შესახებ, შემდეგ კი მოხდა გასვლა ხორნაბუჯის ტერიტორიაზე, სადაც ერთობლივი ძალებით არწივებისთვის დამზადდა რამოდენიმე ბუდე.

დაგეგმვისა და განვითრების სამსახურის მიერ მომზადდა კონცეფცია ეკოსაგანმანათლებლო წიგნის - „ყველაფერი დაცული ტერიტორიებზე“. წიგნი განკუთვნილია სკოლის მოსწვალეებისთვის.

საგანმანათლებლო აქტივობები

რა? სად? როდის?

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მომზადდა და ჩატარდა ინტელექტუალური თამაში “რა?სად?როდის?“, სადაც მონაწილეობა მიიღეს დაბა მანგლისის, სოფ.თონეთის და სოფ.ორბეთის საჯარო სკოლებში შერჩეული გუნდები.





„დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს“ ფარგლებში ალგეთის ეროვნული პარკის ინიციატივითა და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით ინტელექტუალურ შეჯიბრში „რა, სად, როდის“ მონაწილე 33 მოსწავლისათვის, მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის (ჯამში 53კაცი) მოეწყო ერთ დღიანი ტური ალგეთის ეროვნულ პარკს ბუნების ძეგლის “დაშბაშის კანიონის“ ტერიტორიაზე და ჩატარდა დასუფთავების აქცია დაშბაშის კანიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს დაშბაშის კანიონის და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ესაუბრნენ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერები.

„რა? სად? როდის?“ თამაში ჩატარდა ასევე ბორჯომ-ხარაგაულის, თუშეთის, კინტრიშის და კოლხეთის დაცული ტერიტორიების ადმინიტრაციების მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრს აქტიურად სტუმრობდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. რომლებისთვისაც ჩატარდა მცირე პრეზენტაცია საგამოფენო დარბაზში, მათთვის გასაგებ ენაზე ეცნობიან დაცული ტერიტორიების არსს, მნიშვნელობას და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის

ბიომრავალფეროვნებას. ასევე ათვალიერებენ საგანმანათლებლო ბილიკზე განთავსებულ ინტერაქტიულ ინსტალაციებს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საგანმანათლებლო შეთავაზებები მოიცავს პროგრამას, სახელად „დიალოგი გარემოსთან“ - სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. პროგრამაში შესულია ეკოსაგანმანათლებლო თამაშები და პრეზენტაციები ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების ელემენტების შესახებ, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვების ენაზეა ახსნილი ეროვნული პარკის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობა. პრეზენტაციები შექმნილია ისეთი სახეობების შესახებ, როგორებიცაა კეთილშობილი ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი და არჩვი. არსებული პროგრამის შეთავაზება მოხდა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, 2017 წლიდან სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები აქტიურად სტუმრობენ ვიზიტორთა ცენტრს.

ნორჩი რეინჯერი

პროგრამა ნორჩი რეინჯერი წარმატებით ხორციელდება ალგეთის, ბორჯომ-ხარაგაულის, კოლხეთის, მაჭახელას და მტირალას დაცული ტერიტორიების ადმინიტრაციების მიერ.

ეკობანაკები

მოხალისეთა ბანაკი მოეწყო ხუთ დაცულ ტერიტორიაზე - ლაგოდეხი, ბორჯომი, მტირალა, თუშეთი და მარტვილი. 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტების პირველი კურსის სტუდენტების პროგრამის ფარგლებში დაცულ ტერიტორიებზე 10-10 დღის განმავლობაში კარვებში საველე პირობებში ცხოვრობენ. სტუდენტები ეცნობიან დაცული ტერიტორიების სპეციფიკას, ასუფთავებენ და აწესრიგებენ სარეკრეაციო ზონებს ტურისტებისთვის, მონაწილეობენ ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაში, რეინჯერებთან ერთად პატრულირებენ დაცულ ტერიტორიებზე და ასევე ეხმარებიან ადგილობრივ მოსახელობას. 2017 წელს მოხალისეთა პროგრამაში დაცულ ტერიტორიებზე აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების 800-მდე პირველკურსელი სტუდენტი იღებდა მონაწილეობას.


ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ივლისის თვეში შპს „ეკოსკოპის“ ორგანიზებით მოეწყო საველე ბანაკი, რომელშიც თბილისის საჯარო და კერძო სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ, აღნიშნული ბანაკის მთავარ მიზანს ეკო-საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება და საველე უნარების გამომუშავებაა.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკოვიზიის ეკობანაკი, რომლის მონაწილეებს ჩაუტარდათ სემინარი თუშეთის ბიომრავალფეროვნების შესახებ.


მიმდინარე წლის 3-5 მარტს კოლხეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით მოეწყო გოგონათა ბერდვოჩინგის ბანაკი. ასევე კოლხეთის როვნულ პარკთან თანამსრომლობით მოეწყო CASEE-ს ორგანიზებით გამართულ გერმანულენოვანი ეკო-ბანაკი; მშვიდობის კორპუსის ორგანიზებით გამართული „LIFE ბანაკი“ და „BUILD ბანაკი“.

ეკოსაგანმანათლებლო სტატისტიკა


სულ 2017 წლის განმავლობაში ლექცია-სემინარი გარემოს დაცვისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის თემატიკით ჩაუტარდა 84 538-მდე მოსწავლესა და სტუდენტს, ჩართული იყო 6 179-მდე პედაგოგი და ჩატარდა შეხვედრა 12 366 ადგილობრივ მოსახლესთან. მოეწყო 72 კვირეული, 166 მწვანე აქცია, 2 822 ეკო ტური და 390 დასუფთავების აქცია.



2017 წლის განმავლობაში სულ გარემოსდაცვით აქტივობებში ჩაერთო 104 979 ადამიანი.




ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულ ადამიანთა რიცხოვნობა ადმინისტრაციების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:




ეკოტურიზმი

2017 წლის განმავლობაში საქართველოს დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 954 692 ვიზიტორი, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (734 874 ვიზიტორი) 30%-ით არის გაზრდილი. აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 57%-ს (542 163 ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 43%-ს (412 529 ვიზიტორი).



დიაგრამა1. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით 2007-2017წწ.




დიაგრამა 2. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2017წ.

2017 წლის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაიზარდა 28%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 33%-ით.

ყველაზე მონახულებადი ტერიტორიებია პრომეთეს მღვიმე, მარტვილის კანიონი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, სათაფლია, ოკაცეს კანიონი და ბორომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი.


2017 წლის მონაცემებით პრომეთეს მღვიმეს ესტუმრა დაცული ტერიტორიების ვიზიტორების 17% (163 923 ვიზიტორი), ყაზბეგის ეროვნულ პარკს - 16% (154 085 ვიზიტორი), მარტვილის კანიონს - 16% (147 644 ვიზიტორი), სათაფლიას - 9% (85 507 ვიზიტორი), ოკაცეს კანიონს 8% (73 113 ვიზიტორი), ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს 6% (59 458 ვიზიტორი). ვიზიტორების 28% მოდის ლაგოდეხის, თბილისის, მტირალას, კოლხეთის, ალგეთის, თუშეთის, ვაშლოვანის, ქობულეთის, მაჭახელას, ჭაჭუნას, კინტრიშის და ჯავახეთის, დაცულ ტერიტორიებზე.



დიაგრამა 3. ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ.

2017 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა ვიზიტორების რაოდენობა შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე:


- მაჭახელას ეროვნული პარკი - **ზრდა 147%** (2016წ - 2062, 2017 წ - 5092);
- მარტვილის კანიონი - **ზრდა 137%** (2016წ - 62 434, 2017 წ - 147 644);
- ალგეთის ეროვნული პარკი - **ზრდა 74%** (2016წ - 16076 , 2017 წ - 28 020);
- თბილისის ეროვნული პარკი- **ზრდა 47%** (2016წ - 35 439 , 2017 წ - 52 015);
- მტირალას ეროვნული პარკი - **ზრდა - 41%** (2016წ - 33 774, 2017 წ - 47 460);
- ოკაცეს კანიონი - **ზრდა - 40%** (2016წ - 52 197, 2017წ - 73 113);
- პრომეთეს მღვიმე - **ზრდა - 19%** (2016წ - 138 227, 2017 წ - 163 923).



დიაგრამა 4. ვიზიტორთა სტატისტიკა დაცული ტერიტორიების მიხედვით 2017 წ.

საერთაშორისო ვიზიტორები


2017 წელს საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 33 %-ით. ვიზიტორთა შორის ყველაზე მეტი ესტუმრა რუსეთიდან 29% (118 250 ვიზიტორი), ისრაელიდან 14% (56 164 ვიზიტორი), პოლონეთიდან 7% (30 855 ვიზიტორი), უკრაინიდან 6% (26 461 ვიზიტორი), გერმანიიდან 5%(18 510 ვიზიტორი).



დიაგრამა 5. საერთაშორისო ვიზიტორები 2017წ.

შემოსავლების სტატისტიკა


2017 წლის მონაცემებით, 2016 წლის მონაცემებთან შედარებით შემოსავლების რაოდენობა გაზრდილია 95%-ით. 2017 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 4 504 473 ლარი, 2016 წლის შემოსავლებმა კი 2 313 698 ლარი.




დიაგრამა 6. ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წ.

2017 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები შემდეგ დაცულ ტერიტორიებზე:

- მარტვილის კანიონი - ზრდა 194% (2016წ - 433506ლარი, 2017 წ - 1274463 ლარი)
- პრომეთეს მღვიმე - ზრდა 103% (2016წ - 927 994 ლარი, 2017წ - 1 887 064 ლარი)
- ოკაცეს კანიონი - ზრდა 69% (2016წ - 318 537 ლარი, 2017წ - 538 506 ლარი)
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები -ზრდა 60% (2016წ - 43 354 ლარი, 2017წ - 69 302 ლარი)
- მტირალას ეროვნული პარკი - ზრდა 37 % (2016წ- 19 449 ლარი, 2017 წ-26 640 ლარი)



დიაგრამა 7. ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2017წ



დიაგრამა 8. ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები ტერიტორიების მიხედვით 2017წ

დაცულ ტერიტორიებს შორის ყველაზე მეტი შემოსავალი მიიღო შემდეგმა ტერიტორიებმა: პრომეთეს მღვიმე - საერთო შემოსავლის 42% (1 887 064 ლარი), მარტვილის კანიონი 28% (1 274 463 ლარი), ოკაცეს კანიონი - 12% (538 506 ლარი), სათაფლია 11% (499 019 ლარი), ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულიპარკი 2% (74 223 ლარი), შემოსავლების 5% მოდის ლაგოდეხის, ვაშლოვანის, კოლხეთის, მტირალას, ჯავახეთის, თუშეთის, ჭაჭუნას, კინტრიშის, ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე.

ახალი ტურისტული სერვისები და ტურისტული ინფრასტრუქტურა

ტურისტული შეთავაზებების გამრავალფეროვნების მიზნით, კოლხეთის ეროვნული პარკში, ვიზიტორთა ცენტრთან მოეწყო საკემპინგე ადგილები ავტომობილებისათვის (4 ადგილი), რომელიც აგრეთვე გულისხმობს სანიტარული კვანძითა და საპიკნიკე ადგილით სარგებლობას.

კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით აშენდა და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით მოეწყო ქობულეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრი. იგი ადმინისტრაციას, ვიზიტორთა ცენტრს, საგამოფენო სივრცეს, სასტუმროს 4 ნომერს და კაფეს აერთიანებს.

2017 წლიდან პრომეთეს მღვიმეში ნავით მომსახურების სერვისი განახლდა. სერვისის მიწოდება ხორციელდება სრულიად ახალი და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ნავებით.

ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრში მოეწყო სუვენირების მაღაზია, რომელიც უზრუნველყოფს სუვენირების, ადგილობრივი პროდუქტების და დაცული ტერიტორიების მასალების გაყიდვას.

2017 წლის სექტემბრის თვეში მარტვილის კანიონში, პრომეთესა და მელოურის მღვიმეებში დაინერგა ახალი სერვისი, სადაც ვიზიტორებს ჩაყვინთვის და წყალქვეშა სამყაროს გაცნობის შესაძლებლობა აქვთ.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე გაფართოვდა ვიზიტორთა ცენტრის კაფე, იგი იჯარით არის გაცემული და უკვე 4 სეზონზე შეუძლია უმასპინძლოს ვიზიტორებს.

UNDP_GEF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის პირველი ეტაპის სამუშაოები. მთავარანგელოზის მთის ბილიკზე კი საგზაო, საინფორმაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები დამონტაჟდა, მოეწყო საპიკნიკე და საკარვე ადგილები და მდინარეზე გადასასვლელი ხიდი.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით, ლანდშაფტის ტერიტორიაზე განთავსდა საინფორმაციო მიმართულების მანიშნებელი დაფები.

ინფრასტრუქტურული პროექტები:

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) დაფინანსებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული ეზოში მოეწყო ავტოსადგომი, საკემპინგე ადგილები, ეზოს განათება, ვიდეო მონიტორინგის სისტემა და და განახლდა დეკორატიული ღობე.

ამერიკის საელჩოს დაფინანსებით გაუმჯობესდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების შავი კლდეების ტბის ბილიკის ინფრასტრუქტურა. ტურისტულ თავშესაფარში "მეტეო" მოეწყო მზის მიკროელექტროსადგური.

დასრულდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის პროცესი, რომელიც გერმანიის მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით განხორციელდა. შენობაში საგამოფენო სივრცე, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და ადმინისტრაცია განთავსდება.

ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ძალისხმევით, პოლონეთის საელჩოსთან ერთად მიმდინარეობს ველობილიკის მოწყობა თრუსოს ხეობაში.

გერმანიის მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით დასრულდა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის პროცესი.

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით დასრულდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ხარაგაულის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია და სასტუმრო მარელისის სარემონტო სამუშაოები.

ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით თბილისის ეროვნულ პარკში ღულელების უბანზე მოეწყო საპიკნიკე ინფრასტრუქტურა, შესაბამისი სველი წერტილებით, საცეცხლე და საკარვე ადგილებით.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ხის კენწეროების ბილიკის მოწყობა იგეგმება. ხის კენწეროების ბილიკის მოწყობის სოციალურ-ეკონომიკურ დასაბუთებაზე, დეტალურ პროექტირებაზე საერთაშორისო ტენდერი "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის" (WWF) კავკასიის წარმომადგენლობამ, ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს" - TJS-III-ის ფარგლებში გამოაცხადა.

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

2017 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ტუროპერატორებს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებს, სასტუმროებს, ბროშურები და რუკები გავრცელდა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გაღრმავდა ურთიერთობები სალაშქრო კლუბებსა და ფედერაციებთან.

2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომლობა იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA) წარმომადგენლობასთან, რომლის მიზანს საქართველოს ტურისტული პოტენციალის კვლევა და შესაბამისი რეკომედაციების შემუშავება წარმოადგენდა. საქართველოს მხრიდან დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად თანამშრომლობის პროცესში ჩართულ უწყებებს წარმოადგენენ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო და სხვადასხვა ტურისტული კომპანიები.

2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომლობა მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან, მიზანს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტურიზმის და აგრო გადამუშავების მიმართულებით მოქმედი მიკრო და მცირე ტიპის სამეწარმეო საქმიანობების საჭიროებების იდენტიფიცირება და ბიზნესის სპეციფიკაზე მორგებული ტექნიკური მხარდაჭერის გაწევა წარმოადგენდა.

დაცული ტერიტორიების სააგენტოში დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტებთან და ვიზიტორთა მომსახურებაში ჩართულ თანამშრომლებთან ერთად გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა ვიზიტორთა მომსახურებასთან დაკავშირებული სირთულეები, რეგისტრაციისა და ონლაინ კითხვარების ფორმების გაუმჯობესების გზები. შეხვედრის მონაწილეებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია იაპონიაში სასწავლო ტურის განმავლობაში მიღებული გამოცდილების შესახებ.

დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შორის გაძლიერდა თანამშრომლობა, დაცული ტერიტორიების სააგენტო ჩაერთო ტურიზმის სექტორში უწყებათაშორისი თანამშრომლობის 2 წლიანი სამოქმედო გეგმის შამუშავების პროცესში სხვა სამთავრობო უწყებებთან ერთად, რომელის კოორდინაციასა და მონიტორინგსაც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ახორციელებს. დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკური ინფორმაცია განთავსდა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის 2016 წლის სტატისტიკური მიმოხილვის კატალოგში.

ბორჯომ-ხარაგაულის და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს (TJS) მხარდაჭერით იმყოფებოდნენ გერმანიის სლოვენიისა და იტალიის ეროვნულ პარკებში მდგარდი ტურიზმის გამოცდილების გაზიარების მიზნით. სასწავლო ტურის განმავლობაში შედგა სამუშაო შეხვედრები მიურიცის, ტრიგლავას და პრეალპის ეროვნული პარკების ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან, სადაც განსახილველ საკითხებს ტურისტული პროდუქტის განვითარება, მარკეტინგი და კომუნიკაცია, ტურიზმში ჩართულთა შესაძლებლობების გაძლიერება, შემოსავლების გაზრდა, ვიზიტორთა გამოცდილება, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა და შეფასება და მონიტორინგი წარმოადგენდა.

ალგეთის, ფშავ-ხევსურეთის, ყაზბეგისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები, ადმინისტრაციების დირექტორები, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებთან ერთად იმყოფებოდნენ ხორვატიის 3 დაცულ ტერიტორიაზე (National Park Risnjak, Plitvice Lakes National Park, Northern Velebit National Park) ეკოტურიზმის, დაფინანსების და არასამთავრობო ორგანიზაციებთან/მეგობართა ასოციაციებთან თანამშრომლობის საკითხებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

2017 წლის 15 ივნისს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებთან. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაძლიერება. შეხვედრაზე განხილულ იქნა დაცულ ტერიტორიებზე არსებული ეკოტურისტული სერვისები და დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით და ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს მხარდაჭერით გაიმართა ინფო ტურები 5 დაცულ ტერიტორიაზე, რომლის

ფარგლებშიც ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები ტურისტულ პროდუქტებს ოკაცესა და მარტვილის კანიონებზე, კოლხეთის ეროვნულ პარკში, ბორჯომ-ხარაგაულისა და ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე გაეცნენ. მოეწყო პრეზენტაციები, ფრინველებზე დაკვირვება, ველო, საცხენოსნო და სანაოსნო ტურები.

2017 წლის 24 სექტემბერს თბილისის ეროვნულ პარკში მოეწყო ღამის ველო-ტური („საბადურობა"), რომელიც დაიწყო გლდანში (ქერჩის ქუჩა) და დასრულდა საბადურის ტყეში. მონაწილეებმა 30 კმ-იანი რთული გზა გაიარეს. თბილისის ეროვნულ პარკში ველო-ტური უკვე მე-6 წელია იმართება და მისი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციაა.





სტრატეგიები და მენეჯმენტის გეგმები

„დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო" (2014-2019) პროექტის ფარგლებში მომზადდა ალგეთის, ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგიები და სამოქმედო გეგმები, რომლთა შემუშავების პროცესში გაიმართა სამუშაო შეხვედრები როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოში ასევე დაცული ტერიტორიების შესაბამის ადმინისტრაციებში.

„დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო" (2014-2019) პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ალგეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი, რომლის ფარგლებშიც გაიმართა სამუშაო შეხვედრები როგორც ადმინისტრაციაში ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

გაერთიანებული სამდივნოს (TJS)-ის მხარდაჭერით შემუშავდა დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტრატეგიის რეგიონული სტანდარტი, რომელიც წარმოადგენს ტურიზმის განვითარების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტს. აღნიშნული დოკუმენტის გათვალისწინებით მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა და მიმდინარეობს ტურიზმის მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავების პროცესი. სტრატეგიის შემუშავებაში შესაბამის ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო სამუშაო ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ტერიტორიული ადმინისტრაციების, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, CNF-ის და SPPA-ის წარმომადგენლებისგან. სამუშაო შეხვედრები გაიმართა როგორც თბილისში, ასევე ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში.

კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით მომზადდა მტირალას ეროვნული პარკის ეკოტურისტული პოტენციალის შეფასების დოკუმენტი.


ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს მხარდაჭერით (TJS) დასრულდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის განახლების პროცესი.

2017 წლის განმავლობაში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ტრანსსასაზღვრო ტურისტული პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებით, სადაც დაცული ტერიტორიების თანმშრომლების გარდა ესწრებოდნენ ტურისტული სააგენტოების და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფმა განიხილა ერთიანი ტურისტული პროდუქტის შექმნის შესაძლებლობები საქართველო - სომხეთისა და საქართველო - აზერბაიჯანის ეროვნული პარკებისათვის.

განხორციელებული აქტივობები


2017 წლის განმავლობაში „საფეხმავლო ბილიკების გეგმარებისა და მონიშვნის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის გათვალისწინებით დაიგეგმა და მომზადდა საინფორმაციო და მიმართულების მაჩვენებელი დაფები.

დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები




ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელის ანალიზი

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2017 წლის განმავლობაში (1231 ადგილობრივი) 2016 წლის მონაცემებთან (1 106 ადგილობრივი) შედარებით გაზრდილია 11%-ით.




დიაგრამა 9. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2014-2017წწ

2017 წლის განმავლობაში 2016 წლის მონაცემებთან შედარებით დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების რაოდენობა გაზრდილია 38%-ით, მაღაზიების რაოდენობა 30%-ით, კვების ობიექტების რაოდენობა 52%-ით.




დიაგრამა 9. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურა 2014-2017წწ

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მიღებულმა შემოსავლებმა 2017 წლის განმავლობაში შეადგინა 5 723 621 ლარი, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 31%-ით არის გაზრდილი.



დიაგრამა 10. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელი 2014-2017წწ



დიაგრამა 11. დაცული ტერიტორიების მიმდებარედ ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელი 2014-2017წწ


GIS და მონაცემთა ბაზის მართვა

იურიდიულ სამსახურთან ერთად ცვლილების მომზადება „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“, „იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიების შესახებ“, „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ და „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონებში დაცული ტერიტორიების დემარკაციისა და დაზუსტებულ საზღვრებში რეგისტრიის შემდგომ.

მაჭახელას ეროვნული პარკის, ალგეთის ეროვნული პარკის, კოლხეთის ეროვული პარკისა და თბილისის ეროვნული პარკის ზონირების ცვლილებასთან დაკავშირებით საკითხებზე მუშაობა.

UNSECO-ს პოტენციური საიტების რუკების მომზადება საერთაშორისო კონსულტანტისათვის



საიტების საბოლოო რუკების მომსამზადებლად მასალების მიწოდება;

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დემარკაციის საკითხის კოორდინაცია;







დაცული ტერიტორიების სააგენტოს საჭიროებისამებრ 16 საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება, რომლებიც დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში და დაცული ტერიტორიების სააგენტოს გადმოეცა სარგებლობაში.

ზურმუხტის ქსელის საიტების დამუშავება დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში და მათი ანალიზი;

სიტუაციური ონლაინ რუკების მომზადება.






Google My Maps რუკის განახლება, რომელიც განთავსებულია ჩვენს ვებ გვერდზე.

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მაღალმთიანი რეგიონების რუკების და შესაბამისი ინფორმაციის მომზადება;

პოტენციური ბუნების ძეგლების დარუკება და მათ შესახებ შესაბამისი სივრცითი ინფორმაციის დამუშავება;


ხანძრების რუკაზე დატანა და დაზიანებული ფართობების დაანგარიშება.



გეგმარებითი ბანერების ბაზის შექმნა და დეტალების გეოინფორმაციულ სისტემებში დამუშავება;

საგზაო მანიშნებლოების განთავსების შეთანხმება საგზაო დეპარტამენტთან და საპატრულოსთან.

საქართველოს დაცული ტერიტორიების, საზღვრების, ზონირების, ინფრასტრუქტურის და ა. შ. მონაცამთა ბაზის შევსება და განახლება;




საქართველოს დაცული ტერიტორიების კედლის რუკის მომზადება;

სააგენტოს საჭიროებიდან გამოდინარე სხვადასხვა თემატური რუკების მომზადება;

NSDI ერთიანი სივრცითი მონაცემთა ბაზის შექმნაში მონაწილეობა;

ლაგოდეხის აღკვეთილის ტერიტორიაზე საძოვრების იჯარით გაცემის საკითხებზე მუშაობა და



შესაბამისი ტუკების მომზადება;

ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის საძოვრების იჯარით გაცემასთან დაკავშირებით პრობლემურ საკითხებზე მუშაობა;

ტერიტორიეული ადმინისტრაციები

ალგეთის ეროვნული პარკი

დაცვის განყოფილება

პატრულირება და რეიდები

ალგეთის ეროვნული პარკის სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხდებოდა პატრულირების მარშრუტების და სარეინჯეროების მოულოდნელი შემოწმება, გეგმის შედგენა-განსაზღვრა, ადმინისტრაციის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცება, რის შედეგადაც თითოეული რეინჯერი ახორციელებდა მასზე მიმაგრებულ სარეინჯეროს ტერიტორიის შემოვლას აღნიშნული პატრულირების მარშრუტების მიხედვით. ნოემბრის და დეკემბრის თვეებში ეროვნული პარკის #1 და #2 სარეინჯეროებში, რომელიც წარმოადგენს რთულად გასაკონტროლებელ ტერიტორიებს, მიმდინარეობდა ღამის პატრულირება.





წლის დასაწყისიდან დღემდე შესრულებულია შემდეგი საპატრულო მარშრუტები:


- ✓ პატრულირება: 1812
- ✓ მოულოდნელი რეიდი: 126

გავლილი კმ.

- ✓ ფეხით: 17867კმ
- ✓ ავტომანქანით: 40505 კმ
- ✓ ცხენით: 3883კმ

2017 წლის განმავლობაში ყოველ თვე ხდებოდა ავტომობილებით სხვადასხვა სარეინჯეროების მოულოდნელი შემოწმება, დანართების (გეგმა-გრაფიკები) მიხედვით. კერძოდ განხორციელდა 126 მოულოდნელი რეიდი. იანვრისა და თებერვლის თვეებში ზოგიერთ მარშრუტზე ვერ განხორციელდა რეიდი დიდთოვლობის გამო. ივლისი - სექტემბრის თვეებში ავტომობილებით მოულოდნელი რეიდები განხორციელდა ნაწილობრივ, ავტომობილების ტექნიკური გაუმართაობის გამო.

2017 წლის პირველ კვარტალში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მოხდა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების განსაზღვრა და რუკაზე დატანა.



ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ 2017 წლის განმავლობაში

გამოვლენილი ფაქტები 9 (ცხრა)

უკანონო ჭრა 7 (მოცულობა- 3.45 კუბური მეტრი);

რეჟიმის დარღვევა-1;

დანაგვიანება-1.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ 2015-2017 წწ განმავლობაში



რევიზიების ჩატარება

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 13 მარტის #4 ბრძანების საფუძველზე ალგეთის ეროვნული პარკის ორივე უბანზე (თრიალეთის და ალგეთის) ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია. რევიზიის შედეგად გამოვლინდა **11,88** კუბური მეტრი უკანონო ჭრა. ზიანმა შეადგინა **3324,31** ლარი.

ასევე ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 13 მარტის #4 ბრძანების საფუძველზე ალგეთის ეროვნული პარკის ორივე უბანზე (თრიალეთის და ალგეთის) შერჩევის წესით ჩატარდა საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია. რევიზიის შედეგად გამოვლინდა **4,4** კუბური მეტრი უკანონო ჭრა. ზიანმა შეადგინა **1346,62** ლარი.

ინფორმაცია საგაზაფხულო გეგმიური რევიზიის შესახებ წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2017 წლის 01 მაისის #25-04/68 წერილით, ხოლო ინფორმაცია საგაზაფხულო საკონტროლო რევიზიის შესახებ წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2017 წლის 24 მაისის #25-04/72 წერილით.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 2 ოქტომბრის #16 ბრძანების საფუძველზე ალგეთის ეროვნული პარკის ორივე უბანზე (თრიალეთის და ალგეთის) ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზია. რევიზიის შედეგად გამოვლინდა **0,85** კუბური მეტრი უკანონო ჭრა. ზიანმა შეადგინა **432,46** ლარი.

ასევე ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 2 ოქტომბრის #16 ბრძანების საფუძველზე ალგეთის ეროვნული პარკის ორივე უბანზე (თრიალეთის და ალგეთის), 6 ნოემბრიდან 30 ნოემბრის ჩათვლით,შერჩევის წესით, ჩატარდა საშემოდგომო საკონტროლო რევიზია. რევიზიის შედეგად გამოვლინდა **0,48** კუბური მეტრი უკანონო ჭრა. ზიანმა შეადგინა **136,52** ლარი.

ინფორმაცია საშემოდგომო გეგმიური რევიზიის შესახებ წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2017 წლის 07 ნოემბრის #25-04/159 წერილით, ხოლო ინფორმაცია საშემოდგომო საკონტროლო რევიზიის შესახებ წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2017 წლის 05 დეკემბრის #25-04/168 წერილით.

ტყეკაფების გამოყოფა

2017 წლის აპრილის და მაისის თვეებში დაცვის სამსახურის მიერ მოხდა ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების ანალიზი და ასევე საშეშე მერქნითი რესურსების არსებული მარაგის შეფასება.

მიმდინარე წლის მაისის და ივნისის თვეებში ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ჩატარდა გამოსაყოფი ტყეკაფების ადგილების იდენტიფიცირება კვარტლების განსაზღვრებით, კერძოდ: #1 სარეინჯერო-კვ.53,57,58; #2 სარეინჯერო-კვ.51,55,56; #3 სარეინჯერო-კვ.47,48,50; #4 სარეინჯერო-კვ.26; #5 სარეინჯერო-კვ.28; #6 სარეინჯერო-კვ.19,20,29; #7 სარეინჯერო-კვ.5,21; #8 სარეინჯერო-კვ.42; #9 სარეინჯერო-კვ.35.

2017 წლის მაისის და ივნისის თვეებში მოხდა ჭრაგავლილი ადგილების დათვალიერება, რომლის დროსაც კრიტიკული ადგილები არ გამოვლენილა.

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მაისის და ივნისის თვეებში მიმდინარეობდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ადგილობრივ ტერიტორიულ ორგანოებთან თანამშრომლობა გამოსაყოფი ტყეკაფების რაოდენობის განსაზღვრისათვის მოცემული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული შეხვედრების შემდეგ ალგეთის ეროვნული პარკის თრიალეთის უბანზე

ივნისი-ივლისის თვეებში მოხდა ტყეკაფების გამოყოფა მოსახლეობის სათბობი საშეშე მერქნით უზრუნველყოფის მიზნით. სულ გამოყოფილი იყო 25 ტყეკაფი და მონაცემები ატვირთული იქნა მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის ელექტრონულ ბაზაში.

გამოყოფილი და მართვის ელექტრონულ ბაზაში ატვირთული ტყეკაფების მთავრობის დადგენილებასთან შესაბამისობაში ყოფნის შემოწმების მიზნით, სექტემბრის თვეში, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში მივლინებით იმყოფებოდნენ დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალიტები, რომლებმაც ადგილზე შეისწავლეს აღნიშნული საკითხი და შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები.



მიმდინარე წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა საშეშე მერქნის გაცემა ადგილობრივ მოსახლეობაზე; აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობაზე გაცემულია 845 კუბური მეტრი საშეშე მერქანი.

ხანძრების მართვა

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით აპრილის თვეში მოხდა ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკური აღჭურვილობის და სახანძრო ინვენტარის შემოწმება. აღნიშნული ინვენტარი ნაწილობრივ გამართულ მდგომარეობაშია. აღნიშნული ინვენტარი საჭიროების მიხედვით გადანაწილდა რეინჯერებზე.





2017 წლის განმავლობაში, ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხანძრის კერა არ დაფიქსირებულა, თუმცა მის მიმდებარე ტერიტორიაზე დაფიქსირდა ბალახოვან საფარზე ცეცხლის გაჩენის სამი შემთვევა, რომელიც რეინჯერებმა დროულად დააფიქსირეს, მოახდინეს ლოკალიზება და ჩააქრეს. ხანძარი ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არ გავრცელებულა.




მწყემსების კონტროლი

2017 წლის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის მიხედვით აპრილი-ოქტომბრის თეების განმავლობაში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სისტემატიურად ხდებოდა მწყემსების ინფორმირება და კონტროლი არალეგალური ქმედებების: ხანძარი, ნადირობა, ხის ჭრა, გარემოს დაბინძურება და სხვა. ჩატარებულია შეხვედრება და საუბრები, მწყემსებს განემარტათ უფლება-მოვალეობები, დაურიგდათ საგარანტიო ფურცლები და განემარტათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს ჯარიმას უკანონო ძოვების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში.




ნადირის მიერ პირუტყვის დაზიანების ფაქტები

2017 წლის განმავლობაში, ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა ნადირის მიერ პირუტყვის დაზიანების 28 ფაქტი.

2017 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, იანვრის თვეში, რუკაზე დატანილია პოტენციური ბრაკონიერობის ადგილები და შესაბამისად საპატრულო მარშრუტები მიმართულია აღნიშნული ტერიტორიისაკენ. შედეგად გაიზარდა დაცვის სამსახურის ეფექტურობა.

ფოტოხაფანგების გამოყენება

სისტემატიურად მიმდინარეობს ფოტოხაფანგების გამოყენება ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. მოპოვებული ინფორმაცია მიღებისთანავე ეგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოს და ასევე აღნიშნული მასალები ემატება ალგეთის ეროვნული პარკის ოფიციალურ facebook გვერდს.






სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მომზადებულია 2016 წლის „ბუნების მატიანე“ იანვრის თვეში წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.


ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ წარმოებს მეტეოროლოგიური დაკვირვება ხდება მხოლოდ ვიზუალურად შესაბამისი ხელსაწყოების უქონლობის გამო. თუმცა ადმინისტრაცია ყოველდღიურად აკეთებს ჩანაწერს ამინდის პროგნოზის დაყრდნობით. 2017 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ყველაზე დაბალი ტემპერატურა აღინიშნება თებერვლის თვეში, როდესაც ჰაერის ტემპერატურა საშუალოდ -10 გრადუს აღწევს. მარტის თვეში ტემპერატურის მაჩვენებელმა მოიმატა და შეადგინა 8 გრადუსი. ნალექების რაოდენობა საშუალოდ სამი თვის განმავლობაში შეადგენს 220 მმ, ხოლო შეფარდებითი სინოტივე 81% შეადგენს. ივლისის მეორე ნახევარი, აგვისტო და სექტემბრის თვეები აღინიშნა უნალექო ამინდებით, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია მცენარეული საფარის საერთო მდგომარეობაზე. ეროვნული პარკის ტერიტორიაზე წლის განმავლობაში გაბატონებულია დასავლეთის რუმბის ქარები, რომელთა საშუალო სიჩქარე 6 მ/წმ-შია. 2017 წლის განმავლობაში არასისტემატური მოვლენები ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნების და სხვა მოვლენების სახით არ დაფიქსირებულა.

წარმოებს არასისტემატური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება. 2017 წლის განმავლობაში არასისტემატური მოვლენები ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნების და სხვა მოვლენების სახით არ დაფიქსირებულა.


საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველების მონიტორინგის ფარგლებში რეინჯერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მურა დათვის კვალი ნანახია ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში შემავალ მე-10, 33-ე და მე-40 კვარტლებში, ასევე 35-ე კვარტალში დათვის მიერ დაზიანებულია სხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ფოტოხაფანგებიდან აღებულია ვიდეომასალა, რომელშიც დაფიქსირებულია მურა დათვი.



ალგეთის ეროვნული პარკის „წითელი ნუსხის“ ცხოველები



ალგეთის ეროვნული პარკის “წითელი ნუსხის“ ცხოველების სახეობათა რაოდენობა 2015-2017 წლების განმავლობაში



2017 წლის განმავლობაში ევროპული შველი ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფიქსირდება, როგორც კვალით და ფოტომახეების მიერ, ასევე ნანახია ვიზუალურადაც. ევროპული შველი ბინადრობს ეროვნული პარკის მთელ ტერიტორიაზე. მიმდინარე წლის განმავლობაში აღრიცხულია ევროპული შველის 84 ინდივიდი.





ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გარეული ღორის სულადობამ მკვეთრად მოიმატა სექტემბრის-დეკემბრის თვეებში, კერძოდ გარეული ღორი აღრიცხულია ეროვნული პარკის მე-9 სარეინჯეროს მთელ ტერიტორიაზე და ასევე მე-40 და 42-ე კვარტლებში.





2017 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მიმდინარეობდა ფოტოხაფანგების გამოყენება ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. მიმდინარე წლის განმავლობაში ფოტოხაფანგებით დაფიქსირებულია შველი, გარეული კატა, მელია, კურდღელი, მგელი, წავი, მაჩვი. მოპოვებული ინფორმაცია იგზავნება დაცული ტერიტორიების სააგენტოში და ასევე აღნიშნული მასალები ემატება ალგეთის ეროვნული პარკის ოფიციალურ facebook გვერდს.

მიმდინარე წლის მაისის თვეში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფოტოხაფანგების მიერ დაფიქსირებულია წავების წყვილი. უნდა აღინიშნოს, რომ ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ფოტომახეებით წავი პირველად დაფიქსირდა, რამაც გამოიწვია გარკვეული რეზონანსი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ტელეკომპანია რუსთავი-2“-ის მიერ





მომზადდა სიუჟეტი, რომელიც გაშუქდა დილის გადაცემაში, „დილა მშვიდობისა საქართველო“

მიმდინარე წლის მაისის-აგვისტოს თვეებში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ტყის იშვიათი ეკოსისტემების მონიტორინგი.

ბირთვისის კლდეების კომპლექსი, დაშბაშისა და სამშვილდის კანიონები წარმოადგენენ იშვიათი და ბიომრავლფეროვნებით გამორჩეულ ხეობებს. სამშვილდის კანიონისათვის დამახასიათებელია საქართველოს „წითელი ნუსხის“ მცენარეები, კერძოდ ქართული ნეკერჩხალი.

ალგეთის ეროვნული პარკის თრიალეთის უბნის მე-3 კვარტალში ხშირად გვხვდება ტანმაღალი და დიდი დიამეტრის მქონე გოლიათი ხეები. აღნიშნული კვარტალი გამორჩეულია ამ მხრივ და საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას.
ალგეთის ეროვნული პარკის გავრცელებულ მცენარეთა შორის არის **რელიქტიური მცენარეთა 7 სახეობა:** აღმოსავლური ნაძვი (Picea orientalis); კავკასიური სოჭი (Abies nordmanniana); კავკასიური ფიჭვი - Pinus kochiana*;* აღმოსავლური წიფელი (Fagus orientalis); იფანი -Fraxinus excelsior*;* მაღალმთის მუხა -Quercus macranthera*;* ქართული ნეკერჩხალი - Acer ibericum. და ასევე **ენდემური მცენარეების 7 სახეობა:** ქართული მედგარა (Pulsatilla georgica); მაღალმთის ბოყვი (Acer trautvetteri); ქართული ზამბახი (Iris iberica); ქართული თხილი (Corylus iberica); ხარაძის მაჩიტა (Campanula armazika Charadze); ქართული კოწახური (Berberis iberica); ფურისულა (Primula megasaefolia); **საქართველოს „წითელი ნუსხის“მერქნიანი მცენარეების 6 სახეობა:** მაღალმთის მუხა (Querqus macranthera); კაკლის ხე (Juglans regia); თელა (Ulmus carpinifolia); მცირენაყოფიანი ბალამწარა (Cerasus microcarpa); ქართული ნეკერჩხალი (Acer ibericum) და აკაკის ხე (Celtis)- დაფიქსირებულია სამშვილდეს კანიონის ტერიტორიაზე.





მიმდინარე წლის ივნისის თვეში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაიწყო ფიტოპათოლოგიური კვლევების ჩატარება, რომელიც გაგრძელდება ივლისის თვეში. ამ ეტაპზე ჩატარებული კვლევების შედეგად ეროვნული პარკის მე-#14, #27-ე, 34-ე კვარტალში დაფიქსირებულია წიწვოვანი ტყის (ფიჭვისა და ნაძვის) მასიური ხმობა.




მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად მოვლინებული იქნა შესაბამისი სპეციალისტი (ფიტოპათოლოგი), რომელმაც მოახდინა დაზიანებული ტყის მასივის ადგილზე შესწავლა და მოპოვებული მასალები მოამზადა შემდგომი ლაბორატიული შესწავლისათვის.




შესწავლილი და დამუშავებული მასალები წარმოდგენილი იქნა ადმინისტრაციაში. ალგეთის ეროვნულ პარკში დაფიქსირდა შემდეგი მავნებლების ან მათი არსებობის დამადასტურებელი ნიშნები:

1. ნაძვის დიდი ლაფანჭამია-*Dendroctonus micans*-ნაძვის ქერქზე დაფიქსირდა გამოსაფრენი ხვრელები და ზრდა სრული ფორმა-ხოჭო.
2. მუხის ცხვირგრძელა-*Curculio glandium*-მაღალმთის მუხის რკოებზე ნანახი იქნა ზრდასრული ფორმა-ხოჭო.
3. ფიჭვის დიდი ცხვირგრძელა- *Curculio glandium*- ნანახი იქნა ფიჭვზე, ზრდასრული ფორმა-ხოჭო.
4. მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი-*Tischeria ekebladella*-მუხის ფოთლებზე ნანახი იქნა ჩრჩილის მატლის მიერ მიყენებული დაზიანებები და თავად მატლი.
5. არაფარდი პარკხვევია-*Lymantria dispar*-ნანახი იქნა კვერცხის გროვები.
6. ორკბილა ქერქიჭამია-*Pityogens bidentatus*
7. ოთხკბილა ქერქიჭამია-*Pityogenes quadridens*
8. ქერქიჭამია გრავერი-*Pityogenes chalcographus*
9. ნაძვის მცირე მებაღე, მკრეჭავი (ლაფანჭამია)-*Tomicus minor*-ნანახი იქნა ფიჭვის მთავარ ღეროსა და გვერდით ტოტებზე ქერქის ქვეშ არსებული სასვლელები და ქერქზე გამოსაფრენი ხვრელები.
10. პეწიანებისა (*Buprestidae*) და ხარაბუზების (*Cerambycidae*)მველი სასვლელები.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ განახორციელა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები ასევე ადგილობრივი მოსახლეობა.

თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

2017 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ეწყობოდა შეხვედრები და საუბრები დაწესებულებებში და ასევე შესაბამისი ლიტერატურის და საინფორმაციო მასალების მიწოდება. 2017 წლის იანვრის თვეში დაწესებულებებსა და მოსახლეობას გადაეცა ალგეთის ეროვნული პარკის და ბუნების ძეგლების კალენდრები.





ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის თებერვლის და სექტემბრის თვეებში მომზადდა ეკო-საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ასახულია საჯარო სკოლებში ჩასატარებელი ღონისძიებები: ლექცია-სემინარები გარემოსდაცვით საკითხებზე; ღია გაკვეთილებისა და ეკო-ტურების ჩატარება; ნორჩ რეინჯერთა ჯგუფებთან მუშაობა; დალაგება-დასუფთავების აქციებში მონაწილეობა და ბუნებრივი განახლების ხელისშემწყობ ღონისძიებებში მონაწილეობა.

ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის თებერვლის და მარტის თვეებში მანგლისის საჯარო სკოლის მე-7 კლასში ჩამოყალიბდა ახალი ნორჩ რეინჯერთა ჯგუფი.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მომზადდა და ჩატარდა ინტელექტუალური თამაში “რა?სად?როდის?“, სადაც მონაწილეობა მიიღეს დაბა მანგლისის, სოფ.თონეთის და სოფ.ორბეთის საჯარო სკოლებში შერჩეულმა გუნდებმა.




დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს“ ფარგლებში ალგეთის ეროვნული პარკის ინიციატივითა და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური მხარდაჭერით ინტელექტუალურ შეჯიბრში „რა, სად, როდის“ მონაწილე 33 მოსწავლისათვის, მასწავლებლებისათვის და მშობლებისათვის (ჯამში 53კაცი) მოეწყო ერთ დღიანი ტური ალგეთის ეროვნულ პარკს ბუნების ძეგლის “დაშბაშის კანიონის“ ტერიტორიაზე და ჩატარდა დასუფთავების აქცია დაშბაშის კანიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს დაშბაშის კანიონის და გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ესაუბრნენ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერები.




დაშბაშის კანიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2017 წლის 15 აგვისტოს ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და წალკის მინიციპალიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა წალკის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად დასუფთავების აქცია მოაწყვეს. კანიონი და მიმდებარე ტერიტორია გაიწმინდა მუნიციპალური ნარჩენებისგან.





2017 წლის სექტემბრის თვეში ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ჩატარდა დასუფთავების აქცია.




ალგეთის ეროვნული პარკის და ალგეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ერთობლივი ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით დასუფთავების აქცია გაიმართა დაშბაშის კანიონის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქციისათვის დამზადდა ბრენდირებული მაისურები და მონაწილეებს გადაეცათ საჩუქრად, ამასთან მოხდა აქციაში მონაწილეების უზრუნველყოფა ლანჩით. აქციაში მინაწილეობა მიიღეს ევროპის უნივერსტეტის პირველი და მეორე კურსის სტუდენტებმა, დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, წალკის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა და აქციაში მინაწილების მსურველმა მოქალაქეებმა.




25 მარტს-დაბა მანგლისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა „დედამიწის საათთან“ დაკავშირებულ აქციაში და ასევე დარგვა-გამწვანების აქციაში, რომელიც ჩატარდა დაბა მანგლისის ტერიტორიაზე მდებარე მოსახლეობის დასასვენებელ პარკში. აღნიშნულ აქციაში მონაწილეობდნენ დაბა მანგლისის საჯარო სკოლის მოსწავლეები, დაბა მანგლისის ადგილობრივი მოსახლეობა და ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აქტიურად მუშაობს, რათა მოხდეს გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება რეგიონში, რომელიც მიღწეული იქნება სხვადასხვა გარემოსდაცვითი ღონისძიებების ორგანიზებით და მოსახლეობის ჩართულობით ამ ღონისძიებებში.




დარგვის აქცია ჩატარდა სოფ. ახალსოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მონაწილეობა მიიღეს სოფ. ახალსოფლის საბაზო სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

ასევე სოფ. შაუმიანის ახალგაზრდა ფერმერთა ცენტრის (YFC) ბავშვებმა სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამწვანების აქცია მოაწყვეს. ახალგაზრდები ორი დღის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ, რათა სკოლის ეზოში მარადმწვანე ნაძვისა და ფიჭვის 30 ნერგი დაერგოთ. ბავშვებს სამუშაო პროცესში ალგეთის ეროვნული პარკის რეინჯერები და შაუმიანის სკოლის მასწავლებლები ეხმარებოდნენ.




ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ დაბა მანგლისის, სოფ. თონეთის და სოფ. ორბეთის საჯარო სკოლებში ჩატარდა ღონისძიებები მწვანე კალენდრის მიხედვით. კერძოდ: 2 თებერვალი-ჭარბტენიანი ტერიტორიების დღე; 21 მარტი-ტყის დაცვის დღე; 1 აპრილი-ფრინველთა დაცვის დღე და სხვ.




2017 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ეწყობოდა შეხვედრები და საუბრები საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ასევე აქტიურად თანამშრომლობს მეგობართა ასოციაციასთან და ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან.




2017 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ გაიმართა სამუშაო შეხვედრები ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში მდებარე სოფლების მოსახლეობასთან. მოსახლეობასთან შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა საზოგადოების ინფორმირებულობა ალგეთის ეროვნულ პარკში მიმდინარე სიახლეებთან დაკავშირებით. კონკრეტულად, მენეჯმენტის გეგმიდან გამომდინარე ინფორმაციის შეგროვება; დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება და საბაზისო ინფორმაციის თავმოყრა. მოსახლეობის ინტერესიდან გამომდინარე შეხვედრების ერთ-ერთ თემატიკას წარმოადგენდა საშეშე მერქნის გამოყოფა-გაცემასთან დაკავშირებული პრობლემები და მისი გადაჭრის გზების განხილვა, (ზონირებასთან დაკავშირებული საკითხები).





2017 წლის 10 ივლისს, სოფელ არხოტსა და შეხვეტილაში, გაიმართა შეხვედრა ალგეთის ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების - არხოტი, ჭინჭრიანი, ნაპილნარი, შეხვეტილა, კოდისწყარო, ნამტვრიანი, ჯვრისხევი - წარმომადგენლებთან. შეხვედრების მიზანს ეროვნული პარკის ფარგლებში ზონირების განსაზღვრა წარმოადგენდა. სოფლების წარმომადგენლებმა მსჯელობის შემდეგ რუკაზე მონიშნეს ის ტერიტორიები რომლების გამოიყენება საძოვრებად ან სათიბებად, საიდანაც ხდება არამერქნული რესურსების ან საშეშე მასალის შეგროვება, განთავსებულია სასმელი წყლის სათავე ნაგებობა; ასევე მოხდა იმ ტერიტორიების იდენტიფიცირება რომლებიც არ განიცდის არანაირ ზეგავლენას.





2017 წლის 25 ივლისს გაიმართა შეხვედრა მანგლისის წარმომადგენლებთნ. შეხვედრების მიზანს ეროვნული პარკის ფარგლებში ზონირების განსაზღვრა წარმოადგენდა. სოფლის წარმომადგენლებმა მსჯელობის შემდეგ რუკაზე მონიშნეს ის ტერიტორიები რომლების გამოიყენება საძოვრებად ან სათიბებად, საიდანაც ხდება არამერქნული რესურსების ან საშეშე მასალის შეგროვება; ასევე მოხდა იმ ტერიტორიების იდენტიფიცირება რომლებიც არ განიცდის არანაირ ზეგავლენას. დღის მეორე ნახევარში, ზონირების საკითხზე ადგილობრივ მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების შედეგები წარდგენილ და განხილულ იქნა რეგიონული მრჩეველთა საბჭო - ალგეთის წევრებთან და ასევე ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან.

2017 წლის თებერვლის თვეში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვები დაცული ტერიტორიების სააგენტოს მითითებით, სადაც მონაწილეობა მიიღო 100 რესპოდენტმა.




დიაგრამა: ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის განმავლობაში ჩატარებული ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებების წუსხა



ვიზიტორთა სტატისტიკა


ალგეთის ეროვნულ პარკს 2017 წლის განმავლობაში 28 020 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (16 076 ვიზიტორი) 74 %-ით არის გაზრდილი.




დიაგრამა 1. ალგეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა 2010-2017წწ

ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 97%-ს (27 170 ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 3 %-ს (850 ვიზიტორი).


2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით ქარველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 78 %-ით, ხოლო უცხოელების 46 %-ით.




დიაგრამა 2. ალგეთის ეროვნული პარკის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017 წწ.



დიაგრამა 3. ალგეთის ეროვნული პარკის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016წ.




დიაგრამა 3. ალგეთის ეროვნული პარკის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2017წ.



დიაგრამა 4. ალგეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა გენდერული მონაცემები 2017წ.

2017 წლის განმავლობაში ალგეთის ეროვნულ პარკს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა გერმანიიდან (111 ვიზიტორი), აშშ-დან (101 ვიზიტორი), უკრაინიდან (71 ვიზიტორი), შვედეთიდან (57 ვიზიტორი) და ისრაელიდან (51 ვიზიტორი).



დიაგრამა 5. ალგეთის ეროვნული პარკის საერთაშორისო ვიზიტორები 2017წ.

დონორების (KFW) მიერ დაფინანსებული ქმედებების განხორციელება. ინფრასტრუქტურული პროექტები

2017 წელს დაიწყო და დასრულდა ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის შენობის მშენებლობა.




2017 წლის პირველ კვარტალში დაიწყო ალგეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება. გაიმართა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან, რომელსაც ესწრებოდნენ ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მრჩეველთა რეგიონული საბჭოს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და მეგობართა ასოციაციის წარმომადგენლები.

აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაცია

<u>დაცვის განყოფილება</u>

1. პატრულირების გეგმის შედგენა

1.1 2017წ იანვრის თვეში დაცვის განყოფილების მიერ აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციისათვის განისაზღვრა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილები სამართალდარღვევების ტიპების მიხედვით და მოხდა მათი რუკაზე დატანა.

1.2 გასულ წელში დაცვის სამსახურის უფროსისა და უფროსი რეინჯერის მიერ ადმინისტრაციაში მოეწყო რეინჯერთა ტრეინინგი სამართალდარღვევათა ოქმებისა და სხვა კანონაღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ. გრძელდება გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

2 რევიზიების ჩატარების უზრუნველყოფა.

2.1 გასული 2017 წლის მარტი-აპრილის თვეში აჯამეთის აღკვეთილის სამივე უბნებზე ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები, რევიზიების მასალები გადაცემულია დაცული ტერიტორიების

გასული 2017 წლის ნოემბერ-დეკემბრის თვეში აღკვეთილის ყველა უბნებზე ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები. ღევიზიის მასალები გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის.

2.3 საგაზაფხულო და საშემოდგომო რევიზიების მასალები გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის.

3.1. აჯამეთის აღკვეთილის სამივე უბნებზე შერჩეული გვაქვს სათესლე იმერული ჯიშის მუხისა და ძელქვის ხეები საიდანაც მოვახდინეთ დაახლოებით 800 კგ. რკოს შეგროვება, ხო ლო ძელქვის თესლის შეგროვება ვერ მოხერხდა, რადგანაც მსხმოიარობა იყო ძალიან მცირე, თესლის შეგროვების დროს ნოემბრის თვეში იყო ძლიერი ქარები, რამაც გამოიწვია თესლის გაფანტვა. Gგასული 2017 წელში აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე ტყის აღდგენა, გაშენება და სანერგეს მოწყობის მიზნით მოხდა შემდეგი ფართობების შეღობვა.

1. აჯამეთის უბნის კვარტალი №25-26 _ 9 ჰა. (Mმუხა)
2. ობჩის უბნის კვარტალი №12 _ 0.6 ჰა. (მუხა)
3. აჯამეთის უბნის კვარტალი №11 _ 0.6 ჰა (ძელქვა)
4. აჯამეთის უბნის კვარტალი №12 _ 0.6 ჰა (ძელქვა)

2. აჯამეთის უბანზე №25,26.კვარტალში სპეციალური ტექნიკით მოიხნა და დამუშავდა დაახლოებით 5ჰა. მიწის ნაკვეთი, სადაც დაითესა იმერული და ქართული მუხის ჯიშის რკო დაახლოებით 800კგ, ზოგი მწკრივთაშორის ზოგი კი მობნევით. მიუხედავათ გასული 2017 წლის ზაფხულზე მაღალი ტემპერატურისა და ძლიერი გვალვების გამო აღნიშნულ ფართობზე მუხის ნერგის აღმოცენების პროცესი ნორმალურია. ასევე ობჩის უბნის №1 სამცველოს №1კვარტალში დაახლოებით 0.7ჰა-ზე დავრგეთ სპეციალურ კონტეინერებში გამოყვანილი იმერული და ქართული მუხის ჯიშის 1000ძირი ნერგი. ასევე აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის ეზოში შევღობეთ 0.3ჰა. სანიმუშო სანერგე ფართობი სადაც დავრგეთ 200 ძირი იმერული მუხის ჯიშის ნერგი და გახარების პროცესი კარგია.





3.ხანძრების მართვა

3. რეგულარულად ვახდენთ ადმინისტრაციაზე რიცხული 2 ერთეული სახანძრო ინვენტარის ვარგისიანობის შემოწმებას და არის გამართულ მდგომარეობაში. ასევე 2017წ ადმინისტრაციულ შენობაში მოხდა სახანძრო სტენდის დამონტაჟება მთლიანი აღჭურვილობით.

4.2 გასულ წელში აჯამეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე ხანძრების გაჩენის ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.


4.3. ყველა რეინჯერს დაცვის სამსახურის უფროსისა და უბნის უფროსი რეინჯერის მიერ ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟები ხანძრებთან დაკავშირებით.


4.4 გასული წლის განმავლობაში აღკვეთილის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან სისტემატიურად ვატარებდით შეხვედრებს სახანძრო ღონისძიებებთან დაკავშირებით.

4.5 გასულ პერიოდში აღკვეთილის ტერიტორიაზე ხანძრების გაჩენის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

- მომზადებულია 2016 წლის და 2017 წ „ბუნების მატიანე"-ები.
- შევსებულია 2016 წლის და 2017 წლის სტატისტიკური ფორმები.
- მთელი წლის განმავლობაში მიმდინარებს ფლორისა და ფაუნის აღწერა და შემაჯამებელი მონაცემების სააგენტოში გადაგზავნა. პირველ და მეორე კვარტალში აჯამეთის აღკვეთილში აღირიცხა შემდეგი რაოდენობის ნადირ ფრინველი.





მიმდინარე წლის მარტის თვეში აჯამეთის აღკვეთილის 6 სარეინჯეროს ტერიტორიაზე მოიხნა და დაითესა იმერული და ქართული მუხის ჯიშის რკო დაახლოებით 5 ჰა-ზე. მიმდინარეობდა დაკვირვება იმერული მუხის განახლებაზე.

შედგენილია 2017 წლის კვლევა მონიტორინგის საქმიანობის ანგარიში და წარდგენილია აღკვეთილის ადმინისტრაციაში.

მუდმივად წარმოებს მონიტორინგი მელაზე, მგელზე და კურდღელზე, წლიური მონაცემები იგზავნება სააგენტოში.

მუდმივად წარმოებს წიფლის ჰაბიტატის მონიტორინგი, ინფორმაცია აისახება „ბუნების მატიანეში".

მუდმივად მიმდინარეობს ნადირის და ადგილობრივი მოსახლეობის კონფლიქტი. დაფიქსირდა 2 მიერ პირუტყვის დაგლეჯვაძე.

მუდმივად წარმოებს სტიქიური მოვლენების აღრიცხვა.

ჩატარებულია ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები. შედეგად იმერული მუხის მუხის დიდი ხარაბუზას უარყოფითი ზემოქმედების და გადაბერებული კორომის გასაახალგაზრდავებლად შეთესილია მუხის ნერგები.

აჯამეთის აღკვეთილში იმერული მუხისა და ძელქვის პოპულაციების შესანარჩუნებლად 2017 წ-ში მოწყობილია სანერგეები 5ჰა. ოდენობით ეწრის უბანზე და 0.70ჰა ობჩის უბანზე #1კვარტალში.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წელს შეხვედრა შედგა ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტების 20 საჯარო სკოლასთან სადაც ჩატარდა ლექცია თემაზე: ,,საქართველოს სოკოები“ სადაც ლექციას დაესწრო 785 მოწავლე და 235 პედაგოგი.

2017 წელს ადმინისტრაცია თანამშრომლობდა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და რეგულარულად მიმდინარეობდა ინფორმაციის გაცვლა.





2017 წელს ადმინისტრაციას აქტიურად თანამშრომლობდა საზოგადოებასა და მოსულ სტუმრებთან რომლებიც დაინტერესებული იყვნენ დაცული ტერიტორიების საკითხებით.

იანვრის თვეში ჩატარდა აღკვეთილის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ლექცია თემაზე: საქართველოს სოკოები“ . სადაც დაესწრო 15 თანამშრომელი.

2017 წელს შეხვედრა ქონდათ ბაღდათისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის 12 სოფლის მოსახლეობასთან.

2017 წლის თებერვალში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა 100 რესპოდენტზე და მასალები გადაიგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.



დიაგრამა: აჯამეთის აღკვეთილის ადმინისტრაციის მიერ 2017 წლის განმავლობაში ჩატარებული ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებების ნუსხა

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილება შედგება 12 თანამშრომლისგან: 8-რეინჯერი, 2-უფროსი რეინჯერი, 1-ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, 1-დაცვის განყოფილების უფროსი.

დაცვის განყოფილებას ემსახურება 3 ავტომანქანა: დეფენდერი (GA-039-PA), ვაზ-2121 (GA-052-PA) და ნისან-პიკაპი (GA-038-PA).

1 რეინჯერი მიმაგრებულია ბაბანეურის ნაკრძალზე და პატრულირებას ახორციელებს ყოველდღიურად.

4 რეინჯერი მიმაგრებულია ილტოს აღკვეთილზე, სადაც სადღეღამისო მორიგეობა ხორციელდება. 2-2 რეინჯერი ერთი კვირით.

3 რეინჯერი მიმაგრებულია ბაწარას ნაკრძალზე, სადაც აგრეთვე სადღეღამისო მორიგეობაა დაწესებული, ღამით 1 რეინჯერი დღისით 2 რეინჯერი.

2017 წლის 12-თვის განმავლობაში ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების დაცვის განყოფილების თანამშრომლები საქმიანობას ახორციელებდნენ წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით. დაცულ ტერიტორიებზე სისტემატიურად მიმდინარეობს არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, სისტემატიურად იწმინდებოდა რეინჯერთა სადგურის ეზოები, საპატრულო და საგანმანათლებლო ბილიკები, აგრეთვე ხორციელდებოდა წყალდიდობებისაგან დაზიანებული ხიდების აღდგენა.


12-თვის განმავლობაში რეინჯერების მიერ ჩატარებული იქნა 1441 საპატრულო გასვლა. პატრულირებისას ფეხით გავლილია დაახლოებით 12230 კმ. ავტომანქანებით გავლილია 64226 კმ. რისთვისაც გაიხარჯა 3870 ლიტრი ბენზინი და 3262 ლიტრი დიზელი.

დამტკიცებული მოულოდნელი რეიდების გრაფიკით საპატრულო ჯგუფის მიერ ჩატარდა 171 მოულოდნელი რეიდი. რეიდებს ატარებდა დაცვის განყოფილების უფროსი, უფროს რეინჯერებთან და რეინჯერებთან ერთად. რეიდების შედეგად გამოვლენილია 2 (ორი) სამართალდარღვევის ფაქტი, ხოლო ფოტომახის მიერ დაფიქსირდა 2 (ორი) სამართალდამრღვევი, რაზეც შესაბამისად შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები N 000118, N 000119, N 000120, N 000149. და გადაგზავნილი იქნა ახმეტის მაგისტრატ სასამართლოში.

რეინჯერებზე მიმაგრებული 8 „ვინჩესტერ“-ის და 2 „იჟ“-ის სისტემის გლუვლულიანი სამსახურებრივი საშტატო ცეცხლსასროლი იარაღი, დაცვის განყოფილების უფროსზე მიმაგრებული „მაკაროვ“-ის და ადმინისტრაციის დირექტორზე მიმაგრებული „ტაურუს 909“-ის სისტემის პისტოლეტები არის მუშა და მოვლილ მდგომარეობაში.

ადმინისტრაციაზე რიცხული ავტომანქანები ფორდ-რეინჯერი (GA-037-PA) სარემონტო მდგომარეობაშია და 217 წლის 14 ნოემბრიდან იმყოფება ქ.თბილისში. ნისან პიკაპი (GA-038-PA) მოვლილ და მუშა მდგომარეობაშია. ავტომანქანები ვაზ-2121 (GA-052-PA) და დეფენდერი (GA-039-PA) მოძველებულია და სამუშაო პირობებიდან გამომდინარე ხშირად ესაჭიროება რემონტი. ავტომანქანები „უაზ-31519“ (FAL-546), „გაზ-66“ (RAM-185) და მოტოციკლი „იჟ“-ი სიძველის გამო 2013 წლიდან გამოსულია მწყობრიდან და ჩამოსაწერია.





ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

დაცულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს ხანძარსაშიში უბნების დათვალიერება და ტარდება პრევენციული ღონისძიებები.

მარტის, აგვისტოს და სექტემბრის თვეში მოხდა ადმინისტრაციაში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის და შესაბამისი ინვენტარის შემოწმება და მოყვანილია მზადყოფნაში.

საკონტროლო რევიზიების შედეგები

საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები:

ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციის დირექტორის 27.03.2017 წლის N 7 ბრძანების თანახმად 2017 წლის 28 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზიები, ხოლო 01.05.2017 წლის N 11 ბრძანების თანახმად 2 მაისიდან 5 მაისამდე ჩატარდა საკონტროლო რევიზია ბაბანეურის ნაკრძალში და 28.05.2017 წლის N 12 ბრძანების თანახმად 8 მაისიდან 18 მაისამდე საკონტროლო რევიზიები ჩატარდა ბაწარას ნაკრძალში და ილტოს აღკვეთილში.

საშემოდგომო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები:

ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ადმინისტრაციის დირექტორის 12.10.2017 წლის N 26 ბრძანების თანახმად ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა გეგმიური საშემოდგომო რევიზიები, ხოლო 20.11.2017 წლის N 30 ბრძანების თანახმად ჩატარდა საკონტროლო რევიზიები.

რევიზიების შედეგად ხე-ტყის უკანონოდ სარგებლობის ბრაკონიერობის და სხვა დაცვის რეჟიმის დარღვევა არ გამოვლენილა.

სამივე დაცულ ტერიტორიაზე არის დიდი რაოდენობით ქარქცეულები, ქარტეხილები, წყალდიდობის შედეგად წაქცეული ხეები და ჩახერგილობები.

დანაგვიანების ფაქტები და სტატისტიკა

პატრულირების და მოულოდნელი რეიდების დროს სისტემატიურად ხდება დანაგვიანების ფაქტების მონიტორინგი. ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე დანაგვიანების ფაქტები თითქმის არ აღინიშნება.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მომზადებულია 2016 წლის „ბუნების მატიანე“.


შევსებულია 2016 წლის სტატისტიკური ფორმები.

რეინჯერების მიერ ყოველდღიურად ხდება მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება, ძირითადად გროვდება ტემპერატურული მონაცემები და არასისტემური მოვლენები- ქარის, თოვლის, წვიმის, სეტყვის და ა.შ. საანგარიშო პერიდოში არასისტემურ მოვლენებს ადგილი არ ქონია.


ფოტოხაფანგები დაყენებული იქნა ილტოს უბანზე, 3 ბაწარის უბანზე და 2 ბაბანეურის უბანზე. 8 ფოტოხაფანგი გამოუსადეგარია. მიმდინარეობს ფოტოხაფანგების შემოწმება.

მუდმივად წარმოებს ფოტო არქივის შევსება. ფოტოხაფანგით იქნა გადაღებული შემდეგი სახეობის ცხოველები: დათვი და შველი.

მიმდინარეობს მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი, მათი გავრცელების არეალების დადგენა და აღრიცხვა, კვალის იდენტიფიკაცია. ამ მონაცემების შეგროვება ხდება რეინჯერების მიერ პატრულირების მომენტში, სადაც აღრიცხვას აწარმოებენ როგორც კვალის, ასევე ცოცხალი ინდივიდების შეხვედრიანობის მიხედვით. მსხვილი ძუძუმწოვრებიდან აღსავიშნავია მგელი, დათვი, შველი, გარეული ღორი.



წარმოებს ძირითადი სახეობების სტატისტიკა თვეების და წლების მიხედვით



ამავე მეთოდით მიმდინარეობს „წითელი ნუსხა“ს ცხოველების: მურა დათვი მონიტორინგი.

ყოველწლიურად წარმოებს ფიტოპათოლოგიური კვლევები, შედეგად მზადდება ანგარიში და კეთდება ანალიზი: 2017 წელს ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარდა ფიტოპათოლოგიური გამოკვლევები. ბაბანეურის ნაკრძალის და ილტოს აღკვეთილის ტერიტორიებზე რაიმე სახის დაზიანება არ გამოვლენილა. ბაწარას ნაკრძალში N 8, 10, 15 კვარტლებში რამოდენიმე წელია აღინიშნება წაბლის მასიური დაზიანება და ხმობა, რაც დღემდე გრძელდება.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წლის საანგარიშო პერიოდში ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავდა შემდეგ ქმედებებს:


მომზადდა 3 პრეზენტაცია. „ბიომრავალფეროვნება და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე“, „მაღალი კონსერვაციული სტატუსის მქონე სახეობები ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე“ და „ბრაკონიერობით გარემოზე მიყენებული ზიანი“.

ჩატარდა ეკო-გაკვეთილები ახმეტის მუნიციპალიტეტის 10 და თელავის მუნიციპალიტეტის 1 საჯარო სკოლაში, თემით „ბიომრავალფეროვნება და საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე“ და „მაღალი კონსერვაციული სტატუსის მქონე სახეობები ბაწარა-ბაბანეურის დაცულ ტერიტორიებზე“.

ბაწარას ნაკრძალში მოეწყო 9 ეკო-ტური ახმეტის და თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის.







ჩატარდა 6 დასუფთავების აქცია ბაწარას ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქ. ახმეტაში, სოფ. ბაბანეურის და სოფ. არგოხის მიმდებარე ტერიტორიებზე.





ახმეტის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან ერთად მოეწყო 4 გამწვანების აქცია, დაირგა 100-ზე მეტი ხის ნერგი.




დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და ცნობიერების ამაღლების მიზნით 95-ჯერ ჩატარდა შეხვედრა დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან, შეხვედრებს დაესწრო დაახლოვებით 694-ადამიანი.

თებერვალში ჩატარდა სოციოლოგიური გამოკითხვა და 100-მა ადამიანმა შეავსო საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგის და შეფასების კითხვარი, სადაც გამოიკვეთა მათი პრობლემები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

2017 წლის განმავლობაში სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაგეგმილი ქმედებების ფარგლებში დაცული ტერიტორიების განვითარების, ბიომრავალფეროვნების დაცვა-მონიტორინგის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეკოსაგანმანათლებლო და ეკოტურისტული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა

2017 წლის განმავლობაში დაცვის განყოფილების თანამშრომლები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ქმედებებს ახორციელებდნენ, სისტემატიურად მიმდინარეობდა ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის (საგუშაგო, თავშესაფარი და სხვა) დაცვა-მოვლაზე კონტროლი, თუმცა რიგ უბნებზე (აბასთუმანი; ზანავი; მარელისი;) არსებულ თავშესაფრებს, ხერგილებს და საპიკნიკე ადგილებს ესაჭიროებათ განახლება-შეკეთება.





დაცვა / პატრულირების სისტემის განვითარების ხელშეწყობა

2017 წელს უფროსი რეინჯერების მიერ წარმოდგენილია განახლებული საპატრულო მარშუტები (საფეხმავლო, საავტომობილო), რომლიც დამტკიცდა ადმინისტრაციის დირექტორის მიერ.

მარტის თვიდან დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ იდენტიფიცირებულ რისკ ადგილებზე უკანონო ჭრების გამოვლენა-აღკვეთის მიზნით ღამის საათებში წინასწარ შერჩეული ჯგუფების მიერ მიმდინარეობს პერიოდული პატრულირება და მორიგეობა, ასევე დაცვის სტრატეგიიდან გამომდინარე დამტკიცდა კორექტირებული საპატრულო მარშუტები. აპრილი-მაისის თვიდან ნადირობის და თევზაობის აღკვეთა-გამოვლენის მიზნით სხვადასხვა უბნებიდან გამოცდილი რეინჯერების მიერ მიმდინარეობს შერჩევის წესით უბნებსა და სარეინჯეროებზე პერიოდული დაგეგმილი და მოულოდნელი რეიდების ჩატარება. გარდა აღნიშნულისა წინა პერიოდში არსებული გამოცდილებიდან გამომდინარე წინუბნის მცველთა თავშესაფარსა და ბანიხევის სარეინჯეროს ხერგილზე დაწესდა სადღე-ღამისო მორიგეობები. გამოვლენილი უკანონო ჭრების რისკ ადგილები დატანილია რუკაზე და შეტანილია ელექტრონულ ბაზაში.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის 2013 წლის 25 იანვრის №3 §1 ბრძანების თანახმად, დამტკიცებულია დანართები, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციის დირექტორი ამტკიცებს მომდევნო თვის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ წარმოდგენილ საპატრულო გეგმა-გრაფიკებს.12 თვის პერიოდში უფროსი რეინჯერების და რეინჯერების მიერ განხორციელებულია 14 000-ზე მეტი პატრულირება-რეიდი, ხოლო ადმინისტრაციის მიერ - უბნის უფროსი რეინჯერების და რეინჯერების ჩართულობით 160 -ზე მეტი სადღეღამისო შემოვლა-შემოწმება სხვადასხავა სამართალდარღვევების პრევენციის და რეინჯერების დისციპლინალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით. შესაბამისად გამოვლენილ ხარვეზებზე რეინჯერებს დაეკისრათ დისციპლინალური პასუხისმგებლობა (შენიშვნა; გაფეთხილება; საყვედური)



ტრეინინგი რეინჯერებისათვის

უფროს რეინჯერებს და რეინჯერებს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლების და მშვიდობის კორპუსის მოხალისე ჟანეტ ჰოფმანის დახმარებით ჩაუტარდა ტრენინგები შიდა და გარე კომუნიკაციის შესახებ. ტრენინგი მოიცავდა კონკრეტულ იმიტირებულ სამართალდარღვევებს (უკანონო ჭრა; დანაგვიანება; ნადირობა და ა.შ.) . ტრენინგი მოიცავდა რეინჯერების ქცევას და კომუნიკაციას, როგორც სამართალდამრღვევთან ასევე რესურსით მოსარგებლეებთან და მათზე სწორი, ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელობა სამართლიანი კანონაღსრულების შედეგის მისაღწევად. გარდა აღნიშნულისა ასევე რეინჯერებს და უფროს რეინჯერებს დაურიგდათ მაგალითები კონკრეტულ სამართალდარღვევების გათვალისწინებით, რის მიხედვიდაც შეფასდა მათ მიერ ა.ს.კ. შესაბამისი მუხლების გამოყენება სამართალდარღვევის ოქმების შევსების დროს.

რაც შეეხება მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების სწორად შევსებასთან დაკავშირებით, აღნიშნულზე ტრენინგები ჩაუტარდათ ინდივიდუალურად ახალ მიღებულ რეინჯერებს.

ტყეკაფის გამოყოფამდე წინასწარი დათვალიერების აქტების შედგენა და გამოსაყოფი ტერიტორიების იდენტიფიცირება.

უბნის უფროსი რეინჯერების მიერ მოხდა ტერიტორიების იდენტიფიცირება. წინასწარი მონაცემებით ირკვევა, რომ აბასთუმნის, ქვაბისხევის, ს. ზანავის, ს. კორტანეთის დ. ახალდაბის, ლიკანის და ვაშლოვანის დასახლების სათბობი მერქნული რესურსით სრულყოფილი დაკმაყოფილება ვერ მოხერხდება, გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნული პარკის ჩამოყალიბებიდან ერთიდაიგივე ადგილზე მიმდინარეობს ტყეკაფების გამოყოფა, რამაც სათბობი მერქნული რესურსის მარაგების საკმაოდ შემცირება გამოიწვია, ხოლო შედარებით შორ ტერიტორიებზე, სადაც მარაგების საკმარისი რაოდენობაა, არ არის სატყეო გზები, რაც თავის მხრივ მუდმივ კონფლიქტური მდგომარეობაა მოსახლეობასა და რეინჯერებს შორის.

ტყეკაფების გამოყოფა ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

მ/წლის ივლისი-აგვისტოს თვეში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის უბნებზე - ტრადიციულ გამოყენების ზონებში გამოიყო I და II ხარისხის მერქნული რესურსი, თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გარდა ნებვის აღკვეთილისა არსებული სატყეო გზების შეკეთება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ არ მომხდარა, რამაც თავის მხრივ გაართულა ხე-ტყის ათვისება.





2017 წელს ადგილობრივი მოსახლეობის მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მიზნით სოციალური ჭრის მიზნით გამოყოფილია 808,77მ^3 I ხარისხის და 9167,061 მ^3 II ხარისხის მერქნული რესურსი.


2017 წელს გამოყოფილი ხე-ტყე უბნების მიხედვით.

უბანი	გამოყოფილი ხე-ტყე მ^3
აბასთუმანი	1135,471
აწყური	601,294
ბორჯომი	2502,65
ზანავი	1709,15
ნეძვი	I ხარისხი 808,77; II ხარისხის 2445,16
ქვიშხეთი	588,66
მარელისი	37,846
ნუნისი	146,83
სულ:	II ხარისხის 9167,061 I ხარისხის 808,77

აბასთუმანი	2015 წლის	2016 წლის	2017 წლის	სულ


	ტყეკაფიდან	ტყეკაფიდან	ტყეკაფიდან	
	6,59	143,90	985,40	1135,89
აწყური	0	100,18	557,24	657,42
ბორჯომი	4,0	400,86	1995,50	2400,36
ზანავი	0	266,37	972,35	1238,72
ნეძვი	48,80 15,85	497,59 676,12	1204,52 43,50	1750,91 735,47
I ხარისხი	0	121,97	474,94	596,91
ქვიშხეთი	0	0	21,00	21,0
მარელისი	0	4,0	115,13	119,13
ნუნისი	0	5,15	0	5,15
საქონდრია				

მერქნული რესურსის ათვისების მდგომარეობა.



2017 წლის 12 თვის მდგომარეობით ათვისებული ხე-ტყე.

სულ ჯამი:	**7925,49 მ³** II ხარისხის **735,47 მ³** I ხარისხის



აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ივნისის თვეში მოსულმა ნალექმა, რასაც მოჰყვა ქარი და ღვარცოფი რიგ უბნებზე მოთხარა ხეები, დააზიანა სატყეო გზები და ბილიკები.

მოთხრილი ხეები შესაბამისი წესით სატყეო გზების გაწმენდა-შეკეთების შემთხვევაში გაიცემა სოციალური მიზნით ადგილობრივ მოსახლეობაზე.

ღვარცოფის შედეგად დაბასა და სოფლებში ჩამორიყული მერქნულ რესურსის გაცემა მოხდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე.




ფოტოხაფანგებით მონიტორინგი:


2017 წლის მიმდინარე პერიოდში უფროსი რეინჯერების, რეინჯერების და ადმინისტრაციის მიერ დამონტაჟდა ფოტოხაფანგები რისკ ადგილების გათვალისწინებით, რამაც გარკვეული შედეგი გამოიღო, კერძოდ ფოტოხაფანგების გამოყენებით არამარტო დაფიქსირდა (გამოვლინდა)

სამართალდარღვევები, არამედ GSM ფოტოხაფანგების დახმარებით მოხდა ადგილზე სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა.


ფოტოხაფანგების დახმარებით მ.შ. GSM გამოვლინდა 5 ნადირობის წესების, 2 უკანონო თევზჭერის მ.შ 1 ს.ს. საქმეა, 3 უკანონო ჭრის, 13 იარაღით გადაადგილების და 4 რეჟიმის დარღვევის ფაქტი.



ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება მუდმივი კონტროლი ტერიტორიაზე დამონტაჟებულ ფოტოხაფანგებზე. მოპოვებული ფოტო-ვიდეო მასალა ინხება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში და ხდება მისი დაარქივება.



2017 წლის 12 თვის მდგომარეობით ფოტოხაფანგები გადანაწილებულია: აბასთუმნის უბანი 2; აწყურის უბანი -6; ნაკრძალი -8; ზანავის უბანი -3; ქვიშხეთის უბანი-1; ნეძვის აღკვეთილი -3; მარელისის უბანი-3; ნუნისის უბანი - 2; საქონდრიის უბანი - 2;



გარდა აღნიშნულისა ადმინისტრაციის მიერ დამონტაჟებულია - ნაკრძალში 6 მ.შ. 2 GSM სისტემის. მარელისი 2; ნუნისი 4 მ.შ. 2 GSM; საქონდრია 2, ხოლო მწყობრიდან გამოსულია 3 GSM სისტემის და 25 ცალი სხვადასხვა მოდელის ფოტოხაფანგი ინფრაწითელი მაშუქით.

გეგმიური საგაზაფხულო, საშემოდგომო და საკონტროლო რევიზიები:

2017წლის აპრილის - და ოქტომბრის ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების თანახმად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის უბნებსა და სარეინჯეროებში ჩატარდა გეგმიური რევიზიები, სადაც გამოვლინდა:

გეგმიური საგაზაფხულო რევიზიების დროს:

აბასთუმნის უბანი- უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 88,00მ^3 წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის მერქანი, საიდანაც გამოვლინებულია სამართალდამრღვევები 55,15მ^3-ზე. დამრღვევებზე გამოუვლინებელ ჭრებზე მოცულობით 32,85მ^3, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 3266-56ლარმა.

გარდა აღნიშნულისა საკონტროლო რევიზიით აბათუმნის უბანზე გამოვლინდა რეინჯერის მიერ აღრიცხული უკანონოდ მოჭრილი და დატაცებული 36,10მ^3 მერქანი, რაზედაც შემდგომ გამოვლინებულია სამართალდამრღვევები და შედგენილია შესაბამისი ოქმები.

ასევე აღნიშნულ უბანზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ გამოვლენილი იქნა, უკანონოდ მოჭრილი 92 ძირი წიწვოვანი სახეობის მერქანი.

აღნიშნული ფაქტთან დაკავშირებით სამსახურეობრივი თანამდებობები პირადი განცხადების საფუძველზე დატოვეს უფროსმა რეინჯერმა და რეინჯერმა.

აწყურის უბანი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 2,22მ^{3}წიწვოვანი სახეობის მერქანი, რომლის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 219-78ლარმა.

ნაკრძალის და ბორჯომის უბანი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 34,893მ^3 წიწვოვანი და ფოთლოვანი მერქანი, რომლის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 3804-32 ლარმა.

ზანავის უბანი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 41,10მ^3 წიწვოვანი და ფოთლოვანი მერქანი, საიდანაც გამოვლინებულია სამარტალდამრღვევები 21,34მ^3-ზე.

დამრღვევებზე გამოუვლინებელ ჭრებზე მოცულობით 19,76მ^3 ,გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2684-22 ლარმა.

ნეძვის აღკვეთილი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის 33,81მ^3 მერქანი, რომლის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 5697-63 ლარმა.

ქვიშხეთის; მარელისის; ნუნისის; საქონდრია ლაშურის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ტერიტორიებზე უკანონომ ჭრები არ გამოვლენილა.

სულ 2017 წელს გეგმიური საგაზაფხულო რევიზიებით გამოვლინდა დამრღვევებზე გამოუვლინებელი 123,53მ^3 უკანონო ჭრა.

გეგმიური საშემოდგომო რევიზიების დროს:

აბასთუმნის უბანი- უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 4,34მ^3 წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის მერქანი, რითაც გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 407-66ლარმა.

გარდა აღნიშნულისა აღნიშნულ უბანზე გეგმიური საშემოდგომო რევიზიით გამოვლინდა 0,99მ^3 სამართალდამრღვევი, რაზედაც შედგა შესაბამისი ოქმი.

აწყურის უბანი - გეგმიური საშემოდგომო რევიზიით უკანონო ჭრები არ გამოვლენილა.

ნაკრძალის და ბორჯომის უბანი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 11,25მ^3 წიწვოვანი და ფოთლოვანი მერქანი, რომლის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 1383-03 ლარმა.

გარდა აღნიშნულისა აღნიშნულ უბანზე გეგმიური საშემოდგომო რევიზიით გამოვლინდა 1,08მ^3 სამართალდამრღვევი, რაზედაც შედგა შესაბამისი ოქმი.

ზანავის უბანი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 13,55მ^3 წიწვოვანი და ფოთლოვანი მერქანი, რითაც, გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2294-05 ლარმა.

გარდა აღნიშნულისა აღნიშნულ უბანზე გეგმიური საშემოდგომო რევიზიით გამოვლინდა 43,67მ^3 სამართალდამრღვევი, რაზედაც შედგა შესაბამისი ოქმები.

ნეძვის აღკვეთილი - უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული წიწვოვანი და ფოთლოვანი სახეობის 15,29მ^3 მერქანი, რომლის შედეგად გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 2427-04 ლარმა.

გარდა აღნიშნულისა აღნიშნულ უბანზე გეგმიური საშემოდგომო რევიზიით გამოვლინდა 89,93მ^3 სამართალდამრღვევი, რაზედაც შედგა შესაბამისი ოქმები.

ქვიშხეთის უბანი- უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 1,42მ^3 ფოთლოვანი მერქანი, რითაც გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 296-78ლარმა.

ნუნისის -უკანონოდ მოჭრილი და მიტაცებული 1,42მ^3 ფოთლოვანი მერქანი, რითაც გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 296-78ლარმა ;

მარელისის; საქონდრია ლაშურის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის ტერიტორიებზე გეგმიურის საშემოდგომო რევიზიების დროს უკანონო ჭრები არ გამოვლენილა.

2017წელს გეგმიური საშემოდგომო რევიზიებით გამოვლინდა 47,27მ^3 უკანონო ჭრა, რითაც გარემოზე მიყენებულმა ზიანის საერთო ოდენობამ შეადგინა 7105-34 ლარმა.

გარდა აღნიშნულისა რევიზიის პერიოდში შედგენილია ოქმები 135,67მ^3 უკანონო ჭრაზე. დამრღვევებზე გამოუვლინებელ ჭრებზე შესაბამისი დოკუმენტაცია გადაგზავნილია შსს სამმართველოებზე.


სულ 2017 წელს გეგმიური რევიზიებით (საგაზაფხულო საშემოდგომო) გამოვლინდა დამრღვევებზე გამოუვლინებელი 170,80 მ^3 უკანონო ჭრა, გარდა აღნიშნულისა რევიზიების პერიოდში გამოვლენილია სამართალდამრღვევები და შედგენილია შესაბამისი ოქმები 212,16მ^3. გამოვლინების პროცენტი შეადგენს 55%.






დამრღვევებზე გამოუვლინებელ ჭრებზე შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნა სამართალდამცავ ორგანოებს.

2017წ გეგმიური რევიზიებით უკანონო ჭრები



2016-2017წ. გეგმიური რევიზიებით უკანონო ჭრების სტატისტიკა



სამართალდარღვევები (ადმინისტრაციული / სისხლი) - დინამიკა.

2017 წელს შედგენილია 147 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, მ.შ. 106 ხე-ტყის უკანონო ჭრაზე, მოცულობით 435,61მ^3; 8 ოქმი ნადირობის წესების დარღვევაზე, 2 ოქმი უკანონო თევზჭერაზე მ.შ. 1 ს.ს საქმე, 18 ოქმი იარაღით უკანონო გადაადგილებაზე, 3 ოქმი უკანონო ძოვებაზე, 9 ოქმი რეჟიმის სხვადასხვა დარღვევებზე და 1 ოქმი მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნაზე.

შედგენილი ოქმებიდან ამ დროისათვის განხილულია 119 ოქმი მ.შ. 90 ოქმი ხე-ტყის ჭრაზე, საიდანაც 4 ოქმი შეწყდა (1 ოქმი უზუსტობის გამო ჩვენი მოთხოვნით შეწყდა, 1 ოქმი არასრულწლოვანის მიმართ ჩადენის გამო, ხოლო დანარჩენი 2 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არ არსებობის გამო), 7 ოქმზე დაეკისრათ მხოლოდ ზიანი, 8 ოქმი ნადირობის წესების დარღვევაზე, საიდანაც 3 ოქმი შეწყვიტა ახალციხის რაიონულმა სასამართლომ, 8 ოქმი იარაღით გადაადგილებაზე, სადაც შენიშვნა გამოეცხადათ დამრღვევებს 7 შემთხვევაზე, 8 რეჟიმის დარღვევაზე, სადაც 3 ფაქტზე დაეკისრა შენიშვნა, დანარჩენზე დამრღვევები დაჯარიმდნენ, 3 ოქმი ძოვებაზე.


სასამართლოს მიერ შეწყვეტილ და მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნების შემთხვევაში რიგი დადგენილებები გასაჩივრდა ზემდგომ ინსტაციის სასამართლოში, მაგრამ ზემდგომმა სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის გამოტანილი დადგენილებები.

გამოვლენილ ტყის უკანონო მჭრელების მიერ გარემოზე მიყენებულმა ზიანის საერთო თანხამ შეადგინა 60133-82 ლარმა, საიდანაც ამ დროისათვის დაკისრებულია 49684-22 ლარი.


სასამართლოს მიერ მისჯილმა ჯარიმების თანხამ შეადგინა - უკანონო ჭრაზე 33040-00 ლარი, ნადირობის წესების დარღვევაზე 2500-00 ლარი, მიწის ნაყოფიერი ფენის მოხსნაზე 1500-00ლარი, რეჟიმის დარღვევაზე 270 ლარი, უკანონო ძოვებაზე 130-00ლარი. სულ დაკისრებულმა ჯარიმების თანხამ შეადგინა 37440-00 ლარმა.

ასევე 2 უკანონო თევზჭერის ფაქტიდან 1 ფაქტი ელექტრო შოკური აპარატით თევზაობაზე გადაგზავნილია ს/ჯ საოლქო პროკურატურაში, რაზედაც აღძრულია ს.ს. საქმე, ხოლო მეორე ფაქტზე სამართალდამრღვევს მიეცა შენიშვანა.

2015-2017 წლის 12 თვის სამართალდარღვევების სტატისტიკა



2016-2017 წლებში გამოვლენული უკანონო ჭრების სტატისტიკა



აღსანიშნავია, რომ ადიგენის, ახალციხის და ბორჯომის შსს სამმართველოებზე გადაგზავნილია 30 ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტი საერთო მოცულობით 889,11მ^3 სამართალდამრღვევების დადგენა-გამოვლენის მიზნით, საიდანაც 7 ფაქტი (4 ფაქტი ნეძვის აღკვეთილში; 3 ფაქტი აბასთუმნის უბანში) ს.ს. საქმეა, - ხე-ტყის დიდი ოდენობით უკანონო ჭრები აღირიცხა ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე და აბსთუმნის უბანზე სატყეო სააგენტოს ტერიტორიის საზღვართან რაზედაც შსს-ზე გადაგზავნილია ასევე შესაბამისი ფოტო და ვიდეო მასალა. უნდა ითქვას, რომ წელს პირველად დაფიქსირდა მსგავსი შემთხვევები, როდესაც სატყეოსა და დაცულ ტერიტორიის საზღვრებთან მოხდა დიდი ოდენობით უკანონო ჭრა.





აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნაკრძალის ტერიტორიაზე გამოვლინდა უკანონო ნადირობის ფაქტი, სადაც მოკლული იქნა შველი, ხოლო დამრღვევები ვერ იქნენ დაკავებული. ნადირობის ფაქტზე, რომელზედაც გარემოზე მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 5000-00 ლარმა, აღძრულია სს საქმე და მიმდინარეობს მოკვლევა ბორჯომის შსს სამმართველოში, ასევე გადაგზავნილის ახალციხის შსს-ზე დამრღვევების გამოვლენა დადგენის მიზნით იარაღით უკანონო გადაადგილების ფაქტზე, რომელიც გამოვლინდა ფოტოხაფანგის მეშვეობით.




სხვადასხვა უბნების მოულოდნელი შემოწმების გეგმის შედგენა.

ადმინისტრაციის დირექტორის 2016 წლის ბრძანების თანახმად, შერჩევის წესით მოწმდება მოულოდნელად უბნები, უფროსი რეინჯერების თანდასწრებით, სხვადასხვა სამართალდარღვევების პრევენციის, ასევე რეინჯერების დისციპლინალური პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით.

12 თვის განმავლობაში მოულოდნელი სადღეღამისო შემოვლა-შემოწმებების შედეგად ზანავის უბნის და ნეძვის აღკვეთილის ტერიტორიაზე გამოვლენილი იქნა ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები, რაზედაც დამრღვევებზე შედგენილია შესაბამისი ოქმები, ხოლო დამრღვევებზე გამოუვლინებელ ჭრებზე - დოკუმენტაცია გადაგზავნილია შესაბამის შსს სამმართველოში.

ხანძრების მართვა;

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების თანახმად ხანძარსაშის პერიოდში მიმდინარეობს ხანძარსაშიშ უბნებზე პატრულირების გაძლიერება, დაწყებულია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული ხანზარსაწინაარმდეგო აღჭურვილობის დათვალიერების პროცედურები.





ასევე მომთაბარე მწყემსებთან და ვიზიტორებს ბილიკებზე გადაადგილების პერიოდში უტარდებათ ინსტრუქტაჟი, როგორც ხანძარსაწინაარმდეგო წესების დაცვის, ასევე ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში დროული ინფორმაციის მოწოდების მიზნით.


2017წლის 12 თვის მდგომარეობით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ზანავის, ქვიშხეთის, ბორჯომის, ნაკრძალის, აწყურის, აბასთუმნის და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილში გამოვლინდა ხანძრები.

აპრილის თვეში პირველი ხანძარი გაჩნდა ზანავის უბნის ტერიტორიაზე, ხოლო ივლისი-სექტემბრის თვეში დანარჩენ უბნზებზე. სულ გამოვლინდა 13 ხანძრის ფაქტი.


აღსანიშნავია აბასთუმნის უბანზე 29 აგვისტოს გაჩენილი ხანძარი, რომელიც გავრცელებული იყო 40,2ჰა ფართობზე, რის შედეგადაც დაიწვა ბალახოვანი საფარი, ხმელი ხე-მცენარეები (მოთხრილ-მოტეხილი) და გაირუჯა ცოცხალი ფიჭვის სახეობის ხე-მცენარეები. ხანძრის ლოკალიზება-ლიკვიდაციის სამუშაოებში ჩართული იყვნენე დაცული ტერიტორიების რეინჯერებთან ერთად შსს შესაბამისი დანაყოფები, ადგილობრივი მოსახლეობა, სატყეო სააგენტოს რეინჯერები და გარემოს დაცვის ზედამხედველობის თანამშრომლები, ასევე ხანძრის ლიკვიდაციის სამუშაოებსი ჩარტული იყო ავიაცია.








2017 წელს ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ხანძრის ლოკაციები



ხანძრის სტატისტიკა 2015-2017წ.

მომთაბარე მწყემსების კონტროლი.

2017 წლის ივნისის თვიდან დაიწყო ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტრადიციულ გამოყენების ზონაში ალპურ საძოვრებზე პირუტყვის განთავსების, რასაც სისტემატიური კონტროლი ჭირდება, ამ მიზნით მწყემსებს დაურიგდათ საგარანტიო ფურცლები დაცულ ტერიტორიებზე დაცვის წესების დაცვის და სამართალდარღვევების პრევენციის მიზნით. პარალელურად მიმდინარეობდა პერიოდულად მწყემსების ბინების დათვალიერება და კონტროლი. ამ დროისათვი ე.წ. დათუეთის მთაზე დარჩენილია 2 ოჯახი, დანარენ ტერიტორიიდან საზაფხულო საძოვრები დაიცალა. საკმაოდ პრობლემურია საძოვარ-სათიბების იჯარით გაცემის საკითხი ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილი ტერიტორიაზე. მ/წელს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციულ გამოყენების ზონაში რეინჯერების მიერ ადგილზე მწყემსებზე ჩამორთმეული ინფორმაციით, რომლის მიხედვითაც შევსებული იყო შემუშავებული ფორმები, განთავსებული იყო 4000 სულზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი, ხოლო ქცია-ტაბაწყურის 80 000 სული წვრილფეხა პირუტყვი (ცხვარი; თხა) და 3 700 მსხვილფეხა პირუტყვი.







აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის NACRES მიერ მიმდინარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციულ გამოყენების ზონაში ალპურ საძოვრების შესწავლა, რომლის დასრულების შემდგომ ეფექტური გახდება საძოვრების მართვა.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მიმდინარე წლის იანვრის თვეში მომზადდა ბუნების მატიანე, სადაც დეტალურად არის აღწერილი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და განხორციელებული საქმიანობები, რომელიც წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მინი მეტეოსადგურის მეშვეობით მიმდინარეობს კლიმატურ პირობებზე ყოველდღიური დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და მიღებულუი მონაცემების გრაფიკებში ასახვა, რაც საშვალებას გვაძლევს გავიგოთ საშუალო ტემპერატურა, საშუალო ტენიანობა და მოსული ნალექების საშუალო რაოდენობა თვეების მიხედვით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მონიტორინგის უფექტური საქმიანობისათვის.




სურათებზე: ნაჩვენებია მეტეოროლოგიურ პირობებზე დაკვირვების პროცესი.

ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0c. თვეების მიხედვით 2016-2017 წლებში.

როგორც დაკვირვებიდან ირკვევა მიმდინარე წლის 6 თვის საშუალო ტემპერატურას (2.8 Oc) თუ შევადარებთ გასული წლის პირველ კვარტალის საშუალო ტემპერატურასთან (7.9 Oc) შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2017 წლის პირველი კვარტალი, 2016 წლის პირველ კვარტალთან შედარებით ცივი იყო რაც გამოწვეული იყო უხვი ნალექით (თოვლის სახით).

ჰაერის საშუალო ტენიანობა %




როგორც დაკვირვებიდან ირკვევა მიმდინარე წლის გასული 6 თვის ჰაერის საშუალო ტენიანობას (93 %) თუ შევადარებთ გასული წლის პირველ კვარტალის საშუალო ტენიანობასთან (93%) შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰაერის ტენიანობა 2016-2017 წლების პირველ კვარტალში თანაბარი იყო.

მოსული ნალექების საშუალო რაოდენობა მმ.

მეტეოროლოგიურმდგომარეობაზედაკვირვებადამონაცემებისშეგროვება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში მინი მეტეოსადგურით მიმდინარეობს კლიმატურ პირობებზე ყოველდღიური დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და მიღებული მონაცემების გრაფიკებში ასახვა, რაც საშუალებას გვაძლევს გავიგოთ საშუალო ტემპერატურა, საშუალო ტენიანობა და მოსული ნალექების საშუალო რაოდენობა თვეების მიხედვით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მონიტორინგის ეფექტური საქმიანობისათვის. გრაფიკზე ასახულია გასული 2017 წლის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა 0c. ჰაერის ტენიანობა %. მოსული ნალექების რაოდენობა მმ.



არასისტემატიურიმოვლენების, ზვავების, წყალდიდობების და სხვა მოვლენების დაფიქსირება.



2017 წლის იანვარ-თებერვალსი დაფიქსირდა დიდთოვლობა, თუმცა რაიმე სახის არასისტემატიურ მოვლენას ადგილი არ ქონია, გარდა მარელისის უბანზე მცირე ზვავისა, რომელსაც რაიმე სახის ზიანი არ მოუტანია. ივნისის თვეში ზანავის უბანზე (ახალდაბა) მოხდა წყალდიდობა, მოითხარა დიდი რაოდენობით ხე-ტყე, რომელიც მდინარემ ჩამოიტანა საავტომობილო

გზაზე. დაზიანდა მცირედით საცხოვრებელი სახლები



ოქტომბრის თვეში, ეროვნული პარკის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ, პატრულირების და შემოვლების დროს დაფიქსირებული იქნა ძლიერი ქარის გამო, ნუნისის უბანზე კვარტალ N 38-ში, მოთხრილი და მოტეხილი წიფლის, რცხილის და ნაძვის დაახლოებით 35 - 40 ხე.





სურათებზე: ნაჩვენებია ქარისაგან დაზიანებული ხეები ნუნისის უბანზე.

ბიომრავალფეროვნების სახეობების აღრიცხვა (დინამიკა)

როგორც დაკვირვებიდან ირკვევა მიმდინარე წლის გასულ წელს დაფიქსირებული მოსული ნალექების საშუალო რაოდენობას (0,3 მმ) თუ შევადარებთ გასული წლის პირველ კვარტალში დაფიქსირებულ მოსული ნალექების საშუალო რაოდენობასთან
(0,9 მმ) შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2016 წლის პირველ კვარტალში უფრო უხვი ნალექი დაფიქსირად, თუმცა გასათვალისწინებელია რომ 2016 წელის პირველ კვარტალში მოსული ნალექების უმეტესი ნაწილი წვიმის სახით დაფიქსირდა რაც გამოწვეული იყო ჰაერის მაღალი ტემპერატურით.
მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის თვეში დაფიქსირდა დიდთოვლობა თუმცა რაიმე სახის არასისტემატიურ მოვლენას ადგილი არ ქონია, გარდა მარელისის უბანზე მცირე ზვავისა რომელსაც რაიმე სახის ზიანი არ მოუტანია.

ძირითადად „წითელი ნუსხის“ სახეობებზე მონიტორინგი მიმდინარეობს კვალზე დაკვირვებით და ფოტოხაფანგების გამოყენებით.





საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველების მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში გასული წლის განმავლობაში განხორციელდა ირმის, ფოცხვერის, არჩვის და დათვის კვლების ადგილებზე გასვლა, სადაც ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული წითელი ნუსხის სახეობებიდან მათი უმრავლესობა ნაკრძალის უბანზე ბინადრობს. ძირითადად „წითელი ნუსხის“ სახეობებზე მონიტორინგი მიმდინარეობს კვალზე დაკვირვებით და ფოტოხაფანგების გამოყენებით.





სურათებზე; ნაჩვენებია კეთილშობილი ირემი ნაკრძალის უბანზე.

საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველების მონიტორინგი.

2017 წლის განმავლობაში უბნის უფროსი რეინჯერებისა და რეინჯერების მიერ, ბუნებრივი რესურსების უფროს სპეციალისტებთან და დაცის განყოფილების უფროსთან ერთად მოხდა იმ ადგილებზე გასვლა, სადაც დაფიქსირებული იქნა ირმის, ფოცხვერის, არჩვის და დათვის კვლები. ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული წითელი ნუსხის სახეობებიდან დიდი რაოდენობა ნაკრძალის უბანზე ბინადრობს .


ძირითადად „წითელი ნუსხის“ სახეობებზე მონიტორინგი მიმდინარეობს კვალზე დაკვირვებით და ფოტოხაფანგების გამოყენებით.






გასული 12 თვის განმავლობაში, დაფიქსირდა ცხვოველთა კვლების შემდეგი რაოდენობა: კეთილშობილი ირემი 594; მურა დათვი 135; არჩვი 65; შველი 780; გარეული ღორი 220; ფოცხვერი 42; მგელი 82;

წარმოგიდგენთ კვალზე დაკვირვების შედეგად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ცხოველების ინდივიდების სავარაუდო რაოდენობას, გამოსახულს გრაფიკებში წლების მიხედვით.





რუკაზე: *ნაჩვენებია ის ადგილები საიდანაც მიხდა მონაცემების შეგროვება.*






სურათებზე: ნაჩვენებია მურა დათვისა და გარეული ღორის კვალი.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მონიტორინგის ეფექტური წარმოებისთვის მიმდინარეობს ფოტომახეების დამონტაჟება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია თუ მოხდება მონიტორინგისთვის ფოტომახეების დამატება.



რუკაზე; ნაჩვენებია ის ადგილები სადაც მოხდა ფოტომახეების დამონტაჟება.

კავკასიური კეთილშობილი ირმის რიცხოვნობისა და საბინადრო ადგილების გამოვლენა. (მყვირალობა)

18.09 2017 წლის,N 19 $ -1 ბრძანების საფუძველზე „ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკის და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე კავკასიური კეთილშობილი ირმების რიცხოვნობის დადგენსთან დაკავშირებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, 2017 წლის20 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე დაცვის განყოფილების


თანამშრომლების მიერ განხორციელდა ირმების რიცხოვნებაზე და მათი არსებულ თუ ახალ საბინადრო არიალზე დაკვირვება.

2017 წელს, მყვირალობის დაწყებამდე რეინჯერებს და უფროს რეინჯერებს ჩაუტარდათ სათანადო ინსტრუქტაჟი, მყვირალობასთან დაკავშირებით.

აღრიცხვის შედეგად დადგინდა, რომ როგორც გასულ ასევე მიმდინარე წელსაც ირმების უმეტესობა დაფიქსირდა ნაკრძლის უბანზე.


2017 წლის მყვირალობაზე დაკვირვებით დადგინდა, რომ ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ნაკრძალის ტერიტორიაზე ბინადრობს დაახლოებით 583 სული ირემი, რაც გასულ წელთან შედარებით 43 სულით მეტია, აქედან ნაკრძალის უბანზე დაფიქსირდა 345 სული, ხოლო დანარჩენი 238 სული ეროვნული პარკის მთელს ტერიტორიაზეა დაფიქსირებული.

მყვირალობასთან დაკავშირებით ანგარიში დაწერილია და წარდგენილია სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში.



რუკაზე: ნაჩვენებია ის ადგილები სადაც დაფიქსირდა ირმის ხმები.

ირმების რიცხოვნობის დინამიკა წლების მიხედვით 1993-2017 წელი.




საქართველოს წითელი ნუსხის მერქნიანების მონიტორინგი.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მიმდინარეობს იმ ადგილების დათვალიერება, სადაც გავრცელებული წითელი ნუსხის ხემცენარეები, როგორც დაკვირვებიდან ირკვევა ხემცენარეებზე რაიმე სახის დაავადებები არ შეინიშნება.



სურათებზე:ნაჩვენებია უთხოვრები ბორჯომის უბანზე.



რუკაზე: ნაჩვენებია ის ადგილები სადაც გავრცელებულია წითელი ნუსხის მცენარეები.

ნადირის მიერ პირუტყვის დაზიანების ფაქტები.

მიმდინარე წელს, ივლისისა და აგვისტოს თვეებში, ალპურ საძოვრებზე, ნუნისის უბანზე მგელმა დაკბინა 2 სული საქონელი. მარელისის უბანზე მგლის მიერ დაზიანებული იქნა 5 სული საქონელი, აქედან 1 გადარჩა. საქონდრია-ლაშურის უბნის ალპურ საძოვრებზე ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში სულ დაზიანებული იქნა 13 სული საქონელი.

გარდა ამისა, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში, ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში (მარელისი, ლეღვანი, ხიდარი) დაფიქსირდა მგლების მიერ მსხვილფეხა პირუტყვის შეჭმის 8 და დაკბენის 2 ფაქტი.

ალპური საძოვრების მონიტორინგი.


ზაფხულის დადგომასთან და ალპურ საძოვრებზე საქონლის აყვანასთან დაკავშირებით ეროვნული პარკის რეინჯერებს დაურიგდათ შესაბამისი ფორმები საქონლის სულადობის, სქესის და არსებულ მწყემსთა ბინებზე მონაცემთა აღრიცხვის მიზნით. გარდა ამისა მწყემსებთან მოხდა ხელწერილების დადება, რომლის მიხედვითაც იღებენ ვალდებულებას, შეასრულობნ ეროვნული პარკის მოთხოვნები და დაიცავენ უსაფრთხოების ნორმებს.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით ირკვევა,აბასთუმნის უბანზე 1094 სული, აწყურის უბანზე 450, ბორჯომის უბანზე 55 სული, ნუნისის, მარელისის და საქონდრია-ლაშურის უბნების ალპურ საძოვრებზე, ტრადიციული გამოყენების ზონაში, არსებულმა პირუტყვის სულადობამ სრულად 2588 სული შეადგინა. აქედან ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან 1942 სული

პირუტყვია (მარელისის უბანი 1167, საქონდრიის უბანი 747, ნუნისის უბანი 78 სული) , ხოლო ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებიდან 646 სული.

როგორც დაკვირვებინ ირკვევა 2017 წელს ბორჯომ-ხარაგაულის ერივნული პარკის ტერიტორიაზე ალპურ საძოვრებზე იმყოფებოდა 4187 სული პირუტყვი რაც გასულიწელის მონაცემებთან შედარებით ნაკლებია 440 სულით.

გრაფიკში ასახულია შინაურ პირუტყვთა და საბინაო ადგილების რაოდენობა წლების მიხედვით.



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საძოვრების მართვის გეგმის შემშავება

მიმდინარე წლის 10 აგვისტოდან კავკასიის ბუნების ფონდის CNF -ის დაფინანსებით, „სახეობათა კონსერვაციის ცენტრი ნაკრესი”-ს თან პროექტის ფარგლებში დავიწყეთ „ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საძოვრების მართვის გეგმის შემუშავება“, რომლის პირველი ეტაპი ითვალისწინებდა საბაზისო ინფორმაციის შეგროვებას. აღნიშნულის ფარგლებში 15 სექტემბრის ჩათვლით, მოვახდინეთ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, გარდა ნეძვისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილისა, ბუნებრივი საძოვრების საზღვრების იდენტიფიცირება; უბნებზე არსებული მესაქონლეების ბინების და მწყემსების თავშესაფრების შესახებ მონაცემების შეგროვება, წინასწარ შემუშავებული კითხვარის მიხედვით და მესაქონლეების ბინების მიერ გამოყენებული საძოვრის (საძოვრის ერთეული) საზღვრების იდენტიფიცირება, ასვე რუკაზე დატანა.



2017 წლის ანგარიში

სურათებზე: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ალპური საძოვრები

როგორც დაკვირვებით გაირკვა პროექტის ფარგლებში შეგროვილი მონაცემებით ეროვნული პარკის ალპურ საძოვრებზე იმყოფებოდა 4055 სული რაც რეინჯერების მიერ მიღებულ მონაცემებზე ნაკლებია 132 სულით.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში გარემოსდაცვითი ადვოკატირების კამპანია და ინოვაციური ტექნოლოგიები ალპურ საძოვრებზე.

ა.ო. „ქალები ქვეყნის მომავლისთვის“ პროექტის ფარგლებში ეროვნული პარკის ტერიტორიაზე აბასთუმნის, აწყურის, ბორჯომის, ნუნისის, მარელისის და საქონდრია ლაშურის ალპური საძოვრების მწყემსთა ხუთ ბინაზე (დიდმაღალი-ვარხნელების ბინა, ლომის მთა - ქვაბისხევის ბინა, ამარათი-აგარლების ბინა, რკინისჯვარი - ხიდრელების ბინა და ლომისმთა - მარელსლების ბინა) დამონტაჟდა ჰელიო სისტემის ელექტრო ღობე, გარდა ელექტრიღობისა მოხდა, „ჰელიოციმციმა“ ნათურების დამონტაჟება. აღნიშნული პროექტი მასიის თვიდან აგვისტოს თვის ჩათვლით ხორციელდებოდა და მის მიმდინარეობაში აქტიურად იყვნენ ჩართული უფროსი რეინჯერები, რეინჯერები, ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი და დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილე.




სურათებზე: ელექტროღობე და ჰელიოციმციმა ალპურ საძოვრებზე

ქცია-ტაბაწყურის საძოვრების მონიტორინგი.

ზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით ქცია-ტაბაწყურის ტერიტორიაზე დაიწყო საძოვრების მონიტორინგი, რეინჯერებს დაურიგდათ შესაბამისი ფორმა სადაც შედის შესაბამისი იმფორმაცია საძოვარზე არსებული პირუტყვთან დაკავშირებით, როგორც დაკვირვებინ ირკვევა მწყემსების მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ქცია-ტაბაწყურის საძოვრებზე იმყოფებოდა 80 990 წვრილფეხა და 3718 მსხვილფეხა პირუტყვი.

ნახანძრალი ადგილების მონიტორინგი.

როგორც გასულ, ასევე მიმდინარე წელს მოხდა ნახანძრალი ადგილების მონიტორინგი დაკვირვებიდან ირკვევა, რომ აღნიშნულ ტერიტორიებზე დაწყებულია ბალახოვანი საფარის განვითარება, როგორც ნახანძრალ ადგილს ახასიათებს წამოსულია მაყვლისა და მალინის აღმონაცენები. ალაგ-ალაგ აღინიშნება ფიჭვის აღმონაცენი.




მიმდინარე წლის ივლისი - სექტემბერში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა 12 ხანძარი კერძოდ: აბასთუმნის უბანზე 2 ფაქტი, აწყურის უბანზე 4 ფაქტი, ბორჯომის უბანზე 4 ფაქტი, ქვიშხეთის უბანზე 1 ფაქტი, ქცია ტაბაწყურის აღკვეთილში 1 ფაქტი, სულ ხანძრების შედეგად დაზიანდა 52,56 ჰა.

აქედან აღსანიშნავია აბასთუმნის ხანძარი სადაც დაზიანდა 40 ჰა ტერიტორია ძირითადად დაიწვა ბალახოვანი საფარი და მოთხრილ მოტეხილი ხეები, გაირუჯა ზეზემდგომი ხე მცენარეები რომელთა სიცოცხლისუნარიანობა გამოვლინდება გაზაფხულზე ვეგეტაციის დაწყების დროს.

ნახანძრალ ტერიტორიებზე დაიწყო მონიტორინგი მცენარეების განვითარებაზე დაკვირვების მიზნით




სანიმუშო ფართობებზე მონაცემების შეგროვება:

მიმდინარეობს გასულ წლებში მოწყობილ სანიმუშო ფართობებზე დაკვირვება უბნების მიხედვით, კერძოდ აბასთუმანის უბანი - კვ. #51, სამცველო #4 შერეულიჯიშისმცენარეთაურთიერთთანაცხოვრებაზედაკვირვებისმიზნით, დაკვირვებიდან ირკვევა რომ სანიმუშო ფართობზე ბუნებრივი პროცესები მიმდინარეობს ნორმალურად რაიმე სახის დაავადებეს ადგილი არაქვს.

აწყურის უბანზე კვ.#80-ში სამცველო#1-ში ფიჭვნარ კორომზე დაკვირვების მიზნით. ფიჭვნარკორომში შეინიშნება მოზარდ აღმონაცენის ხმობა და შეინიშნება ნაძვის პატარა აღმონაცენები რამდენიმე ერთეული.

ნაკრძალის უბანზე სანიმუშო ფართობი გამოყოფილი იქნა კვ# 97-ში ბორჯომის სამცველოში, რათა მოხდეს დაკვირვება ნახანძრალზე ტყის ბუნებრივად აღდგენის ინტენსიობაზე. ნახანძრალ ადგილზე მოზარდ აღმონაცენი წამოსულია დიდი რაოდენობით.

ნეძვის უბანზე სანიმუშო ფართობები გამოიყო #18-ედა #31 კვარტლებში. სამცველო#1-ში, სადაც დაკვირვება მიმდინარეობს ჯიშთგანახლებაზე და სამცველო #6-ში უთხოვარის კორომის განვითარებზე, დაკვირვებიდან ირკვევა რომ უთხოვრის კორომებს რაიმე სახის დაავადებები არ შიმჩნევა.

საქონდრიის უბანზე კვ.#7, #3-ე სამცველოში დაკვირვება წარმოებს ფოთლოვანი ჯიშებით დასახლებულ კორომში, დაკვირვებიდან ირკვევა რომ წაბლი დაზიანებული წაბლის კიბოთი, როგორც აღმონაცენ-მოზარდი ასევე ზრდასრული ხეები.

განხორციელებული სამეცნიერო კვლევებიდაცულტერიტორიებზე

მიმდინარე წლის მაისის თვეში ბავარიის ეროვნული პარკის დირექტორის მოადგილესთან ერთად დაიკიდა ფერომონები, რისი საშუალებითაც მიმდინარეობს ფოთლოვან სახეობებზე დაკვირვება, ყოველი თვის ბოლოს ხდება მონაცემების შეგროვება და შეგროვილი მონაცემები გაიგზავნება ბავარიაში გენეტიკური ანალიზისთვის, პროექტის პირველი ეტაპი გაგრძელდება ოქტომბრის ბოლომდე, ხოლო მეორე ეტაპი დაიწყება მომავალი წლის გაზაფხულზე.






ფიტოპათოლოგიური კვლევის ანალიზი


2017 წლის პათოლოგიურმა დაკვირვებამ აჩვენა რომ, ბორჯომ–ხარაგაულის ეროვნული პარკის მთელ ტერიტორიაზე, ქერქიჭამიების მიერ: ექვსკბილა ქერქიჭამია(ips seqxtendatus) და მბეჭდავი ქერქიჭამია(ips tipografus) დაზიანებულია წიწოვანი ტყეების (ნაძვი,სოჭი, ფიჭვი) დაახლოვებით 19-20 ჰა, გასულ წელთან შედარებითD დაზიანებული ადგილების ფართობი მომატებულია 1 ჰექტარით, დაავადებულ ადგილებზე მიმდინარეობს მონიტორინგი და იმ ადგილებში, სადაც

კანონმდებლობა გვაძლევს საშუალებას ხდება დაზიანებული ხეების ჭრაში მონიშვნა.ხოლო დაავადებების: წაბლის კიბო(endotea parazitika)-თი დაზიანებულია დაახლოვებით 300 ჰა და მუხის ერთფეროვანი ჩრჩილი(tischeria compianels)-თ დაავადებულია ფოთლოვანი ტყეების (მუხა) დაახლოვებით 70 ჰა, რაცგასული წლის მონაცემებთან შედარებით (2016წ. 70-ჰა) დაავადებული ადგილის ფართობი არ შეცვლილა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებული (დაახლოებითი) ფართობი ჰექტრებში.



რუკაზე მონიშნულია ის ადგილები სადაც დაფიქსირდა მავნებელ-დაავადებები და მიმდინარეობს



დაკვირვება

ტრეინიგი

მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში, პათოლოგიურ გამოკვლევასთან დაკავშირებით ჩატარდა ტრენინგი ბათუმში, აღნიშნული ტრენინგი ჩაატარეს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენელმა ხათუნა წიკლაურმა და სახეობათა კონსერვაციის ცენტრის "ნაკრესის" წარმომადგენელმა კახა არცივაძემ.


ტრენინგს ესწრებოდნენ როგორც დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლები ასევე ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენლები.





ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ესტუმრა და პარკის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 19 940 მოსწავლემ, 1614 სტუდენტმა და 172 მასწავლებელმა, რომლებმაც დაათვალიერეს ეროვნული პარკის საგამოფენო დარბაზი, ნახეს ფილმი საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ და ილაშქრეს საგანმანათლებლო ბილიკზე რეინჯერთან ერთად. სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობდა 100 რესპოდენტი რეგიონიდან. პარკის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს დაესწრო 1177 ადგილობრივი მოსახლე. სულ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 22 903 ადამიანმა.



ეკოსაგანამანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა თვეების მიხედვით 2016 – 2017 წლები.

თანამშრომლობა მიმდებარე საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო დაწესებულებებთან. ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც რეგიონში არსებული სკოლები, ასევე სკოლები ქვეყნის მასშტაბით, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეგიონში არსებული სკოლებისათვის (ბორჯომი, ხარაგაული, ახალციხე, ადიგენი, ბაღდათი და ხაშური) რეგულარულად ტარდებოდა შეხვედრები, პრეზენტაციები, ეკო გაკვეთილები დაცული ტერიტორიების როლსა და მნიშვნელობაზე, ბიომრავალფეროვნებასა და გლობალური დათბობის საკითხებზე.





ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზში მოსულ სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები ათვალიერებენ საგამოფენო დარბაზს, ნახულობენ ფილმს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის და დაცული ტერიტორიების შესახებ. იღებენ ინფორმაციას ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ისტორიის, ბიო-მრავალფეროვნებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.





რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულებების გარდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ესტუმრნენ თბილისის, წალკის და გორის სკოლების წარმომადგენლები. რომელთათვის ჩატარდა პრეზენტაცია საგამოფენო დარბაზში. მათ მოისმინეს ინფორმაცია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ისტორიის, ბიო-მრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ. ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრში სტუმრობის შემდეგ სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები ლშქრობენ საგანმანათლებლო ბილიკზე და ქვაბისხევის ხეობაში. საგანმანათლებლო ბილიკზე არსებულ ამფიტეატრში ტარდება ღია გაკვეთილები.

მოსწავლეებისათვის მოეწყო სალაშქრო ტურები პარკის რეინჯერებთან ერთად, ტურის განმავლობაში მოსწავლეები გაეცნენ რეინჯერის უფლება-მოვალეობებს, მათ საქმიანობებს და ყოველდღიურ აქტივობებს.





2017 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრს აქტიურად სტუმრობდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. რომლებისთვისაც ჩატარდა მცირე პრეზენტაცია საგამოფენო დარბაზში, მათთვის გასაგებ ენაზე ეცნობიან დაცული ტერიტორიების არსს, მნიშვნელობას და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებას. ასევე ათვალიერებენ საგანმანათლებლო ბილიკზე განთავსებულ ინტერაქტიულ ინსტალაციებს.





ეკოსაგანმანათლებლო პროგრამები

მოხდა არსებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, განახლება და დიფერენცირება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის მიხედვით. განახლდა ზოგადი პრეზენტაცია დაცულ ტერიტორიებზე და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკზე, მომზადდა თემატური პრეზენტაციები ეროვნული პარკის ფრინველების, ჰიდროლოგიის, სამკურნალო მცენარეებისა და მთების შესახებ, რომელთა შეთავაზებაც ხდება სასწავლო დაწესებულებებისათვის.

ეროვნული პარკის საგანმანათლებლო შეთავაზებები მოიცავს პროგრამას, სახელად „დიალოგი გარემოსთან“ - სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის. პროგრამაში შესულია ეკოსაგანმანათლებლო თამაშები და პრეზენტაციები ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების ელემენტების შესახებ, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვების ენაზეა ახსნილი ეროვნული პარკის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობა. პრეზენტაციები შექმნილია ისეთი სახეობების შესახებ, როგორებიცაა კეთილშობილი ირემი, მურა დათვი, ფოცხვერი და არჩვი. არსებული პროგრამის შეთავაზება მოხდა სკოლამდელი დაწესებულებებისათვის, 2017 წლიდან







სკოლამდელი დაწესებულებების აღსაზრდელები აქტიურად სტუმრობდნენ ვიზიტორთა ცენტრს.

პარკის ადმინისტრაციამ GLEN-ის მოხალისეებთან ერთად შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამები, სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისათვის, სხვადასხვა თემატიკის და ხანგრძლივობის მიხედვით. ძირითადი მიზნობრივი ჯგუფებია სასწავლო დაწესებულებები (მოსწავლეები, სტუდენტები), ოჯახები და კურორტის დამსვენებლები. პროგრამების ინტეგრირება მოხდება ეროვნული პარკის ტურისტულ შეთავაზებებში.

ეკოპროექტები

ღონისძიებების ორგანიზება მწვანე კალენდრის მიხედვით

ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ლაშქრობა ქ.ბორჯომის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის. ლაშქრობის პარალერულად მათ საგანმანათლებლო ბილიკზე ჩაუტარდათ სემინარი თემაზე "ტყეები და დაცული ტერიტორიები", რის შემდეგაც ბილიკის გასწვრივ მდებარე ამფითეატრზე ჩატარდა ვიქტორინა და გამოვლინდა 1 გამარჯვებული სკოლა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა ბორჯომის სამი საჯარო სკოლის 30-მდე მოსწავლე. ღონისძიების მონაწილე სკოლებს გადაეცათ სერთიფიკატები.







ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეუერთდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ აქციას **„სუფთად ევროპისკენ“**, რომლის ფარგლებშიც ერთი კვირის განმავლობაში დასუფთავების აქცია საქართველოს 10 რეგიონის 74 მუნიციპალიტეტში გაიმართა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეინჯერები შეუერთდნენ 9 დასუფთავების ლოკაციას ბორჯომის მუნიციპალიტეტში. დასუფთავების აქციის თითო ლოკაციაზე ეროვნული პარკის რეინჯერები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.





გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულმა პარკმა შემდეგი ღონისძიებები განახორციელა:

ეროვნული პარკის ინიციატივითა და „დემოკრატ მესხთა კავშირთან“ თანამშრომლობით ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ქ. ახალციხის ნომერ პირველ, მესამე და მეექვსე საჯარო სკოლის მოსწავლეები ეწვიენ, მათ აგრეთვე შეუერთდა ქ.ხაშურის მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც ერთობლივი ლაშქრობა მოაწყვეს ეროვნული პარკის საგანმანათლებლო ბილიკზე, ეროვნული პარკის პატარა ვიზიტორებმა ლაშქრობისას მოისმინეს დეტალური ინფორმაცია გარემოს დაცვის მნიშვნელობისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. საგანმანათლებლო ბილიკის გასწვრივ არსებულ ამფითეატრზე მათთვის ჩატარდა სემინარი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის შესახებ.





ჩატარდა აქცია საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან ერთად, დაიბეჭდა ტექსტები, რომლებითაც მომავალი თაობის მეშვეობით მოხდა სპეციალური მოწოდებების გავრცელება გარემოს დაცვისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ.



გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სპეციალობის სტუდენტები პროფესორ დალი გოგინაშვილის ხელმძღვანელობით, ესტუმრნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას, ვიზიტის მიზანი ბოტანიკა, ზოოლოგიის პროგრამის სასწავლო პრაქტიკა იყო. პრეზენტაციის შემდეგ მოეწყო ლაშქრობა ბილიკზე.




გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მარელისის მცველთა საგუშაგოს, სოფელ მარელისის მე-9, მე-10 კლასის მოსწავლეები სტუმრობდნენ. ვიზიტის ფარგლებში მოეწყო აქტივობა - „რეინჯერის ერთი დღე“. მოსწავლეები გაეცნენ რეინჯერების ყოველდღიურ სამუშაო გარემოს, უფლება-მოვალეობებს, არსებულ სირთულეებს თუ გამოწვევებს. შეხვედრის მეორე ნაწილი რეინჯერებსა და მოსწავლეებს შორის, კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. აღნიშნული აქტივობა მოსწავლეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას და დაცული ტერიტორიების სისტემის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად.



ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და სოფ. ბაზალეთის სკოლის ორგანიზებით, ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, დაცული ტერიტორიების

სისტემისა და გარემოს დაცვითი თემატიკით. თამაშში ხარაგაულის რაიონის 10 საჯარო სკოლა იღებდა მონაწილეობას. ჟიურის მიერ გამოვლენილ გამარჯვებულ ბორის საჯარო სკოლის გუნდთან ერთად, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ, დაიგეგმა ერთ დღიანი საგანმანათლებლო ტური ეროვნული პარკის ტერიტორიაზე. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას და მოსწავლე ახალგაზრდობის გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას.





25 მარტს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი შეუერთდა მსოფლიო მასშტაბის აქციას „დედამიწის საათი“.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ სტუმრებთან ერთად ერთი საათით უარი თქვა ელექტორენერგიის გამოყენებაზე და ადმინისტრაციის ეზო სანთლებით "60 +" გაანათა. აღნიშნული ღონისძიება უკვე ტრადიციად იქცა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში და ის მეორედ აღინიშნა, ღონისძიებაზე მოწვეულ ბორჯომის მოსახლეობას ცხელი სასმელებით გაუმასპინძლდა კაფე-რესტორანი „ბერგი“, რომელიც ადგილობრივი ბიზნესისა და დაცული ტერიტორიების თანამშრომლობის კარგი მაგალითია. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ადგილობრივმა მომღერალმა ოთარ ჩუხრუკიძემ. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი აქტიურად ცდილობს რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობის გაზრდას მწვანე კალენდრის აქტივობებში.





ივლისის თვეში ეროვნულ პარკში შპს „ეკოსკოპის“ ორგანიზებით მოეწყო საველე ბანაკი, რომელშიც თბილისის საჯარო და კერძო სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობდნენ, აღნიშნული ბანაკის მთავარ მიზანს ეკო-საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება და საველე უნარების გამომუშავებაა.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ბათუმის შ.რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები ეწვიენ, ისინი გაეცნენ ეროვნული პარკის ისტორიას, დაცული ტერიტორიების მნიშვნელობას და მიზნებს. ისინი ბორჯომში საზაფხულო ბანაკის ფარგლებში იმყოფებოდნენ და საგამოფენო დარბაზის დათვალიერების შემდეგ ეროვნული პარკის საგანმანათლებლო ბილიკი დალაშქრეს.

აქცია "დავასუფთავოთ საქართველო"-ს ფარგლებში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერებთან ერთად, დემოკრატიული ჩართულობის მხარდაჭერის პროგრამა FID-ის მონაწილეებმა აბასთუმანში დასუფთავების აქცია მოაწყეს. აქციის მხარდამჭერია არასამთავრობო ორგანიზაცია "დემოკრატ მესხთა კავშირი", რომელიც ბოლო რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს ეროვნულ პარკთან, ეკოლოგიისა და ახალგაზრდებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდის მიმართულებით.





სექტემბერში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკისა და ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ერთობლივი პროექტის "ბუნების მეგობარი" პირველი შეხვედრა გაიმართა. მონბაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია გარემოს დაცვის შესახებ, გაიმართა ინტერაქტიული სახალისო აქტივობები, მხიარული თამაშები, მონაწილეები დაჯილდოვდნენ სერთიკატით - "ბუნების მეგობარი. "





მორიგი შეხვედრა ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებას და მის ძირითად წარმომადგენლებს დაეთმო. პრეზენტაციის დაწყებამდე მონაწილეებმა პროექტის ორგანიზატორებთან ერთად გააფორმეს გარემო. პრეზენტაციის და სახალისო აქტივობების შემდეგ კი მომდევნო შეხვედრა დაიგეგმა.






ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკს კადეტთა სამხედრო ლიცეუმის I სასწავლო ჯგუფის კადეტები ესტუმრნენ. მათ დაათვალიერეს ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზი და მოისმენეს ლექცია ბორჯომ-ხარგაულის ეროვნული პარკისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის შესახებ.

სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ექსკურსიის მომდევნო ეტაპზე კადეტები თვითონ მოამზადებენ პრეზენტაციას და უკვე მიღებულ ინფორმაციას გააცნობენ თანატოლებს.





საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიული ორგანოს და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით 10 პირობით მსჯავრდებული ეწვია ეროვნული პარკის ადმინისტრაციას. მათ დაათვალიერეს ვიზიტორთა ცენტრი და მოისმინეს სემინარი ეროვნული პარკის მიზნებისა და მისი ძირითადი საქმიანობების შესახებ. ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მზადაა მომავალშიც ჩაატაროს მსგავსი სახის შეხვედრები და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში პრობაციონერების სრულფასოვან ინტეგრაციას.





ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრმა ახალქალაქის ახლაგაზრდული ცენტრის წევრებს უმასპინძლა. ვიზიტის მიზანი და სემინარის ძირითადი თემა ეროვნული პარკის რეგიონში ეკოტურიზმი და მისი განვითარების პოტენციალი იყო.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს ყაზბეგის ეროვნული პარკის ორგანიზებთ და ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური თანადგომით ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები ეწვიენ.





ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის კიდევ ერთი დაცული ტერიტორიის გაცნობა; მასში ჩართული იყვნენ რაიონის ყველა საჯარო სკოლის ნორჩი რეინჯერები, პედაგოგები, მათ საგამოფენო დარბაზში მოისმინეს პრეზენტაცია ბორჯომის ეროვნული პარკის, მისი ბიომრავალფეროვნების, ტურისტული ბილიკების შესახებ; რის შემდეგაც დაათვალიერეს N7. საგანმანათლებლო ბილიკი რეინჯერთან ერთად.





ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს სტოკჰოლმის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტები ეწვიენ. ვიზიტის მიზანს დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და ზონირების სპეციფიკა წარმოადგენდა. შვედი სტუდენტებისათვის ჩატარდა სემინარი ეროვნული პარკის საგამოფენო დარბაზში, ისინი გაეცნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების ისტორიას, მიზნებს, ეკო-ტურისტულ შეთავაზებებს, ბიომრავალფეროვნებასა და კატეგორიებს.





ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ახალციხის N1 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად მთების საერთაორისო დღე აღინიშნა. მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია მთების მნიშვნელობაზე. პრეზენტაციის შემდეგ მონაწილეები დაიყვნენ ჯგუფებად და ითამაშეს როლური თამაში. „მე- ვიზიტორთა სპეციალისტი, მთამსვლელი, მაშველი, გიდი“ თამაშის დროს მათ ისაუბრეს იმ საჭირო და აუცილებელ უნარჩვევებზე, რომლებიც უნდა

ჰქონდეს თითოეული როლის შემსრულებელს. პრეზენტაცია ჩაატარა ეროვნული პარკის სტაჟიორმა გურანდა გურგენიძემ.





ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ ბორჯომის N 6 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებს უმასპინძლა. შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი პროექტის "თავისუფალი გაკვეთილების" ფარგლებში ჩატარდა. სემინარის ძირითადი თემა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ეკოტურიზმის განვითარება და ბიომრავალფეროვნების მონიტორონიგი იყო.

საგამოფენო დარბაზის დათვალიერების და პრეზენტაციის შემდეგ მოსწავლებმა მომავალი ვიზიტი და ეროვნულ პარკში ლაშქრობა დაგეგმეს.





სოც. გამოკითხვის შედეგები


ეროვნული პარკის მიერ შეირჩა რეინჯერები საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. გამოკითხვა განხორციელდა ეროვნული პარკის ექვსივე რაიონში ბორჯომი, ხარაგაული, ახალციხე, ბაღდათი, ხაშური და ადიგენი. საზოგადოებრივი აზრის გამოიკითხვა მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კითხვარების მეშვეობით. ადმინისტრაციის მიერ შერჩეულ რეინჯერებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი კითხვარების შევსების მეთოდოლოგიაზე და კვლევის ჩატარების პრინციპებზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100 რესპოდენტმა ეროვნული პარკის მიმდებარე რაიონებიდან და სოფლებიდან.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე დაცული ტერიტორიის და მისი საქმიანობის შესახებ.


<u>ვიზიტორთა სტატისტიკა</u>

2017 წლის ანგარიში

2017 წლის მონაცემებით 2016 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ერთდღიანი, ისე რამოდენიმედღიანი ვიზიტორების რაოდენობა. ერთდღიანი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 6%-ით, ხოლო რამოდენიმედღიანი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 19%-ით. ვიზიტორთა საერთო რაოდენობა გაზრდილია 7%-ით.



დიაგრამა 1. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ერთდღიანი და რამოდენიმედღიანი ვიზიტორების სტატისტიკა 2016-2017წწ




დიაგრამა 2. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წწ




დიაგრამა 3. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ


2017 წლის მონაცემებით 2016 წელთან შედარებით გაზრდილია როგორც ქართველი, ისე უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა. ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 7,7%-ით. უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 4,3%-ით, ხოლო საერთო რაოდენობის ზრდამ **7%** შეადგინა.



დიაგრამა 4. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2017წ.



დიაგრამა 5. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016წ.



დიაგრამა 6. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული 2017წ.

2017 წლის განმავლობაში ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს უცხოლ ვიზიტორებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა გერმანიიდან 18% (3738 ვიზიტორი), რუსეთიდან 15% (3 050 ვიზიტორი), ისრაელიდან 13% (2 822 ვიზიტორი), პოლონეთიდან 10% (2 171 ვიზიტორი) და ჩეხეთიდან 5% (1 129 ვიზიტორი).

2016 წლის ყველაზე აქტიური ქვეყნების შესახებ სურათი 2017 წელს შეიცვალა, თუ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში ვიზიტორები ისრაელიდან ლიდერობდნენ, 2017 წელს გერმანელ ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი მატება აღინიშნა. აღსანიშნავია ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა საუდის არაბეთიდან, 2016 წელთან შედარებით საუდის არაბეთის მოქალაქეთა რაოდენობა გაზრდილია 50%-ით. (2016 წელს 511 ვიზიტორი, 2017 წელს 769 ვიზიტორი).


ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავალები

ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2017 წ

ღამისთევა		აღჭურვილობა				ველოსიპედი	მაისური	კალამი	ბრელოკები	BKNP რუკა	ბარგის საკანი	შემოწირულობა	ფოტოალბომი	სუვ.დარბაზი	ეკურა	თოვლის	სულ
საკარვე	თავშეს აფარი	სამიზნე	ზურგჩან	კარავი	პარალონი												
24945	15175	1825	30	960	1281	1960	132	33	1746	2928	647	79,9	780	366	20740	595	74223


ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016 წ

ღამისთევა		აღჭურვილობა				ველოსიპედი	მაისური	კალამი	ბრელოკები	BKNP რუკა	ბარგის საკანი	შემოწირულობა	ფოტოალბომი	ეკურა	სასტუმრო	თოვლის	დარბაზი	სულ
საკარვე	თავშეს აფარი	სამიზნე	ზურგჩან	კარავი	პარალონი													
19060	**17635**	**1624**	**20**	**640**	**813**	**350**	**216**	**6**	**255**	**3921**	**543**	**291,7**	**120**	**16642**	**1600**	**445**	**244**	**64425,34**




დიაგრამა 7. ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წ.

წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები გაზრდილია 15%-ით.



დიაგრამა 8. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ვიზიტორთა გენდერული მონაცემები 2016-2017წ



დიაგრამა 9. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ბილიკებზე ვიზიტის რაოდენობა 2017წ.

ეროვნულ პარკში ფუნქციონირეებს 12 ტურისტული მარშრუტი, განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობს ერთდღიანი მარშრუტები.

საინფორმაციო მასალების გავრცელება

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის, დაცული ტერიტორიების ბროშურები და რუკები გადაეცა ბორჯომის ტურიზმის საინფრომაციო ცენტრს. რომელთა სტუმრებშიც ეროვნული პარკი დიდი პოპულარობით სარგებლობს.

დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული მომსახურებების პოპულარიზაცია

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურისტული სერვისების შეთავაზებები დაეგზავნათ ტურისტულ კომპანიებს, რომლებთანაც ეროვნულ პარკს მრავალწლიანი მჭიდრო თანამშრომლობა

აკავშირებს, ეროვნული პარკის შეთავაზებები დაეგზავნათ ტურისტულ კომპანიებს: Caucas Tour, Georgian Holidays, Caucasus Trekking, Geo Tour, Levon Travel, Mogzaurebi, Mountland, Omnes Tour, Pelican Travel Georgia, Aka Tour, Bigfoot Travel, Dream Tours, Deka Travel, Fashion Travel, Georgian Discovery Tours, Geo Trek Travel, Gur Reisen, Human Tour, Intourist, Liberty Travel და Visit Georgia.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკს საქართველოში ინფო-ტურზე მყოფი შვედეთის ტურ-ოპერატორთა წარმომადგენლები ეწვივნენ. ჯამში 27 ვიზიტორისთვის ჩატარდა პრეზენტაცია საგამოფენო დარბაზში, მიეწოდათ ინფორმაცია ეროვნული პარკის ისტორიის, ბიომრავალფეროვნებისა და შეთავაზებების შესახებ. ტურის ორგანიზატორი იყო შვედური ტურისტული კომპანია Contour Air, რომლისთვისაც საქართველო ახალ, ჯერჯერობით ასათვისებელ ბაზარს წარმოადგენს, აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის პოპულარიზაციას შვედეთში.

შეხვედრის ორგანიზება გარე სერვისის მომწოდებლებთან

ვიზიტორთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით მოეწყო შეხვედრა გარე სერვისის მომწოდებლებთან, კერძოდ თავლების მეპატრონეებთან და გიდებთან. განახლდა მომავალი თანამშრომლობის გეგმა. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში დღეისათვის გარე სერვისების მომწოდებლებთან არ არსებობს ხელშეკრულება, რის გამოც ეროვნულ პარკს საცხენოსნო ტურებისგან და სამთო გიდების შეთავაზებისაგან არანაირი შემოსავალი არ აქვს. საცხენოსნო ტურები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში ერთ-ერთი სწრაფად განვითარებადი და პოპულარული შეთავაზებაა, რომელსაც სამომავლოდ დიდი პოტენციალი გააჩნია, სწორედ ამიტომ ეროვნული პარკის ვიზიტორთა მომსახურებისა და შეთავაზებების უკეთესი კოორდინაციისა და შემოსავლების ზრდის მიზნით მათთან ხელშეკრულების გაფორმებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ორგანიზებით მოეწყო ტრენინგი ადგილობრივი, სამთო გიდებისათვის. ტრენინგი ჩაუტარდათ, როგორც გამოცდილ გიდებს, რომლებსაც რამდენიმე წლიანი მუშაობის გამოცდილება აქვთ, აგრეთვე ახალ გიდებს, რომლებმაც 2017 წელს დაიწყეს ეროვნულ პარკში სამთო გიდად მუშაობა.

ინფრასტრუქტურული პროექტები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში

წლის დასაწყისში დაკორექტირდა საოპერაციო და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის გეგმები. მომზადდა დეფექტური აქტები შესაკეთებელ ინფრასტრუქტურაზე. 2017 წელს განხორციელდა ხარაგაულის ადმინისტრაციული შენობის ძირეული რეკონსტრუქცია, ამ ეტაპზე რეკონსტრუქცია დასრულებულია, თუმცა ვიზიტორთა საგამოფენო დარბაზი საჭიროებს აღჭურვას.

ყოველთვიურად ხორციელდება ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საველე ინფრასტრუქტურის შემოწმება უფროსი რეინჯერების მიერ, რომლებიც წარმოადგენენ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას და ფოტომასალას.

მომზადდა გეგმა-გრაფიკი ტურისტული ინფრასტრუქტურის შემოწმებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც შემოწმდა ბილიკები, განხორციელდა მარკირების კორექტირება. კვლავ პრობლემატურია ალპური ზონის მარკირება, საჭიროა უფრო მყარი ბოძების მონტაჟი. შემოწმდა №7 საგანამანთლებლო ბილიკი, ბილიკზე არსებული დაფების და საპიკნიკე ადგილების მდგომარეობა არის კარგი, რაც შეეხება ბილიკზე არსებულ საფეხურებს , მათი 60% იყო დაზიანებული ან მორყეულია, არსებულის შეკეთება მოხდა მშენებლის მიერ.

2017 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ტურისტული ბილიკების გასწვრივ და შესასვლელებში დამონტაჟდა სხვადასხვა სახის საინფორმაციო და მანიშნებელი ნიშნულები. საინფორმაციო ნიშნულები მოცავდა ამკრძალავ ნიშნებს, საკარვე ადგილის, ცეცხლის დასანთები ადგილისა და სასმელი წყლის ნიშნულებს. ნიშნულები დამონტაჟდა ნაკრძალის, აწყურის, აბასთუმნის, მარელისის, ქვიშხეთისა და ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილის უბნებში ტურისტული ბილიკების გასწვრივ და შესასვლელებთან.

№1 ტურისტული მარშრუტის გასწვრივ არსებული ხიდები დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენას, ამ ეტაპისათვის აღნიშნული ბილიკი დაკეტილია ვიზიტორებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს ბილიკი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბილიკია პარკში.

რეგულარულად ხდება შპს ,,ს.კ. მესხეთზე" და შპს ,,წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის კლინიკაზე" იჯარით გადაცემული ინფრასტრუქტურის შემოწმება, საიჯარო ქონების გამოყენება ხდება ტურისტული და სარეკრეაციო მიზნით. ინფარსტრუქტურის მდგომარეობა არის დამაკმაყოფილებელი. საიჯარო ქონებას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, კეთილმოწყობილია საცხოვრებელი კორპუსები.

საიჯარო თანხის გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად არსებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

ბორჯომის ვიზიტორთა ცენტრში განთავსდა სუვენირების მაღაზია, ფართი გაცემულია იჯარით ,, იმმდ ნეჩურ ტურიზმ ჰოლდინგზე" მოიჯარე უზრუნველყოფს სუვენირების, ადგილობრივი პროდუქციის, ცივი და ცხელი უალკოჰოლო სასმელების გაყიდვას.

ტრეინინგები და სამუშაო შეხვედრები

2017 წლის დასაწყისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხორციელდა და შეფასდა გასული 2016 წლის შედეგები, ადმინისტრაციამ განიხილა 2017 წლის სამოქმედო გეგმა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული შესრულებული და დაგეგმილი აქტივობები. დაისახა ღონისძიებები გეგმაში გაწერილი ქმედებების განსახორციელებლად.

ჩატარდა სამუშაო შეხვედრა აშშ-ის მშვიდობის კორპუსის მოხალისის ჩართულობით, სამუშაო შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა პარკის არსებული მდგომარეობის, მისი განვითარების და შესაძლებლობების შეფასება, არსებული პროდუქტების თუ მიღწევების გაუმჯობესება და სირთულეების მოგვარება.

ტრეინინგების საჭიროებების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ესაჭიროებათ უნარების გაძლიერება საპროექტო წინადადებების მომზადებასა და პროექტების მართვაში. აშშ-ს მშვიდობის კორპუსის მოხალისესთან ერთად მომზადდა ტრეინინგის მასალა პროექტების მართვაში, პარკის ადმინისტრაციის ადმინისტრაციული განყოფილებისა და დაცვის განყოფილების სპეციალისტებისათვის ჩატარდა ორდღიანი ტრეინინგი.

ტრეინინგის კურსი მოიცავდა: პროექტის დაგეგმვას, პროექტის ციკლის მართვას, განხორციელების გეგმას და მენეჯმენტს. ასევე ჩატარდა ტრეინინგი საპროექტო წინადადების მომზადებაში. რომელიც ძირითადად მოიცავდა ორგანიზაციის სტარტეგიული მიზნებისა და საპროექტო წინადადებების მომზადების შესაბამისობას პროექტის მიზნებისა და ამოცანების სწორად განსაზღვრის მეშვეობით.

ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს (TJS) ორგანიზებით გაიმართა საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარების სტარტეგიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები, რომელსაც ესწრებოდნენ ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი და ადმინისტრაციული განყოფილების უფროსი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ბორჯომში სტუდენტების ჩართვას ეკოტურიზმის განვითარებაში. რაც ძირითადად ითვალისწინებს სამუშაო პრაქრტიკას სტუდენტებისათვის. ამასთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან . შეხვედრაზე განხილულ იქნა შესაძლო აქტივობები რომელშიც ჩაერთვებიან უნივერსიტეტის სტუდენტები.

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა მომსახურების უფროს სპეციალისტებთან და ვიზიტორთა მომსახურებაში ჩართულ თანამშრომლებთან, შეხვედრაზე განხილულ იქნა ვიზიტორთა მომსახურებასთან დაკავშირებული სირთულეები, რეგიისტრაციის ფორმების და ონლაინ კითხვარების ფორმების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხები. შეხვედრის მონაწილებისათვის ჩატარდა პრეზენტაცია და მოხდა იაპონიაში სასწავლო ტურის განმავლობაში მიღებული გამოცდილების გაზიარება.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ორგანიზებით, ტურისტული სააგენტოების წარმომადგენლებისთვის ინფო-ტური გაიმართა. ინფო-ტურის მონაწილე ტურ-ოპერატორების წარმომადგენლები გაეცნენ ეროვნული პარკის შეთავაზებებს, მათთვის ჩატარდა პრეზენტაცია სერვისების შესახებ, ლიკანის ხეობაში გაისეირნეს ცხენებით და ქვაბისხევის ხეობაში მცირე ველო-ტური მოაწყვეს. ინფო-ტურის მიზანს დაცულ ტერიტორიებზე ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ტუროპერატორებისთვის ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენდა. ტური ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს მხარდაჭერით ჩატარდა.





ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს მხარდაჭერით (TJS) მხარდაჭერით შემუშავდა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტურიზმის განვითარების სტრატეგია, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოწვეულ ექსპერტთან ერთად მუშაობდა აღნიშნულ სტრატეგიაზე.

გაიმართა ორი სამუშაო შეხვდრა ტრანსსასაზღვრო ტურისტული პროდუქტის შექმნასთან დაკავშირებით, შეხვედრაზე დაცული ტერიტორიების თანმშრომლების გარდა ესწრებოდნენ ტურისტული სააგენტოების და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილულ იქნა ერთიანი ტურისტული პროდუქტის შექმნის შესაძლებლობები საქართველო - სომხეთისა და საქართველო - აზერბაიჯანის ეროვნული პარკებისათვის.

ვაშლოვანის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

<u>დაცვის განყოფილება</u>

2017 წლის იანვარის დასაწყისში ჩატარდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თათბირი. თათბირზე განხილულ იქნა 2016 წლის შედეგები და 2017 წელს ადმინისტრაციის წინაშე არსებული პრობლემები. იანვრის თვის პირველ რიცხვებში მომზადდა 2016 წლის წლიური ანგარიში, შემუშავებულ იქნა 2017 წლის სამუშაო გეგმა და წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

- **პატრულირების გეგმების შედგენა-დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ განხორციელებული ტერიტორიის დაცვის სტრატეგიის განსაზღვრა**

- *ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების განსაზღვრა და იდენთიფიცირება, სამართალდარღვევის ტიპების განსაზღვრით.*

2017 წლის დასაწყისში 2016 წლის მონაცემების საფუძველზე მოხდა სამართალდარღვევის ტიპების მიხედვით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების განსაზღვრა და იდენთიფიცირება.

- *ყოველკვირეული პატრულირების მარშრუტების განსაზღვრა თითოეული უბნისა და სარეინჯეროს მიხედვით.*

2016 წელში მოქმედი ყოველკვირეული პატრულირების მარშრუტებმა თითოეული უბნისა და სარეინჯეროს მიხედვით ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების მიხედვით განიცადეს კორექტირება (რვა სადღეღამისო მუდმივმოქმედი რეინჯერთა დაცვის სადგური: ვაშლოვანის, ნათლისწყლის, მიჯნის ყურის, ცენტრალური ბუნგალოების, ბუღა მოედნის - ვოლიერი, შავი მთის, კაკლის ყურის, ჰერეთის ფონის).

- *ყოველკვირეული პატრულირების ჩატარება საპატრულო ჯგუფების და სარეინჯეროს მიხედვით*

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დაცვის ეფექტურად განხორციელების მიზნით, საანგარიში პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ტერიტორიის გეგმიური პატრულირება. პატრულირება ხდებოდა დაგეგმილი საპატრულო მარშრუტების მიხედვით. პატრულირებას ავტომანაქანით ახორციელებდა დაცვის განყოფილების თანამშრომელთა ორი ჯგუფი (ვ. ჩერქეზიშვილი, ი. ზალდასტანიშვილი, გ. ყოჩიაშვილი, ზ. ამირიძე). ველზე პატრულირება ხორციელდებოდა ჯგუფების მონაცვლეობით. ჯგუფები აღჭურვილი არიან ყველა სათანადო ტექნიკური საშუალებებით. პატრულირების ყოველთვიური ანგარიში წარედგინებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.


საანგარიშო პერიოდში შედგენილია 15 ერთეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი. უკანონო ძოვების ფაქტებზე შედგენილია 8, რეჟიმის დარღვევის ფაქტზე 2 და ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილების ფაქტზე 5 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

2017 წლის განმავლობაში პატრულირებისას, სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისას, დაცვის სადგურებზე რეინჯერთა ცვლებთან ერთად დაცვის განყოფილების დაქვემდებარებაში მყოფი ავტომანქანების მიერ განვლილმა მანძილმა შეადგინა 103790კმ, მათ შორის პატრულირებისას განვლილმა მანძილმა შეადგინა 45876 კილომეტრი. ავტომანქანით ტერიტორიების პატრულირების პარალელურად დაცვის სადგურებზე (8 პოსტი) რეინჯერების მიერ საპატრულო მარშრუტებზე განვლილმა მანძილმა შეადგინა 5650 კილომეტრი.

- *ყოველკვირეული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური ინფორმაციის მომზადება და წარდგენა სააგენტოში.*

№	ოპერიოდი (თვე)	პატრულირების რაოდენობა (ავტომანქანით)	ავტომანქანით გავლილი მანძილი კმ.	კვადროციკლით გავლილი მანძილი კმ.	რეინჯერთა მიერ პატრულირებისას გავლილი მანძილი
1	იანვარი	6	2737	0	300
2	თებერვალი	10	4996	589	400
3	მარტი	14	4893	622	650
4	აპრილი	18	4946	588	650
5	მაისი	18	5402	0	550
6	ივნისი	17	3655	378	450
7	ივლისი	12	3496	378	300
8	აგვისტო	12	3881	376	300
9	სექტემბერი	7	2856	374	450
10	ოქტომბერი	11	2662	372	500
11	ნოემბერი	11	2614	376	550
12	დეკემბერი	14	3738	0	550
	სულ:	**150**	**45876**	**4053**	**5650**

ყოველი კვირის ორშაბათს მზადდებოდა ინფორმაცია კვირის განმავლობაში დაფიქსირებულ დარღვევებზე და მიეწოდებოდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს. საანგარიშო პერიოდში შედგენილია 15 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი



ყოველი თვის დასაწყისში ხდებოდა ყოველთვიური პატრულირების ანგარიშის მომზადება-წარდგენა ადმინისტრაციის დირექტორთან და დაცული ტერიტორიების სააგენტოში. გარდა ამისა ყოველი თვის დასაწყისში ტარდებოდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თათბირი, სადაც განიხილებოდა დაცვის განყოფილების მიერ თვის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობები და იგეგმებოდა მომავალ თვეში შესასრულებელი სამუშაოები.

- **საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიების ჩატარება**

13 მარტიდან 29 მარტამდე რეინჯერთა შრომის დისციპლინის განმტკიცების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის მიზნით უბნის უფროსი რეინჯერების მიერ შესაბამის უბნებში ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია. 03 აპრილიდან 26 აპრილის ჩათვლით დაცვის განყოფილების უფროსის მიერ ჩატარდა საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია. რევიზიების ანგარიშები წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

- **საშემოდგომო გეგმიური და საკონტროლო რევიზიების ჩატარება**

24 ნოემბრიდან 04 დეკემბრის ჩათვლით რეინჯერთა პასუხისმგებლობის და შრომის დისციპლინის განმტკიცების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის მიზნით უბნის უფროსი რეინჯერების მიერ შესაბამის უბნებში ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზიები.

04 დეკემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსის მიერ გეგმიური რევიზიის ხარისხის შემოწმების მიზნით ჩატარებულ იქნა საკონტროლო რევიზია. რევიზიის პროცესში აღმოჩენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად უბნის უფროს რეინჯერებს მიეცათ შესაბამისი მითითებები. რევიზიების ანგარიშები წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

- **დაცულ ტერიტორიაზე არსებული გზების მდგომარეობა**

მარტის თვის მეორე ნახევარში დედოფლისწყაროს სასაზღვრო პოლიციის ტახისწყლის საგუშაგოს მესაზღვრეებისა და მიჯნისყურის დაცვის სადგურის რეინჯერების მიერ აღდგენილ იქნა წვიმის შედეგად დაზიანებული ტახისწყალი-მიჯნისყურის ჭალების შემაერთებელი სამანქანე გზის დაზიანებული მონაკვეთი. აპრილის თვეში გარემონტებულ იქნა მიჯნისყურე - ტახისწყალის დამაკავშირებელ გზაზე მდებარე ხის გადასასვლელი (ამჟამად გზა გამართულად ფუნქციონირებს). სექტემბრის თვეში სასაზღვრო პოლიციის მიერ ტექნიკის გამოყენებით გარემონტდა მიჯნისყურე - ალფადარის შემაერთებელი სამანქანე გზა. აღსანიშნავია რომ ივნისის თვეში აღდგენილ იქნა რამდენიმე წლის წინ გაუქმებული შავი მთის მასივის ჰერეთის ფონთან დამაკავშირებელი ტყეში გამავალი სამანქანე გზა. საყურადღებოა, რომ მიჯნისყურე - უსახელოს გადასახედის სამანქანე გზა საჭიროებს რემონტს.





- **ხანძრების მართვა**

- *არახანძარსაშიშ პერიოდში შესაბამისი ტექნიკისა და აღჭურვილობის შემოწმება, გამართულ მდგომარეობაში მოყვანა და ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკის გადანაწილება ხანძარსაშიშ ადგილებში.*

2017 წლის 14 მარტიდან 24 მარტამდე შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ვარგისიანობა და მდგომარეობა, მოხდა შეძლებისდაგვარად მათი გამართულ მდგომარეობაში მოყვანა. 13 სახანძრო მისასხურებელი აპარატიდან მუშა მდგომარეობაშია 8 აპარატი, 5 აპარატის შეკეთება ვერ მოხერხდა, 4 ხანძარსაწინააღმდეგო მისასხურებელი აპარატიდან მუშა მდგომარეობაშია 2 აპარატი, 5 ხანძარსაწინააღმდეგო მისასხურებელიანი ზურგჩანთიდან ყველა მუშა მდგომარეობაშია. ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობა და ტანსაცმელი გადანაწილებულია სველე დაცვის სადგურებზე.

- *ხანძარსაშიშ პერიოდში ხანძრის გავრცელების ადგილებში პატრულირების გაძლიერება, დაცვის განყოფილების თანამშრომლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის ინსტრუქტაჟის ჩატარება.*

თებერვლის და მაისის თვის ბოლოს დაცვის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ინსტრუქტაჟი.

- *ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებისა და შესაბამისი ინფომაციის გავრცელება და მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის და ვიზიტორებისთვის; ინფორმაციის წარდგენა სააგენტოში.*

საანგარიშო პერიოდში საპატრულო ჯგუფების და ადგილზე დაცვის სადგურებზე რეინჯერების მიერ პატრულირებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სახანძრო უსაფრთხოების საკითხებს. სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრები როგორც დაცულ ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ბინების მეპატრონეებთან და მწყემსებთან, აგრეთვე დაცული ტერიტორიების მიმდებარე (ვაშლოვანი, პატარა შირაქის და დილიჩის მასივი) სახნავი ნაკვეთების მეიჯარეებთან, ამ ტერიტორიაზე მყოფ მეფუტკრეებთან, სოფ. საბათლოს და სოფ. კასრისწყალის მოსახლეობასთან. 01 აგვისტოს პატარა შირაქის ფერდობებზე გაჩნდა ხანძარი. ხანძრის ჩასაქრობად მობილიზებულ იქნა დაცვის განყოფილების მთლიანი შემადგენლობა. იმის გამო რომ იქმნებოდა საშიშროება ხანძარი გავრცელებულიყო დაცულ ტერიტორიაზე, დახმარებისთვის მივმართედ საქართველოს შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ქ. თელავის სამმართველოს დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო განყოფილებას. ერთობლივი ძალისხმევით ღამით ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. დაცულ ტერიტორიის შიგნით დაიწვა რამდენიმე ჰექტარი საძოვარი. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია. 15 აგვისტოს კაკლის ყურის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩნდა ხანძარი, იქმნებოდა საშიშროება ხანძარი გადასულიყო ჭალის ტყეში. დედოფლისწყაროს რაიონის სამაშველო-სახანძრო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად გვიან საღამოს ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია.



03 სექტემბერს სოფ.საბათლოსა და ჰერეთის ყურეს შორის ჭალის ტყის მიმდებარე ნაკვეთებში გაჩნდა ხანძარი. ხანძრის ჩასაქრობად მობილიზებულ იქნა შავი მთის უბნის რეინჯერთა შემადგენლობა. დიდი ძალისხმევით ღამით ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. დაცული ტერიტორიის შიგნით დაიწვა ერთი ჰექტარი საძოვარი. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია. 12 სექტემბერს ჰერეთის ფონის და ჰერეთის ყურის მიმდებარე ფერდობებზე გაჩნდა ხანძარი. რეინჯერთა ძალისხმევით საღამოს ხანძარი ლიკვიდირებულ იქნა. ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიას ზიანი არ განუცდია.





- **ტრადიციული გამოყენების ზონაში საძოვრებით მოსარგებლე დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა**

- *საძოვრებზე არსებული პირუტყვის სულადობის, სადგომების და საცხოვრებელი სახლების აღრიცხვა.*

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე საძოვრების რეაბილიტაციისა და ძოვების მდგრადი პრაქტიკის შემოღების მიზნით ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ დაფინანსებული პროექტი - „საქართველოში საძოვრების მდგრადი მართვა ადგილობრივი თემებისთვის კლიმატის ცვლილების შერბილებისა და მასთან ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრირების მიზნით“. პროექტი ეხება დაცულ ტერიტორიაზე მდებარე მეცხოველეობის ზამთრის ბინებს (45 ფერმა). ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საძოვრების მენეჯმენტის გეგმის ზოგადი ამოცანებია: ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება ეკოლოგიური მენეჯმენტისა და ტრადიციული ძოვების პრაქტიკის მეშვეობით; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება საძოვრების მდგრადი მართვის გზით; საძოვრების მართვის საუკეთესო პრაქტიკების დანერგვისა და განხორციელების მხარდაჭერა; ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბუნებრივი რესურსების მონაწილეობითი მართვის უზრუნველყოფა. ფერმერთა საარსებო გარემოს გაუმჯობესებისათვის განხორციელდა წყალსადენის ორი მაგისტრალური ხაზის მშენებლობა “მლაშე წყალი - ბუღა მოედანი” 24 კილომეტრზე და “მამაჩაის ხევი - სამუხი” 7 კილომეტრზე. სამოდელო მიზნით გარემონტდა ორი ფერმა. მარტის თვეში დამთავრდა ვაშლოვანის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში მდებარე მეცხოველეობის ზამთრის ბინების და იქ განთავსებული პირუტყვის სულადობის აღრიცხვა. აღსანიშნავია რომ

ივნისის თვეში მოსული წვიმების შედეგად წყალსადენის მაგისტრალური ხაზის სათავო ნაგებობა დაზიანდა და ამჟამად ხაზი არ ფუნქციონირებს.

- *მწყემსების კონტროლი არალეგალური ქმედებების ჩადენის პროფილაქტიკის მიზნით.*

მუდმივად ხორციელდებოდა მწყემსების კონტროლი არალეგალური ქმედებების ჩადენის პროფილაქტიკის მიზნით. შემოვლილ იქნა როგორც დაცულ ტერიტორიაზე მდებარე, ასევე დაცული ტერიტორიის საზღვრის მიმდებარედ განლაგებული მეცხოველეობის ზამთრის ბინები. მათ გავაცანით ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოქმედი გარემოს დაცვითი კანონმდებლობა და დაცული ტერიტორიების საზღვრები. ამის დასტურად ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლების და დაცულ ტერიტორიაზე მდებარე ფერმერების (მათი მწყემსების) მონაწილეობით შევსებილ იქნა სპეციალური ოქმები დადასტურებული ხელმოწერებით.

- **ფოტოხაფანგების გამოყენება სამართალდამრღვევების მიმართ**

- სამართალდარღვევების გამოვლენა

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ მოხდა სანადირო ადგილების და ბრაკონიერების გადაადგილების ბილიკების, ასევე სხვა დარღვევების კუთხით ტერიტორიების იდენტიფიცირება. საანგარიშო პერიოდში ფოტოხაფანგით დაფიქსირდა უკანონო ძოვების ფაქტი, რაზეც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმი.





- *დამონტაჟებული ფოტოხაფანგების მუდმივი კონტროლი, მოპოვებული ინფორმაციის წარდგენა სააგენტოში*

საანგარიშო პერიოდში მუდმივად ხორციელდებოდა კონტროლი ფოტოხაფანგებზე. საანგარიშო პერიოდში დაცული ტერიტორიის ფოტო-ვიდეო არქივს შეემატა მრავალი საინტერესო ფოტო და ვიდეო მასალა. მოპოვებული მასალები გადაეგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.







- **მოულოდნელი რეიდების ორგანიზება და განხორციელება**

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების დაცვის, კონტროლის გაუმჯობესების, დარღვევების მინიმუმამდე დაყვანისა და დროულად აღმოფხვრის მიზნით, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის მიერ თვეში ორჯერ ტარდებოდა მოულოდნელი რეიდები.

➢ **ყოველკვარტალურად სამართალდარღვევების შესახებ სტატისტიკური ფორმების შევსება და სააგენტოში წარდგენა.**

საანგარიშო პერიოდში ყოველი კვარტალის ბოლოს შეივსო სამართალდარღვევების შესახებ სტატისტიკური ფორმები და წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

➢ **დაცულ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის ხარისხის შემოწმება**

- მუდმივი მონიტორინგის წარმოება ინფრასტრუქტურული ერთეულების მდგომარეობაზე

მუდმივად ხორციელდებოდა მონიტორინგი ინფრასტრუქტურული ერთეულების მდგომარეობაზე. საანგარიშო პერიოდში აღდგენილ იქნა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის ფარგლებში გაყვანილი წყალგაყვანილობის მაგისტრალური ხაზის (ნათლისწყალი - ბუღა მოედანი) დაზიანებული ადგილები. თუმცა ივნისის თვეში მოსულმა ინტენსიურმა ნალექებმა სამწუხაროდ მწყობრიდან გამოიყვანა წყალგაყვანილობის მაგისტრალური ხაზის სათავე ნაგებობა. ამჟამად სისტემას წყალი აღარ მიეწოდება. აღდგენილ იქნა კაკლის ყურის შესასვლელში, მილების ხევის და ფათერაკის ხევის სათავეში მდებარე სასაზღვრო ნიშნული, კაკლის ყურის გადასახვევთან და აბაზანების ხევში მდებარე საგზაო ნიშნული. გარემონტებულ იქნა ვაშლოვანის დაცვის სადგურის სველი წერტილები, შავი მთის დაცვის სადგურზე შეიცვალა წყლის ავზის ცენტრალური საკონტროლო ონკანი.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

დასრულდა 2016 წლის ,,ბუნების მატიანეზე“ მუშაობა და 2017 წლის იანვრის დასაწყისში გადაიგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში. მიმდინარეობს მუშაობა 2017 წლის ,,ბუნების მატიენეს“ მოსამზადებლად.

მუდმივად წარმოებს არასისტემატური მოვლენების წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება: **იანვრის** თვეში ტერიტორიაზე განსაკუთრებულ არასისტემურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. თვის დასაწყისში აღინიშნა მზიანი და მშრალი ამინდები. ჰაერის ტემპერატურა დღისით ზოგიერთ დღეებში +10+14 ^{0}c დაფიქსირდა, ღამით კი აღინიშნა ყინვები -2-4 ^{0}c. თვის ბოლო რიცხვებში ტერიტორიაზე მოვიდა თოვლი, რომლის საფარის სისქემ შეადგინა 3-5 სმ. ზოგიერთ უბანზე ყინვები დაეცა - 5-7^{0}c-მდე.

ყინვების გამო მდინარე ალაზნის სათავეზე არ ხდებოდა თოვლის დნობა და ამიტომ წყლის დონე მდინარეში საგრძნობად იყო დაკლებული:





თებერვლის დასაწყისში ყინვები კვლავ გაგრძელდა. თვის მეორე ნახევარში დათბა და ჰაერის ტემპერატურამ დღისით მიაღწია +14 +16 ^{0}c.

მარტის პირველ დღეებში აღინიშნა უნალექო ამინდები. მოიმატა ჰაერის ტემპერატურამ და დღისით მიაღწია +15 +16 ^{0}c. შემდგომ დღეებში აღინიშნა მცირე ნალექი წვიმის სახით. თვის ბოლოს კი ზოგირთ დღეებში ტემპერატურამ მიაღწია +20+25^{0}c-ს.

აპრილში ტერიტორიაზე განსაკუთრებულ არასისტემურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. თვის დასაწყისში აღინიშნა უნალექო ამინდები, შემდეგ დღეებში მოიმატა ჰაერის ტემპერატურამ და დღისით მიაღწია +18 +22 ^{0}c.

მაისის დასაწყისში აღინიშნა უნალექო და მზიანი ამინდები, შემდეგ დღეებში კი თვის ბოლომდე აღინიშნა უხვი ნალექი წვიმების სახით.

ივნისი წინა წელთან შედარებით იყო შედარებით გრილი და ნალექიანი, ჰაერის ტემპერატურა იყო +18+20 ^{0}c. მხოლოდ თვის ბოლო რიცხვებში შეწყდა წვიმები, მოიმატა ჰაერის ტემპერატურამ და მიაღწია +32+35 ^{0}c.

ივლისში - თვის 1 ნახევარში ჰაერის ტემპერატურა იყო +28+30 ^{0}c. მხოლოდ თვის ბოლო რიცხვებში მოიმატა და მიაღწია +35+40 ^{0}c.

აგვისტოში - მთელი თვის განმავლობაში აღინიშნა ძლიერი სიცხეები და გვალვები. ჰაერის ტემპერატურამ მიაღწია +40+45^{0}c

სექტემბერი - ზაფხულის ხანგრძლივი სიცხეების და გვალვების შემდეგ, 7 სექტემბერს მოვიდა მცირე წვიმა და აღინიშნა ძლიერი ქარი, რასაც მოჰყვა ტემპერატურის მცირედ კლება, დანარჩენი პერიოდი წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით იყო ცხელი და გვალვიანი. ჰაერის ტემპერატურა იყო +30+32^{0}c. 27 სექტემბერს ხანგრძლივი გვალვის შემდეგ მოვიდა წვიმა და ჰაერის ტემპერატურა დაეცა +15+16^{0}c-მდე.

ოქტომბერი - ცალკეული დღეების გარდა, იყო მზიანი და თბილი, დღის ტემპერატურამ მიაღწია +20+25^{0}c -სს.

ნოემბრის - დასაწყისში აღინიშნა წვიმები, 10 ნოემბრიდან კი გამოიდარა და აღინიშნა მზიანი, მშრალი ამინდები. დღის ტემპერატურამ დაიკლო და დაფიქსირდა +10+15^{0}c . თვის ბოლოს ასევე აღინიშნა მცირე ნალექი წვიმის სახით.

დეკემბერში - აღინიშნა ძირითადად მზიანი, მშრალი ამინდები. დღის ტემპერატურამ დაიკლო და დაფიქსირდა +10+12^{0}c . ღმით დაფიქსირდა ყინვები -4^{0}c.

საქართველოს "წითელი ნუსხის" მერქნიანების შესახებ მონაცემების შეგროვება: წარმოებული მონიტორინგით გამოვლინდა, რომ იანვრის თვეში მცენარეები იმყოფებოდნენ მოსვენების მდგომარეობაში. თებერვლის თვეში წითელი ნუსხის მერქნიანი მცენარეები კვლავ იმყოფებოდნენ მოსვენების მდგომარეობაში.

მარტში როგორც წითელი ნუსხის ასევე სხვა მერქნიანმა მცენარეებმა ნელ-ნელა დაიწყეს განვითარება და უკვე მარტის შუა რიცხვებში ტერიტორიაზე აყვავდა მენახირის ბალი. მარტის ბოლო რიცხვებში ჭალაში გაიფოთლა ვერხვები და ვაშლოვანის უბანზე აყვავდა ნუში:




ივლისში და აგვისტოშიც, მიუხედავად სიცხეებისა და გვალვებისა მერქნიან მცენარეთა ფოთლოვანი საფარველი კვლავ მწვანედ გამოიყურებოდა, ხე-მცენარეების სიცოცხლეს საფრთხე არ შექმნია, რადგან ისინი შეგუებული არიან ტერიტორიისთვის დამახასიათებელ მშრალ და ცხელ კლიმატურ პირობებს.

სექტემბერში მერქნიან მცენარეთა ფოთლოვანმა საფარველმა დაიწყო ფერის შეცვლა და ცვენა. საკმლის ხის ნაყოფებმა დაიწყეს მწიფობა:




ოქტომ ს ვოწახურმა, დაცვი აშლოვანში მობინ ნოემბ დასცვივდა ფოთლები. ფოთლები ჯერ კიდევ შეძორჩენილი ჰქონდა საკმლის ხეებს.



მერქნიან მცენარეებთან ერთად ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვებები ისეთ მოყვავილე ენდემურ მცენარეებზე, როგორებიცაა: ქართული ზამბახი ეიხლერის ტიტა და ველის იორდასალამი.

წარმოებული მონიტორინგით დადგინდა, რომ 2017 წლის ხანგრძლივი და ცივი ზამთრის გამო მიჯნისყურეში პირველი ზამბახი აყვავდა წინა წელთან შედარებით 1 კვირით გვიან, კერძოდ - 4-5 აპრილს.

10 აპრილიდან აყვავდა ეიხლერის ტიტა და 15 აპრილიდან აყვავდა ველის იორდასალამი:




- მუდმივად წარმოებს საქართველოს "წითელი ნუსხის" ცხოველების მონიტორინგი: ფოტოხაფანგების მიერ იანვარში დაფიქსირებული "წითელი ნუსხის" ცხოველები:



ფოცხვერი



ლელიანის კატა

თებერვალში წითელი ნუსხის ცხოველების დაფიქსირება ფოტოხაფანგების მიერ ვერ მოხერხდა. (სამწუხაროდ, ადმინისტრაციაში არსებული ფოტო-ხაფანგების უმრავლესობა დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას, ამის გამო ძნელად ხდება არესებული ფოტო-ხაფანგებით ფოტოების გადაღება). მარტში წითელი ნუსხის ცხოველების დაფიქსირება ფოტოხაფანგების მიერ კვლავ ვერ მოხერხდა. ივნისში წითელი ნუსხის ცხოველთაგან რეინჯერებმა ნახეს მურა დათვი და ქურციკები.

- მუდმივად წარმოებს მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი და აღრიცხვა, კვალის იდენტიფიკაცია :



გარეული ღორი



კურდღელი

ტერიტორიაზე თებერვლში და მარტში წინა პერიოდის მსგავსად მაღალი იყო მგლების რიცხოვნობა, რაც დაკავშირებულია ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ცხვრის ფარების ყოფნასთან. ამ პერიოდში ასევე მაღალი იყო ტურების და ღორების რიცხოვნობა.აპრილშიც მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ტერიტორიაზე ხშირად გვხვდებოდა



მგელი, მელა, ტურა, კურდღელი და მაჩვზღარბა.

მსხვილი ძუძუმწოვრებიდან ივნისში ტერიტორიაზე მოძრაობისას ხშირად გვხვდებოდა გარეული ღორის კოლტები, კურდღელი, მგელი, მელა, მაჩვი, მაჩვზღარბა, ოქტომბერში და ნოემბერში კვლავ დავაფიქსირეთ გარეული ღორის კოლტები, კურდღელი, ენოტი, მგელი, მელა, მაჩვი, მაჩვზღარბა. ბევრჯერ იქნა ნანახი სხვადასხვა ცხოველთა ნაკვალევები.მსხვილი ძუძუმწოვრებიდან დეკემბერში ფოტოხაფანგებმა დააფიქსირა გარეული ღორი, კურდღელი, ენოტი, მგელი, მელა, მაჩვი, მაჩვზღარბა:

ფრინველის მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში წარმოებს გადამფრენი და მობუდარი ფრინველების მონიტორინგი: გადამფრენი ფრინველებიდან იანვარში სამუხის ველზე შემოსული იყვნენ დიდი რაოდენობით სარასარაკების გუნდები:





სარსარაკები თებერვალში კვლავ რჩებოდნენ ტერიტორიაზე:

თებერვლის ბოლოს კი სარსარაკების გუნდები გაფრინდნენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიებიდან. სხვა გადამფრენი ფრინველებიდან მარტში ტერიტორიაზე გვხდებოდნენ იხვების სხვადასხვა სახეობები.



აპრილის დასაწყისში მერცხლების ქალაქში მოფრინდნენ მერცხლები და სხვადასხვა გადამფრენი ფრინველები.
რაც შეეხება ორბებს და სვავებს მათი ნაწილი
ჩვენი ტერიტორიებიდან მიფრინავენ სხვა ქვეყნებში
და აპრილ-მაისის თვეში უკან ბრუნდებიან.
ზოგიერთი ინდივიდი კი მთელი წელი რჩება
და იზამთრებს ვაშლოვანში. აქედან გამომდინარე
ეს ფრინველები წლის განმავლობაში
ყოველთვის გვხვებიან დაცული ტერიტორიის
სხვადასხვა უბანზე: ივნისში ყველა გადამფრენი ფრინველი, რ
ვაშლოვანისთვის უკვე შემოსული იყვნენ ტერიტორიაზე. მერცხლებ
გამოჩეკეს მართველები.



ივნისში, ივლისში და აგვისტოში ყველა გადამფრენი ფრინველი, რომლებიც დამახასიათებელია ვაშლოვანისთვის იმყოფებოდნენ ტერიტორიაზე. მერცხლებმა კი ამ პერიოდისთვის უკვე გამოჩეკეს მართველები.

სექტემბრის დასაწყისში მერცხლებმა და წეროებმა, ხოლო სექტემბრის ბოლომდე თითქმის ყველა დანარჩენმა გადამფრენმა ფრინველმა დატოვა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიები და გაფრინდნენ თბილი ქვეყნებისკენ. ნოემბრის დასაწყისში ტერიტორიაზე კვლავ დაფიქსირდა სარსარაკების შემოსვლა. 10 და 20 ნოემბერს სამუხის ველზე პატრულირებისას შეგვხვდა სარსარაკების დიდი გუნდები:




სარსარაკები სამუხის ველზე

12 დეკემბერს სამუხის ველზე პატრულირებისას კვლავ ვნახეთ სარსარაკების დიდი გუნდები:

მობუდა  

თებერვალში და მარტში მონიტორინგისას მობუდარი ფრინველებიდან ბევრჯერ შეგვხვდნენ კაკბებისა და ქედნების გუნდი და სხვადასხვა წვრილი ფრინველი:

აპრილის თვეშიც განსაკუთრებით მომატებული იყო კაკბების და ხოხბების შეხვედრის სიხშირე, რაც გვაძლევდა დასკვნის საფუძველს, რომ მათი პოპულაციების მდგომარეობა საკმაოდ კარგია:

მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში განსაკუთრებით მრავალრიცხოვან გუნდებად გვხვდებოდნენ კაკბების და ტარბების გუნდები:+





ოქტომბ ბს. სვავების და ორ ი რჩებოდა ვაშლოვ

როგორც ცნობილია 2015 წლის 5-8 ივლისს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ ესტონეთის დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები, რომლებმაც ჩაატარეს ტრენინგი თემაზე: ,,გადამცემების დამაგრება ფრინველთა კონსერვაციის მიზნით“. მოხდა ველზე გასვლა და ტახტი-თეფას მიდამოებში სვავის ბარტყზე გადამცემის დამაგრება.

ამის შემდგომ პერიოდში მუდმივად წარმოებს სატელიტური გადამცემი საყელოებიდან მოსული სიგნალების ანალიზი. წარმოებული მონიტორინგით დადგინდა, რომ #26 სვავი ზამთარს ატარებს ირანის სამხრეთ ნაწილში, ხოლო ზაფხულს - ყალმუხეთის სტეპურ ველებზე. 2016 წლის 1 ნოემბერს ყალმუხეთის სტეპური ველებიდან გამოსაზამთრებლად დაბრუნდა ირანის ტერიტორიაზე, კერძოდ კი ომანის ყურის ჩრდილო სანაპიროზე და 2017 წლის იანვარში და თებერვალში ისევ ფიქსირდებოდა იმავე ადგილზე. მარტში საიტი, საიდანაც ხდებოდა #26 სვავის სატელიტური გადამცემი საყელოდან მოსული სიგნალების მოძიება, დაბლოკილი იყო გადასახადის გადაუხდელობის გამო. შესაბამისად, მონაცემები სვავის შემდგომი მოძრაობის შესახებ ვეღარ მოვიძიეთ.

უკვე რამოდენიმე წელიწადია მიმდინარეობს ქურციკის რეინტროდუქციის პროექტი: სატელიტური გადამცემი საყელოებიდან მოსული სიგნალების ანალიზით დადგინდა, რომ #19394 # 19395 ქურციკები სხვა ინდივიდებთან ერთად 2017 წლის იანვარშიც, ისევე როგორც წინა თვეებში ფიქსირდებოდნენ მათთვის ჩვეულ ადგილებში, კერძოდ სამუხის ველის შუა ნაწილში. იანვარში მათთვის სურათების გადაღება ვერ მოხერხდა. სატელიტური გადამცემი საყელოებიდან მოსული სიგნალების ანალიზით, რეინჯერების და ექსპერტის მიერ მოპოვებული მასალებით დადგინდა, რომ #19394 და #19395 ქურციკი სხვა ინდივიდებთან ერთად 2017 წლის თებერვალში ფიქსირდებოდნენ მათთვის ჩვეულ ადგილებში. კერძოდ, ნაწილი ქურციკებისა სამუხის ველის შუა ნაწილში და ნაწილი უფრო სამხრეთით მინგეჩაურის წყალსაცავის სიახლოვეს:

მარტის თვეშიც ქურციკები ფიქსირდებოდნენ იმავე ადგილებში. მარტის ბოლოს დედალი ქურციკების მაკეობის გამო მამრი ინდივიდები ცალკე ჯგუფებად მოძრაობდნენ:





მაისშიც ქურციკები მოძრაობდნენ იმავე ადგილებში, სადაც წინა თვეებში, ხოლო თვის ბოლო რიცხვებში უკვე დაიწყო ახალი ლიკლიკების დაბადება. ამის გამო მდედრი ინდივიდები ბალახებში იმალებოდნენ და მათი ნახვა გართულებული იყო. მდედრი ინდივიდების მაკეობის და ლიკლიკების დაბადების გამო მამრი ინდივიდები ივნისის თვეშიც ცალკე ჯგუფებად მოძრაობდნენ და მათ ხშირად ნახულობდნენ:





აპრილ- ე ადგი უკვე
დაიწყო ო მდედ დნენ
და მათ
მამრი კე ჯგ ირად
ვნახულ





ივლისში ქურციკების ნაწილმა გადაინაცვლა მინგეჩაურის წყალსაცავისკენ., ნაწილი კი ძლიერი სიცხეების დროს შემოდიოდნენ სამუხის ალესილების ხეობებში. მამრი ინდივიდები ამ თვეშიც ცალკე ჯგუფებად მოძრაობდნენ.

აგვისტოში და სექტემბერში ძლიერი სიცხეების და წყლის სიმცირის გამო ქურციკები კვლავ შემოდიოდნენ სამუხის ალესილების ხეობებში, ზოგჯერ კი გადადიოდნენ საზღვრის იქით მინგეჩაურის წყალსაცავისკენ და რამოდენიმე დღეში ისევ უკან ბრუნდრბოდნენ.

7 – 16 ოქტომბერს სამუხის ველის შუა ნაწილში ვნახეთ 20 ინდივიდი, მათ შორის იყო საყელოიანი ინდივიდიც. ახალი თობა კი ზომებით უკვე ზრდასრულებს უტოლდებოდნენ:





10 და 20 ნოემბერს სამუხის ველის შუა ნაწილში ვნახეთ 8-10 ინდივიდიანი ჯგუფები, როგორც მამრები ასევე მდედრები.




ქურციკები სამუხის ველის შუა ნაწილში

12 დეკემბერს მონიტორინგისას სამუხის ველზე დაფიქსირებული ქურციკები.


- დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში ჩასულ სამეცნიერო ჯგუფის ან მეცნიერებს ადმინისტრაცია გაეწიათ დახმარება და ასევე განხორციელდა მატი საქმიანობის კონტროლი:
- 2017 წლის 8-9 მარტს ფრინველებზე დაკვირვების მიზნით ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საქართველოს, ავსტრიის და შვედეთის მოქალაქეები.
- 9 მარტს ჩატარდა საველე ტრენინგი ფრინველების რკვევაში საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების წარმომადგენლებისთვის.
- 15 მარტიდან 14 აპრილამდე მკვლევართა ჯგუფი ილიას უნივერსიტეტიდან, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტიდან და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განახორციელებს დაზვერვით სამუშაოებს.

- მუდმივად წარმოებს ცენოზების/ ჰაბიტატების და ეკოსისტემების მონიტორინგი: იანვრისა და თებერვლის თვეში ცენოზები და ეკო-სისტემები მოსვენების მდგომარეობაში იმყოფებოფებოდნენ.ზოგიერთ უბანზე ისევ შემორჩენილი იყო თოვლის საფარველი.





ლანდაშაფტები ეშმაკის ხევზე


მარტში ზოგიერთ უბანზე ნელ-ნელა დაიწყო განვითარება ბალახოვანმა საფარველმა:
აპრილის ბოლოსთვის მერქნიან მცენარეთა ფოთლოვანი საფარველის განვითარება თითქმის მთლიანად დასრულდა, აყვავდა ისეთი კენკროვანი მცენარეები, როგორებიცაა ტყემალი და კვრინჩხი, ასევე კარგად განვითარდნენ ბალახოვანი მცენარეები.მაისში ტერიტორიაზე აღინიშნა უხვი ნალექები წვიმების სახით, რამაც ხელი შეუწყო ბალახოვანი მცენარეების და მერქნიან მცენარეთა ფოთლოვანისი საფარველის კარგად განვითარებას.
ივნისის თვეც იყო გრილი და ნალექიანი, არ იყო ძლიერი სიცხეები, რამაც ხელი შეუწყო ბალახოვანი მცენარეების ზრდა-განვითარებას და ცენოზები კვლავ მწვანედ გამოიყურებოდნენ.





შეგროვილი მონაცემების საფუძველზე აგებულია ოცდოვლობის დინამიკის გრაფიკები.





დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში ჩასულ სამეცნიერო ჯგუფის ან მეცნიერის დახმარება და კონტროლი:

8-9 მარტს ფრინველებზე დაკვირვების მიზნით ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საქართველოს, ავსტრიის და შვედეთის მკვლევარები.

9 მარტს ჩატარდა საველე ტრენინგი ფრინველების რკვევაში საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების წარმომადგენლებისთვის.

15 მარტიდან 14 აპრილამდე მკვლევართა ჯგუფი ილიას უნივერსიტეტიდან, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტიდან და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრიდან ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განახორციელებს დაზვერვით სამუშაოებს.

აპრილის თვეში ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ ფრინველებზე დამკვირვებლები და მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების მკვლევარები.

მაისში - მწერების მკვლევარები, რომლებმაც ნახეს მათთვის საინტერესო მწერების რამოდენიმე სახეობა.

23 ივნისიდან - 5 ივლისამდე ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და პოლონელი მკვლევარების მიერ ენტომოლოგიური კვლევები.

22 ივნისიდან 1 ივლისამდე ჩატარდა სვავების კვლევა (ა. გავაშელიშვილი და ილიას უნივერსიტეტის მკვლევარები).

ტერიტორიაზე მოძრაობისას და კვლევების ჩატარებისას მათ დახმარებას უწევდნენ ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომლები.

13 ივლისიდან - 15 ივლისამდე ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე განხორციელდა საქართველოს სოფლის მეურნეობის კვლევის ცენტრის მკვლევარების მიერ გარეული ღორის, კოლხური ხოხბის, კავკასიური გნოლის და კაკბის გავრცელების კერების მოძიება და კვლევები.

6, 7, 8 სექტემბერს ვაშლოვანის ეროვნულ პარკში კვლევებს ატარებდნენ გერმანელი მეცნიერები და სტუდენტები.

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე 20 ნოემბერს დაიწყო და 31 დეკემბრამდე გაგრძელდა ილიას უნივერსიტეტის მკვლევარების გეოდეზიური სამუშაოები. ტერიტორიებზე ჩამოსულ მკვლევარებს სისტემატურად უწევენ დახმარებას ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომლები.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისი პუნქტების მიხედვით წლის განმავლობაში შესრულდა შემდეგი ეკო-საგანმანათლებლო სამუშაოები:

თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

2017 წლის 27 იანვარს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების“ შესახებ. მათ ასევე დაათვალიერეს სამუზეუმო დარბაზი და გადაეცათ საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების რიფლეტები:




17 თებერვალს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლაში მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ჩატარდა პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვნების, მისი მნიშვნელობის და დაცვის აუცილებლობის შესახებ:“




23 თებერვალს დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში ჩატარდა პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნების და მისი დაცვის

აუცილებლობის შესახებ, ყურადღება გამახვილდა ჩვენს რეგიონში გამოვლენილ გაუდაბნოების პროცესებზე“.

8 მარტს ქ. თბილისის სკოლის ,,პრომეთე“ მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ჩატარდა პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების“ შესახებ, მათ ასევე დაათვალიერეს ადმინისტრაციის მუზეუმი და შემდეგ მოეწყო ეკო-ტური ,,პანტიშარა-დათვისხევის“ ტურისტულ ბილიკზე.

28 მარტს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ქ. დედოფლისწყაროს #2 ს. სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ჩატარდა პეზენტაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, ყურადღება გამახვილდა გაუდაბნოების პროცესებზე. მათ ასევე დაათვალიერეს საექსპოზიციო დარბაზი.

29 მარტს დედოფლისწყაროს #1 საჯარო სკოლაში ჩატარდა პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნების და მისი დაცვის აუცილებლობის შესახებ:“





11 აპრილს ჩატარდა ლექცია-სემინარი სოფ. ზემო ქედის #1 და #2 საჯარო სკოლებში:




25 აპრი

2017 წლის 27 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში იმყოფებოდნენ მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

მათ ჩაუტარდათ საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორტრიების ბიო-მრავალფეროვნებაზე, მის მნიშვნელობასა და დაცვის აუცილებლობაზე. ბოლოს ნახეს ფილმი და გადაეცათ ვაშლოვანის და საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების ლიფლეტები:

11 მაისს ჩატარდა ლექცია-სემინარი სოფ. ოზაანის და 19 მაისს სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან:




17 მაისს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტაციაში იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. მათ ჩაუტარდათ საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორტრიების ბიო-მრავალფეროვნებაზე, მის მნიშვნელობასა და დაცვის აუცილებლობაზე. ბოლოს ვუჩვენეთ ფილმი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ და გადავეცით ვაშლოვანის და საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიების ლიფლეტები:




2 ივნისს ჩატარდა ლექცია-სემინარი სოფ. ოზაანის და 5 ივნისს სოფელ არბოშიკის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან.

7, 8 და 9 ივნისს ჩვენს ტერიტორიაზე სასწავლო ტურით იმყოფებოდნენ სტუდენტები ავსტრიიდან. მათ ჩაუტარდათ საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, შემდეგ მოხდა გასვლა ეროვნულ პარკში და ადგილზე გაცნობა ვაშლოვანის ბიო-მრავალფეროვნების:

12 ივლისს ჩატარდა ლექცია-სემინარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში. მოწვეული გვყავდა რაიონის მოსახლეობის წარმომადგენლები. საუბარი შეეხო კლიმატის ცვლილებების გამოვლენას ჩვენს რეგიონში, მისგან გამოწვეულ უარყოფით შედეგებს და საჭირო ღონისძიებებს ამ შედეგების შერბილებისთვის.

18 აგვისტოს ჩატარდა ლექცია-სემინარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში. მოწვეული გვყავდა რაიონის ფერმერები. საუბარი შეეხო მარცვლოვანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ჩალის გადაწვის პრაქტიკას, რომლის გამოც გარდა იმისა, რომ ზიანდება ნიადაგის სტრუქტურა, ხშირად ჩნდება ხანძრები და მათი კუთვნილი მიწების გარდა ხდება ხანძრების გავრცელება მიმდებარე ტერიტორიებზე, მათ შორის საფრთხეები ექმნება ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებსაც. დაიგეგმა საუბრების ჩატარება ადგილობრივ მოსახლეობასთან ამ მავნე პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით.

15 სექტემბერს ჩატარდა ლექცია-სემინარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში. მოწვეული გვყავდა რაიონის მოსახლეობის წარმომადგენლები. ვისაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნებაზე, საქართველოს დაცული ტერიტორიების და ზოგადად გარემოს დაცვის აუცილებლობაზე.

6 ოქტომბერს ჩატარდა ლექცია-სემინარი სოფელ კასრის წყლის საჯარო სკოლაში და 19 ოქტომბერს სოფელ საბათლოს საჯარო სკოლაში. ვისაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე:




24 ოქტ ზე იმყოფებოდნენ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორხაბუჯის საჯარო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლეები და პედაგოგები (ბუნების მოყვარულთა კლუბი ,,ცეროდენა“). მათ ჩაუტარდათ საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, დაათვალიერეს მუზეუმი და ბოლოს ნახეს ფილმი ვაშლოვანის ბიომრავალფეროვნების შესახებ:




17 ნოემბერს ჩატარდა ლექცია-სემინარი სოფელ ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში და 22 ნოემბერს სოფელ მირზაანის საჯარო სკოლაში. ვისაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, ნახეს ფილმი ვაშლოვანის ბიომრავალფეროვნების შესახებ:




8 დეკემბერს ქ. თბილისის და 15 დეკემბერს სოფ. ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია. ვისაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე, ნახეს ფილმი ვაშლოვანის ბიომრავალფეროვნების შესახებ:




სპეციალური პრეზენტაციების მომზადება ასაკობრივი ზღვარისა და სამიზნე ჯგუფებისთვის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და გარემოსდაცვის თემატიკით

წლის დასაწყისში მომზადდა სპეციალური პრეზენტაციები ასაკობრივი ზღვარისა და სამიზნე ჯგუფებისთვის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და გარემოსდაცვის თემატიკით საჯარო სკოლების 6-9 კლასის მოსწავლეებისა და 10-12 კლასის მოსწავლეებისთვის. ამ პრეზენტაციებს ვიყენებთ საჯარო სკოლების მოსწავლეებთან და საკონფერენციო დარბაზში მოსულ მოსწავლეებთან და მოსახლეობის სხვა წარმომადგენლებთან ჩატარებული ღონისძიებების დროს.

ღონისძიებების ორგანიზება გარემოს დაცვის თემატიკით:

ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს პროექტი ,,ბექობის არწივის კონსერვაცია“. „საბუკო“-სთან ერთად პროექტში ჩართული არიან ვაშლოვანის ადმინისტრაციის თანამშრომლები და დედოფლისწყაროს #2 საჯარო სკოლის მოსწავლეები და პადაგოგები. ამ პროექტის ფარგლებში 2017 წლის 19 მარტს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო მორიგი ღონისძიება და ჩატარდა პრეზენტაცია ბექობის არწივის შესახებ, შემდეგ კი მოხდა გასვლა ხორნაბუჯის ტერიტორიაზე, სადაც ერთობლივი ძალებით არწივებისთვის დამზადდა რამოდენიმე ბუდე:




12 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ მოაწყო დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორია და გაიწმინდა ღვარსაშვები.

22 აპრილს, ,,დედამიწის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ორგანიზებით მოეწყო დასუფთავების აქცია. აქციაში მონაწილეობა მიიღეს მთელი რაიონის წარმომადგენლებმა და მათთან ერთად ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ:




გარემოს დაცვის კუთხით ვთანამშრომლობთ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგთან, რომლებიც მონაწილეობენ ღონისძიებაში ,,ნ. კეცხოველის გზა“. მათ მივაწოდეთ ინფორმაცია და ფოტო-მასალა ,,არწივის ხეობის“ ბუნების ძეგლის შესახებ, რომელიც ამ სკოლასთან ახლოს მდებარეობს და ასევე ვეხმარებით მათთვის სხვა საჭირო და საინტერესო მასალების მოძიებაში.

22 მაისს ,,ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ჩატარდა დასუფთავების აქცია. თანამშრომლების მიერ დასუფთავდა ადნინისტრაციის ეზო და მოითიბა ბალახი:




5 ივნისს – ,,გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ვაშლოვანის ადმინისტრაციამ მოაწყო დასუფთავების აქცია. დასაუფთავდა ადმნისტრაციის შენობა, ადმინისტრაციის ეზო, მოითიბა ბალახი, დასუფთავდა მიმდებარე ქუჩები და ღვარსაშვები.

17 ივნისს – ,,გაუდაბნოებასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავად ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში მოვიწვიეთ მოსახლეობის წარმომადგენლები. მათთვის ჩატარდა ლექცია - ჩვენს რეგიონში მიმდინარე გაუდაბნოების პროცესებზე, მისგან გამოწვეულ პრობლემებზე და ამ პრობლემების შერბილებისთვის გარემოს დაცვის აუცილებლობაზე.

21 ივლისს მოეწყო დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო და მომდებარე ქუჩა, მოითობა ბალახი:




15 აგვისტოს მოეწყო დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო და მოითიბა ბალახი:




21 სექტემბერსს ,,დაასუფთავე მსოფლიო“ ფარგლებში - მოეწყო დასუფთავების აქცია. დასუფთავდა ქ. დედოფლისწყაროს შემოსასვლელი და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ეზო:




20 ოქტომბერს მოეწყო დასუფთავების აქცია - დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო და მიმდებარე ტერიტორია:




22 ოქტომბერს ,,ხის დარგვის დღე“-სთან დაკავშირებით ჩატარდა მწვანე აქცია - ადმინისტრაციის ეზოში ხმელი ნერგები შეიცვალა ახლით.

27 ნოემბერს მოეწყო დასუფთავების აქცია - დასუფთავდა ადმინისტრაციის ეზო და მიმდებარე ტერიტორია:




დაცული ტერიტორიების გაცნობის მიზნით ეკო-ტურების მოწყობა

წლის განმავლობაში როგორც სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსული ვიზიტორებისთვის, ასევე ადგილობრივი სკოლების მოსწავლეებისთვის და მოსახლეობის წარმომადგენლებისთვის ჩატარდა 84 ეკო-ტური:

2017 წლის 18-19 თებერვალს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ორ დღიანი ინფო-ტური ტურისტული კომპანიის “Good Travel”-ისა და მოლაშქრეთა კლუბ “Lost-მსოფლიოში დაკარგულბი”-ს წარმომადგენლებისთვის:




5 მაისს ვაშლოვანის ეროვნულ პარკში ეკო-ტური მოაწყო ზემო ქედის სამოქალაქო განათლების კლუბმა ,,კრეატივი“, ახალგაზრდული ფორუმის პროექტის დასკვნითი ნაწილის ფარგლებში:

26 აგვისტოს, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში მოსწავლეებისთვის ქ. თბილისიდან, ჩატარდა პრეზენტაცია და მოეწყო ეკო-ტური არწივის ხეობაში და ხორნაბუჯის ციხეზე:




სექტემბერ-ოქტომბრის თვეში განსაკუთრებით აღინიშნა ვიზიტორების რიცხოვნობის მატება და მოეწყო ეკო-ტურები სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ნოემბერ-დეკემბერში კი ამინდების გაუარესების გამო იკლო ტურისტების რიცხოვნობამ.

თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან:

წლის განმავლობაში მიმდინარეობს თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან - ერთობლივი დასუფთავების და მწვანე აქციების ჩასატარებლად, ასევე მოსახლეობაში სპეციალური ლიტერატურის გავრცელებისა და საუბრების ჩასატარებლად გარემოს დაცვის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.
მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში 22 აპრილს, ,,დედამიწის საერთაშორისო დღესთან“ დაკავშირებით ჩატარდა დასუფთავების აქცია. დასუფთავდა დედოფლისწყაროს ქუჩები.

2017 წლის 28 ივნისს ქ. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა გარემოს დაცვის ინფორმაციის და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგი.

თემა: ლანდშაფტისა და მიწის რესურსების მდგრადი მართვის დანერგვა სასოფლო ტერიტორიებზე მიწის დეგრადაციისა და სიღარიბის შემცირების მიზნით. პრეზენტაცია წარმოადგინა აგრარული უნივერსიტეტის ექსპერტმა ბ. კალანდაძემ.

ტრენინგის მონაწილეთა მიერ გაიმართა დისკუსია, გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები, მოხდა ასევე ველზე გასვლა სადაც გაგრძელდა მსჯელობა აღნიშნულ საკითხზე და რეგიონის მიწის რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებზე:




თანამშრომლობა დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციასთან:

მიმდინარეობს თანამშრომლობა წლის განმავლობაში: მეგობართა ასოციაციასთან -,,არწივის ხეობა“.

თანამშრომლობა არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან:

მიმდინარეობს თანამშრომლობა არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან -GIZ-ის წარმომადგენლობასთან, NACRES-თან, WWF-თან და სხვა.

2017 წლის 18 ივლისს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საკონფერენციო დარბაზში ,,მაიკლ სუკოუ“-ს ფონდის მიერ ჩატარდა ტრენინგი ტურიზმის საკითხებზე და აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგებში არსებული პრობლემების და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ.

ტრენინგს ესწრებოდნენ რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ფერმერები, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები:





2017 წლის 24 ივლისს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საკონფერენციო დარბაზში კვლავ ჩატარდა მორიგი შეხვედრა იუნესკოს მიერ დედოფლისწყაროში ბიოსფერული რეზერვატის დაარსების შესახებ. საუბარი შეეხო გარემოს დაცვის საკითხებს, ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს და ამ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ტრენინგს ესწრებოდნენ რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ფერმერები, არასამთავრობო გარემოს დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები:




26 სექტემბერს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საკონფერენციო დარბაზში კვლავ ჩატარდა მორიგი სამუშაო შეხვედრა იუნესკოს მიერ დედოფლისწყაროს რეგიონში ბიოსფერული რეზერვატის დაარსებისთვის. საუბარი შეეხო კვლევა მონიტორინგისა და ეკო-განათლების მდგომარეობას და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები, რაიონის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ფერმერები, არასამთავრობო გარემოს დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, და სხვა დაინტერესებული პირები:

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები, მათი ცნობიერების ამაღლება დაცული ტერიტორიების და მათი განსაკუთრებული ფასეულობების, ასევე ადმინისტრაციის მიზნებისა და ქმედებების შესახებ


ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები ცივი ამინდებიდან და დიდთოვლობიდან გამომდინარე დაგეგმილი იყო მარტის თვიდან, ხოლო ადმინისტრაციის შენობაში მოსული მოსახლეობის წარმომადგენლობისთვის ადგილზე ხდებოდა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და პრეზენტაციების ჩატარება.

21 იანვარს ვიზიტორებისთვის ქ. თბილისიდან ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია ,,ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების“ შესახებ, მათ დაათვალიერეს სამუზეუმო დარბაზი და მოაწყეს ეკო-ტური პანტიშრა-დათვიხევის ტურისტულ მარშრუტზე:

13 მარტს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თამანშრომლებმა მოაწყეს შეხვედრა დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. სამრეკლოს მოსახლეობასთან. ჩატარდა საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ. მათ ასევე დაურიგდათ საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების რიფლეტები:




28 აპრილს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების თამანშრომლებმა მოაწყეს შეხვედრა დედოფლისწყაროს რაიონის სოფ. ხორნაბუჯის მოსახლეობასთან. ჩატარდა საუბარი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობისა და დაცვის აუცილებლობის შესახებ. მათ ასევე ნახეს

ფილმი ვაშლოვანის შესახებ და დაურიგდათ საქართველოს სხვადასხვა დაცული ტერიტორიების რიფლეტები:

25 მაისს მოეწყო შეხვედრა ზემო ქედის და არხილოსკალოს მოსახლეობასთან. შეხვედრა ჩატარდა ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში, საუბარი შეეხო გაუდაბნოების პროცესებს ჩვენს რეგიონში, გარემოს დაცვის და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებობას. მიეწოდათ ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.

23 ივნისს შედგა შეხვედრა სოფელ გამარჯვების მოსახლეობასთან. ჩატარდა საუბარი გარემოს დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე კლიმატის შერბილებისთვის.

21 ივლისს შედგა შეხვედრა სოფელ ოზაანის მოსახლეობასთან. ჩატარდა საუბარი გარემოს დაცვის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე კლიმატის შერბილებისთვის.

18 აგვისტოს შედგა შეხვედრა დედოფლისწყაროს მოსახლეობის წარმომადგენლებთან. საუბარი შეეხო მარცვლოვანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ჩალის გადაწვის მავნე პრაქტიკას და მისგან გამოწვეულ უარყოფით შედეგებს.

8 სექტემბერს მოეწყო შეხვედრა არბოშიკის მოსახლეობასთან, გავაცანით ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიო-მრავალფეროვნება, ვისაუბრეთ საქართველოს დაცული ტერიტორიების და ზოგადად გარემოს დაცვის აუცილებლობაზე.

9 სექტემბერს მოეწყო შეხვედრა სოფელ კასრისწყლის მოსახლეობასთან. ჩავატარეთ პრეზენტაცია, ვესაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობაზე. ასევე მივეცით რჩევები, სოფელში ცხოვრების დონის ამაღლებისთვის როგორ შეიძლება გამოიყენონ ვიზიტორების შემოსვლა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე და შესთავაზონ მათ ადგილობრივი პროდუქტი, სუვენირები, სხვადასხვა სახის მომსახურება:






11 ოქტომბერს მოეწყო შეხვედრა სოფელ ქვემო ქედის მოსახლეობასთან. ვესაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობაზე. პასუხი გავეით მათ შეკითხვებს.





24 ნოემბერს მოეწყო შეხვედრა დედოფლისწყაროს მოსახლებასთან ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში. ვესაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობაზე. ვუჩვენეთ ფილმი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ.
24 დეკემბერს მოეწყო შეხვედრა დედოფლისწყაროს მოსახლებასთან ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში. ვესაუბრეთ ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, მისი დაცვის აუცილებლობაზე. ვუჩვენეთ ფილმი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ, პასუხი გავეცით მათ შეკითხვებს.

სულ 2017 წლის განმავლობაში ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო - 3270 კაცმა (1026 მოსწავლე, 94 პედაგოგი, 54 სტუდენტი, 572 ადგ. მოსახლე, 1524 სხვა).


2017 წელს მოეწყო - 39 პრეზენტაცია, 84 ეკო-ტური, 17 მოსახლეობასთან შეხვედრა, 18 დასუფთავების აქცია, 8 მწვანე აქცია.







ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიების ვიზიტორების რაოდენობა (12 250 ვიზიტორი) 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 3,8%-ით გაიზარდა.







ვიზიტორთა 54% მამაკაცი, ხოლო 46% ქალია. 2016 წლის მონაცემებთან შედარებით მდედრობითი სქესის ვიზიტორების რაოდენობა 0,1%-ით არის გაზრდილი, ხოლო მამრობითი სქესის 1,05%-ით.




ვიზიტორების 73% საქართველოს მოქალაქე, ხოლო 27% უცხო ქვეყნის მოქალაქეა 2016 წელთან შედარებით ქართველი ვიზიტორების რაოდენობა 0,4%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 0,2%-ით.




2017 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს 3255 უცხოელი ვიზიტორი სტუმრობდა. მათი უმეტესობა არის გერმანიის, პოლონეთის, რუსეთის, ბელგიის, ნიდერლანდების და ლიტვის მოქალაქე.




2017 წლის განმავლობაში ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი აპრილის, მაისის, ივნისის, აგვისტოს, სექტემბრისა და ოქტომბრის თვეებში სტუმრობდა. ვიზიტორთა დატვირთულობის მხრივ მაისი გამოირჩეოდა.






ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები


2017 წელს ეკო-ტურისტული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 59529.72 ლარი. რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 19 %-ით არის გაზრდილი.






შემოსავლები სერვისების მიხედვით


2017 წელს ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე ყველაზე მეტი შემოსავალი მიღებული იყო ბუნგალოებისა და სასტუმროს გაქირავებით. ასევე შესვლის ღირებულებითა და თევზაობით. საერთო შემოსავლის 33%-მიღებულია ბუნგალოების გაქირავებიდან, 28%- სასტუმროს გაქირავებიდან. 26%-შესვლის გადასახადი, საკარვე ადგილი-9%, თევზაობა-2%, რუკა-1%






ვიზიტორთა გამოკითხვა, შედეგების ანალიზი

2017 წლის განმავლობაში გამოკითხული იქნა 683 ვიზიტორი. ვიზიტორთა უმეტესობა 26-35 წლამდე ასაკისაა, მათი უმეტესობა, (66%) სამოგზაუროდ იმყოფება მეგობრებთან ერთად. ვიზიტის მოტივი კი ძირითადად ველურ ბუნებაში ლაშქრობაა. ვიზიტორების უმეტესობა კომბინირებულ ტურებს ანიჭებს უპირატესობას.






თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან


ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ბროშურები, სარკვევები, საველე მეგზურები და სხვადასხვა საინფორმაციო მასალები გავრცელდა საჯარო სკოლებში, კვების ობიექტებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში. ინფორმაცია ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შესახებ გადაეგზავნა 25-მდე ტურისტულ სააგენტოსა და მოლაშქრეთა კლუბს. მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად ხორციელდებოდა ვიზიტორებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ეკოტურისტული მომსახურებების უზრუნველყოფა და დაჯავშნა.


ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან. ადმინისტრაციის წარმომადგენლები ჩართულები არიან რეგიონის განვითარების ხელშეწყობის პროექტებში, ბიოსფერული რეზერვატის დაარსებასთან დაკავშირებით შექმნილ სამოქმედო ჯგუფსა და დაცული ტერიტორიებისთვის სტრატეგიული დოკუმენტების განხილვასა და შემუშავებაში.

ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელი

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიის მიმდებარედ ტურიზმის სფეროში ჩართული ადამიანების რაოდენობა 2017 წლისათვის 119 ერთეულია. მათი საშუალო შემოსავალი თვეში დაახლოებით-300-500 ლარს შეადგენს (სეზონურად). ასევე გაიზარდა საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტებისა და მაღაზიების რაოდენობა.







ინფრასტრუქტურა

2017 წლის განმავლობაში რეგულარულად მიმდინარეობდა არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, ვაშლოვანის ცენტრალურ ბუნგალოებთან აშენდა 4 გარე საშხაპე და 4 საპირფარეშო. მაისის თვეში მთელ დაცულ ტერიტორიაზე განახლდა საინტერპრეტაციო (დახრილი) დაფების სტიკერები (17 დაფა). ნოემბრის თვეებში განახლდა არწივის ხეობის ბუნების ძეგლის და დათვის ხევის საინფორმაციო დაფების სტიკერები. ნოემბრის თვეში მოხდა ასევე ახალი საგზაო (მიმართულების) და სასაზღვრო ნიშნულების მონტაჟი. სრულად განახლდა საგზაო ნიშნულები დედოფლისწყარო - ცენტრალური შესასვლელი - მიჯნისყურის; დედოფლისწყარო - ვაშლოვანი - ჩიღოელთხევის; დედოფლისწყარო - პანტიშარა - სამუხი - ბუღა მოედანი - ნათლისწყლის ხეობის მიმართულებებზე, სულ 55 საგზაო ნიშნული. ვაშლოვანის უბნის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟდა 15 ცალი ახალი სასაზღვრო ნიშნული.


დეკემბრის თვეში სრულად განახლდა საგზაო ნიშნულები ცენტრალური შესასვლელი - დილიჩა - შავი მთა; ტახისწყალი - მიჯნისყურის მიმართულებებზე (7 სასაზღვრო და 20 საგზაო ნიშნული).

დაცვის განყოფილება

2017 წელს თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ გამოყოფილი იქნა 22 სოციალური დანიშნულების ჭრის ტყეკაფი, საიდანაც გაწერილი იქნა 634 ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტი, გაცემული ხე-ტყის საერთო მოცულობამ შეადგინა 2443.09 მ^{3}საშეშე მერქანი.
2017 წლის განმავლობაში თბილისის ეროვნული პარკის მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიების დაცვის მიზნით, ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული იქნა 11000 პატრულირება, მაქსიმალურად მოწმდებოდა ცხელი წერტილები და ხდებოდა ღამის რეიდების ჩატარება.

2017 წელს თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი იქნა 5 - სისხლის სამართლის და 65 - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის 16 - ხე-ტყის უკანონო ჭრა, 5 - ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება, 11 - რეჟიმის დარღვევა, 12 - უკანონო თევზჭერა, 9 - უკანონო ნადირობა, 3 - უკანონო ძოვება, 2-ტერიტორიის დანაგვიანება და 7-სხვა სამართალდარღვევა.

აღნიშნულ სამართალდარღვევებზე შედგა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები.
გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა 159320,84 ლარი.



2005-2017 წლების გამოვლენილი ფაქტების გრაფიკი




ხანძარსაშიში პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით მოხდა თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე არსებული სახანძრო გზების ჩახერგილობებისაგან გაწმენდა. მუდმივად მიმდინარეობს რეინჯერების მიერ საპატრულო ბილიკებზე მოძრაობა. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში სოფელ ვეჯინის მიმდებარედ გაჩნდა ხანძარი, რომელიც თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და სამაშველო სამსახურის ერთობლივი მუშაობით დროულად იქნა ლიკვიდირებული, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ხანძრების ჩაქრობაში (აბასთუმანი, ანდაკის ხეობა, საავჭალო).





საკონტროლო რევიზიების შედეგად საგურამოს, გლდანისა და ღულელების უბნებზე გამოვლინდა 1,25 მ^3 ხე-მცენარეების უკანონოდ მოპოვების ფაქტები. გარემოზე მიყენებული ზიანის თანხამ შეადგინა 504,75 ლარი.

2017 წლის განმავლობაში ადგილი ქონდა ტერიტორიის დანაგვიანების 2 ფაქტს, რაზედაც შედგა შესაბამისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები, წარმოგიდგენთ დანაგვიანების ფაქტების სტატისტიკას:



მომზადდა 2016 წლის „ბუნების მატიანე“.


მომზადდა და სააგენტოში გადმოიგზავნა 2016 წლის სტატისტიკური ფორმები.

მიმდინარე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა პარკის ტერიტორიაზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის სახეობების მონიტორინგი, ხდებოდა მცენარეული საფარის შეფასება.


გარეულ ცხოველთა მონიტორინგის მიზნით დამონტაჟდა ფოტომახეები სხვადასხვა უბნებზე რეინჯერებისა და უბნის უფროსი რეინჯერების მიერ მოწოდებული ინფორმაციების საფუძველზე წარმოგიდგენთ ცხოველა რიცხოვნობის გრაფიკს:

ადმინისტრაციის თანამშრობლების მიერ გროვდებოდა ინფორმაცია პარკში გავრცელებულ ძირითად სახეობის ცხოველთა რაოდენობაზე. 2017 წლის პირველ და მეორე კვარტლებში თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე ნანახი იქნა შემდეგი სახეობის ცხოველები:

ცხოველთა რიცხოვნობის გრაფიკი თვეების მიხედვით



ცხოველთა რიცხოვნობის გრაფიკი წლების მიხედვით



ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობის სფეროში, პარტნიორობის ჩართულობის გაზრდის მიზნით, თბილისის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ მოეწყო შეხვედრა მცხეთის, თიანეთის და გლდანი-ნაძალადევის სერვის ცენტრის ხელმძღვანელობასთან, დაისახა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთობლივი თანამშრომლობის ორგანიზების გეგმა.

თბილისის ეროვნული პარკის მიმდებარე სკოლებში ეკო-საგანმანათლებლო დონის ამაღლებისა და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით ეროვნული პარკის მიმდებარე საჯარო სკოლებში ჩატარდა ეკო გაკვეთილები თემაზე:

„ საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსება, მნიშვნელობა და განვითარება“

„თბილისის ეროვნული პარკი და მისი განვითარების პერსპექტივა“

„ბიომრავალფეროვნება და ადამიანი, მისი მდგომარეობა, საფრთხეები, პრობლემები“ მოკლე მიმოხილვა.

2017 წლის განმავლობაში ჩატარებულ გარემოსდაცვითი ღონისძიებების სტატისტიკა ეკო-განათლების სფეროში თვეების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

თებერვლის თვეში საგურამოს, გალავნის და წეროვანის საჯარო სკოლებში გარემოსდაცვით ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 250-ადამიანმა, მ.შ. 232- მოსწავლე და 18 -პედაგოგი.

მარტის თვეში მისაქციელის, თბილისის №208 და № 209 საჯარო სკოლებში ეკო-გაკვეთილი მოისმინა 245 -ადამიანმა. მ.შ 223 -მოსწავლე და 22 -პედაგოგი.

აპრილის თვეში მცხეთის № 1, №2 და წილკნის საჯარო სკოლებში ლექცია-სემინარი 337 - ადამიანმა, მ.შ 317- მოსწავლე 20 -პედაგოგი.

მაისის თვეში მარტყოფის, ძალისის და წეროვანის საჯარო სკოლებში ლექცია-სემინარი მოისმინა 360 - ადამიანმა, მ.შ. 340 მოსწ. 20 პედ.

ოქტომბრის თვეში ღულელების, საყდრიონის და ნაქალაქარის საჯარო სკოლებში ეკო-გაკვეთილი ჩაუტარდა 181- ადამიანს, მ.შ. 159- მოსწავლე და 22 -პედაგოგი.

ნოემბრის თვეში გლდანი, საგურამო და წილკნის საჯარო სკოლებში ეკო-გაკვეთილი ჩაუტარდათ 175 ადამიანს, მ.შ. 163- მოსწავლე და 12 -პედაგოგი.

დეკემბრის თვეში ეკო-გაკვეთილი ჩაუტარდა 185 ადამიანს, მ.შ. 177 - მოსწავლე და 8- პედაგოგი.

მოეწყო გეგმიური შეხვედრები ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიებთან არსებულ სოფლის მოსახლეობასთან, სადაც მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია ბუნებრივი რესურსებით კანონიერად სარგებლობის შესახებ. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 2700-ადამიანმა.

სულ 2017 წლის განმავლობაში ლექცია სემინარი ჩატარდა 23-საჯარო სკოლაში, ასევე ჩატარდა 50-საინფორმაციო და 5-სამუშაო შეხვედრა, კვალიფიკაცია აუმაღლდა 2 თანამშრომელს.

ჩატარებული ღონისძიებებიდან მნიშვნელოვანია მწვანე აქცია, რომელიც მოეწყო მისაქციელის საჯარო სკოლაში. დაირგო 200-მდე ფოთლოვანი და წიწვოვანი ჯიშის ხე.

ეკო-განათლების ღონისძიებებში და სხვადასხვა შეხვედრებში ჩართული იყო 1611 - მოსწავლე და 122 - პედაგოგი, სულ 1733 ადამიანი.

თითქმის ყოველდღე ძირითადად რეინჯერების მიერ ხდებოდა დანაგვიანებული უბნების დასუფთავება.


2017 წლის აგვისტოს თვეში საერთაშორისო ორგანიზაცია „არვატო ბერტელსმანმა“ თბილისის ეროვნულ პარკში თანამშრომლების ერთ გუნდად შეკვრის მიზნით (team building), ღონისძიება ჩაატარა. კომპანიის წარმომადგენლებმა თავდაპირველად ტერიტორია დაასუფთავეს, შემდგომ კი ორგანიზაციის თანამშრომლებისთვის სხვადასხვა ტიპის აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.






სულ ჩატარდა დასუფთავების 175-აქცია, აქციებში მონაწილეობა მიიღო 300-მდე სკოლის მოსწავლემ.

2017 წლის განმავლობაში ეკო-ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 4733- ადამიანმა.



ვიზიტორტა სტატისტიკა


თბილისის ეროვნულ პარკს 2017 წლის განმავლობაში 52 015 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (35 439 ვიზიტორი) 47%-ით არის გაზრდილი.



დიაგრამა 1. თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით 2010-2017წწ

2017 წლის მონაცემებით თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა 85% (25 696 ვიზიტორი) ქართველი, ხოლო 15% (7988 ვიზიტორი) უცხოელი ვიზიტორია.

2017 წელს ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 107%-ით (2016წ 21 269 ქართველი ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა შემცირებულია 43 %-ით (2016წ 14 170 უცხოელი ვიზიტორი).



დიაგრამა 2. ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ

2017 წლის 24 სექტემბერს თბილისის ეროვნულ პარკში მოეწყო ღამის ველო-ტური („საბადურობა"), რომელიც დაიწყო გლდანში (ქერჩის ქუჩა) და დასრულდა საბადურის ტყეში, მონაწილეებმა 30 კმ-იანი რთული გზა გაიარეს. საბადურის ტყეში მათვის პიკნიკი და ელექტრონული მუსიკის საღამო მოეწყო. თბილისის ეროვნულ პარკში ველო-ტური უკვე მე-6 წელია იმართება და მისი მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა და დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციაა.

2017 წელს თბილისის ეროვნულ პარკში გაიწმინდა საფეხმალო ბილიკი (ზედაზენი-დიდველი-მამკოდა) და განახლდა ბილიკის მარკირება. ასევე ოფიციალურად გაიხსნა საბადურის ტყის ტურისტული ინფრასტრუქტურა. პროექტის ფარგლებში საბადურის ტყეში მოეწყო საპიკნიკე, საკარვე და ცეცხლის დასანთები ადგილები, განთავსდა საინფორმაციო დაფები. ინფრასტრუქტურა ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, დაცული ტერიტორიების სააგენტომ გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მწვანე ბორჯომთან“ ერთად მოაწყო.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

რეინჯერებისთვის ყოველი თვის ბოლოს დგინდება მომდევნო თვის საპატრულო და მორიგეობის გეგმები, რომელთა მიხედვითაც ახორციელებენ რეინჯერები თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

არსებულ საპატრულო ბილიკებს დაემატა ჩაღმის (№11 და №12), პირიქითისა და ჭანჭახოვნის უბნების საავტომობილო საპატრულო მარშრუტები.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 18 აპრილის №6 ბრძანების საფუძველზე სპეროზას უბანზე ჩატარდა საგაზახფულო გეგმიური რევიზია.

თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის №9 ბრძანების საფუძველზე, 10 ივნისიდან 25 ივნისის ჩათვლით, თუშეთის დაცული ტერიტორიების ჩაღმის, ჭანჭახოვნის, გომეწრისა და პირიქითის უბნებზე ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია.

რევიზიების შედეგად კანონდარღვევები არ დაფიქსირებულა.

თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 15 სექტემბრის №15 ბრძანების საფუძველზე ჩაღმის, ჭანჭახოვნის, პირიქითისა და გომეწრის უბნებზე, ხოლო 14.112017 წლის # 18 ბრძანების საფუძველზე სპეროზას უბანზე ჩატარდა საშემოდგომო გეგმიური რევიზიები. რევიზიების შედეგად კანონდარღვევები არ დაფიქსირებულა.

საკონტროლო რევიზიების ჩატარება საგაზაფხულო და საშემოდგომო გეგმიური რევიზიების ჩატარების შემდეგ

გეგმიური და საკონტროლო რევიზიების დასრულების შემდეგ, დაცული ტერიტორიებზე რევიზიების ჩატარებისა და არსებული მდგომარეობის შესახებ სააგენტოს მიეწოდა ინფორმაცია, როგორც საგაზაფხულო ისე საშემოდგომო რევიზიების შესახებ.

განისაზღვრა ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილები, ბრაკონიერობის პოტენციური ადგილები და მისასვლელები და მოინიშნა რუკაზე.

1. ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება

დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად გაიმართა შეხვედრები ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან და მიწის საიჯარო კომისიასთან, აგრეთვე სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ კახეთის მომსახურების ცენტრში - თუშეთში საძოვრების მართვის ერთიანი მიდგომების ჩამოყალიბების თაობაზე.

დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან ერთად მიმდინარეობს თუშეთში ხე-ტყის მოპოვების წესების შემუშავება.

2. ჰაბიტატებისა და სახეობების დაცვა

წლის განმავლობაში: ჩაღმის უბანზე განხორციელდა- 95 პატრულირება და რეინჯერებმა გაიარეს 2111 კმ (1030 კმ ფეხით, ცხენით- 553 კმ და ავტომობილით- 528 კმ). სპეროზას უბანზე განხორციელდა - 82 პატრულირება და გაიარეს - 2250 კმ (2150 ფეხით და 100 მანქანით), ჭანჭახოვნის უბანზე განხორციელდა 12 პატრულირება და რეინჯერებმა გაიარეს 560 (224კმ ცხენით, 296 მანქანით და 40 ფეხით); გომეწრის უბანზე განხორციელდა 18 პატრულირება და გავლილი იქნა 1313 კმ ცხენით, პირიქითის უბანზე შესრულდა 11 პატრულირება და რეინჯერებმა გაიარეს 669კმ (62 კმ ფეხით, 532 კმ. ცხენით და 75 კმ მანქანით).

სულ განხორციელდა **218** პატრულირება და რეინჯერებმა გაიარეს **6903** კმ (3282 ფეხით, 2622კმ ცხენით და 999 კმ მანქანით).

2017 წლის განმავლობაში გამოვლინდა 4 სამართალდარღვევა - 3 უკანონო ძოვება და 1 რეჟიმის დარღვევა.

თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსმა განახორციელა 48 მოულოდნელი რეიდი.

დაცვის განყოფილების უფროსმა ჩაატარა შიდა ტრენინგი, რომლის დროსაც რეინჯერებს მიაწოდა ინფორმაცია ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.

ზაფხულის სეზონზე გვალვიანი პერიოდის დადგომის შემდგომ, რეინჯერებმა ადგილობრივი ფერმერები გააფრთხილეს ხანძარსაშიში პერიოდის დადგომის შესახებ და მოუწოდებდნენ სიფრთხილისკენ.

3. კანონაღსრულების სისტემის გაძლიერება

სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა რეინჯერებს ჩაუტარა ტრენინგი - „ცხოველთა ინფექციური დაავადებები და მასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებები“.

GIZ-ის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „საქართველოში ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების შერჩევა“ ფარგლებში, ილიას უნივერსიტეტის სპეციალისტების მიერ ჩატარდა

ტრენინგი - სპეციალურ დაცულ ტერიტორიებზე ფრინველთა აღრიცხვის მეთოდებზე (საველე სამუშაო).

GIZ-ის მიმდინარე პროექტის ფარგლებში რეინჯერებს ჩაუტარდათ ტრენინგი - ელექტროღობის მონტაჟი და მისი მნიშვნელობა საძოვრების მართვისა და აღდგენის პროცესში

4. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

GIZ-ის მიმდინარე პროექტის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო თუშეთის დაცული ტერიტორიებისა და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციების თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა და ფერმერები; ტრენინგის მთავარი საკითხები იყო: ელექტროღობის მნიშვნელობა საძოვრების მართვისა და აღდგენის პროცესში, ელექტროღობის მონტაჟი, როტაციული ძოვების სქემის შემუშავების პრინციპები;

GIZ-ის მიერ ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში არსებული საძოვრების შეფასებისთვის მონაცემები შეგროვდა პირიქითის და ჭანჭახოვნის ხეობებში.

ჩეხმა სპეციალისტებმა თუშეთის დ/ტ ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად, ივნისის თვეში მონიშნეს დამატებით სანიმუშო ფართობები სახელმწიფო ნაკრძალისა და დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებზე.

ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიმდინარე პროექტის - „ტყის ინვენტარიზაცია თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე“ ფარგლებში, აგვისტოს თვეში სამუშაო შეხვედრა გამართეს ჩეხმა სპეციალისტებმა მენდელის უნივერსიტეტის სატყეო ფაკულტეტიდან და ენტომოლოგებმა პრაღის უნივერსიტეტიდან, შეხვედრისას განიხილეს დაცულ ტერიტორიებზე მონიშნულ ფართობზე მიმდინარე სამუშაოები. მონიშნული ნაკვეთის ფართობია 1600 ჰა და მოიცავს როგორც სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის , ასევე დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებს.


GIZ-ის მიმდინარე პროექტის ფარგლებში, სოფელ შენაქოში ელექტროღობით შემოღობილ ტერიტორიაზე შემუშავდა როტაციული ძოვების სქემა. მონაწილეობდნენ თუშეთის დ/ტ-ს და თუშეთის დ/ლ-ს ადმინისტრაციების თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

2016 წლის მონაცემების საფუძველზე მომზადდა ბუნების მატიანე.


2016 წლის განმავლობაში მოპოვებული მონაცემების დამუშავების შედეგად შეივსო სტატისტიკური ფორმები.

ამინდზე დაკვირვება განხორციელდა ჩაღმის (ომალო) და სპეროზას უბანებზე, ჩაღმის უბანზე მოპოვებული ტემპერატურული მონაცემების შესახებ იხ. დიაგრამა №2



დიაგრამა №2

მიმდინარე წელს ცხოველებსა და ფრინველებზე დაკვირვებისშედეგად მოპოვებული მონაცემები დამუშავდა და მომზადდა 2016-2017 წლის ცხოველთა და ფრინველთა რაოდენობების დინამიკის გრაფიკები, იხ. დიაგრამები №3 და №4.




დიაგრამა №3 ფრინველების დინამიკა 2016-2017 წ.



დიაგრამა №4

მსხვილი ძუძუმწოვრების წითელიწუსხისსახეობების შესახებ მოპოვებული მონაცემებიდამუშავდადათვეების მიხედვით მომზადდა დიაგრამა №5




დიაგრამა №5

განხორციელებული სამეცნიერო კვლევები დაცულ ტერიტორიებზე

მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში სამეცნიერო კვლევები არ განხორციელებულა;

2016 წელს, ორგანიზაცია NACRES-მა მოწვეულ სპეციალისტებთან ერთად ჩაატარა საძოვრების გეო-ბოტანიკური კვლევა; ჩეხმა ენტომოლოგებმა 5 სხვადასხვა ფერომონებს შორის ჩაატარეს კვლევა Tomicus minor დაIpsacuminatus - ხოჭოების დასაჭერადეფექტიანობის განსასაზღვრად.
გარდა ამისა, 2010 წელს, NACRES-მა განახორციელა მსხვილი ძუძუმწოვრების - ჯიხვისა და ნიამორის პოპულაციების კვლევა და ფრინველების სახეობების დადგენა, 2012 წელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს კვლევა სამკურნალო, ენდემური და წითელი ნუსხის მცენარეების შესახებ და ჯიხვისა და ნიამორის პოპულაციების რიცხოვნობის დადგენა, 2012-2015 წლებში, კრკონოშას ეროვნული პარკის სპეციალისტი ატარებს კვლევას თუშეთში გავრცელებული ფრინველების სახეობების შესახებ, 2014 და 2016 წელს GIZ ატარებს საძოვრების კვლევას. (თუშეთში წლების მიხედვით განხორციელებული კვლევების შესახებ იხ. დიაგრამა №6).



დიაგრამა №6

ტყის მასივებში, როგორც ფიჭვნარ ასევე ფოთლოვან კორომებში ფიტოპათოლოგიური მავნებლების გავრცელება არ შეინიშნება.

2008 წელს, ფიჭვნარი კორომების ძლიერ ქარქცეულ ტერიტორიებზე მასობრივად გავრცელება დაიწყო ქერქიჭამია ხოჭომ (Tomicus minor), რომელმაც გავრცელებისპიკსმიაღწია 2011-13 წლებში; 2013 წელსქართველმადაუცხოელმასპეციალისტებმაჩაატარესკვლევები; შემდგომ წლებში ქერქიჭამია ხოჭოს გავრცელებამ იკლო და ამ ეტაპისთვის მისი გავრცელების კერები აღარ შეინიშნება.

ეკოგანათლება

ჩეხეთის მიმდინარე პროექტის ფარგლებში ჩეხმა სპეციალისტებმა მოამზადეს რეკომენდაციები თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ტყის რესურსების მოპოვების შესახებ.

ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების სპეციალისტმა ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარა სემინარი თუშეთში გავრცელებული საკვებად ვარგისი და სამკურნალო მცენარეების შესახებ.

ზაფხულის მიწურულს დასრულდა ნაგავსაყრელის მშენებლობა სოფელ ომალოში, სადაც განხორციელდება ნარჩენების დახარისხება და მათი ტრანსპორტირება კახეთში. ნარჩენების მართვის საკითხებზე რეინჯერებმა ადგილობრივებს შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდეს.

21 აპრილს გაიმართა შეხვედრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და ადგილობრივი ფერმერებთან (მეცხვარეები) ტრადიციული ძოების აღდგენა დანერგვასთან დაკავშირებით.

ზაფხულის სამუშაო პერიოდში ადგილობრივებსა და ფერმერებს, რეინჯერები პერიოდულად აწვდიდნენ ინფორმაციას ხე-ტყის მოპოვების წესების შესახებ.

ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის და თუშეთში ეკო-ბანაკის მონაწილე სტუდენტებისთვის ჩატარდა სემინარები თუშეთის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, სტუდენტები ასევე ჩართულები იყვნენ კულტურული ძეგლების აღდგენის საქმიანობებში.

ქვემო ალვანის საჯარო სკოლისა და ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის ეკო-კლუბებთან ერთად მოეწყო გამწვანების აქციები.

განახლდა „რა? სად? როდის?“ თამაშის კითხვები და ჩატარდა ქვემო ალვანის საჯარო სკოლაში, მონაწილეობდნენ VIII-X კლასის გუნდები.

ამ დროისთვის Facebook-ზე ფუნქციონირებს ადმინისტრაციის 2 გვერდი - "თუშეთის ფორუმი" და "თუშეთის ეროვნული პარკი", სადაც თავსდება ინფორმაცია ადმინისტრაციის საქმიანობის შესახებ: ტურისტული სეზონის განმავლობაში ყოველკვირეულად შემოსული ვიზიტორების სტატისტიკა; ფოტოხაფანგით გადაღებული ცხოველების შესახებ ფოტო და ვიდეო მასალა; ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი თუ მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია და სხვა.

მარტის თვეში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ: GIZ-ის, თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის, თუშეთის დაცული ლანდშაფტის, ადგილობრივი მოსახლეობის და ახმეტის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო GIZ-ის მიმდინარე პროექტის ფარგლებში მიმდინარე საქმიანობების გაცნობა და 2018 წლისთვის საჭიროებების გამოვლენა და საქმიანობების დაგეგმვა.

ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასში ჩატარდა სემინარი „დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული და აკრძალული საქმიანობები". 24 მაისს ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მერვე კლასში ჩატარდა სემინარი „თუშეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიები, დაშვებული და აკრძალული ქმედებები".

ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მეშვიდე კლასში და ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მერვე კლასში ჩატარდა სემინარი „ თუშეთში გავრცელებული წითელი ნუსხის სახეობები".

ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მეექვსე კლასში ჩატარდა სემინარი „ თუშეთის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა, კატეგორიები, საზღვრები და ქცევის წესები";ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მეექვსე კლასში ჩატარდა სემინარი „ თუშეთის დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა, კატეგორიები, საზღვრები და ქცევის წესები";

30 მარტს - ქვემო ალვანის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია ნარჩენების მართვის შესახებ. 16 მაისს, ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მეოთხე კლასში ჩატარდა სემინარი ნარჩენების მართვის შესახებ. 30 მაისს, ქვემო ალვანის №2 საბავშვო ბაღში ჩატარდა სემინარი „ შევინარჩუნოთ სუფთა გარემო".

ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა გამწვანების აქცია რომლის დროსაც სკოლის ეზოში დაირგო კვიპაროსის ნერგები.

ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მეოთხე კლასში ჩატარდა სემინარი „მსხვილი ძუძუმწოვრები თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე".

22 მარტს, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მეგობართა ასოციაციის მხარდაჭერით, ზემო ალვანის №2 და ქვემო ალვანის საჯარო სკოლებში ჩატარდა გამწვანების აქციები, დაირგო ტუიას და ბზის ნერგები.

ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის მეშვიდე კლასში ჩატარდა სემინარი „თუშეთის ფრინველების წითელი ნუსხისა და კავკასიის ენდემური სახეობები".

ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ნახატების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ზემო ალვანის №1 და №2 და ქვემო ალვანის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

22 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მოაწყეს დასუფთავების აქცია, დასუფთავდა სოფელ ქვემო ალვანის ცენტრალური ნაწილი, ცენტრალური გზა და მიმდებარე ტერიტორია

22 მაისს, ზემო ალვანის საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი თუშეთის ბიომრავალფეროვნება.

ქვემო ალვანის მეცხრე კლასში ჩატარდა სემინარი ტყის ჭრისა და მისი უარყოფითი შედეგების შესახებ.


ზემო ალვანის საჯარო სკოლის მეცხრე კლასში ჩატარდა სემინარი „ხანძრების უარყოფითი გავლენა ეკო-სისტემებზე“.

24 მარტს, ზემო ალვანის №2 საჯარო სკოლის VII-XI კლასის მოსწავლეებს მიეწოდათ ინფორმაცია დედამიწის საათის შესახებ; ქვემო ალვანის საჯარო სკოლის $X^{ა}$ და $X^{ბ}$ კლასის მოსწავლეებისთვის მოეწყო ეკო-ტური, რომლის დროსაც მოსწავლეებმა მოინახულეს, თუშეთის დაცული ტერიტორიების სპეროზას უბანი, ხადორის ჰიდროელექტრო სადგური, ხადორის ჩანჩქერი და ბაწარას ნაკრძალი; მოეწყო ქვემო ალვანის ფოლკლორის სახლის მოსწავლეების ბანაკი - მონაწილეობდა 12 მოსწავლე და 3 მასწავლებელი.


ეკოვიზიის ეკობანაკის მონაწილეებს ჩაუტარდათ სემინარი თუშეთის დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნების შესახებ.

უფროსი რეინჯერები, რეინჯერები და ბუნებრივი რესურსების მართვის უფროსი სპეციალისტი შეხვდნენ მოსახლეობას, მიაწოდეს ინფორმაცია თუშეთის დაცული ტერიტორიების კატეგორიების საზღვრების და დაშვებული და აკრძალული ქმედებების შესახებ, გააფრთხილეს მოსახლეობა ხანძარსაშიში პერიოდის დადგომის შესახებ და მიაწოდეს ინფორმაცია ხანძრების პრევენციისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების (ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული ღონისძიებები (დიაგრამა №9) და მონაწილეთა რაოდენობები (დიაგრამა №10)).

დიაგრამა №9




დიაგრამა №10




ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წელს, თუშეთის დაცული ტერიტორიები მოინახულა 14306-მა ვიზიტორმა, აქედან 5335 საქართველოს, ხოლო 8971 უცხო ქვეყნის მოქალაქე.


2017 წელს, წინა წელთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე 4%-ით გაიზარდა. ვიზიტორთა რაოდენობის ზრდაზე დიდი გავლენა იქონია მედიის საშუალებით თუშეთის აქტიურმა პოპულარიზაციამ და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანიზებით აგვისტოს დასაწყისში გამართულმა სახალხო დღესასწაულმა „თუშეთობა“-მ. განსაკუთრებით ტურისტულად დატვირთული თვეები ივლისი და აგვისტო იყო.




დიაგრამა 1. ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



დიაგრამა 2. თუშეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ



დიაგრამა 3. ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა თანაფარდობა 2016-2017წწ




დიაგრამა 4. ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წწ

საერთაშორისო ვიზიტორები


2017 წელს თუშეთის დაცული ტერიტორიები მოინახულა 8971 უცხოელმა ვიზიტორმა. ყველაზე მეტი ვიზიტორი თუშეთის დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა გერმანიიდან 8% (1353 ვიზიტორი),

ისრაელიდან 13% (1188 ვიზიტორი), პოლონეთი 12% (1056 ვიზიტორი), ჩეხეთი 10% (925 ვიზიტორი), აშშ 7 % (576 ვიზიტორი).




დიაგრამა 5. თუშეთის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო ვიზიტორები 2017წ

ტურისტული სეზონის განმავლობაში, თუშეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 8778 ლარი, მათ შორის იჯარის თანხა შეადგენს 6211 ლარს.



დიაგრამა 6. კოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები2012-2017წწ.



დიაგრამა 7. კოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2017წ.

ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები

2017 წელს ვიზიტორთა უმრავლესობას 26-35 წლის ადამიანები შეადგენდნენ, გამოკითხული ვიზიტორების 39% ქალი, ხოლო 61% მამაკაცია.

გამოკითხული ვიზიტორების 5% სამანქანე ტურებს ანიჭებს უპირატესობას, 52% - საფეხმავლოს, 15% - საცხენოსნო, 28% - კომბინირებულს.

ღამის გათევას კარავში ამჯობინებს ვიზიტორების 23%, ტურისტულ თავშესაფრებში – 9%, საოჯახო სასტუმროში – 49%, ვიზიტორთა ცენტრში – 19%.

გამოკითხული ვიზიტორების 88%-ს მიაჩნია, რომ ტურისტული მომსახურების ხარისხი საშუალოა, ხოლო 8% ფიქრობს, რომ ტურისტული მომსახურების ხარისხი საჭიროებს გაუმჯობესებას.

გამოკითხული ვიზიტორების 33% მიაჩნია, რომ ტურისტული მომსახურების ფასი მაღლია, 59% ფიქრობს, რომ საშუალოა, ხოლო 8% მიიჩნევს, რომ ტურისტული მომსახურების ფასი არის დაბალი.

გამოკითხული ვიზიტორების 38%-ის აზრით ტურისტული ინფრასტრუქტურა კარგია; 8% მიიჩნევს რომ ცუდია, 54% თვლის რომ საჭიროებს გაუმჯობესებას

გამოკითხულ ვიზიტორთა 89%-ს აქვს სურვილი მოინახულოს საქართველოს სხვა დაცული ტერიტორიები, მათ უმრავლესობას სურს რომ ეწვიოს ყველა დაცულ ტერიტორიას საქართველოში. განსაკუთრებით პოპულარულია ბორჯომ-ხარაგაულის, ვაშლოვანის, მტირალას, ხევსურეთის, სათაფლიას და ლაგოდეხის ეროვნული პარკები, რომელთა ნახვაც შემდგომში სურს თუშეთში ამოსულ ვიზიტორს. 11% არ აქვს გადაწყვეტილი. გამოკითხული ვიზიტორებიდან არც ერთი არ აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც არ სურს მომავალში სხვა დაცული ტერიტორიის მონახულება საქართველოში.

ბუნებაში მოგზაურობის დროს 56% მარტივ, მაგრამ სრულფასოვან ინფრასტრუქტურას ანიჭებს უპირატესობას. 15% - გადაადგილების საშუალებების არსებობას. 29% - სისუფთავეს.

კითხვაზე, თუ საიდან შეიტყვეს თუშეთის დაცული ტერიტორიების შესახებ, ვიზიტორთა 39%-მა უპასუხა რომ ინტერნეტიდან. 31% - პირადი რეკომენდაცია; 24% - რადიო/ტელევიზია; 6% - ტურისტული სააგენტო.

ვიზიტორთა 17% სამოგზაუროდ იმყოფებოდა მარტო; 45% - ოჯახთან ერთად; 38% - მეგობრებთან ერთად.

2017 წლისთვის, თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებობს შემდეგი სახის ტურისტული ინფრასტრუქტურა: ადმინისტრაციულ შენობაში არსებული ვიზიტორთა ცენტრი და სასტუმრო, 1 ჰოსტელი, 1 ტურისტული თავშესაფარი, 3 რეინჯერთა სადგური, 1 საკემპინგე და საპიკნიკე ადგილი, 11 ტურისტული მარშრუტი, 47 საორიენტაციო/მიმართულების ნიშანი, 59 საინფორმაციო და საინტერპრეტაციო დაფა, 2 საჯინიბო, ქუეს და ვიზიტორთა ცენტრის გადასახედი.

2017 წელს, ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან და დაცული ლანდშაფტის ამდინისტრაციასთან თანამშრომლობით, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე განხორციელდა მანიშნებლების დამონტაჟება.

თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული და მიმდინარე პროეტები

- 2017 წელს, „შერჩევითი ღონისძიებების განხორციელება თუშეთის დაცული ლანდშაფტის მენეჯმენტის გეგმიდან" პროექტის ფარგლებში ჩეხეთის დანვითარების სააგენტოს დახმარებით დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე განხორციელდა მანიშნებლების დამონტაჟება.

- CNF-ის დაფინანსებით, გარემონტდა ვიზიტორთა ცენტრთან არსებული საპირფარეშო ხოლო აშენდა ახალი საპირფარეშო სამხევში, რეინჯერთა სადგურთნ.

- მსიოფლიო ბანკის დაფინანსებით 2012 წელს დაიწყო სოფელ დართლოს და კესელოს ციხე-კოშკების აღდგენა/რეაბილიტაცია და წელს დასრულდა ეს პროექტი, რომელსაც ზედამხედველობას უწევდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა

2017 წლის 12 აგვისტოს ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარედ ჩატარდა სახალხო დღესასწაული „თუშეთობა/მეცხვარის დღე 2017“, სადაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც თუშური ფოლკლორისა და ტრადიციული ხელოვნების წარმომადგენელები, ასევე მოწვეული სტუმრები. გაიმართა ადგილობრივი ხელსაქმის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა, თუშური სამზარეულოს დეგუსტაცია, ტრადიციული თამაშები, დოღი და კონცერტი. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა ტურისტებთან ერთად ადგილობრივმა მოსახლეობამაც მიიღო. მათ წარმოადგინეს ადგილობრივი პრდუქცია და მოამზადეს ტრადიციული კერძები.

კულტურულ-საგანმანათლებლ საქმიანობის მიზანს თუშეთის უნიკალურ კულტურულ ფასეულობების შესახებ ახალგაზრდების ინტრესის სტიმულირება და მათი ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს.

2017 წლის განმავლობაში, ზემო და ქვემო ალვანის საჯარო სკოლებში, მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრეზენტაციები თუშეთის კულტურული ფასეულობების შესახებ.

გიდების მომზადების პროგრამით გათვალისწინებული ყოველკვირეული ლექცია-სემინარები გაიმართა ქვემო ალვანის საჯარო სკოლის IX-XI კლასის მოსწავლეებთან.

გიდების მომზადების პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა ლექცია-სემინარები შემდეგ თემებზე: თუშეთის ისტორიის და კულტურის ზოგადი მიმოხილვა, ორგანიზებული ტური და ბუნების ინტერპრეტაცია, თუშეთის არქიტექტურა და განსახლების სისტემა, თუშეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება და ეკო-კულტურული ტრადიციები, თუშური არქიტექტურის ტიპოლოგია, თუში ქალისა და კაცის ტალავარი და ტრადიციული ხელსაქმე, თუშეთის ისტორია-კულტურის ზოგადი მიმოხილვა

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

ტურისტული სეზონის განმავლობაში ვიზიტორთა მომსახურების სპეციალისტები ეხმარებოდნენ ვიზიტორებს სასტუმროსა და ტრანსპორტის დაჯავშნაში, ინდივიდუალური ტურების მოწყობასა და გიდის მომსახურებაში. მათ აგრეთვე მიეწოდათ ინფორმაცია თუშეთის კულტურული და ბუნებრივი ფასეულობების შესახებ, ადმინისტრაციის მიერ რეკომენდაცია გაეწია ეკოტურებს, მათ შორის, "ქუე"-Aს გადასახედს, ნიამორებზე დასაკვირვებლად და ორეთის ტბას, მათი რეკომენდაციის საფუძველზე, 150-მდე ტურისტული ჯგუფი იმყოფებოდა ნიამორებზე დასაკვირვებლად;

ვიზიტორთა ცენტრში ვიზიტორებს უტარდებოდათ პრეზენტაციები თუშეთის კულტურული ფასეულობების შესახებ, რომელიც მოიცავდა თუშეთის ისტორიას, არქიტექტურას, მითოლოგიას, რწმენა-წარმოდგენებს და ა.შ.





მიმდინარეობდა შეხვედრები თუშეთის თემში დაგეგმილი პროექტების გაცნობის მიზნით, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართულნი თემის წარმომადგენლები.

განხორციელდა პასპორტირებული ეკოტურისტული ბილიკების და საოჯახო სასტუმროების შესახებ ინფორმაციის განახლება, რაც მთელი წლის განმავლობაში გადაეგზავნა საქართველოში შემომყვან 500-მდე ტურისტულ კომპანიას.

აგვისტოს თვეში სასწავლო-გაცვლითი ტურის ფარგლებში, რომელიც მაჭახელას ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით მოეწყო, თუშეთის დაცულ ტერიტორიებს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები სტუმრობდნენ. ვიზიტორთა ცენტრში მათ მიეწოდათ ინფორმაცია ადმინისტრაციის საქმიანობის და თუშეთის ისტორიულ-კულტურული ფასეულობების შესახებ.

თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტ მოხალისეებთან ერთად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ ვიზიტორთა ცენტრში, პანორამული ხედის, შენაქო-დიკლოსა და შენაქო-აგეურთის ბილიკების გასუფთავება ხეებისა და ნარჩენებისგან;
- ✓ სოფელ დართლოს რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობა;
- ✓ დასუფთავების აქციები ადმინისტრაციული შენობის, სოფელ ომალოს, სოფელ შენაქოსა და დართლოს მიმდებარედ;

2017 წლის 27 იანვარს, თუშეთის განვითარების ფონდისა და თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა თუშეთში არსებულ საოჯახო სასტუმროს მეპატრონეებსა და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, რომლებიც თუშეთის უმეტესი ნაწილის ინტერნატიზაციას უზრუნველყოფენ. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა საოჯახო სასტუმროების ინფორმაციით უზრუნველყოფა ინტერნეტის ხარისხის, დაფარვის ზონის და ფასწარმოქმნის შესახებ.

ინტერნეტიზაციის პროექტის ფარგლებში ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ განახორციელა ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება და მათი ტექნიკური აღჭურვა. 29 ბენეფიციარმა მიიღო 150 ლარის ღირებულების ერთჯერადი ვაუჩერები და დაფინანსება. ტურიზმში დასაქმებულთა უმრავლესობა დარეგისტრირებულია Booking.com, airbnb-სა სხვა პლატფორმებზე, რომელთა საშუალებითაც ახდენს საკუთარი პროდუქტის/სერვისის რეალიზაციას.


2017 წლის 3 თებერვალს გაიმართა შეხვედრა თუშეთის სივრცით მოწყობასთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლები ასევე სხვა დაინტერესებული პირები. აღნიშნული პროექტი ხორციელდება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

2017 წლის 15 აპრილს „თუშეთის განვითარების ფონდის“ ინიციატივით ქვემო ალვანში გაიმართა შეხვედრა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა თუშეთში დაგეგმილი პროექტების განხილვა, კერძოდ ახალი გზისა და აეროპორტის მშენებლობა. შეხვედრას ესწრებოდნენ თუშეთის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები, ადგილობრივი მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული პირები.


„თუშეთის განვითარების ფონდის“ მიერ ორგანიზებული ექსპედიციის "თუშეთის გზამკვლევის" წევრებმა 2017 წლის 18 აგვსტოს ომალოში, ვიზიტორთა ცენტრში, შეხვედრა გამართეს დაინტერესებულ მხარეებთან, სადაც განიხილეს მათი მოგზაურობის პირველი ნაწილი. ექსპედიცია მოეწყო იმ ბილიკზე სადაც იგეგმება პანკისის მხრიდან თუშეთისკენ ახალი გზის მშენებლობა. შეხვედრას ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ესწრებოდნენ თუშეთის ეროვნული პარკის რეინჯერები და თუშეთის სივრცით განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი, „სტუდია 21“.

ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელი

2017 წელს საოჯახო სასტუმროების რაოდენობა (50 სასტუმრო) 2016 წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა და მათი რაოდენობა 50-ია. საწოლ-ადგილების საერთო რაოდენობა კი შეადგენს 680-ს.




ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავალმა 2017 შეადგინა 1 437 000 ლარი, რაც 2016 წლის შემოსავლებთან შედარებით 6%-ით მეტია.



ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლები წყაროების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად:

- საოჯახო სასტუმროები - 916 000 ლარი;
- მძღოლები - 362 500 ლარი;
- ცხენების გამქირავებლები - 97 000 ლარი;
- გიდები - 13 000 ლარი;
- ტრადიციული ხელსაქმის მწარმოებლები - 23 000 ლარი;
- ადგილობრივი პროდუქტის მწარმოებლები - 25 500 ლარი.



2017 წელს ტურიზმის სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 2016 წელთან შედარებით 6%-ით გაიზარდა. მათი გადანაწილება კი შემდეგნაირია:

- საოჯახო სასტუმროები - 123 ადამიანი;
- მძღოლები - 59 ადამიანი;
- ცხენების გამქირავებლები - 21ადამიანი;
- გიდები - 4 ადამიანი;
- ტრადიციული ხელსაქმის მწარმოებლები - 18 ადამიანი;

ადგილობრივი პროდუქტის მწარმოებლები - 17 ადამიანი.

იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

სამოქმედო გეგმის შესაბამისად, განვლილი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ხდებოდა ადმინისტრაციის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით, რეინჯერთა პატრულირების, სადღეღამისო მორიგეობის და სამცველოების მოულოდნელი შემოწმების გეგმა-გრაფიკების დამტკიცება.

2017 წლის განმავლობაში სათაფლიას ნაკრძალსა და აღკვეთილში სულ განხორციელდა 300 პატრულირება. ფეხით გავლილმა მანძილმა შეადგინა 1615 კმ. აქედან რეინჯერების მიერ 240-ჯერ მანძილით 1270 კმ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 60 - ჯერ მანძილით 345კმ. პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე სულ განხორციელდა 291 პატრულირება. გავლილმა მანძილმა შეადგინა 748 კმ. აქედან რეინჯერების მიერ 247 - ჯერ მანძილით 617 კმ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 44 - ჯერ მანძილით 131 კმ.

სულ აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა 591 პატრულირება საერთო მანძილით-2363კმ, აქედან რეინჯერების მიერ 487 პატრულირება მანძილით-1887კმ, ხოლო ადმინისტრაციის მიერ 104-პატრულირება მანძილით -476კმ.

აპრილის თვეში ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 6 აპრილი #15 ბრძანების შესაბამისად, კომისიის მიერ 6-12 აპრილის განმავლობაში ჩატარდა სამცველოების გეგმიური საგაზაფხულო რევიზია, რევიზიის დამთავრებისთანავე ჩატარდა საკონტროლო რევიზია, შედგა შესაბამისი აქტები, ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სააგენტოს. ამავე თვეში დაცვის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ შესაბამისი ინსტრუქტაჟი ხანძარსაშიში პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით, ასევე გადამოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარ-აღჭურვილობის ვარგისიანობა, შედგა შესაბამისი აქტი.





საანგარიშო პერიოდში გარემოს დანაგვიანების და სხვა სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ივლისი–აგვისტოს თვეებში რეინჯერებისა და ადმინისტრაციის მიერ ხანძარსაშიშ ადგილებში გაძლიერდა პატრულირება, ვიზიტორების მიეწოდა ინფორმაცია ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ქცევის წესებზე.

სექტემბრის თვეში ადმინისტრაციის: რეინჯერებს, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს და ვიზიტორთა მომსახურეობის სპეციალისტებს ჩაუტარდათ სემინარი: სადაც გაეცნენ, უსაფრთხოების და პირველადი დახმარების გაწევის წესებს.

ნოემბრის თვეში ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 30 ოქტომბრის #44 ბრძანების შესაბამისად კომისიის მიერ 1-10ნოემბრს ჩატარდა სამცველოების გეგმიური საშემოდგომო რევიზია, რევიზიის დამთავრებისთანავე ჩატარდა საკონტროლო რევიზია, შედგა შესაბამისი აქტები, ანგარიშის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სააგენტოს.

ყოველთვიური ანგარიში გაწეულული საქმიანობის შესახებ მიეწოდება ადმინისტრაციას.

<u>სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი</u>

ამა წლის 1 კვარტლის განმავლობაში სათაფლიას, პრომეთეს, საწურბლიასა და დათვის მღვიმეებში დამონტაჟებული აპარატიდან (დატალოგერი) ინფორმაცია გადმოწერილია და დამუშავებულია.

პრომეთეს მღვიმეში გამავალ არსებული მეთოდიკის შესაბამისად შემოწმებული იქნა მღვიმეში გამავალი წყლის გამტარიანობა და მარილიანობა.

საანგარიშო პერიოდში არასისტემურ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

მიმდინარეობს ფოტოარქივის შევსება ფოტოაპარატითა და ფოტოხაფანგით. შემოღებულია სპეციალური ჟურნალი სადაც ხდება ფოტოხაფანგით გადაღებული ფოტოებისა და ვიდეომასალის აღრიცხვა.




მიმდინარეობს მსხვილი ძუძუმწოვრებისა და ფრინველების მონიტორინგი. დაკვირვებებით გაზრდილია შვლებისა და მგლების რიცხოვნება, რაც დასტურდება ფოტომოსალითა და ვიზუალური კონტაქტით.

კოლხურ ტყეში მიმდინარეობს ტყის დაავადებების მონიტორინგი. კოლხურ ტყეში არსებული კოლხური ბზა მასიურად გახსმა, რაც შეეხება მუხასა და წაბლს დაავადებულია და საჭიროებს შემდგომ კვლევებს.

მომზადდა 2016 წლის ბუნების მატიანე. ყოველდღიურად ხდება მასალების შეგროვება 2017 წლის მატიანეს შესაქმნელად.

იანვრის თვეში მომზადდა 2016 წლის სტატისტიკური ფორმები, რომელიც მიეწოდა სააგენტოს შესაბამის სამსახურს.

სისტემატიურად მიმდინარეობს მეტეოროლოგიური მონაცემების აღრიცხვა. მონაცემები აღირიცხება სპეციალურ ჟურნალში.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე იანვრის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა: 10^0c. მაქსიმუმი დაფიქსირდა 7 იანვარს 22^0c. მინიმუმი 24 და 29 იანვარს -4^0c. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა: 340მმ. მზიანი დღეების რაოდენობა იყო 10.

სათაფლიაზე იანვრის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა: 8^0c. მაქსიმუმი დაფიქსირდა 7 იანვარს 18^0c. მინიმუმი 29 იანვარს- 6^0c. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა: 340მმ. მზიანი დღეების რაოდენობა იყო 10.

პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა: 13^0c. მაქსიმუმი დაფიქსირდა 25 თებერვალს 27^0c. მინიმუმი 3 თებერვალს-2^0c. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა: 510მმ. მზიანი დღეების რაოდენობაიყო 10.

სათაფლიაზე თებერვლის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა: 10^0c. მაქსიმუმი დაფიქსირდა 25 თებერვალს 23^0c. მინიმუმი მინიმუმი 3 თბერვალს -4^0c. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა: 520მმ. მზიანი დღეების რაოდენობა: 10.


პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე მარტის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა: 12 ^{0}c. მაქსიმუმი დაფიქსირდა 7 მარტს 22^0c. მინიმუმი 28 მარტს -1^0c. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა: 240მმ. მზიანი დღეების რაოდენობა იყო 11.

სათაფლიაზე მარტის თვის საშუალო ტემპერატურამ შეადგინა: 8^0c. მაქსიმუმი დაფიქსირდა 7 მარტს 19^0c. მინიმუმი 29 იანვარს -2^0c. ნალექების საერთო რაოდენობამ შეადგინა: 260მმ. მზიანი დღეების რაოდენობა: 11.


წლევანდელი წლის პირველი კვარტალი გამოირჩეოდა ნალექების სიუხვით და ტემპერატურის დაბალი მაჩვენებლით.

პრომეთეს მღვიმეში ყოველდღიურად, სათაფლიას მღვიმეში კვირაში ერთხელ, ხოლო ნავენახევის მღვიმეში თვეში ერთხელ ხორციელდება არსებული მიკროკლიმატის (ტემპერატურა, ტენიანობა) მონიტორინგი. შედეგები ფიქსირდება სათანადო ჟურნალსა და ელექტრონულ ცხრილებში. ტემპერატურისა და ტენიანობის საშუალო თვიური მაჩვენებლები მღვიმეებისათვის შემდეგია:


პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (იანვარი) **პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (იანვარი)**




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (თებერვალი)




პრომეთეს მღვიმე ტენიანობა, (თებერვალი)




პრომეთეს მღვიმე, ტემპერატურა (მარტი)




პრომეთეს მღვიმე, ტენიანობა (მარტი)




პრომეთე, ტემპერატიურა (აპრილი)




პრომეთე, ტენიანობა (აპრილი)




პრომეთე, ტემპერატიურა (მაისი)




პრომეთე, ტენიანობა (მაისი)




პრომეთე, ტემპერატურა (ივნისის)




პრომეთე, ტენიანობა (ივნისის)




სათაფლია, ტემპერატურა (იანვარი)




სათაფლია, ტენიანობა (იანვარი)




სათაფლია, ტემპერატურა (თებერვალი)




სათაფლია, ტენიანობა (თებერვალი)




სათაფლია, ტემპერატურა (მარტი)




სათაფლია, ტენიანობა (მარტი)




სათაფლია, ტემპერატურა (აპრილი)




სათაფლია, ტენიანობა (აპრილი)




სათაფლია, ტემპერატურა (მაისი)




სათაფლია, ტენიანობა (მაისი)




სათაფლია, ტემპერატურა (ივნისი)



სათაფლია, ტენიანობა (ივნისი)





თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (იანვარი)

	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,8	13,7	13,5
ტენიანობა	96,8	97,4	98,1
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (თებერვალი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,7	13,6	13,5
ტენიანობა	96,4	97,5	98,1
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა (მარტი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13,6	13,6	13,5
ტენიანობა	96,5	97,3	98,0
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა, ტენიანობა (აპრილი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13	13,6	13
ტენიანობა	96	97,5	98
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა, ტენიანობა (მაისი)		
	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13	13,6	13
ტენიანობა	96	97,5	98
თარიღი	ნავენახევის მღვიმე, ტემპერატურა, ტენიანობა (ივნისი)		

	მღვიმის შესასვლელი	ცენტრალური ნაწილი	მღვიმის ბოლოში
ტემპერატურა	13	13,6	13
ტენიანობა	96	97	98

პრომეთეს მღვიმეში გამავალ მდინარეში მარილიანობისა და გამტარიანობის განსასაზღვრად **განხორციელებული ქმედება.** არსებული მეთოდიკის შესაბამისად შემოწმებული იქნა მღვიმეში გამავალი წყლის გამტარიანობა და მარილიანობა.

საანგარიშო პერიოდში არასისტემურ მოვლენებს ადგფილი არ ჰქონია.

მიმდინარეობს ფოტოარქივის შექმნა ფოტოაპარატითა და ფოტოხაფანგით. შემოღებულია სპეციალური ჟურნალი სადაც ხდება ფოტოხაფანგით გადაღებული ფოტოებისა და ვიდეომასალის აღრიცხვა.

მსხვილი ძუძუმწოვრებისა და ფრინველების მონიტორინგი. დაკვირვებებით გაზრდილია შვლებისა და მგლების რიცხოვნება, რაც დასტურდება ფოტომოსალითა და ვიზუალური კონტაქტით.

კოლხურ ტყეში მიმდინარეობს ტყის დაავადებების მონიტორინგი. კოლხურ ტყეში არსებული კოლხური ბზა მასიურად გახმა. რაც შეეხება მუხასა და წაბლს დაავადებულია და საჭიროებს შემდგომ კვლევებს.

ეკოგანათლება

2017 წელს იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლებოდა როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე დაცული ტერიტორიების ვიზიტორები. ამ მიზნით იანვრის თვეში სამიზნე ჯგუფებისათვის მომზადდა სპეციალური პრეზენტაციები, რომლებიც დაეგზავნა რეგიონის საჯარო სკოლებს.

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლები იანვარი - დეკემბრის თვეში შეხვდენენ და საგანმანათლებლო საუბრები ჩაატარეს: ქუთაისის N40 საჯარო სკოლაში (15 მოსაწავლე), ქ. წყალტუბოს სოფ. ბანოჯის საჯარო სკოლაში (12 მოსაწავლე), ქ. ქუთაისის N17 საჯარო სკოლაში (14 მოსაწავლე), ქ. წყალტუბოს N2 საჯარო სკოლაში(13მოსწავლე) წყალტუბოს სოფ. ყუმისთავის საჯარო სკოლაში (10 მოსწავლე), ქუთაისის N2 საჯარო სკოლაში (15მოსწავლე), N15 საჯარო სკოლაში (13 მოსწავლე), ქუთაისის N41 საჯარო სკოლში (14მოსწავლე), ქუთაისის N9 საჯარო სკოლაში (17 მოსწავლე), ქუთაისის N1 საჯარო სკოლაში (15 მოსწავლე), ქუთაისის N32 საჯარო სკოლა (18 მოსწაველი), ქუთაისის #23საჯარო სკოლა (16 მოსწავლე), ქუთაისის #48 საჯარო სკოლა (16 მოსწავლე), ქუთაისის #8 საჯარო სკოლა (22 მოსწავლე), ტყიბულის საჯარო სკოლა

(10მოსწავლე), თერჯოლის საჯარო სკოლა (11მოსწავლე), ქუთაისის #12 საჯარო სკოლა (15მოსწავლე), ქუთაისის #30 საჯარო სკოლა (15 მოსწავლე), წყალტუბოს #3 საჯარო სკოლა (20 მოსწავლე), ქუთაისის #34 საჯარო სკოლა (18 მოსწავლე), ქუთაისის #18 საჯარო სკოლა (14 მოსწავლე), ქუთაისის #7 საჯარო სკოლა (14 მოსწავლე), ქუთაისის #36 საჯარო სკოლა (17 მოსწავლე), შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ. მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურები.

სემინარებში სულ მონაწილეობა მიიღო: 347 მოსწავლემ და 41 პედაგოგმა.

ადმინისტრაციამ მწვანე კალენდრის მიხედვით საანგარიშო პერიოდში ჩაატარა შემდეგი აქტიობები:

14 მარტს - სიცოცხლის, წყლის და მდინარეების დაცვის დღეს - სათაფლიას აღკვეთილში ქ. წყალტუბოს სოფელ ყუმისთავის საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით გაიმართა ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

25 მარტს - დედამიწის საათის დღეს სათაფლიას საგანმანათლებლო მოედანზე ქ. ქუთაისის N2 საჯარო სკოლის მონაწილეობით, ჩატარდა ,,დედამიწის საათი''-სადმი მიძღვილი ღონისძიება.

1 აპრილს – ფრინველთა დაცვის საერთაშორისო დღეს - ჩატარდა ღონისძიება პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე ქ. ქუთაისის N15 საჯარო სკოლის მონაწილეობით. მასში მონაწილეიბა მიიღო 22 მოსწავლემ და 6 პედაგოგმა.

22 აპრილს – დედამიწის საერთაშორისო დღეს - ჩატარდა ღონისძიება სათაფლიას აღკვეთილის საგანმანათლებლო მოედანზე ქ. ქუთაისის სამხატვრო სკოლის 20 მოსწავლისა და 4 პედაგოგის მონაწილეობით.

19-24 აპრილს – ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეებზე - ჩატარდა ღონისძიება სათაფლიას აღკვეთილში ქუთაისის N2 საჯარო სკოლის 25 მოსწავლისა და 3 პედაგოგის მონაწილეობით.

22 მაისს – ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეს - ჩატარდა ღონისძიება სათაფლიას აღკვეთილში. მასში მონაწილეობა მიიღო ქ ქუთაისის N 40 საჯარო სკოლის 50 მოსწავლემ და 3 პედაგოგმა.

5 ივნისს – გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს - ჩატარდა გასვლითი საველე ტური სათაფლიას მიმდებარე ზონებში, ქ ქუთაისის N 23 საჯარო სკოლის მოსწავლეების და მასწავლებლების მონაწილეობით. მასში მონაწილეობა მიიღო 32 მოსწავლემ და 2 პედაგოგმა.


2017 წლის განმავლობაში ადმინისტრაცია შეხვდა სოფ. ბანოჯის სოფ. ხომულის, სოფელ ნავენახევის და სოფელ ცუცხვათის მოსახლეობას. შეხვედრაში სულ მონაწილეობა მიიღო 80 ადგილობრივმა მცხოვრებმა და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა. მათ განემარტათ დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული და აკრძალული საქმიანობა, საუბარი შეეხებოდა ასევე დაცულ ტერიტორიებზე დაგეგმილ ქმედებებს.

27 სექტემბერს–ტურიზმის საერთაშორისო დღეს–სათაფლიას ტერიტორიაზე მოსულ ვიზიტორებს მიეწოდათ დამატებითი ინფორმაცია, ტურიზმის მომავალი განვითარებისა გეგმების, მისი აუცილებლობის და საზოგადოებისგან საჭირო ხელშეწყობის თემებზე.

4 ოქტომბერს- ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღეს წყალტუბოს #3 სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩატარდა ღია გაკვეთილი ცხოველთა სამყაროს და ველურ ბუნების განსაკუთრებულ როლზე დედამიწის არსებობისთვის.

აღნიშნულ პერიოდში 8-ჯერ ჩატარდა დასუფთავების აქცია, რაშიც ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად მონაწოლეობდნენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, ბანოჯის სკოლის მოსწავლეები, ქუთაისის უნივერსიტეტის სტუდენტები. სულ აქციებში მონაწილეობა მიიღო 130 ადამიანმა.

თებერვალი - მარტის თვეში ადმინისტრაციამ ჩაატარა სოციოლოგიური გამოკითხვა. გამოკითხული იქნა 100 რესპოდენტი. ანგარიში გადაიგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.




ვიზიტორთა სტატისტიკა


სათაფლიას 2017 წლის განმავლობაში 85507 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 9,2%-ით არის გაზრდილი.

ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 62,5% (53572 ქართველი ვიზიტორი) ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 37,5%-ს (31935 უცხოელი ვიზიტორი).

2017 წლის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 1%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 27%-ით.



დიაგრამა 1. სათაფლიას ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წ




დიაგრამა 2. პრომეთეს მღვიმის ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წ

პრომეთეს 2017 წლის განმავლობაში 163923 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 18,6%-ით არის გაზრდილი.

აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 38,2% (62650 ქართველი ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 61,8%-ს (101273 უცხოელი ვიზიტორი).

2017 წლის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 1,8%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 32%-ით.




დიაგრამა 3. იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წ

2017 წლის განმავლობაში იმერეთის მღვიმეებს 249430 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 15,2%-ით არის გაზრდილი.

აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 46.6% (116222-ქართველი ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 53,4%-ს (133208-უცხოელი ვიზიტორი).


2017 წლის მონაცემებით 2016 წლის მონაცექართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 1,5%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 30,7%-ით.



დიაგრამა 4. სათაფლიას უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ

სათაფლიაზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 2017 წლის მდგომარეობით გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 27%-ით.


უცხოელ ვზიიტორებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა სათაფლიას რუსეთიდან 21,8%. ისრაელიდან 14%. საუდ.არაბეთიდან 11,7%. პოლონეთიდან 10,6%, უკრაინიდან 5,7%.



დიაგრამა 5. პრომეთეს მღვიმის უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ


პრომეთეს მღვიმის ბუნების ძეგლზე უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა 2017წლის მდგომარეობით გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 32%-ით.

უცხოელ ვზიიტორებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა პრომეთეს მღვიმეს რუსეთიდან 25,5%. ისრაელიდან 11,4%. პოლონეთიდან 10%. საამიროებიდან 8,7%, უკრაინიდან 7,2%.




დიაგრამა 5. სათაფლიას ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ

2017 წლის მონაცემებით, 2016 წელთან შედარებით შემოსავლების რაოდენობა გაზრდილია 29,1%-ით. 2017 წლის განმავლობაში სათაფლიას ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 499 019 ლარი, ხოლო 2016 წლის შემოსავლებმა კი 386 541 ლარი.




დიაგრამა 6. სათაფლიას ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2017წ



დიაგრამა 7. პრომეთეს მღვიმის ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ.

2017 წლის მონაცემებით, 2016 წლის მონაცემებთან შედარებით შემოსავლების რაოდენობა გაზრდილია 103,3%-ით. 2017 წლის განმავლობაში პრომთეს მღვიმის ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 1 887 064,15 ლარი, 2016 წლის შემოსავლებმა კი 927 994 ლარი.




დიაგრამა 8. პრომეთეს მღვიმის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2017წ


2017 წლის მონაცემებით, 2016 წლის მონაცემებთან შედარებით იმერეთის მღვიმეების დცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა გაზრდილია 81,5%-ით. 2017 წლის განმავლობაში მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 2 386 083,15 ლარი, ხოლო 2016 წლის შემოსავლებმა კი 1314535 ლარი.


2017 წლის მაჩვენებლებით პრომეთეს მღვიმის ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები იმეერთის მღვიმეების ტურისტული შემოსავლების 79,1%-ია, ხოლო სათაფლიას შემოსავალი 20,9%.

სათაფლიას ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები:



პრომეთეს მღვიმის ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები





კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

2017 წლის 12 თვის განმავლობაში კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი ქმედებების ფარგლებში დაცული ტერიტორიის განვითარების, ბიომრავალფეროვნების დაცვა-მონიტორინგის, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ეკოსაგანმანათლებლო და ეკოტურისტული საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

დაცვის განყოფილების მუშაობა 2017 წლის 12 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა გეგმის შესაბამისად, განხორციელდა შემდეგი ქმედებები და ღონისძიებები:

პატრულირების გეგმების შედგენა - დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ დაცვის სტრატეგიის განსაზღვრა

ტერიტორიის დაცვის კონტროლის გაუმჯობესება, დარღვევების მინიმუმამდე დაყვანა და დარღვევების დროულად აღმოფხვრა.


გასული წლების მონაცემების ანალიზის შედეგად: განისაზღვრა ანთროპოგენული ზეგავლენის „ცხელი წერტილები“ - სამართალდარღვევების ტიპების მიხედვით, შედეგად განისაზღვრა ყოველკვირეული საპატრულო მარშრუტები და წარმოებს სისტემატიური პატრულირება უბნებისა და სარეინჯეროების მიხედვით.

2017 წლის 12 თვის მდგომარეობით რეინჯერთა მიერ განხორციელებულია საფეხმავლო მარშუტებზე შემოვლა **269-ჯერ,** ხოლო ადმინისტრაციის მიერ **81-ჯერ. სულ 350-ჯერ.** გავლილია ფეხით **9672 კმ,** ავტომანქანით **6325 კმ.** ცხენით **270** კმ. საერთო ჯამში გავლილი და გარბენილია **16267კმ**. 2017 წლის 12 თვის მონაცემებით გამოვლინდა სამართალდარღვევის **4** ფაქტი. 2017 წელში გამოიყო 25 $მ^3$ II ხარისხის ხე-ტყე რაც ათვისებულია. მონაცემები ატვირთულია ერთიან მონაცემთა ბაზში.

ინფორმაცია გამოვლენილ და დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე:

2017 წლის 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა დარღვევებზე შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 4 ოქმი მათ შორის:

- 2(ორი) ოქმი - თევზჭერის წესების დარღვევა - გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა
- 1 (ერთი) ხე-ტყის უკანონო ჭრა- გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, დაეკისრა გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება 42.90 ლარი.
- 1 (ერთი) ოქმი - ხანძრის გაჩენა- ჯარიმა 150 ლარი.



ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

ხანძარსაშიშ პერიოდში ხორციელდება ინტენსიური პატრულირება დაცვის განყოფილების თანამშრომლების მიერ სადაც არსებობს საფრთხე ხანძრის გაჩენის. 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით გამოვლინდა 1 ფაქტი.

სახანძრო ტექნიკა–აღჭურვილობის ვარგისიანობის მდგომარეობა კარგია. შედგენილია ადმინისტრაციის ტერიტორიების რუქა, დატანილია ხანძრის გაჩენის ადგილებზე პირობითი ნიშნები და ჩაბარებულია რეინჯერებზე. (სახანძრო ტექნიკა 3 ცალი ცეცხლჩამქრობი ზურგზე მოსაკიდი და 3 ცალი მეხანძრის ტანსაცმელი– 3 ცალი რეზინის ჩექმები).

საკონტროლო რევიზიების შედეგები

2017 წელის 12 თვის მდგომარეობით ჩატარებულია გეგმიური საგაზაფხულო და საკონტროლო რევიზიები. რევიზიების შედეგად ტერიტორიაზე რაიმე სახის დარღვევა არ გამოვლენილი

დანაგვიანების ფაქტები და სტატისტიკა

2017 წლის 12 თვის მდგომარეობით კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე დანაგვიანების ფაქტი არ გამოვლენილა.


კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე არსებულ ინფრასტრუქტურაზე: საპიკნიკე ადგილებზე და სველ წერტილებზე შესაცვლელია სახურავები.

სამეცნიერო კვლევა დამონიტორინგი

მუდმივად წარმოებს მერქნიანი მცენარეების ზოგიერთ სახეობაზე ფენოლოგიური დაკვირვება, რეიჯერებს სპეციალურ ცხრილში გროვდება დაკვირვების მონაცემები.


მომზადებულია 2016 წლის „ბუნების მატიანე” და მომზადდა მასალები 2017 წლის „ბუნების მატიანე“ -სათვის.

ყოველდღიურად ხდება მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვება რეინჯერების მიერ, შეგროვებული ინფორმაცია ინახება კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში.
მუდმივად წარმოებს ამინდის და სტიქიური მოვლენების აღრიცხვა. 27 იანვარს დაიწყო თოვლი, თოვლის საფარმა სოფ. ცხემვანში მიაღწია 130 სმ, სხვა სტიქიური მოვლენები არ დაფიქსირებულა.
სისტემატიურად მიმდინარეობს მონიტორინგი და ინფორმაციის შეგროვება, იშვიათი, რელიქტური და ენდემური მცენარეების (კოლხური ბზა, წაბლი, უთხოვარი, უნგერნის შქერი, დეკა და სხვა) შესახებ. ძირითადი იმფორმაცია მოპოვებულია და შედგენილია სიები, დადგენილია მათი გავრცელების არეალი.
მუდმივად წარმოებს საქართველოს „წითელი ნუსხის" ცხოველების მონიტორინგი და მათი საბინადრო ადგილების რუკაზე დატანა.
სისტემატიურად წარმოებს საქართველოს „წითელი ნუსხი"-ს ცხოველების (მურა დათვის, ფოცხვერის, არჩვის) მონიტორინგი, შეხვედრიანობის ჩანიშვნა და საბინადრო ადგილების შესწავლა, იდენტიფიცირებულია საბინადრო ადგილები და გავრცელების არეალი დატანილია რუკაზე.



მუდმივად მიმდინარეობს მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი, მათი არეალის დადგენა და კვალის მონაცემების მიხედვით მათი აღრიცხვა, ასევე რეინჯერების შეხვედრიანობის ჩანაწერის და ფოტოხაფანგის საშუალებით გადაღებული კადრების მიხედვით ხდება მსხვილი ძუძუმწოვრების დათვლა.

სტატისტიკა წითელი ნუსხის სახეობების, 6 თვის მონაცემები 2016-2017 წლის.



სისტემატიურად ხორციელდება ფრინველების მონიტორინგი და მნიშვნელოვანი ადგილების გამოიყო, როგორც გადამფრენი ასევე მობუდარი ფრინველების, ხდება მათი რიცხოვნობის დადგენა.

ფოტოაპარატის და ფოტოხაფანგის მეშვეობით გადაღებულია ფლორისა და ფაუნის ფოტოები.




მოწყობილია მუდმივი სანიმუშო ფართობები: ხინოს #2 სარეინჯეროში და ხინოს #3 სარეინჯეროში, რომელზეც მიმდინარეობს დაკვირვება და მასალების შეგროვება.

წარმოებს მაღალი კონსერვაციული ღირებულების მცენარეების მონიტორინგი. ესენია: აჭარული ხახვი, წაბლი, ჩვეულებრივი თხილი, ქართული კაკალი, უნგერნის შქერი, მედვედევის არყი, პონტოს მუხა, დიდფოთოლა იორდასალამი.

ფლორის სამიზნე სახეობების, მაღალი კონსერვაციული მერქნიანი და ბუჩქნარი მცენარეების სახეობების მონიტორინგი: უთხოვარი, პონტოს მუხა, კოლხური ბზა, მედვედევის არყი, უნგერნის შქერი, კაკალი, წაბლი მიმდინარეობდა მონიტორინგი, აღნიშნული სახეობების ზრდა განვითარება მიმდინარეობს, კოლხური ბზა გამხმარია, გადარჩენილია მხოლოდ რამოდენიმე ეგზემპლარი.

წარმოებს კავკასიური შურთხისა და კავკასიური როჭოს მონიტორინგი.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

ეკოსაგანმანათლებლო აქტივობების 2016 – 2017 წლის სტატისტიკა 12 თვის მიხედვით.

კონტრიშის დაცული ტერიტორიები 2016-2017 წელი.



თანამშრომლობა ხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის 39 სკოლასთან, ასევე საზოგადოებრივ კოლეჯი „ახალი ტალღასთან“ ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტთან.





პარტნიორი საგანმანათლებლო ორგანიზაციები და მათთან თანამშრომლობა

პარტნიორი საგანმანათლებლო ორგანიზაციებს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები, რომლებთანაც თანამშრომლობა ხორციელდება, ეკო-საგანმანათლებლო სემინარების წარდგენით, ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, ასევე დასუფთავების აქციების და სხვა აქტივობებში ჩართულობით. 2017 წლის 12 თვის მიხედვით ეკო-საგანმანათლებლო, ლექცია -სემინარი ჩატარდა 37 საჯარო სკოლაში და 2 უმაღლეს სასწავლებელში. სემინარებს ესწრებოდა 1423 მოსწავლემ და 134 პედაგოგი, 148 სტუდენტი, ჩატარდა 12 ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა, რაშიც 330 ადგილობრივი მოსახლე იღებდა მონაწილეობას.

საერთო ჯამში ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობაში 12 თვის მონაცემებით ჩართული იყო 2035 ადამიანი.




სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები

სოციოლოგიური გამოკითხვა ჩატარდა, კინტრიშის დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში, რაშიც მონაწილეობა მიიღო 100 ადამიანმა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტთან.


ეკოპროექტები

ქობულეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის? რაშიც მონაწილეობას იღებდა 8 საჯარო სკოლა. გამარტვებული სკოლის მოსწავლეებს გადაეცათ საჩუქრად წიგნები.





კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს 2017 წელს 5 384 ვიზიტორი ესტუმა, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 5%-ით არის გაზრდილი (5 138 ვიზიტორი).


2017 წლის მონაცემებით კინტრიშის დაცული ტერიტორიების 69% (3733 ვიზიტორი) ქართველი, ხოლო 31% (1651 ვიზიტორი) უცხოელია.



დიაგრამა 1. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2008-2017წწ




დიაგრამა 2. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წწ




დიაგრამა 3. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წწ

2017 წლის მონაცემებით კინტრიშის დაცული ტერიტორიების ქართველი ვიზიტორების რაოდენობა (3733 ვიზიტორი) 2016წლის მონაცემებთან შედარებით (4125 ვიზიტორი) შემცირებულია 9%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 62%-ით (2017წ - 1651 ვიზიტორი, 2016 წ - 1013 ვიზიტორი).



დიაგრამა 4. კინტრიშის დაცული ტერიტორიების უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორტა პირველი ხუთეული

ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა 2017 წელს 821 ლარია. ვიზიტორთა თავშესაფრის გაქირავებიდან - 535 ლარი, საპიკნიკე ადგილის გაქირავებიდან -270 ლარი, პარალონის და საკარვე ადგილების გაქირავებიდან - 16 ლარი.





დიაგრამა 5. კინტრიშის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

საინფორმაციო ფლაერები, ტურისტული რუკები გავრცელდა ინდივიდუალურ ტურისტებზე, ბათუმისა და ქობულეთის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში, სასტუმროებში, ტურისტულ სააგენტოებში: „აკარ ტური“, „გურ თრეველი“, ევრო ტურს“, “ლიბერთი ჯორჯია”, “ინტერტრეველ”, “ბ ა თუმი ავია ტური”, “არგო ტური“ და სხვა, ასევე ტურიზმით დაინტერესებულ სხვა დაწესებულებებში. კინტრიშის დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა აჭარაში არსებული სხვადასხვა საჯარო თუ კერძო დაწესებულებებს. ადმინისტრაციის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს Expo Batumi 2017 ტურისტულ გამოფენაში, სადაც დაინტერესებულ პირებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ.

ტურისტული სერვისების შეთავაზების მიზნით ადმინისტრაცია იმყოფებოდა ქობულეთში არსებულ სასტუმროებში და საოჯახო სასტუმროებში : „სანაპირო“, „პანორამა“, „გრინ ჰაუსი“, „რენესი“, „ნაციონალი“, „აიეტი“,კრისტალ GB”, “Beach Club “ , “კენტი”, „ აუა ჰაუს“და სხვა. ბათუმში არსებულ ბრენდულ სასტუმროებში: „ჰილტონი“, „შერატონი, „რედისონ ბლუ“, „ინტურისტ პალასი“, „კოლიზეუმ მარინა“, პრეზიდენტ პალასი“, „გოლდენ პალასი“ და სხვა.





კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილებისა და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტების მიერ (,,კოლხეთის", ,,სენაკისა და კაცობურის", ,,ზუგდიდის", ,,ხობის", უბნებში) დადგინდა ანთროპოგენული ზეგავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიები, სამართალდარღვევის ტიპების გათვალისწინებით და დატანილია რუკებზე.

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველთვიურად დგება ახალი პატრულირების მარშრუტის განმსაზღვრელი გრაფიკები და ბარდებათ დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს.

დადგენილია ანთროპოგენული ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადგილები და აყვანილია მკაცრ კონტროლზე.

1) პალიასტომზე გასასვლელი 8 მარტის ხიდიდან

2) პალიასტომის ტბაზე გასასვლელი მალთაყვის ხიდიდან.

3) ხიდი მდ. ცივზე.

4) შავღელეს შესასვლელი.

5)ფართოწყლის მიდამოები.

6) ხობის წყლის შესართავი ზღვასთან.

7) სენაკის უბანში ბორანი მდ. რიონზე.


8) მდ. ჭურია და მისი ყველა შენაკადი არხები.

9) შავიზღვის სანაპირო მდ. რიონის შესართავიდან ყულევის ტერმინალამდე.

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველთვიურად იგეგმება ახალი პატრულირების მარშრუტის განმსაზღვრელი გრაფიკები და ბარდებათ უბნის უფროს რეინჯერებსა და რეინჯერებს.

2017 წლის 12 თვის განმავლობაში გამოვლენილია სამართალდარღვევის 64 ფაქტი მათ შორის 1-სისხლის სამართლის ნიშნების მქონე, თევზჭერაზე რომელიც გადაცემულია ზუგდიდის შს სამმართველოზე, დადგენილია სამართალდამრღვევი პირები და მიცემული არიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ასევე გაფორმებულია 63 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი, მათ შორის 3- ხე-ტყის უკანონო ჭრაზე, 1-უკანონო თევზჭერაზე, 37 - იარაღით გადაადგილებაზე, 10 - მოტორიანი ნავით გადაადგილებაზე, 5 ნადირობაზე, 7- დანაგვიანებაზე. ოქმები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია ქ. ფოთის საქალაქო სასამართლოში და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

2016-2017 წლებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დინამიკა



რეინჯერებს სისტემატურად უტარდებათ ტრენინგი კანონაღსრულების, კანონდამრღვევებთან ურთიერთობის, კონფლიქტური სიტუაციების მართვის, ასევე ბუნებრივი რესურსების სარგებლობის საკითხებში. ხშირად ტარდება ზეპირი გასაუბრება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციის დირექტორის 31 მარტის N12 ბრძანების შესაბამისად 2017 წლის 01 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით ჩატარებულ იქნა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია. რევიზიის შედეგები დამუშავებულია და წარმოდგენილია ადმინისტრაციაში.

ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 21 აპრილის N13 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა საკონტროლო რევიზია საგაზაფხულო გეგმიური რევიზიის შედეგების გადამოწმების მიზნით. რევიზიის მასალები წარმოდგენილია ადმინისტრაციაში და გადაგზავნილ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ადმინისტრაციის დირექტორის 31 ოქტომბრის N43 ბრძანების შესაბამისად 2017 წლის 01 ნოემბრიდან 20 ნოემბრის ჩათვლით ჩატარებულ იქნა საშემოდგომო გეგმიური რევიზია. რევიზიის შედეგები დამუშავებულია და წარმოდგენილია ადმინისტრაციაში.

ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 24 ნოემბრის N50 ბრძანების საფუძველზე ჩატარდა საკონტროლო რევიზია საშემოდგომო გეგმიური რევიზიის შედეგების გადამოწმების მიზნით. რევიზიის მასალები წარმოდგენილია ადმინისტრაციაში და გადაგზავნილ იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

ხანძარსაწინააღმდეგო ტექნიკა და აღჭურვილობა ცეცხლმაქრი, ბარი, წერაქვი, საფერთხელი გამართულ მდგომარეობაშია. ასევე შეძენილ იქნა საველე წყლის ცეცხლმაქრები რომლებიც დაურიგდათ ხანძარსაშიში ტერიტორიების რეინჯერებს.

ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი და თებერვლის თვე განსაკუთრებით ხანძარსაშიში პერიოდებია, რა დროსაც მიმდინარეობს მკაცრი კონტროლი, სადღეღამისო პატრულირება ხანძარსაშიშ ტერიტორიებზე. დაფიქსირებულია ხანძრის გავრცელების რამოდენიმე ფაქტი.

სამართალდამრღვევი პირები დაუდგენელია. ინფორმაცია დროულად მიეწოდა როგორც 112-ის სამსახურს, ასევე ადგილობრივ სამაშველო, სახანძრო და სამართალდამცავ ორგანოებს.






გადამწვარია დაახლოებით 3 000-ჰა ფართობი დამწვარია ერთწლოვანი ბალახოვანი საფარი. ხანძარი ტის მასივებზე არ გადასულა. ლიკვიდაცია მოხდა ბუნებრივად 2 დღეში.ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი გადანაწილებულია სარეინჯეროებზე.


აპრილის თვის ბოლოს დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს ჩაუტარდათ ზოგადი ინსტრუქტაჟი ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებზე. მათ მიეთითათ ასევე ხანძრის შემჩნევის შემთხვევაში დაუყონებლივ აცნობონ სახანძრო სამაშველო სამსახურსა და 112-ის სამსახურს, ასევე ზემდგომ ხელმძღვანელ პირებს.

სისტემატურად მიეწოდება ინფორმაცია მოსახლეობას და ვიზიტორებს ინფორმაცია ხანძარსაშიში ადგილების, ასევე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ. შედგენილია მოსახლეობასთან გასაუბრების ოქმები.

ხშირად ტარდება მოულოდნელი რეიდები დირექტორის, დაცვის განყოფილების უფროსის და უფროსი რეინჯერების მიერ, კოლხეთის ეროვნული პარკის მთელს ტერიტორიაზე, რომლის დროსაც მოწმდებოდა რეინჯერების საქმიანობა და სარეინჯეროებში არსებულ მარშუტებზე გადაადგილების სისწორე. ყოველი თვის ბოლოს სეზონურობის მიხედვით (ზაფხული, ზამთარი) დგება მოულოდნელი შემოწმებების გრაფიკები, რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

2017 წელს გამოიყო 5 ახალი სოციალური ჭრის ტყეკაფი 1118კბ/მ-ს მოცულობით, საიდანაც 12 თვის მდგომარეობით გაცემულია100კბ/მ საშეშე მერქანი. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა ასევე სარგებლობს 2016 წელს გამოყოფილი სოციალური ჭრის ტყე-კაფებით. საიდანაც 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით გაცემულია 1468კბ/მ, ხოლო ნაშთის სახით დარჩენილია 618კბ/მ. ამჟამად გასაცემი საშეშე მერქნის მარაგი 2016-2017 წლის ტყეკაფებიდან შეადგენს 1637კბ/მ-ს. დაგეგმილია დამატებით სოციალური ჭრის ტყეკაფების გამოყოფა. ხობის მუნიც სოფ. საღვამიჩაოს, სოფ საგვიჩიოს და სენაკის მუნიც სოფ. ზემოჭალადიდის მოსახლეობისათვის.

2015-2016 -2017 წლებში გამოყოფილი და გაცემული საშეშე მერქნის ოდენობა კბ/მ-ში.




სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი


მომზადებულია „ბუნების მატიანე“ და გადაგზავნილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში;

ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის პროგრამის სისტემიდან ინფორმაციის მიღება ხდება შეფერხებებით.

მეტეოროლოგიური მონაცემების შეგროვების კუთხით: იანვარ-თებერვლის თვე გამოირჩეოდა შედარებით დაბალი ტემპერატურით, ანაკლია-ჭურიის უბანში დაფიქსირდა -8 გრადუსი, ხოლო კაცობურის უბანში -9 გრადუსი. საშ. თვიური ტემპერატურა შეადგენდა 5 გრადუსს. ხანგრძლივი იყო ყინვიან დღეთა რიცხვი-14 დღე. თებერვლის პირველი დეკადა აღინიშნა თოვლიანობით,ჭურიის უბანში თოვლის სიმაღლე-15 სმ, კაცობურის უბანში კი 20-25 სმ იყო. მარტის თვეში საშუალო ტემპერატურა წინა წელთან შედარებით ბევრად მაღალი იყო-(13-15 გრადუსი).

გრაფიკში ნაჩვენებია ნალექებისა და ტემპერატურისა საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებელი.






მაისის თვე გასულ წლებთან შედარებით აღინიშნა დაბალი ტემპერატურით, თვის საშუალო მაჩვენებელი კი 14 გრადუსი.


ივნისის თვე გამოირჩეოდა ნალექიანობით. განსაკუთრებით მეორე დეკადა, მეორე კვარტალში 20-21 მაისს და 18-19 ივნისს მოსულმა უხვმა ნალექებმა გამოიწვია მდინარეების-რიონის, ხობისწყლის, ცივას, ფიჩორის ადიდება, რის შედეგად დაიტბორა ერ. პარკის ტერიტორიის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კოლხეთის, სენაკისა და კაცობურის უბნები, წყლის დონემ -1,5-1,7 მ-ს მიაღწია, დაზიანდა მდ. ფიჩორის ხეობაში არსებული საპიკნიკე ნაგებობა.





ნალექებისა და ტემპერატურისა საშუალო, მინიმალური და მაქსიმალური მაჩვენებელი.





არასისტემატური მოვლენების (წყალდიდობების, წყალმოვარდნების და სხვა მოვლენების დაფიქსირება) შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესში დაფიქსირდა შემდეგი: 14 მარტს პალიასტომის ტბის მიმდებარედ, კერძოდ: მდ. კაპარჭინასა და შავი ღელის არხში გაფიქსირდა მკვდარი თევზები (კარჩხანა). აღნიშნულთან დაკავშირებით გარემოს ეროვნული სააგენტოს ლაბორატორიის წარმომადგენლების მიერ აღებულ იქნა წყლის სინჯები და თევზის ნიმუშები. აღებული მასალის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ თევზების მასიური სიკვდილი გამოწვეულია დაავადებით-კობრის ჰემორაგიული სეპტიცემია, იგივე კობრის აერომონოზი, ხალხური სახელწოდება „წითურა“. აღსანიშნავია, რომ თევზების სიკვდილიანობა ანალოგიური სიმპტომატიკითა და დიაგნოზით დაფიქსირებული იყო ასევე 2015 წელს. შედარებით ნაკლები სიმწვავით იყო 2014-16 წლებში.

თებერვლის თვეში კოლხეთის უბნის მე-12 კვარტალსა და ხობის უბანში ტორფნარებზე დაფიქსირდა ხანძარი, რომლის შესახებაც ეცნობა შესაბამის სამსახურს და დროულად იქნა ლოკალიზებული. ზოგადად, სტიქიურ მოვლენებს არსებითი ხასიათის ზიანი პარკის ტერიტორიაზე არ მიუყენებია.

მიმდინარეობს საქართველოს “წითელი ნუსხის” ცხოველების მონიტორინგი

აღნიშნული კვარტლის განმავლობაში განხორციელდა დაკვირვება წავსა და კოლხურ ხოხობზე. წავი დაფიქსირდა ხობის უბნის პირველ სამცველოში 20- მდე ივდივიდი, სენაკის უბნის ბუფერულ ზონაში, ასევე სენაკის უბნის მე-2 სამცველოში (9 ივდივიდი), კოლხეთში 1-ლ, მე-2-3-4 სამცველოში (22ინდივიდი). პარკის ტერიტორიაზე კოლხური ხოხობი დაფიქსირდა 5 ერთეული, ის ძირითადად ბინადრობს ხობის უბნის მიმდებარედ არსებულ ბუფერულ ზონაში, ე. წ. “ოქროს საწმისში”, საიდანაც ხშირად შემოფრინდება პარკის ტერიტორიაზე. პარკის ტერიტორიაზე კოლხური ხოხობი დაფიქსირდა 7 ერთეული, ის ძირითადად ბინადრობს ხობის უბნის მიმდებარედ არსებულ ბუფერულ ზონაში, ე. წ. “ოქროს საწმისში”, საიდანაც ხშირად შემოფრინდება პარკის ტერიტორიაზე. ზოგადად წავის რაოდენობა უმნიშვნელოდ იზრდება, ხოლო ხოხბისა კი სამწუხაროდ მცირდება.

მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგის ფარგლებში, დგინდება არეალის და აღრიცხვა, კვალის იდენტიფიკაცია (ტურა, შველი). რეინჯერების მიერ მოწოდებულ ინფორმაციის საფუძველზე კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირდა მსხვილი ძუძუმწოვრები (ტურა, შველი), როგორც ვიზუალურად, ისე ნაკვალევით. აღრიცხვა ხდებოდა სტრატიფიკაციის მეთოდით ცალკეულ სტრატებსა და ტრანსექტებზე. ყველაზე მეტი რაოდენობით აღირიცხა ტურა. კერძოდ, კოლხეთის უბანში 1 სტრატზე -35-მდე, მეორე სტრატზე- სენაკის უბანში-40, მესამე სტრატზე-ხობის უბანში 30-, მეოთხე სტრატზე-ზუგდიდში- 20, კაცობურში- 30 ინდივიდი. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით კოლხეთისა და ხობის უბანში შემცირებულია ტურას რაოდენობა.







შველი სტრატებზე: კოლხეთის უბანში-14 ინდივიდი, ხობის უბანში-13, სენაკი-16, ანაკლია-ჭურია-3, კაცობური-1.

გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ზუგდიდისა და კოლხეთის უბანში საგრძნობლად გაიზარდა მგლის რაოდენობა (18-მდე ინდივიდი), ძალზე ხშირია შინაური პირუტყვის დაგლეჯვის ფაქტები. (აღრიცხულია 53 ფაქტი)






მიმდინარეობს თეთრგვერდა დელფინების, აფალინასა და ზღვის ღორებზე მონიტორინგის წარმოება. ანაკლია-ზუგდიდის უბანში მარტის მესამე დეკადაში დაფიქსირდა გამორიყული 1 ცალი ზღვის ღორი. აღებულ იქნა ანათალი და გადაეგზავნა ილიას უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფს.




ცხოველების და ფრინველების აღრიცხვის მასალებზე დაყრდნობით შეგროვილი მონაცემების საფუძველზე აიგება რიცხოვნობის დინამიკის გრაფიკები.

კეპ-ის ტერიტორიაზე სტრატებზე აღრიცხული ტურას და შველის რაოდენობა ცალკეული უბნებისათვის.

კეპ-ის ტერიტორიაზე 6 თვეში სტრატებზე აღრიცხული ტურას და შველის რაოდენობა ცალკეული უბნებისათვის




მიმდინარეობს მიგრირებად ფრინველებზე დაკვირვება, მარტის მეორე დეკადიდან მცირე რაოდენობით უკვე შეინიშნებოდა გადამფრენი ფრინველები- ძირითადად კრაზანაჭამიები (80-100 ერთეული) და ოფოფები, 9 მარტს კოლხეთის უბანში დაფიქსირდა 1 ცალი შავი ყარყატი, რაც იშვიათობაა. აპრილის თვეში დიდი რაოდენობით დაფიქსირდა კრაზანაჭამიების გუნდები (130-150 ინდივიდი) დღის განმავლობაში, ხოლო კაკაჩები, ქორცქვიტები, მყივანი არწივები, კირკიტები, ოფოფები კი მცირე გუნდებად, 7-10 ინდივიდი დღის განმავლობაში. ერთეული ინდივიდების სახით-კირკიტები, შევარდენი,ზღვის კაჭკაჭი, მეჭვავია, წინტალები, მეკენჭიები, პრანწიები, ჩიბუხელა. ზოგადად მიგრირებადი ფრინველების მრავალფეროვნება მეტი იყო ანაკლია -ჭურიის უბანში.


მოზამთრე ფრინველების მონიტორინგის ფარგლებში: სპეციალურად შერჩეული ადგილებიდან (პალიასტომის ტბის სხვადასხვა წერტილი, ფართოწყლის ტბა, დარგოლვის ცენტრი ანაკლია-ჭურიის უბანში) მიმდინარეობდა წყალმცურავ ფრინველებზე მონიტორინგი, წელს მათი


რაოდენობა შედარებით სტაბილური იყო იანვრის დასწყისიდან თითქმის თებერვლის ბოლომდე. გარეული იხვები დიდი ოდენობით გამოჩნდა უკვე იანვრის დასაწყისში- პალიასტომის ტბაზე აღირიცხა- 10-13 იანვარს-30000- მდე ერთეული, 15 იანვარს-25000-მდე, წინა წელთა შედარებით ბევრად მეტი იყო მათი რაოდენობა თებერვლის თვეში, 5-6 თებერვალს აღირიცხა - 50000 მდე ერთეული, ძირითადად იყო გარეული იხვი, მელოტა, ამაყა იხვი, ყვინთია, ჩვამა. ძალზე მცირე ოდენობით ბატასინი და გარეული ბატი. წითელი ნუსხის სახეობებიდან დიდი რაოდენობით იყო გედები და ვარხვები. 17 თებერვალს პალიასტომის ტბაზე დაფიქსირდა 70 ერთეული გედი და 54 ვარხვი. ყოველწლიურად მცირდება მოზამთრე ფრინველთა რაოდენობა ფართოწყლის ტბაზე, გარეული იხვების მაქსიმალური რაოდენობა იყო-1200-მდე ერთეული. შედარებით სტაბილურია ფრინველთა რაოდენობა ანაკლია-ჭურიის მონაკვეთზე. კერძოდ, 4-6 თებერვალს აღირიცხა გარეული იხვების-60000-მდე ერთეული, ბევრად მეტი იყო მათი რიცხვი ზღვის სანაპირო ზოლში-7-10 თებერვალს-80000-მდე. სტაბილურია ვარხვების რაოდენობა, 4-5 თებერვალს დაფიქსირდა 120-ინდივიდი, გედი-44 ინდივიდი. (მდ. ჭურიის დელტაზე). ზოგადად გასული წლისგან განსხვავებით იანვარ- თებერვლის თვეში თითქმის ყოველდღე ფიქსირდებოდა ვარხვები და გედები(სხვადასხვა რაოდენობით)



კეპ-ის ტარიტორიაზე ყველაზე ხშირად ნანახი ზოგიერთი მოზამთრე წყალმცურავი ფრინველების გრაფიკული მაჩვენებელი







პალიასტომის ტბა, ფართოწყალი ანაკლია-ჭურიის უბანი

გასული წლის მონაცემებთან შედარებით 2017 წელს ფრინველთა დიდი რაოდენობა აღინიშნა თებერვლის თვეში. სახეობრივად როგორც შარშან, წელსაც ჭარბობდა გარეული იხვები. გაზრდილია გედებისა და ვარხვების რაოდენობა.

მობუდარი ფრინველებიდან მთელს ტერიტორიაზე ფიქსირდება ასპუჭაკები, წიწკანები, წივწივები, სახლის ბეღურა, ღობემძვრალა, ყანჩები, ალკუნი.

შეირჩა ახალი სანიმუშო ფართობი, არსებულ სანიმუშო ფართობებზე ლაფნის კორომების ვარჯი შეიკრა და ახალი აღმონაცენისათვის უკვე არახელსაყრელი პირობებია, მოზარდი ლაფნის ხეებს დაწყებული აქვთ ხმობის პროცესი (დაავადების გამომწვევია სოკო-gnomonia), ამიტომ საჭირო გახდა ახალი სანიმუშო ფართობის შერჩევა. დაკვირვება იწარმოებს კოლხეთის უბანში #2 სამცველოში #1 კვარტალში და სენაკის უბნის #2 სამცველოს #3 და #6 კვარტლებში შერჩეულ სანიმუშო ფართობებზე, რომელიც ძირითადად ახალგაზრდა ლაფნის კორომებითაა დაფარული. გაგრძელდება დაკვირვება არსებულ ბზის კორომზე. ჩატარებული საველე სამუშაოებითა და კეპ-ის ადმინისტრაციაში უბნებიდან შემოსული მავნებლების გავრცელების სიგნალიზაციის ფურცლებით გამოიკვეთა , რომ როგორც გავრცელების არეალი, ასევე ტყის მასივებზე მიყენებული ზიანს ხარისხი უბნებისა და მათში შემავალი სარეინჯეროებში განსხვავებულია.

ასევე შემოწმდა ბზის კორომები 40 ჰა-ზე, რომელიც ამჟამად მასიურად გამხმარია, კეპ-ში ჩატარებული ტყის მასივების პათოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ ამჟამად დაავადებულ მურყნისა და ლაფნის მცენაარეებს შენარჩუნებული აქვთ სასიცოცხლო ფუნქციები, მიუხედავად ამისა სასურველია ფიტო და ენტო მავნებლების მიერ დაზიანებული ლაფნისა და მურყნის კორომები შეიწამლოს ბიოლოგიური პრეპარატის გამოყენებით.

პათოლოგიური კვლევის მასალები გადაეგზავნა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.





მიმდინარეობს ეკოსისტემებზე ინვაზიური სახეობების გავლენის შეფასება და მონიტორინგი. მდინარეების ფიჩორისა და ჭურიის სანაპირო ზოლში სწრაფი ტემპით იზრდება ამორფას მიერ დაკავებული ფართობები, ხოლო კაცობურის უბანში კი გლედიჩიას რაოდენობა. ინვაზიურ სახეობათა ასეთი ტემპით ზრდა ახლო მომავალში უარყოფით ზეგავლენას მოახდენს არსებულ ეკოსისტემაზე.

შევსებულია 2016 წლის სტატისტიკური ფორმები და გროვდება 2017 წლის მონაცემები სტატისტიკური ფორმებისათვის.

მუდმივად წარმოებს კოლხეთის ფონდის ფარგლებში დაგეგმილი კვლევების კოორდინირება, ჩართვა და განხილვა. ილიას სახ. უნივერსიტეტის ორნითოლოგთა მიერ ჩატარდა ტრენინგი მოზამთრე ფრინველთა დათვლის მეთოდიკის შესახებ.





ახალი მენეჯმენტის გეგმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებმა.

შავ ზღვაში და პალიასტომის ტბაში თევზის შესწავლის პროცესში მონაწილეობის მიღება და ანგარიშების განხილვა. მარტის თვეში პალიასტომის ტბაზე აღებულ იქნა თევზების (კარჩხანას) და წყლის ნიმუშები და გადაიგზავნა შესაბამის ლაბორატორიაში, ზღვაში პირველ კვარტალში რაიმე სახის კვლევითი ღონისძიება არ ჩატარებულა (ბოლო კვლევები ჩატარდა დეკემბრის თვეში).

<u>ცნობიერების ამაღლება და ეკო-განათლება</u>

2017 წლის 12 თვის განმავლობაში კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე ეროვნული პარკის ვიზიტორები. ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მოსწავლეებისა და პედაგოგების უფრო აქტიურად ჩართვისა და ინფორმირების მიზნით მათ მიეწოდებათ შესაბამისი ლიტერატურა და საინფორმაციო მასალები დაცული ტერიტორიების საქმიანობის შესახებ.

ჩატარდა: **53 ეკო-გაკვეთილი** სხვადასხვა თემებზე. ქ. ფოთისა და მიმდებარე სოფლების (ზემო ჭალადიდის, თორსას, ქარიატას,სუფსას, ხეთას), ასევე ქ. სენაკის, ქ. აბაშის, ქობულეთის, ქუთაისის, დაბა ჩაქვის სკოლების მოსწავლეებიათვის

- **6 საველე** პრაქტიკული გაკვეთილი როგორც ერ. პარკის, ასევე სხვა დაცულ ტერიტორიებზე. (ძირითადად მოზამთრე ფრინველების აღრიცხვის მეთოდიკის, რელიქტური ტყეების და ქობულეთის დაც.ტერიტორიაზე სფაგნიუმის ხავსების შესახებ),
- **22 ეკო-აქცია (გამწვანება-დასუფთავება)**
- **20 ეკო-ტური** „პალიასტომი-ფიჩორის“ მარშრუტზე, მტირალას ერ. პარკსა და ოკაცეს კანიონში.
- დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთათვის (მე-4 საჯ. სკოლა) მომზადდა სპეციალური პროგრამა დაცული ტერიტორიების შესახებ

- ინტელექტუალური თამაშისათვის მომზადდა სვადასხვა სახის კითხვარები და საინტერესო სლაიდები. # 21-ე საჯ. სკოლაში ჩატარდა ვიქტორინა-„ვინ უკეთ იცნობს?“- “კოლხეთის ჭაობები და მოზამთრე ფრინველები“

ლექცია-პრეზენტაცია ერ. პარკის ბიომრავალფეროვნების შესახებ ჩაუტარდათ:

- ქ. ბათუმის რუსთაველის სახ. უნივერსიტეტის ბუნებისმეტყველების ფაკ-ის ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს
- გერმანიის ქ. ინგოლშტატის უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს
- პროექტის-„ ეკო-ვიჟენი“ მონაწილეებს
- თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებს
- ქ. ვოლოგდის ოლქის სხვადასხვა სკოლების მოსწავლეებსა და პედაგოგებს (რუსულენოვანი)
- დაბა ჩაქვის (მტირალას ერ. პარკი) ნორჩ რეინჯერებს
- CASEE-ს ორგანიზებით გამართულ გერმანულენოვანი ეკო-ბანაკის მონაწილეებს.
- მშვიდობის კორპუსის ორგანიზებით გამართულ „LIFE ბანაკის“მონაწილეებს
- მშვიდობის კორპუსის ორგანიზებით გამართულ „BUILD ბანაკის“მონაწილეებს
- კოლხეთის ერ. პარკის „ნორჩ ელჩებს“
- ხობის რაიონის სოფლების (თორსა, ხეთა) საჯარო სკოლების მოსწავლეებს
- ქ. აბაშის #2 საჯ. სკოლის მოსწავლეებს

რეინჯერთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით კოლხეთის ეროვნული პარკის თანამშრომლები შეხვდნენ ეკო-ბანაკის მონაწილეებს და გააცნეს მათი მუშაობის სპეციფიკა.

„**ევროპის მემკვიდრეობის დღეებთან“** დაკავშირებით ქ. ფოთის კოლხეთის მუზეუმის დარბაზში ჩატარდა კონფერენცია: „მემკვიდრეობა, კლიმატური ცვლილებები და ბიომრავალფეროვნება შავიზღვისა და პალიასტომის ტბის მაგალითზე“.

ეკო-ბანაკები

2017 წლის განმავლობაში კოლხეთის ეროვნულ პარკში მოეწყო 4 ეკო ბანაკი. მათ შორის 3 ეკო ბანაკი მოეწყო „მშვიდობის კორპუსის“ ფინანსური მხარდაჭერით და კოლხეთის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა.

1. 3-5- მარტი. **„გოგონათა ბერდვოჩინგის ბანაკი“** ანაკლიაში.
2. 23-29 ივლისი **„LIFE ბანაკი“**
3. 6-8 ოქტომბერი **„ეკო ბანაკი კოლხეთში“**
4. 3-5 სექტემბერი- კოლხეთის ეროვნული პარკის ანაკლიის უბანში მოეწყო **გერმანულენოვანი ბანაკი.** ბანაკი ორგანიზაცია Central Asia and Caucasus School for Ecological Education (CASEE) ორგანიზებით განხორციელდა.

- პარკის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან: პარკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებთან, მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან

- არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან(„ახალგაზრდა რეფორმატორთა“ ჯგუფი, „დიოსკურია“)

ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებთან ერთად ხორციელდება სხვადასხვა აქტივობები (გამწვანება-დასუფთავება), ასევე სხვადასხვა პრობლემატური საკითხების განხილვა, რომელიც ძირითადად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობს ეხება (ტყე-კაფების გამოყოფა, თევზაობა).

მოსახლეობასთან შეხვედრა

მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა შეხვედრები მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობასთან. **სულ: გაიმართა 30 შეხვედრა**


სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები


კოლხეთის ეროვნული პარკის მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობდა 100 რესპოდენტი. (ხობის, ზუგდიდისა და სენაკის მუნიციპალიტეტის სოფლების:ზემო ჭალადიდი, პატარა ფოთის, ყულევის, ქარიატას, ერგეტა, ცვანეს მოსახლეობა).

ჩატარებული კვლევიდან ჩანს, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (78%) ცხოვრობს დაცული ტერიტორიის მახლობლად. 45%-მა იცის დაცული ტერიტორიის ძირითადი დანიშნულება, ხოლო 85% კი იცის, რომ დაცული ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. მოსახლეობის 35%-თვის ბუნებრივი რესურსების მდგომარეობა საცხოვრებელი ადგილისა მიდამოებში იგივე დარჩა, 28%-თვის კი გაუმჯობესდა. გამოკითხულთა 44% თვლის, რომ დაცულ ტერიტორიას მათი ოჯახისთვის სარგებლობის მოტანა შეუძლია.

რაც შეეხება პრობლემებს: 52%-თვის მთავარი პრობლემაა ნადირობის შეზღუდვა, ხოლო 16%-თვის თევზჭერის შეზღუდვა, ბოლო 2-3 წლის მონაცემებით (15%) იზრდება საფრთხე გარეული ცხოველების მხრიდან. გამოკითხულთა 78% სარგებლობს დაცული ტერიტორიის რესურსებით, მათ შორის: შეშით 63%, თევზაობით 21%, საძოვრებით კი 16%. 58% მონაწილეობას ღებულობს დაცულ ტერიტორიასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების განხილვაში. გამოკითხულთა 46% საშუალო განათლებითაა, 36% საშ. სპეციალური, ხოლო 14% უმაღლესი განათლებით. სამწუხაროდ გამოკითხულთა 51% დროებით უმუშევარია, 23% პენსიონერი. 85% მამრ. სქესის წარმომადგენლებია. გამოკითხულთა ასაკი 22-დან 78 წლამდეა.

2017 წლის 12 თვეში ეკო-ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა






სულ 2017 წლის 12 თვის განმავლობაში ეროვნული პარკის მიერ ჩატარებულ ეკო-ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 5820 -მა მონაწილემ, მათ შორის პედაგოგი-120, მოსწავლე-3300 , სტუდენტი-320, ადგილობრივმა მოსახლე -1030.

- გაფორმდა ურთიერთ თანამშომლობის მემორანდუმი-ასოციაცია „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“
- შემუშავდა ეკო- პროექტი: „კეპ-ის ნორჩი ელჩები“


ვიზიტორთა სტატისტიკა

კოლხეთის ეროვნულ პარკს 2017 წლის განმავლობაში 29 523 ვიზიტორი ესტუმრა, რაც წინა 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 10%-ით არის გაზრდილი. აქედან, ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 90%-ს (26 655 ვიზიტორი), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 10%-ს (2 868 ვიზიტორი). 2017 წლის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 6%-ით, უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა - 73%-ით.




დიაგრამა 1. კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით 2007-2017 წწ.

კოლხეთის ეროვნულ პარკს 2017 წლის განმავლობაში ყველაზე მეტი უცხოელი ვიზიტორი ეწვია: რუსეთიდან - 22% (638 ვიზიტორი), გერმანიიდან - 14% (391 ვიზიტორი), აშშ - 9% (250 ვიზიტორი), პოლონეთიდან - 6% (183 ვიზიტორი) ნიდერლანდები - 6% (175 ვიზიტორი), სხვა ქვეყნებიდან - 43% (1231 ვიზიტორი).




დიაგრამა 2. საერთაშორისო ვიზიტორები




დიაგრამა 3. კოლბეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა თეების მიხედვით 2016-2017წწ

ტურისტული მომსახურეობებიდან მიღებული შემოსავლები:

2017 წლის განმავლობაში კოლხეთის ეროვნული პარკის მომსახურებებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა **52971,9 ლარი, რაც** 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით21%-ით არის გაზრდილი.



დიაგრამა 4. ტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ.




დიაგრამა 5. ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ.

ახალი ეკოტურისტული სერვისები

2017 წლის აგვისტოდან კოლხეთის ეროვნული პარკის მრავალფეროვან და საინტერესო მომსახურებებს ახალი შემოთავაზება დაემატა - „საკემპინგე ადგილი ავტომობილისთვის“, რომელიც საქართველოს მასშტაბით უპრეცედენტო მომსახურებაა. მოცემული სერვისის ღირებულება 15 ლარია. ფასი ვრცელდება ერთ (1) მანქანაზე ერთი (1) ღამის განმავლობაში ერთ (1) პერსონაზე, ხოლო ყოველ დამატებით ადამიანზე ღირებულებას ემატება ხუთი (5) ლარი.

კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები



მოთხოვნათა ჩამონათვალში ძირითადად ფიგურირებს „ბიოსაპირფარეშოების“ საჭიროება პალიასტომის ტბის სარეინჯერო კოშკურასთან.

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

სარეკლამო ფლაერების სიმცირის მიუხედავად, კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები აქტიურად ეწევიან პარკისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას.

2017 წლის განმავლობაში სარეკლამო ფლაერები დარიგდა ქ. ფოთის და გრიგოლეთის სასტუმროებში, კერძოდ, გრიგოლეთში:

- ✓ „ოქროს ტბა“
- ✓ “Hotel Park Green"
- ✓ „ანდამატი“
- ✓ „ვილა რეტა“
- ✓ „ლაშთანი“





2017 წლის განმავლობაში კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სხვადასხვა ტურ-ოპერატორებსა და ტურიზმთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს: “Visit Georgia", “Caucasus Tour”, “Respect Travel”, “Voyager Group”, “Good Travel”, Georgian Discovery Tours”, “Explore Georgia”, “Georgian Holidays”, Travel Shop”, “Caucasus Travel”, “Welcome to Georgia”, “Exotour”, “Travel Studio”, “Hi Georgia”, “Interco Travel”, “Start Travel”, “Miles Group”, “Tele-Max”, “From Georgia with Love”, “Concord Travel”, “Like Travel”, “GEMO Travel”, “Geo Camp”, “Travel & Track Tours”, Kultur.ge, Magari.ge, “Georgia Gurme”, “Georgian Travel Group”, “Travel to Georgia 2010”, “Visit Georgia”, Azur.ru, „საქ. ექსპედია“, „დელტა ტური“, „ნიკო ტური“, „საექსკურსიო ტურები ბათუმიდან“ და ორგანიზაციას “Central Asia and Caucasus School for Ecological Education”.

ტურისტული სეზონის დადგომამდე მოხდა საინფორმაციო შეხვედრა ქ. ფოთში არსებული სასტუმროებისა და კვების ობიექტების მეპატრონეებთან. მათ მიეწოდათ ინფორმაცია კოლხეთის ეროვნული პარკის ტურისტულ მომსახურებებში არსებული სიახლეების შესახებ.

2017 წლის განმავლობაში კოლხეთის ეროვნულმა პარკმა მონაწილეობა მიიღო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე–10 საერთაშორისო გამოფენა "EXPO BATUMI TRAVEL 2017"-ში, სადაც დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან ერთად წარმოადგენდა საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, მათ შორის კოლხეთის ეროვნულ პარკს.

აქტიურად მიმდინარეობდა კოლხეთის ეროვნული პარკის შესახებ საინფორმაციო სახის შეხვედრები საქართველოს სხვადასხვა წამყვან ტურ-ოპერატორებთან.

დაცვის განყოფილება

2017 წელს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საქმიანობა მენეჯმენტის გეგმის პროგრამების ფარგლებში ხორციელდებოდა. მთავარი პრიორიტეტები დაცული ტერიტორიების განვითარება, ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია, ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ეკოსაგანმანათლებლო და ეკო - ტურისტული საქმიანობის ხელშეწყობის იყო.

2017 წლის მონაცემებით განხორციელებულია **3220 ყოველდღიური პატულირება**, ჩატარებული **208 დაგეგმილი რეიდი**, დასრულებულია საგაზაფხულო, საშემოდგომო და საკონტროლო რევიზიები. სხვადასხვა დარღვევებზე შედგენილია ადმინისტრაციულ **სამართალდარღვევათა 21 ოქმი**;

ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის პროგრამა:

დაცვის განყოფილების მუშაობა 2017 წლის განმავლობაში სამოქმედო გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა.

მიზანი: ტერიტორიის დაცვის კონტროლის გაუმჯობესება, დარღვევების მინიმუმამდე დაყვანა და დარღვევების დროულად აღმოფხვრა.

დაცვა / პატრულირების სისტემის განვითარების ხელშეწყობა: გასული წლების მონაცემების ანალიზის შედეგად: განისაზღვრა ანთროპოგენული ზეგავლენის „ცხელი წერტილები“ - სამართალდარღვევების ტიპების მიხედვით, შედეგად განისაზღვრა ყოველკვირეული საპატრულო მარშრუტები და წარმოებს სისტემატიური პატრულირება უბნებისა და სარეინჯეროების მიხედვით.


პატრულირების წარმოება - 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა: 3220 ყოველდღიური პატრულირება, პატრულირების დროს ბილიკებზე და გზებზე გავლილმა მანძილმა სულ 110300 კმ. შეადგინა: ცხენით – 12800 კმ, ფეხით – 45200 კმ. და ავტომანქანით 52300 კმ. ადმინისტრაციის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა 208 დაგეგმილი რეიდი.

ინფორმაცია გამოვლენილ და დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე: 2017 წელის მდგომარეობით სხვადასხვა დარღვევებზე შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 21 ოქმი (ფოტომახის დახმარებით გამოვლენილია 6 ოქმი) მათ შორის:

- 6 (სამი) ოქმი - დაცულ ტერიტორიაზე იარაღით შესვლა გადაადგილება;
- 1 (ერთი) ოქმი - თევზაობის წესების დარღვევა;
- 11 (თერთმეტი) ოქმი ძოვების წესების დარღვევა;

- 3 (ორი) ოქმი - მიწის უკანონოდ დაკავება;

18 ოქმი განხილულია ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოს მიერ: სამართალდამრღვევებზე მისჯილმა სავარაუდო ჯარიმის და ზიანის რაოდენობამ 2230 ლარი შეადგინა. სასამართლოს მიერ ჩამორთმეული და სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეულია 2 სანადირო თოფი;



სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

2017 წლის საანგრიშო პერიოდში არასისტემატური მოვლენები: ზვავები, წყალმოვარდნები და სხვ. არ დაფიქსირებულა.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის მსხვილი ძუძუმწოვრებიდან შერჩეულია "საკვანძო სახეობები" და სპეციალური "საველე ფორმების" დახმარებით სისტემატიურად მიმდინარეობს საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მსხვილი ძუძუმწოვრების (აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, კეთილშობილი ირემი, დათვი და სხვ) აღრიცხვა, რომლის დროსაც ფიქსირდება კვალი, ექსკრემენტი, სარწყულებლები და სხვა ნიშნები. ფიქსირდება მათი სივრცული და სეზონური გავრცელება.

სისტემატიურად მიმდინარეობს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული და გავრცელებული ლანდშაპტის, ფაუნისა და ფლორის შესახებ ფოტომასალის შეგროვება. ფოტოარქივის შექმნა და სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში გადაგზავნა.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად მიმდინარეობს "სახელმწიფო სტატისტიკური ფორმ"-ით გათვალისწინებული ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და სტატისტიკურ

ფორმებში შეტანა. საანგარიშო პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენილია 2013 წლის სატატისტიკური მასალები.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს ფოტომახეებს ბრაკონიერების და მსხვილი ძუძუმწოვრების კვლევისათვის. საანგარიშო პერიოდში აქტიურად ველზე ფუნქციონირებდა 24 ფოტოხაფანგი, მოპოვებულ იქნა 1000 მეტი ფოტო და 400 ვიდეო ფაილი, სადაც დაფიქსირებულია: ჯიხვი, ირემი, დათვი, მგელი, შველი და გარეული ღორი.

26 იანვარს ფოტომახემ ლაგოდეხის ნაკრძალში 1300 მ.ზ.დ. ნიამორი დააფიქსირა. ლაგოდეხში ნიამორის დაფიქსირების შემთხვევა აქამდე არ ყოფილა. ეს ფაქტი მეტყველებს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის კარგ მენეჯმენტზე და ტერიტორიის დაცულობის მაღალ ხარისხზე.

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის მსხვილი ძუძუმწოვრებიდან შერჩეულია "საკვანძო სახეობები" და სპეციალური "საველე ფორმების" დახმარებით სისტემატიურად მიმდინარეობს საქართველოს წითელ ნუსხაში შეყვანილი მსხვილი ძუძუმწოვრების (აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, კეთილშობილი ირემი, დათვი და სხვ) აღრიცხვა, რომლის დროსაც ფიქსირდება კვალი, ექსკრემენტი, სარწყულებლები და სხვა ნიშნები. ფიქსირდება მათი სივრცული და სეზონური გავრცელება.

ნიამორის მონიტორინგის ფარგლებში 26 იანვარს ფოტომახემ ლაგოდეხის ნაკრძალში 1300 მ.ზ.დ. ნიამორი დააფიქსირა მდ. კაბლის ხეობაში. გაზაფხულზე როდესაც შესაძლებელი გახდა ფოტომახემდე მიღწევა აღმოჩნდა, რომ მე-2 მამრი ნიამორიც დაფიქსირებაულა, მდ. ლაგოდეხის ხევის ხეობაში 1450 მ.ზ.დ. ლაგოდეხში ნიამორის დაფიქსირების შემთხვევა აქამდე არ ყოფილა. ეს ფაქტი მეტყველებს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიის კარგ მენეჯმენტზე და ტერიტორიის დაცულობის მაღალ ხარისხზე. აუცილებელია დაიგეგმოს უფრო დეტალური კვლევები.



ნიამორი (ლათ. Capra aegagrus)

აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის აღრიცხვები:კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მხარდაჭერით, სახეობათა კონსერვაციის კვლევითი ცენტრი „NACRES" ახორციელებს პროექტს: „აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის აღრიცხვა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე". აღრიცხვები 2016 წელს დაიწყო და 2017 წლის ივლისს დასრულდება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის რიცხოვნობის, მასზე მოქმედი საფრთხეები, სეზონური და დღეღამური აქტივობის და სხვა ეკოლოგიური ასპექტების შესწავლა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. პროგრამის ფარგლებში გამოიყენებოდა აღრიცხვის სხვადასხვა მეთოდები, როგორც ფოტომახეების უწყვეტი მონიტორინგი, ასევე პირდაპირი „დამზერით" არღიცხვის მეთოდები. საველე სამუშაოებში აქტიურად არიან ჩართულნი ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების თანამშრომლები. 2017 წლის II კვარტლის მდგომარეობით პროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია 20 ფოტომახეს, ივნისის თვეში ჩატარდა საველე აღრიცხვები.



საბოლოო ინფორმაცია და ანგარიში აგვისტოში იქნება წარმოდგენილი, პირველადი მონაცემებით კი ჯიხვის პოპულაციის მატება ფიქსირდება;









ფოტო: აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვის აღრიცხვის მიმდინარეობა 2017 წელი ივნისი

განხორციელებული სამეცნიერო კვლევები დაცულ ტერიტორიებზე:

1. ილიას სახ. უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი - **გეოდეზიური სამუშაოები (დაკვირვება დედამიწის ქერქის დეფორმაციაზე);**
2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და პოზნანის (პოლონეთის) უნივერსიტეტი (ანდრეი მაზურის და იანუშ მენჯიკოვსკი) - **ხოჭოები;**

3. ენტომოლოგიური ინსტიტუტი (გიორგი ჯაფოშვილი) - სიფრიფანფრთიანები (გასულ წლებში ცატარებული კვევების შედეგები გამოქვეყნებული 14 ნაშრომი; 4. Field Station Fabrikschleichach Department of Animal Ecology and Tropical Biology Biocenter University of Würzburg (Prof. Jörg Müller) - **აღმოსავლეთის წიფლის ტყეები ენტომოფაუნა.**


ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წლის მდგომარეობით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ჩაატარა:

აქტივობა	**2017**	**2016**
ლექცია-სემინარი (პრეზენტაცია)	46	39
საინფორმაციო ტური	18	13
ეკოსაგანმანათლებლო აქცია	32	20
ეკო - ტური	6	15
მოსახლეობასთან შეხვედრა	12	6
დასუფთავების აქცია	36	10
ეკო ბანაკი	8	6

სულ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მოანწილეობა მიიღო:

ღონისძიებებში ჩაერთო	**რაოდენობა 2017 წელი**	**რაოდენობა 2016 წელი**
მოსწავლე	860	780
სტუდენტი	380	310
პედაგოგი	72	75
ადგილობრივი მოსახლე	240	220
სულ:	1552	1385



სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება:

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის პრობლემური საკითხების გამოვლენის და მათი მოგვარების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობის ინფორმირებულობის, დაცული ტერიტორიების ცნობადობის და ჩართულობის განსაზღვრის მიზნით 2017 თებერვალში განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა სპეციალური კითხვარის დახმარებით, გამოკითხვამ მოიცვა 100 მოსახლე, შედეგები წარდგენილ იქნა დაცულილი ტერიტორიების სააგენტოში.


27 ივნისს დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაგეგმვისა და განვითარების სამსახურის და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ლაგოდეხში, ინკლუზიური ეკობანაკის მონაწილეებს დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია გააცნეს.
ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე ინკლუზიური ეკობანაკი სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით მოეწყო და ის ორ ნაკადად ჩატარდება. ბანაკის მიზანია მოზარდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და მათი პრაქტიკული საქმიანობაში ჩართვა.
ეკობანაკის მონაწილეებმა ინფრომაცია მიიღეს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, კატეგორიებზე, ზონირებაზე, ეკოტურისტულ სერვისებზე, დაცულ ტერიტორიებზე აკრძალული და დაშვებული საქმიანობების შესახებ.
მოსწავლეებმა საქართველოს დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ ისტორია მოისმინეს და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საგანმანათლებლო ბილიკი მოინახულეს.






ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წლის მონაცემებით ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები 55519 ვიზიტორმა მოინახულა, აქედან 43005 ქართველი, ხოლო 12514 უცხოელია. 2017 წლის მონაცემებით 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (49 590 ვიზიტორი) ვიზიტორების რაოდენობა 12 %-ით გაიზარდა.




დიაგრამა 1. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2012-2017წწ

2017 წელს ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 43 005 ქართველი და 12 514 უცხოელი ვიზიტორი. 2017 წელს 2016 წელთან შედარებით (38 214 ვიზიტორი) ქართველი ვიზიტორების რაოდენობა 13 % - ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა (11 376 ვიზიტორი) 10 % - ით არის გაზრდილი.




დიაგრამა 2. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით2017წ




დიაგრამა 3. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016წ

2017 წელს ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 69 301 ლარი, რაც 2016 წლის მონაცემებთან (43 354 ლარი) შედარებით 60% - ით არის გაზრდილი.




დიაგრამა 3. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017 წწ.



დიაგრამა 4. ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2013-2017 წწ.

წელი	ტურისტული	ცხენი	პარაპლანი	სამთო ველოსიპედი	კარავი	საკვები ადგილი	საკონფერენციო დარბაზი	კვლები	საბუნებო მასწავლებელი	შემოწირულობა	რუკა „ლ. დ.	რუკა „ლ. დ. (ინგლისური)	წიგნი	მასსური მასწავლის	მასსური ქალის	იუკარა	მთლიანი თანხა
2015 წელი	3330	10750	46	375	80	5867	600	69	0	30	138	566	0	192	180	0	22223,00
2016 წელი	6030	11750	294	1115	350	8190	4950	21	1230	110	154	660	120	48	60	8272,11	43354,11
2017 წელი	8145	7150	171	940	430	8760	8250	-	3330	-	74	684	60	0	0	31307,93	69301,93



თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ტურისტული მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით 2017 წ. აქტიურად დაიწყო ტურისტული სეზონისთვის მზადება, რაც აისახა როგორც ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში (ბილიკების, ხიდების კეთილმოწყობა, მარკირება და ა.შ.) ასევე საინფორმაციო პროდუქციის მომზადება - *გავრცელებაში.*

ვიზიტოთა სრული ინფორმირების მიზნით ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ბილიკების დეტალური აღწერა მოხდა ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებზე

სისტემატიურად მიმდინარეობდა ვიზიტორებისთვის ეკოტურისტული მომსახურების უზრუნველყოფა, მომსახურების დაჯავშნა და მათი საინფორმაციო უზრუნველყოფა.

ვიზიტორთა კმაყოფილების დონისა და პრობლემების გამოვლენის თვალსაზრისით, კითხვარების შევსების საფუძველზე განხორციელდა ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი.

მომზადდა მონაცემთა ბაზა, რომელიც საინფორმაციო ფოლდერის სახით გამოიყენება ვიზიტორების მიერ და მოიცავს ინფორმაციას რეგიონში არსებულ საოჯახო ტიპის სასტუმროების, სასტუმროების, კვების ობიექტების, ღირშესანიშნაობების, ტრანსპორტის განრიგის შესახებ.

შედგა სამუშაო შეხვედრა დაცული ტერიტორიების თანამშრომლებს და რეგიონში არსებული სასტუმროების მეპატრონეებს შორის. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა არსებული სერვისის შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის გაცნობისა და პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა გასვლითი შეხვედრა ქ. თელავის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის, ქ. სიღნაღის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებთან. ასევე ქ. ლაგოდეხში, ქ. თელავში და ქ. სიღნაღში არსებულ საოჯახო სასტუმროებთან.

ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე დაინერგა აქტიური დასვენების ყველაზე ახალგაზრდა სახე „ჯეოქეჩინგი“, რომელიც გულისხმობს იმ სამალავების სისტემების ძებნას, რომლებიც თამაშის სხვა მონაწილეებმა შექმნეს, თანამგზავრული სანავიგაციო სისტემების დახმარებით. „ჯეოქეჩინგი“ იგივე „აღმოჩენითი ტურიზმი“ მთელს მსოფლიოში საკმაოდ პოპულარული თამაშია, რომელშიც ჩართულია მოგზაურობის და თავგადასავლების მოყვარული ადამიანები.

პროექტები და თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან და მიმდინარე ინფრასტუქტურული პროექტები:

კენწეროების ბილიკის მოწყობის სოციალურ-ეკონომიკურ დასაბუთებასთან დაკავშირებით დეტალურ პროექტირებაზე საერთაშორისო ტენდერი "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის" (WWF) კავკასიის წარმომადგენლობამ, ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს" - TJS-III-ის ფარგლებში სექტემბერში გამოაცხადა. ტენდერი არ შედგა. ხის კენწეროების ბილიკები მოიცავს კოშკურებს, საჰაერო ბილიკს, ხიდებს, საგანმანათლებლო და საინტერპრეტაციო ინტერაქტიულ პორტალებს. მსგავსი ბილიკები მხოლოდ მსოფლიოს წამყვან ეროვნულ პარკებში გვხვდება. ხის კენწეროების ბილიკის შექმნის მიზანია, ადამიანებმა უკეთ, ახლოდან შეიცნონ ბუნება და ხელშესახები გახდეს მათთვის. მსგავსი ბილიკი ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების ზრდას, რაც ხელს შეუწყობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში დამატებითი სამუშაო ადგილების გაჩენას. ბილიკი, წინასწარი გათვლებით 1 წლის განმავლობაში 60 000 – 100 000 ადამიანის მასპინძლობას შეძლებს.
„ლუდვიგ მლოკოსევიცის სახელობის დენროლოგიური პარკის ახალი სიცოცხლე“ CARE მცირე გრანტების ფარგლებში: განხორციელდა ლუდვიგ მლოკოსევიჩის დენდროლოგიური პარკის ღობის მოწყობის სამუშაოები. მოწყობილია 120 მეტრი პერიმეტრის ღობე, დამონტაჟდა ალაყაფის კარი, დასუფთავდა 5 ჰა. ტერიტორია, მომზადდა და ხეებზე განთავსდა საინფორმაციო ნიშნები (სახეობა, გავრცელება), დაირგო 20 ახალი ნერგი.

ვიზიტორთა ცენტრი გაცემულია 15 წლიანი იჯარით. ვიზიტორთა ცენტრში ფუნქციონირებს სასტუმრო და კაფე: „ვალდ ჰოტელ ლაგოდეხი“ და „ვალდ კაფე“. 2017 წელს ადმინისტრაციის დახმარებით, მეიჯარემ მოამზადა პროექტი და მცირე გრანტების პროგრამიდან (CEAR საერთაშორისოს და ევროკავშირი) მიიღო დაფინანსება. განხორციელდა კაფის გაფართოება, კაფე სეიმინადა 4 სეზონსე შეუძლია მიიღოს ვიზიტორები და მოეწყო ახალი სამკითხველო ფანჩატური. გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურით და სერვისებით მეიჯარემ გაზრდილი შემოსავლები მიიღო და მინიმალურ საიჯარო ქირის 16575 ლარი ნაცვლად 31307 ლარი გადაიხადა იჯარის ქირის სახით.

სტრატეგიები და მენეჯმენტის გეგმები:
TJS-III-ის ფარგლებში ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის, ექსპერტების და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მომზადდა „ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკოტურიზმის განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება CNF-ის დაფინანსებით
ადმინისტრაციული ეზოში მოეწყო ავტოსადგომი, საკემპინგე ადგილები, ეზოს განათება, ვიდეო მონიტორინგის სისტემა და და განახლდა დეკორატიული ღობე.

ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტირება - დაცული ტერიტორიების სააგენტო
საანგარიშო პერიოდში, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადდა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ეკო ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლების პროექტი: ნინოს ხევის ჩანჩქერის, როჭოს ჩანჩქერის ინფრასტრუქტურის პროექტები და ხარჯთაღრიცხვა. მოსაძიებელია ფინანსები ნინოსხევის და როჭოს ჩანჩქერის ბილიკებზე ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.


„შავი კლდეების ტბის ბილიკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“ - ამერიკის საელჩოს დაფინანსებით
პროექტის ფარგლებში 42 კმ. ტურისტული ბილიკი გაიწმინდა მოთხრილ მოტეხილი ხეებისგან, გაიწმინდა ეკალ - ბარდისაგან, ბილიკზე განახლდა მარკირება. **ზღვის დონიდან 2000 მეტრზე მდებარე ტურისტულ თავშესაფარში "მეტეო" მოეწყო მზის მიკროელექტროსადგური (ჰელიოსისტემა), თავშესაფარი აღიჭურვა ორთოპედიული 16 მატრასით. მზის მიკროელექტროსადგური დამონტაჟდა ტურისტულ თავშესაფარში "დემიდოვის ბინა", თავშესაფართან მოეწყო მეხამრიდი მოწყობილობა, რომელიც მნიშვნელოვანია ვიზიტორების უსაფრთხოებისათვის. მზის მიკროელექტროსადგურის დახმარებით ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ელექტროხელსაწყოები დამუხტონ.**





„ნარჩენების მართვის გეგმა ლაგოდეხის დაცული ტერიტორიებისათვის“ - CENN - მხარდაჭერით მომზადდა დოკუმენტი, საჭიროა დოკუმენტის განხილვა და დამტკიცება;

პროექტი: „ბატკანძერის თვალით დანახული ლაგოდეხი“ - CARE მცირე გრანტების ფარგლებში, შეძენილ იქნა უპილოტო საფრენი აპარატი, აპარატის დახმარებით მოხდება ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ფოტო ვიდეო არქივის შექმნა, საფრენი აპარატების გამოცდა საძოვრების მართვის სფეროში.





მარიამჯვარის ნაკრძალის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება


რეინჯერთა ინდივიდუალური და ჯგუფური პატრულირების მარშრუტების გადახედვა და საჭიროების შემრხვევაში კორექტირება

შედგენილია რეინჯერთა ინდივიდუალური პატრულირების გრაფიკები (დირექტორის 2012 წლის 11 ივნისის #4 ბრძანება). სეზონურობის მიხედვით მარიამჯვრის ნაკრძალში ხდება მარშრუტების კორექტირება. ზამთრის პერიოდში კვ.#1-2-3-ში მოძრაობა ყველანაირი საშუალებით შეუძლებელია და პატრულირება ხორციელდება სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე.
სამანქანო-საპატრულო მარშრუტების გადახედვა. საჭიროების შემრხვევაში კორექტირება.
გასული წელს მარტის თვეში შედგენილი იქნა ახალი სამანქანე-საპატრულო მარშრუტები. შედგენილია 3 ძირითადი მარშრუტი და დატანილია რუკაზე. მასალები გადმოგზავნილია სააგენტოში.

რეინჯერთა ტრენინგები კანონაღსრულებასთან დაკავშირებით

მ.წ. იანვრისა ზაფხულის თვეებში ადმინისტრაციის მიერ თათბირებთან ერთად ტარდებოდა ტრენინგები. რეინჯერებს მიეწოდათ ინფორმაცია ოქმის შედგენისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ და დარღვევებთან დაკავშირებულ კანონაღსრულებასთან.
ყოველი თვის ბოლოს თითოეული რეინჯერისათვის მომდევნო თვის საპატრულო გეგმების შედგენა და ადმინისტრაციის დირქტორის მიერ დამტკიცება.

ყოველი თვის დასაწყისში რეინჯერებს ურიგდებათ დირექტორთან შეთანხმებული და დამტკიცებული საპატრულო გეგმა-გრაფიკები.



GPS ხელსაწყოს მეშვეობით ზუსტი საპატრულო მარშრუტების შექმნა (ე.წ. ტრეკის სახით)

GPS ხელსაწყოს გამოყენებით გასულ წელს შედგენილია და სააგენტოში გადმოგზავნილია საპატრულო მარშრუტები.

I - უთხოვრის კორომები 35 ჰა,

II - წიფლის ხელუხლებელი კორომები (დიდხნოვანი) 15 ჰა,

III - მაღალმთის მუხის კორომები 10 ჰა.

ტყეკაფების გამოყოფა ადგილობრივი მოსახლეობის ზამთრის სეზონისათვის საშეშე მერქნის გამოყოფა და გაცემა

გაკეთდა ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების ანალიზი და განისაზღვრა არსებული საშეშე მერქნის მარაგები.

აღკვეთილებში განისაზღვრა ის კვარტლები და უბნები, სადაც შესაძლებელია ყეკაფების გამოყოფა.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და მოსახლეობასთან შეხვედრებზე განისაზღვრა მოსახლეობის სავარაუდო მოთხოვნა საშეშე მერქანზე, რომლის რაოდენობამაც შეადგინა 200 მ3

დათვალიერებული იქნა გამოსაყოფი ტყეკაფები და შედგენილი იქნა შესაბამისი აქტები.

გამოყოფილი ტყეკაფების მონაცემების აიტვირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში. 2017 წელს გამოყოფილი იქნა 85 მ3 საშეშე მერქანი.

მ.წ ზამთრის სეზონისათვის 2016-2017 წ.წ. გამოყოფილ ტყეკაფებიდან მიმდინარეობს საშეშე მერქნის გაცემა ადგილობრივ მოსახლეობაზე. წლის განმავლობაში გაცემულია 110 მ3 სათბობი შეშა. შეშის გაცემის პროცესში მიმდინარეობს კონტროლი რათა არ მოხდეს სხვა ხეების მოჭრა-დაზიანება ან აღმონაცენ-მოზარდის განადგურება.

ხანძრების მართვა

სახანძრო ტექნიკა ადმინისტრაციას არ ერიცხება. ჩვენს ბალანსზე არსებული 2 კომპლექტი სახანძრო აღჭურვილობა დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და ვარგისია გამოსაყენებლად.

შესაბამისი ბრძანების საფუძველზე (ბრძანება #2, 03.07.2017წ.) ხანძარსაშიში პერიოდის დადგომასთან მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან ყველა სარეინჯეროში შემოღებული იქნას სადღეღამისო მორიგეობა.

ხანძარსაშიშ პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით, დაცვის განყოფილების თანამშრომლებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი ხანძარსაწინააღმდეგო ქმედებებთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის განმავლობაში მარიამჯვრის ნაკრძალის ტერიტორიაზე ხანძრის გაჩენის შემთხვევები არ დაფიქსირებულა.

სამართალდარღვევები

მ.წ. 2017 განმავლობაში გამოვლენილია 12 სამართალდარრვევა, აქედან 11 ადმინისტრაციული - 10 საქონლის ძოვებაზე და 1 თევზაობის წესების დარღვევაზე, და 1 სისხლის სამართლის საქმე, ელექტროშოკური სათევზაო აპარატის გამოყენებაზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები გადაეცა საგარეჯოს მაგისრტრატ სასამართლოს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე გადაეცა საგარეჯოს პოლიციის განყოფილებას, რაზედაც გაფორმდა საპროცესო გარიგება.

ყოველდღიური ინფორმაციის მომზადება და წარდგენა ადმინისტრაციაში, ყოველკვირეული ინფორმაციის – სააგენტოში

რეინჯერების მიერ უბნების შემოვლის შემდეგ ყოველდღიურად ხდება ინფორმაციის მოწოდება თავის სამცველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. მოპოვებული მონაცემები კვირის გან

<u>სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი</u>

მომზადებულია და გადმოგზავნილია სააგენტოში. 2016 წლის „ბუნების მატიანე“ მ.წ. „ბუნების მატიანე“-სათვის მიმდინარეობს მონაცემების შესრულება.

ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ წარმოებს ფოტოხაფანგების განთავსება, როგორც მარიამჯვრის ნაკრძალში, ასევე ყორულისა და იორის აღკვეთილებში. ადმინისტრაციის ბალანსზე ირიცხება 2 ცალი ფოტოხაფანგი, რომლებიც გამოსულია მწყობრიდან. ფოტოაპარატით მოპოვებული მასალა ინახება მარიამჯვრის ნაკრძალის არქივში.

მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიებზე გლობალურად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფრინველების სიის მომზადება გეგმის მიხედვით, რომლის დასრულება გათვალისწინებულია მეორე კვარტალში.

მომზადდა, მარიამჯვრის სახ. ნაკრძალის (მარიამჯვარი, ყორულღი, იორი) ტერიტორიაზე გავრცელებული კულტურული მცენარეების სია და გადმოიგზავნა სააგენტოში. სააგენტოში. სიის მიხედვით, წარმოდგენილია კულტულური მცენარეების - 36 გვარის 69 სახეობა, აქედან: *Acer-5, Alnus-2, Amygdalus-1, Betula-2, Carpinus-2, Corylus-3, Cotinus-1, Crataegus-1, Fraxinus-1, Hedera-1, Juglans-1, Juniperus-1, Morus-1, Malus-1, Ostrya-1, Oxalis-1, Paliurus-1, Pinus-1, Pyrus-2, Prunus-1, Quercus-3, Rhamnus-1, Robinia-1, Rosa-1, Rubus-5, Salix-6, Sorbus-4, Spiraea-2, Tamarix-1, Taxus-1, Tilia-2, Ulmus-3, Viola-3, Vitis-1.*

2016 წლის სტატისტიკური ფორმები გადმოგზავნილია სააგენტოში.

მიმდინარეობს რეინჯერების მონაცემების საფუძველზე, შემდეგ სამიზნე სახეობებზე: მარიამჯვარში - დათვი, შველი, კურდღელი, მგელი, ტურა, მელია, მაჩვი, ციყვი, ტყის კატა; ყორულის აღკვეთილში - გარეული ღორი, კურდღელი, მელია, წავი, მაჩვი, ტურა, მგელი; ხოლო იორის აღკვეთილში - გარეული ღრი, კურდღელი, მელია, მგელი, ტურა, ენოტი, ტყის კატა, ლელიანის კატა. მონაცემები გროვდება მთელი წლის განმავლობაში, რომელიც წარმოდგენილი იქნება „ბუნების მატიანე“-ში და სტატისტიკურ ფორმებში.

არასისტემატური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების მონიტორინგის ფარგლებში ამა წლის 13 ივნისს მარიამჯვრის ნაკრძალის ტერიტორიეაზე დაფიქსირდა ძლიერი სეტყვა და ქარიშხალი. სტიქიის შედეგად, ხეებზე ფიქსირსება ტოტების მტვრევა, ამასთანავე, ტყეს თითქმის ფოთლების 30%-მდე გასცვივდა.

ძუძუმწოვრების მონიტორინგის ფარგლებში აღრიცხული იქნა სამიზნე სახეობები: მარიამჯვარში - დათვი, შველი, კურდღელი, მგელი, ტურა, მელია, მაჩვი, ციყვი, ტყის კატა; ყორულის აღკვეთილში - გარეული ღორი, კურდღელი, მელია, წავი, მაჩვი, ტურა, მგელი; ხოლო იორის აღკვეთილში - გარეული ღრი, კურდღელი, მელია, მგელი, ტურა, ენოტი, ტყის კატა, ლელიანის კატა. მონაცემები გროვდება მთელი წლის განმავლობაში, რომელიც წარმოდგენილი იქნება ბუნების მატიანეში და სტატისტიკურ ფორმებში.

ეკოგანათლება

მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის მიერ, მოსახლეობის ეკო-საგანმანათლებლო დონის ამაღლების მიზნით 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო შეხვედრები და სემინარების ჩატარება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში.
მ.წ. წლის განმავლობაში მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართული იყო **1036** ადამიანი, მათ შორის: **715** მოსწავლე, **31** სტუდენტი, **55** პედაგოგი, **235** ადგილობრივი მოსახლე.

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეხვედრების და საუბრების ორგანიზება.

მიმდინარე წლის იანვრისა და ნოემბრის თვეებში საგარეჯოს საგანმანათლებლო რესურსცენტრში შედგა შეხვედრა ნაკრძალის ადმინისტრაციის თანამშრომლებსა და სკოლის დირექტორებს შორის, სადაც სკოლის დირექტორებს მიეწოდათ ინფორმაცია დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური-საგანმანათლებლო გეგმის შესახებ და შედგა სამოქმედო გეგმები ლექციების, საუბრებისა და სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ.





ლექცია - სემინარების ჩატარება სკოლებში

შესრულებულია გეგმის მიხედვით, კერძოდ : ჩატარდა ლექციები თემაზე - „საქართველოს დაცული ტერიტორიები და მათი კატეგორიები“ და დაურიგდათ სხვადასხვა დაცული ტერიტორიების ბუკლეტები, შემდეგ საჯარო სკოლებში:

7, 20 თებერვალი: სოფ. გიორგიწმინდის და სოფ. იორმუღანლო საჯარო სკოლები. ლექციებს ესწრებოდა 84 (29+55) მოსწავლე და 8 (3+5) პედაგოგი.

1, 27 მარტი: სოფ. დუზაგრამისა და სოფ. ლამბალოს საჯარო სკოლები ლექციებს ესწრებოდა 77 (37+44) მოსწავლე და 5 (2+3) პედაგოგი.

12, 28 აპრილი: საგარეჯოს #2 და #4 საჯარო სკოლები ლექციებს ესწრებოდა 57 (24+33) მოსწავლე და 6(3+3) პედაგოგი.

11, 24 მაისი: სოფ. ბადიაურის და სოფ. კაკაბეთის საჯარო სკოლები ლექციებს ესწრებოდა 83 (38+45) მოსწავლე და 7 (3+4) პედაგოგი.

5, 19 ოქტომბერი: სოფ. ბოდბეს და სოფ. მაღაროს საჯარო სკოლები ლექციებს ესწრებოდა 34 (19+15) მოსწავლე და 3 (2+1) პედაგოგი.

9, 21 ნოემბერი: სოფ. მანავის და სოფ. თოხლიაურის საჯარო სკოლები ლექციებს ესწრებოდა 53 (32+21) მოსწავლე და 5 (3+2) პედაგოგი.

5, 20 დეკემბერი: საგარეჯოს #1 და #3 საჯარო სკოლები ლექციებს ესწრებოდა 61(34+27) მოსწავლე და 7 (3+2) პედაგოგი.

სულ: ლექცია-სემინარები ჩაუტარდათ **449 მოსწავლეს და 38 პედაგოგს.**

ღონისძიებების ჩატარება მწვანე კალენდრის მიხედვით

14 მარტს (სიცოცხლის, წყლის და მდინარეების დაცვის დღე) და **22 მარტს** (წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღე) საგარეჯოს №1 და



№4 საჯარო სკოლებში ჩატარდა ლექციები თემაზე: - „საქართველოს უდიდესი ბუნებრივი საგანძური - დაცული ტერიტორიები და მათი კატეგორიები“. ლექციებს ესწრებოდა 67 (32+35) მოსწავლე და 5 (2+3) პედაგოგი.

21 მარტს – ტყის დღესთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ მოაწყო დასუფთავების აქცია მარიამჯვრის სახელმწიფო ნაკრძალში. აქციაში მონაწილეობდა ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი.

22 აპრილს - დედამიწის საერთაშორისო დღესთან და ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეებთან (19-24 აპრილი) დაკავშირებით საგარეჯოს №1 და №3 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მარიამჯვრის ნაკრძალში მოეწყო ექსკურსია საგანმანათლებლო ბილიკებზე. ამასთანავე, მოაწყეს დასუფთავების აქცია. ექსკურსიაზე





იმყოფებოდა 3 პედაგოგი და 37 მოსწავლე, რომელთაც ბილიკის დათვალიერებასთან ერთად ჩაუტარდათ ლექცია-საუბრები ნაკრძალის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე.

22 მაისს - ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სოფ. დუზაგრამისა და ლამბალოს საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის (ეთნიკურად აზერბაიჯანელები) მოეწყო ექსკურსია ყორულის აღკვეთილში. მათ მოინახულეს ხოხბების ვოლიერები და ჭალის მუხის იშვიათი ეგზემპლიერები. პარალელურად ჩაუტარდათ საუბრები ყორულის აღკვეთილის შექმნის ისტორიასა და მის მნისვნელობაზე. ექსკურსიაზე იმყოფებოდა: 3 პედაგოგი და 41 მოსწავლე.



1 ივნისს - გირგიწმინდის საჯარო სკოლაში (სადაც სწავლობენ, სოფ. ანთოკსა და სოფ. მარიამჯვარში მცხოვრები ბავშვები) დაწყებით კლასებში ჩატარდა საუბრები რაიონში არსებული დაცული ტერიტორიების შესახებ, რომელსაც დაესწრო 2 პედაგოგი და 23 მოსწავლე.



5 ივნისს - ყორულის აღკვეთილში ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელიც მიეძღვნა გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს და მონაწილეობა მიიღეს ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, რა დროსაც მოხდა მდინარე იორის ნაპირების გაწმენდა 2სხვადასხვა ნარჩენებისაგან. (აღნიშნული აქცია ყოველ წელს ტარდება და უკვე ტრადიციულ ხასიათს ატარებს)

27 სექტემბერს ტურიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დაკავშირებით სოფ. გიორგიწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო ექსკურსია ყორულის აღკვეთილში. მათ მოინახულეს ხოხბების ვოლიერები და ჭალის მუხის იშვიათი ეგზემპლიერები. პარალელურად ჩაუტარდათ საუბრები ყორულის აღკვეთილის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე. აგრეთვე, დაცული ტერიტორიების როლზე და მიშნელობაზე საქართველოში ტურიზმის განვითარების საქმეში. ექსკურსიაზე იმყოფებოდა: 2 პედაგოგი და 37 მოსწავლე.



4 ოქტომბერს - ცხოველთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სოფ. მანავის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყო ექსკურსია მარიამჯვრის ნაკრძალში, სადაც მათ მიიღეს ინფორმაცია ნაკრძალის შექმნის ისტორიასა და მის მნიშვნელობაზე. ამასთანავე, მის როლზე ცხოველთა დაცვის საქმეში, რადგან ნაკრძალი წარმოადგენ ცივ-გომბორის ქედის ნაწილს, ხოლო ცივ-გომბორის ქედი კი არის ცხოველთა მიგრაციის კორიდორი. ექსკურსიაზე იმყოფებოდა: 2 პედაგოგი და 38 მოსწავლე.

10 ოქტომბერს მეტყევის დღესთან დაკავშირებით მოეწყო დასუფთავების აქცია მარიამჯვრის ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიაზე (რეინჯერების სახლთან), სადაც მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელმა
სულ: ღონისძიებებში მონაწილეობდა **266 მოსწავლე და 15 პედაგოგი.**

თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან

ნაკრძალის ადმინისტრაცია თანამშრომლობს ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და მათ წარმომადგენლებთან სოფლებში, სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ამსთანავე, აქტიურად არიან ჩართულები მოსახლეობასთან დავების მოგვარების საქმეში.

ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრები



ივლისი - სოფ. ბოდბე და სოფ. მაღარო (42 ადამიანი)
აგვისტო - სოფ. ანთოკი და სოფ. მარიამჯვარი (18 ადამიანი)
ნოემბერი - სოფ. ლამბალო და სოფ. იორმუღანლო (55 ადამიანი)
ადგილობრივ მოსახლეობისათან მოეწყო შეხვედრები, მათი გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით. საუბრები წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, როგორც დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე, ასევე მის დაცვასა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე. სახძარსაშიში პერიოდის დადგომასთან დაკავშირებით მიმდინარეობდა ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების გატარება, კერძოდ, მწყემსებისა და ადგილობრივი მოსახლეობის



გაფრთხილება, ხანძარსაშიში უბნების გამოვლენა და კონტროლზე აყვანა. აგრეთვე, მოეწყო შეხვედრა ყორუღისა და იორის აღკვეთილების მიმდებარე ფერმების მწყემსებთან, რა დროსაც მოხდა მათი გაფრთხილება, რომ დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების წესები. შეხვედრას ესწრებოდა 32 მწყემსი.
შეხვედრებს ესწრებოდა სულ: 147 ადამიანი

სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება

ჩატარდა სოციალური გამოკითხვა, სულ გამოიკითხა 100 რესპოდენტი.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინიტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცვა/პატრულირების სისტემის განვითარების ხელშეწყობა - გასული წლების მონაცემების ანალიზის შედეგად: განისაზღვრა ანთროპოგენული ზეგავლენის „ცხელი წერტილები“ - სამართალდარღვევების ტიპების მიხედვით, შედეგად განისაზღვრა ყოველდღიური საპატრულო მარშრუტები და წარმოებს სისტემატიური პატრულირება უბნებისა და უბნის შიდა ტერიტორიის მიხედვით.


პატრულირების წარმოება - 2017 წლის მდგომარეობით განხორციელდა: პატრულირების დროს ბილიკებზე და გზებზე გავლილმა მანძილმა შეადგინა: ფეხით – 12672 კმ. და ავტომანქანით 28000 კმ. ადმინისტრაციის მიერ დაიგეგმა და ჩატარდა 90 დაგეგმილი რეიდი.


ინფორმაცია გამოვლენილ და დაფიქსირებულ სამართალდარღვევებზე: 2017 წლის განმავლობაში სხვადასხვა დარღვევებზე შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 11 ოქმი მათ შორის:


- 8(ოთხი) ოქმი - დაცულ ტერიტორიაზე რეჟიმის დარღვევა;
- 3(სამი) ოქმი - თევზჭერის წესების დარღვევა;

ყველა ოქმი განხილულია ხონის და მარტვილის მაგისტრი სასამართლოს მიერ, ოთხ შემთხვევაში სასამართლომ სამართალდამრღვევი დააჯარიმა ხოლო დანარჩენ შემთხვევაში გაფრთხილებით შემოიფარგლა. სამართალდამრღვევებზე მისჯილმა ჯარიმამ საერთო ჯამში 180 ლარი შეადგინა.


პატრულირების დროს ბილიკებზე და გზებზე გავლილი მანძილი 2017 წლის მდგომარეობით









დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი სამართალდარღვევების სახეები და სტატისტიკა:



გრაფიკი: გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისტიკა თვეების მიხედვით 2017 წელი



გრაფიკი: გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისტიკა წლების მიხედვით - III კვარტლის მდგომარეობით



გრაფიკი: თვეების მიხედვით გამოვლენილი სამართალდარღვევების შედარება წინა წლებთან

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევები 2017 წლის მდგომარეობით

ს ადმინი	ი ფაქტებ ის	ული სამარ დარღვევ	ლის ნიშნებ ის	სამართალდარღვევის სახეები					სავარა ულო ჯარიმე	პატრულირებ ის დროს	ჩატარე ბული რეიდე
				თერ ა	თევზ ჭერა	ნადი ...	ნადი ...	წესების დარღვევა			

								ნადირობა	თევზაობა	სხვა სამართალდარღ.			ბილიკებზე და გზებზე გავლილი მანძილი (კმ) 1. ფეხით 2. ცხენით 3. ავტომან	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლები	11	11	-	-	3	-	-	-	3	8	180	3168	1. 12672 2. 0 3. 28000 --- 40672	90
სულ														

მონაცემები ხე - ტყის უკანონო ჭრის შესახებ 2017 წლის მდგომარეობით

N რიგზე	ადმინისტრაციის დასახელება	აღრიცხული უკანონო ჭრები სულ კბ-ში	უკანონო ჭრები მ³-ში				სანიხრე ღირებულება ლარში	მთლიანად უკანონო ჭრებიდან გამოვლენილ დარღვევებზე დაფორმებული ოქმები სულ	გამოვლენილი და დამრღვევებზე გადაგზავნილი უკანონო ჭრების ოდენობა კბ.მ-ში	გამოვლენილი ტყის უკანონო მჭრელების მიერ მიყენებული ზიანი (ლარი)	ნებაყოფლობით გადახდილი თანხის ოდენობა (ლარი)	გადაცემული ოქმები სამართალდამცველებზე	განხილული საქმეების რაოდენობა	უკან დაბრუნებული ოქმების რაოდენობა	მისჯილი თანხის ოდენობა (ლარი)	ამოღებული თანხის ოდენობა სულ (ლარი)	გამოვლინების %	შენიშვნა
			გეგმიური რევიზიებით	საკონტროლო რევიზიებით	სხვა რევიზიებით	სულ												
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლები	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

სამართალდარღვევები (ადმინისტრაციული / სისხლი) - დინამიკა წლების მიხედვით:

2017 წლის მდგომარეობით სისხლის სამართლის ნიშების მქონე ფაქტი არ დაფიქსირებულა.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები:
სახანძრო უსაფრთოხებისათვის, დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ შეძენილია ორი კომპლექტი სახანძრო დაფა, განკუთვნილი სახანძრო – სამაშველო სამსახურის მოსვლამდე და ცეცხლთან ორგანიზებული ბრძოლის დაწყებამდე გამოსაყენებლად. დაფები დამონტაჟებულია მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ვიზიტორთა ცენტრების შენობის კედელებზე.
საჭიროება - „საევაკუაციო გეგმა“ - დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში და ვიზიტორთა ცენტრებში გვესაჭიროება „საევაკუაციო გეგმა, სახანძრო უსაფრთხოების წესების და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თანახმად, ადამიანთა მასობრივი თავშეყრის და სართულზე 10 და მეტი ადამიანის სამუშაო ადგილის მქონე ობიექტებში, ასევე შენობებში, რომლებშიც მუდმივად იმყოფებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ყველა სართულზე საევაკუაციო გასასვლელებთან უნდა იქნეს გამოკრული ხანძრის დროს ადამიანთა ევაკუაციის გეგმა.
საკონტორლო რევიზიების შედეგები: 2017 წელის მდგომარეობით გაზაფხულზე და შემოდგომით ჩატარებულია გეგმიური და საკონტროლო რევიზიები. რევიზიების შედეგად დარღვევები არ გამოვლენილა.
დანაგვიანების ფაქტები და სტატისტიკა: საანგარიშო პერიოდში, ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული სამართალდარღვევები არ დაფიქსირებულა;

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წლის მდგომარეობით მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციამ ჩაატარა:

აქტივობა	2016	2017
ლექცია-სემინარი (პრეზენტაცია)	0	24
საინფორმაციო ტური	0	0
ეკოსაგანმანათლებლო აქცია	0	0
ეკო ტური	0	3
მოსახლეობასთან შეხვედრა	0	1
დასუფთავების აქცია	0	20

სულ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მოანწილეობა მიიღო:

ღონისძიებებში ჩაერთო	რაოდენობა 2016 წელი	რაოდენობა 2017 წელი
მოსწავლე	0	532
სტუდენტი	0	90
პედაგოგი	0	60
ადგილობრივი მოსახლე	0	45
სულ:	0	727

სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება:

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის პრობლემური საკითხების გამოვლენის და მათი მოგვარების გამოვლენის მიზნით, მოსახლეობის ინფორმირებულობის, დაცული ტერიტორიების ცნობადობის და ჩართულობის განსაზღვრის მიზნით 2017 მარტში განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა სპეციალური კითხვარის დახმარებით, გამოკითხვამ მოიცვა 100 მოსახლე, შედეგები წარდგენილ იქნა დაცულილი ტერიტორიების სააგენტოში.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაციაში მხოლოდ წლის მესამე კვარტალში დაინიშნა ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი, რომელმაც დაიწყო ბუნების ძეგლებზე გავრცელებული ფლორისა და ფაუნის სახეობების აღრიცხვა.

მარტვილისა და ოკაცეს ბუნების ძეგლების ადმინისტრაცია აქტიურად იყენებს ფოტომახეებს ბრაკონიერების და ძუძუმწოვრების კვლევისათვის. საანგარიშო პერიოდში აქტიურად ველზე ფუნქციონირებდა 3 ფოტოხაფანგი, მოპოვებულ იქნა 1200 მეტი ფოტო და 55 ვიდეო ფაილი, სადაც დაფიქსირდა ძუძუმწოვარი, კერძოდ ტობის ჩანჩქერის ბუნების ძეგლზე შველი და 3 სამართალდამრღვევი მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე, თევზაობის წესების დარღვევის ფაკტზე.


ასევე მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე რეინჯერების და ვიზიტორების მიერ არაერთხელ დაფიქსირდა წავი.






ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წლის განმავლობაში მარტვილის კანიონს 147 644 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (62 434 ვზიიტორი) 137%-ით არის გაზრდილი.
ვიზიტორა 47 ქართველი (69 546 ვიზიტორი) ხოლო 53% უცხოელია (78 098 ვიზიტორი). ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 151%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 125%-ით.




დიაგრამა 1. მარტვილის კანიონის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ.



დიაგრამა 2. მარტვილის კანიონის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2017წ.

2017 წელს მარტვილის კანიონის ტურისტული სერვისებიდან მირებული შემოსავლი 193%-ით გაიზარდა (1 274 463 ლარი), 2016 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 433 506 ლარს შეადგენდა.




დიაგრამა 3. მარტვილის კანიონის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ.


2017 წლის განმავლობაში ოკაცეს კანიონს 73 113 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 40%-ით არის გაზრდილი. ვიზიტორების 57% ქართველი, ხოლო 43% უცხოელია. ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზდილია 25%-ით, ხოლო უცოხელი ვიზიტორების რაოდენობა 66%-ით.



დიაგრამა 4. ოკაცეს კანიონის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2014-2017წწ.




დიაგრამა 5. ოკაცეს კანიონის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ.



დიაგრამა 6. ოკაცეს კანიონის ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2017წ.

ოკაცეს კანიონის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 69%-ით (538 506 ლარი), 2016 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 318 537 ლარს შეადგენდა.



დიაგრამა 7. ოკაცეს კანიონის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2016-2017წწ.

პროექტები და თანამშრომლობა დონორებთან და მიმდინარე ინფრასტუქტურული პროექტები:
ოკაცეს კანიონის ვიზიტორთა ცენტრი (კაფეტერია და სუვენირების მაღაზია) - კაფეტერია გაცემულია 5 წლიანი იჯარით.
მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრი (სუვენირების მაღაზია და წყლის წისქვილი) - გაცემულია 5 წლიანი იჯარით.
მარტვილის კანიონის ვიზიტორთა ცენტრი(ვერანდა) - გაცემულია 8 წლიანი იჯარით.
ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლება:
2017 წლის განმავლობაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადდა მარტვილის კანიონის ტურისტული ინფრასტრუქტურის განახლების და დეფექტების აღმოფხვრის პროექტები.

ასევე მომზადდა ოკაცეს (კინჩხას) ჩანჩქერის ბუნების ძეგლის ვიზიტორთა ცენტრის და ტურისტული ინფრასტრუქტურის პროექტი და დაიწყო სამშენებლო სამუშაოები. მარტვილის კანიონის ბუნების ძეგლზე ვიზიტორთა ცენრტს და ტურისტულ ინფრასტრუქტურას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. ოკაცეს კანიონის კიდული ბილიკი დაზიანდა დიდი ზომის ლოდის დაცემის შედეგად, რომელიც უმოკლეს ვადებში შეკეთდა და აღდგა ვიზიტორების მიღება. ოკაცეს კანინის ვიდეოსათვალთვალო სისტემას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა მისი გამართვა სრულყოფილად ვერ მოხერხდა ცენტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენის დაზიანების გამო და საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. მარტვილის და ოკაცე კანიონების ვიზიტორთა ცენტრებში დაირგო სხვადასხვა სახეობის 1000 მეტი ხე და ბუჩქი.

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ყოველი თვის ბოლოს რეინჯერებს ბარდება მომდევნო თვის ყოველდღიური პატრულირების მარშრუტის განმსაზღვრელი ცხრილები, რომლის მეშვეობითაც კონტროლდება რეინჯერთა მიერ საპატრულო

მარშრუტებზე გადაადგილების სისწორე და მათი ადგილმდებარეობა, რომელიც უზრუნველყოფს რეინჯერების პასუხისმგებლობის ამაღლებას და სამართალდარღვევების დროულად გამოვლენას.

ხშირად ტარდება მოულოდნელი პატრულირება უფროსი რეინჯერების მიერ, მაჭახელას ეროვნული პარკის ორივე უბანზე, რომლის დროსაც მოწმდება რეინჯერების საქმიანობა და სამცველოში არსებულ მარშუტებზე გადაადგილების სისწორე, ასევე ადმინისტრაციის მხრიდან კეთდება მოულოდნელი შემოწმებები უფროსი რეინჯერების და რეინჯერების საქმიანობაზე.

ქედქედის და ჩიქუნეთის უბნებზე სულ ჩატარებულია 139 მოულოდნელი პატრულირება.




ბრაკონიერების სანადირო ადგილებისა და მათი გადაადგილების ბილიკების იდენტიფიცირება.

დაცვის განყოფილების მიერ შესწავლილი და დადგენილია პარკის ტერიტორიაზე სავარაუდო ნადირობისისა და თევზაობისათვის ხელსაყრელი ადგილები და მათი გადაადგილების მარშრუტები, რომელიც წარმოდგენილია სარეინჯეროების მიხედვთ, გადაადგილების დიდი პოტენციის მქონე ბილიკებზე, რომელი ტერიტორიებიც ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მკაცრ კონტროლზეა აყვანილი.

ქედქედის უბნის

№1 სარეინჯეროს №27 ბილიკი

№2 სარეინჯეროს №24,25 ბილიკი

№3 სარეინჯეროს №2,3,4 ბილიკი

№4 სარეინჯეროს №20,21,22 ბილიკი

ჩიქუნეთის უბნის

№1 სარეინჯეროს №5 ბილიკი

№2 სარიენჯეროს №7,8 ბილიკი

№3 სარეინჯეროს №10,11,12 ბილიკი

№4 სარეინჯეროს №13.14 ბილიკი

№5 სარეინჯეროს №15,16 ბილიკი

№6 სარეინჯეროს №18,19 ბილიკი

ანთროპოგენური ზეგავლენის მქონე ადგილების განსაზღვრა და იდენთიფიცირება, სამართალდარღვევის ტიპების განსაზღვრით.

ანთროპოგენული ზეგავლენის მქონე ადგილები სამართალდარღვევის ტიპების გავლენით.

1.ქედქედის უბნის №1 სარეინჯერო კვ. 14 - იარაღით გადაადგილება

2.ქედქედის უბნის №4 სარეინჯერო კვ. 9 - ხის ჭრა

3.ქედქედის უბნის №4 სარეინჯერო კვ.13 - ხის ჭრა

4.ქედქედის უბნის №4 სარეინჯერო კვ.18 - ხის ჭრა


5.ქედქედის უბნის №4 სარეინჯერო კვ.9 - ხის ჭრა


6. ჩიქუნეთის უბნის №5 სარეინჯერო კვ. 12 - იარაღით გადაადგილება



- დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი სამართალდარღვევების სახეები და სტატისტიკა.

2017 წლის სამართალდარღვევების სტატისტიკა თვეების და სახეების მიხედვით





- **ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები**

მარტის თვის დასაწყისიდან დასახლებულ პუნქტების ცენტრებში და ეროვნული პარკის მთავარ შესასვლელ გზებზე გამოეკრა ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფის სია, ასევე გაძლიერებული პატრულირება მიმდინარეობდა ხანძრის კერის გავრცელების დიდი ალბათობის მქონე ტერიტორიებზე, დროულად აღმოჩენის, მყისიერი რეაგირებისა და ხანძრის ლოკალიზების მიზნით.





- **საკონტროლო რევიზიების შედეგები**

ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 31 მარტის N 8 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა **გეგმიური საგაზაფხულო რევიზია.** რევიზია ჩაატარა უფროსმა რეინჯერებმა რეინჯერების თანდასწრებით. რევიზიების დროს სამართალდარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.

ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 28 აპრლის N12 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა **გეგმიური საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია.** რევიზია ჩაატარა ადმინისტრაციის ბუნებრივი რესურსების უფროსმა სპეციალისტმა უფროსი რეინჯერების და რეინჯერების თანდასწრებით. რევიზიები შეესაბამებოდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზიების მასალებს.

საშემოდგომო რევიზიების ჩატარება ფოთოლცვენის დაწყებისთანავე ან პირველი თოვლის მოსვლამდე.

ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 29 სექტემბრის N 33 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა გეგმიური საშემოდგომო რევიზია. რევიზია ჩაატარა უფროსმა რეინჯერებმა რეინჯერების თანდასწრებით. რევიზიების დროს სამართალდარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.

საკონტროლო საშემოდგომო რევიზიების ჩატარება.

ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 30 ოქტომბრის N38 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა გეგმიური საშემოდგომო საკონტროლო რევიზია. რევიზია ჩაატარა ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსის დროებით მ/შ-მა უფროსი რეინჯერების და რეინჯერების თანდასწრებით. რევიზიები შეესაბამებოდა საშემოდგომო გეგმიური რევიზიების მასალებს.

- **დანაგვიანების ფაქტები და სტატისტიკა**

არ დაფიქსირებულა.

- **ტყეკაფების გამოყოფა ადგილობრივი მოსახლეობის ზამთრის სეზონისათვის საშეშე მერქნის გამოყოფა და გაცემა.**

ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების ანალიზი და საშეშე მერქნითი რესურსების არსებული მარაგის შეფასება.

დღეის მდომარეობით ქედქედის და ჩიქუნეთის უბნებში გამოყოფილი ტყეკაფებიდან დარჩენილი არის 367.09 მ^3 ნაშთი.

საშეშე მერქნის სხვა ალტერნატიული საშუალების ჩანაცვლების მიზნით ადმინისტრაციის კოორდინაციით მაჭახელას ხეობაში შემოტანილი იქნა 150 ტონა თხილის ნაჭუჭი, რომლითაც მომარაგდა 50 ოჯახი.

გამოსაყოფი ტყეკაფების ადგილების იდენტიფიცირება კვარტლების განსაზღვრებით და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობით.

იდენტიფიცირებულია.

გამოსაყოფი ტყეკაფის წინასწარი დათვალიერება და დათვალიერების დოკუმენტების მომზადება.

მომზადებულია დოკუმენტები.

ტყეკაფის გამოყოფა და მასალების შესაბამის ფორმაში შეტანა და ადმინისტრაციაში წარდგენა/მისი გადამოწმება.

სექტემბრის, ოქტომბრის და ნოემბრის თვეებში ქედქედის და ჩიქუნეთის უბნებში გამოიყო ახალი ტყეკაფები, საერთო მოცულობით 318.17 მ^3. მასალები შესაბამისი დოკუმენტაციით წარედგინა ადმინისტრაციას.

გამოყოფილი ტყეკაფის მონაცემების ატვირთვა ერთიან მონაცემთა ბაზაში.

გამოყოფილი ტყეკაფის მონაცემები აიტვირთა ერთიან მონაცემთა ბაზაში.

ტყეკაფების გაცემის მიმდინარეობა და კონტროლი.

მიმდინარე წლის 12 თვის მდგომარეობით ტყეკაფიდან ათვისებულია 420,56 მ^3 ხე-ტყე.

ყოველთვიური ანგარიშის მომზადება დაცვის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და წარდგენა ადმინისტრაციის დირექტორთან.

ყოველი თვის დაცვის განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოები მოხსენებითი ბარათით წარედგინება ადმინისტრაციის დირექტორს.

ყოველკვარტალური ანგარიშის მომზადება დაცვის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და წარდგენა ადმინისტრაციის დირექტორთან.

ყოველი კვარტლის ბოლოს დაცვის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები მოხსენებითი ბარათით წარედგინება ადმინისტრაციის დირექტორს.

<u>სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი</u>

ფოტოაპარატით და ფოტოხაფანგით შეგროვილია ფაუნის შემდეგიო სახეობები: შველი- (*Capreolus capreolus*) 6 ცალი; გარეული ღორი (*Sus scrofa*) 12 ცალი, კვერნა - (*Martes foina*) 3 ცალი, ფოცხვერი (*Lynx lynx*)- 1 ცალი, მურა დათვი (*Ursus arctos*) – 4 ცალი






მომზადებულია 2016 წლის „ბუნების მატიანე“ და მიმდინარეობს მასალების შეგროვება მუშაობა 2017 წლის „ბუნების მატიანი“-სათვის.
მუდმივად მიმდინარეობს არასისტემური მოვლენების, ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების მონიტორინგი.

საქართველოს „წითელი ნუსხის“ ცხოველების მონიტორინგის ფარგლებში მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი, ამჟამად დაფიქსირებულია: ფოცხვერის (lynx lynx)- 1 ცალი სურათი, მურა დათვის (Ursus Arctos)- 4 ცალი სურათი.






მიმდინარეობს მუდმივი მონიტორინგი ამჟამად დაფიქსირებულია: N	სახეობა	რაოდენობა	„წითელ ნუსხაში“ შეტანის საფუძველი სიტყვიერი	სტატუსი
1.	არჩვი(RupicarpaRupicarpa)	10	მნიშვნელოვანი კლება ბოლო წლებში	EN
2.	ფოცხვერი(lynx lynx)-	2	მცირე ფრაგმენტული პოპულაცია	CR
3.	მურა დათვი(Ursus Arctos)	27	მცირე ფრაგმენტული პოპულაცია	EN
4	კავკასიური ციყვი - Sciurus	11	შესახლებული სახეობის პრესის ქვეშ იმყოფება	VU



მიმდინარეობს ფოტომასალების ინფორმაციის მუდმივი შეგროვება ფლორა-ფაუნის შესახებ, რომელიც ეწოდება ადმინისტრაციას და მოთხოვნის შესაბამისად დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება



ეკოპროექტები

მიმდინარე წლის ივნისის თვიდან დაიწყო მუშაობა „ნორჩი რეინჯერების“ პროგრამის შედგენაზე, ხოლო მიმდინარე წლის 22 სექტემბერს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში „ნორჩი რეინჯერების“ პროექტის მონაწილეებთან პირველი შეხვედრა გაიმართა. ნორჩ რეინჯერებს მიეწოდათ ინფორმაცია პროექტის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების შესახებ და გადაეცათ ფორმები საჩუქრად.

პროექტი ხორციელდება მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეოგობართა ასოციაციის მიერ UNDP_GEF-ის ფინანსური მხარდაჭერით.




მიმდინარე წლის ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით ჩიქუნეთის,

ჩხუტუნეთის, აჭარისაღმართისა და ქედქედის საჯარო სკოლების ნორჩი რეინჯერებისთვის მთავარანგელოზის მთის ბილიკზე ეკო-ტური მოეწყო. ეკო-ტურის ფარგლებში ნორჩი რეინჯერები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე ჩაუტარდათ ლექცია-სემინარი. ტურის დასკვნით ნაწილში კი ჩატარდა ვიქტორინა თემებზე: დაცული ტერიტორიების სახეები და კატეგორიები, წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეები და ცხოველები, მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება, დაშვებული და აკრძალული ქმედებები დაცულ ტერიტორიებზე. ვიქტორინის გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ნორჩი რეინჯერების პროექტს ახორციელებს „მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია“ UNDP-GEF-ის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში.




მიმდინარე წლის 24 მაისს, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ქ. ბათუმის N2 საჯარო სკოლის მოსწავლეებს ეკო-საგანმანათლებლო ლექცია-სემინარი ჩაუტარეს. სემინარის მთავარ თემას წარმოადგენდა საქართველოს დაცული ტერიტორიები და მათი მნიშვნელობა, მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება და არსებული ტურისტული ბილიკების გაცნობა.




მიმდინარე წლის 28 სექტემბერს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ქ. ბათუმის N2 საჯარო სკოლის მე-9 და მე-10 კლასის მოსწავლეებს ეკო-საგანმანათლებლო ლექცია-სემინარი ჩაუტარეს.




მიმდინარე წლის 12 თვეში ადმინისტრაციის ორგანიზებით სულ ჩატარდა 14 (თოთხმეტი) ღია გაკვეთილი (ეკო-გაკვეთილი) მთავარანგელოზის მთის ბილიკზე.




მიმდინარე წლის ივნისის თვეში მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით აჭარისაღმართის საჯაროს სკოლის მოსწავლეებთან ერთად დასუფთავების აქცია მოეწყო. დასუფთავდა მდ. მაჭახელას სანაპირო ზოლი.




მიმდინარე წლის იანვრის და თებერვლის თვეში, სოფ. ჩიქუნეთის, ჩხუტუნეთის, აჭარისაღმართის, ქედქედის საჯარა სკოლებში და ხელვაჩაურის ახალგაზრდულ ცენტრში გაიმართა იან-არტურ ბერტრანის ფილმის „სახლი“ ჩვენება და ფილმის დასრულების შემდგეგ გაიმართა ფილმის განხილვა.




მიმდინარე წლის 21 მარტს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. ზედა ჩხუტუნეთისა და ქვ/ჩხუტუნეთის საჯარო სკოლებში ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან

დაკავშირებით გამწვანების აქცია მოეწყო. ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სკოლის მოსწავლეებთან ერთად სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნაძვის ხეები დარგეს.




მიმდინარე წლის 22 მარტს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა წყლის რესურსების დაცვის დღესთან დაკავშირებით დასუფთავების აქცია მოაწყვეს. დასუფთავდა მდ. მაჭახელას სანაპირო ზოლი.




მიმდინარე წლის 23 მარტს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მეტეოროლოგიის დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან იან-არტურ ბერტრანის ფილმის „სახლი“ ჩვენება გაიმართა. ფილმში ნაჩვენებია ხელუხლებელი ბუნება, მისი ფასეულობები და ღირებულებები, გარემოს საციცოხლო მნიშვნელობა, ეკოსისტემური ჯაჭვის რღვევა, ჰაერის დაბინძურება, ეროზიული პროცესები, ნიადაგის დამლაშების პრობლემები და მიზეზები. ფილმის დასრულების შემდეგ გაიმართა ფილმის განხილვა.




მიმდინარე წლის 24 მარტს ბათუმის პროფესიულ სასწავლებელში „ბლექ სი“ დედამიწის საათთან დაკავშირებით იან-არტურ ბერტრანის ფილმის „სახლი“ ჩვენება გაიმართა. ფილმის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომლის დროსაც ძირითადი აქცენტები გაკეთდა კლიმატის ცვლილებაზე და მის გამომწვევ პრობლემებზე, ასევე დაცული ტერიტორიების მნიშვნელობაზე გარემოს დაცვის საკითხებში.




მიმდინარე წლის 29 აპრილს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები დედამიწის დღესთან დაკავშირებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ღონისძიებას „დავალაგოთ საქართველო“ შეუერთდა და დასუფთავების აქცია მოეწყო მდინარე მაჭახელას სანაპირო ზოლზე.




მიმდინარე წლის 28 მაისს მაჭახელას ეროვნული პარკის მთავარანგელოზის მთის ბილიკზე პროექტის „აჭარის სკოლების ცნობიერების ამაღლება ტყის დაცვის მიზნით“ მონაწილე მოსწავლეების და მასწავლებლებლისთვის ეკო-ტური მოეწყო. პროექტის მონაწილეები გაეცნენ პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე ჩაუტარდათ შემეცნებითი ლექცია-სემინარი.





მიმდინარე წლის 3 ივნისს მაჭახელას ეროვნული პარკის მთავარანგელოზსი მთის ბილიკზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ეკო-ტური მოეწყო. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის ბუფერული ზონის ისტორიულ-კულტურული ძეგლების შესახებ. ბილიკზე ლაშქრობისას კი მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ.




მიმდინარე წლის 6 ივნისს გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით, მტირალას და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის ორგანიზებით, ჩაისუბნის, გორგაძეების, ჩაქვის #1 საჯაროს სკოლის და ცაქვის გიმნაზიის ნორჩი რეინჯერებისთვის მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის მთაზე ეკო-ტური მოეწყო. ნორჩი რეინჯერები გაეცნენ პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე ჩაუტარდათ შემეცნებითი ლექცია-სემინარი.




მიმდინარე წლის 09 ივნისს ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 40 ახალგაზრდისათვის მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ეკო-ტური მოეწყო. ახალგაზრდები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე ჩაუტარდათ ლექცია-სემინარი. ტურის დასკვნით ნაწილში კი ჩატარდა ვიქტორინა თემებზე: დაცული ტერიტორიების სახეები და კატეგორიები, წითელ ნუსხაში შეტანილი მცენარეები და ცხოველები, მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნება, დაშვებული და აკრძალული ქმედებები დაცულ ტერიტორიებზე. ვიქტორინის გამარჯვებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.




მიმდინარე წლის 09 ივნისს ქედქედის საჯაროს სკოლის მოსწავლეებისთვის მთავარანგელოზსი ბილიკზე ეკო-ტური მოეწყო. მოსწავლეები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს.




მიმდინარე წლის 18 ივნისს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ქ. ბათუმის #2 საჯარო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის ეკო- ტური მოეწყო. ტურის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში არსებული ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ. ტურის დასასრულს გადმოსახედი ადგილიდან ფოტოები გადაიღეს.




მიმდინარე წლის 14 ოქტომბერს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ქ. ბათუმის სკოლა „ევრო 2000“-ის ორგანიზებით მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ეკო-ტური მოეწყო. ტურის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს, ასევე მიეწოდათ ინფორმაცია მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებში არსებული ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების შესახებ. სასწავლო ტურის ფარგლებში მოსწავლეებმა ისწავლეს: GPS ნავიგაციის სისტემის გამოყენებას, თეორიული ინფორმაციის მიღების შემდეგ პრაქტიკული აქტივობების შეასრულეს. კონკრეტულად:მოსწავლეებისგან დაკომპლექტებული 3 სხვადასხვა ჯგუფი გავიდა GPS ნავიგაციის სისტემით სხვადასხვა მიმართულებით, მათ უნდა ეპოვათ წინასწარ დამალული კოორდინატები. ისწავლეს ბუნებაში ორიენტირება სხვადასხვა ნიშნების მიხედვით. დაანთეს კოცონი ასანთის გარეშე, ისწავლეს ტოპოგრაფიული რუკის წაკითხვა, ასევე პირველადი თავშესაფრის აგება და კარვის გაშლა.




მიმდინარე წლის 21 აპრილს, ნაკრძალებისა და ეროვნული პარკების დღეებთან დაკავშირებით, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით, აჭარისაღმართის საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის მაჭახელას ეროვნული პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ეკო-ტური მოეწყო. მოსწავლეები გაეცნენ მაჭახელას ეროვნული პარკის ფლორას, ფაუნას და ბუნების ღირსშესანიშნაობებს. მოსწავლეებს ასევე ჩაუტარდათ შემეცნებითი ლექცია-სემინარი.




25 მაისს ბიომრავალფეროვნების დღესთან დაკავშირებით, მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებს შეხვდნენ. შეხვედრაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს ვიდეო-რგოლი სახელწოდებით: „დღევანდელი მსოფლიოს ნარჩენების პრობლემები“, სკოლის მოსწავლეებმა ასევე გააკეთეს პრეზენტაციები მტკნარი წყლების, ტბების და ფლორა-ფაუნის მნიშვნელობაზე.






მიმდინარე წლის 5 ივნისს გარემოს დაცვის დღესთან დაკავშირებით მაჭახელას ეროვნული პარკის წარმომადგენლებმა და აჭარის ტურისტული სააგენტოს წარმომადგენლებმა მაჭახელას ხეობაში არსებული ტურისტული ობიექტი მე-2 მსოფლიო ომის დროინდელი ქვემეხის მისასვლელი ადგილი დაასუფთავეს.





ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წლის განმავლობაში მაჭახელას ეროვნულ პარკს ესტუმრა 5 092 ვიზიტორი, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (2 062 ვიზიტორი) 147%-ით არის გაზრდილი. ქართველი ვიზიტორების რაოდენობა ვიზიტორების საერთო რაოდენობის 63% ქართველია, ხოლო 37% უცხოელი ვიზიტორი.

ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 137%-ით, ხოლო უხოელი ვიზიტორების რაოდენობა 167%-ით.



დიაგრამა 1. მაჭახელას ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



დიაგრამა 2. ქართველ და უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წწ

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

2017 წლის განმავლობაში მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციასა და მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარედ არსებულ საოჯახო სასტუმროებს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება სამომავლო თანამშრომლობის შესახებ, განახლდა სასტუმროების შესახებ საინფორმაციო ბაზა.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები

2017 წლის აგვისტოს თვეში ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ტყუპი ჩანჩქერების ბილიკზე საპიკნიკე და საკარვე ადგილები მოეწყო, ასევე გაკეთდა მდინარეზე გადასასვლელი ხიდი.

2017 წლის აგვისტოს თვეში UNDP_GEF-ის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ მთავარანგელოზის მთის ბილიკზე ფარგლებში დამონტაჟდა საგზაო ნიშნულები და საინფორმაციო დაფები.





UNDP-GEF-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის პირველი ეტაპის სარემონტო სამუშაოები. მეორე ეტაპის სამუშაოები კოლხეთის ეროვნული პარკის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

სტრატეგიები და მენეჯმენტის გეგმები

UNDP-GEF-ის პროექტის ფარგლებში მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის შექმნასთან დაკავშირებით მუშაობა დასრულებულია.

პროექტები და თანამშრომლობა დონორებთან

„აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის UNDP-GEF მხარდაჭერით, ადმინისტრაციას გადაეცა სამედიცინო მედიკამენტები, საველე ზურგჩანთები, ფანრები.

2017 წლის 15 მაისს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში პროექტ „ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული ნაკადის გაზრდის განვითარების შესაძლებლობები მაჭახელას ხეობის მოსახლეობისთვის“ შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. პროექტის მიზანია ხეობის ტურისტული პოტენციალის განსაზღვრა, ახალი ტურისტული პროდუქტების შექმნისას ეკოტურისტული პრინციპების დაცვა, მაღალი ხარისხის ტურისტული პროდუქტების და სერვისების შექმნისათვის ადგილობრივი მოსახლეობის უნარ-ჩვევების განვითარება და სხვადასხვა მარკეტინგული აქტივობების გზით ხეობის პოპულარიზაცია. პროექტი ხორციელდება საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ UNDP_GEF პროექტის „აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარრგლებში.

გაეროს განვითარების პროგრამის UNDP- GEF მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ტურისტული მომსახურეობისა და ტურისტული ნაკადის გაზრდის განვითარების შესაძლებლობები მაჭახელას ხეობის მოსახლეობისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ეკოტურიზმის

ასოციაცია, 2017 წლის 13-დან 15-ივნისის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგები მაჭახელას ხეობაში არსებული და პოტენციური ტურისტული მომსახურების მიმწოდებლების მომზადება/გადამზადების მიზნით. კერძოდ, საოჯახო სასტუმროების, კვების ობიექტების, რეწვის ოსტატების, აგროტურისტული მეურნეობების მოწყობის სტანდარტების, მართვის საკითხების, მარკეტინგული აქტივობების განხორციელების გზებისა და ეკოტურიზმის პრინციპების გაცნობა, რათა შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენებით ადგილობრივი ტურისტული მომსახურების მიმწოდებლებმა შეძლონ უკეთესი მომსახურება შესთავაზონ ხეობის ვიზიტორებს სწორად დაგეგმილი, დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტის შეთავაზების გზით.

მიმდინარე წლის 22 ივნისს სოფ. აჭარისაღმართის საჯარო სკოლაში UNDP_GEF-ის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ პროგრამის ფარგლებში ასოციაცია „ შავი ზღვის ეკო-აკადემიის“ მიერ გამოცხადებული კონკურსი სოფლებს შორის - „სოციალური პროექტების შედგენის“ შესახებ შეხვედრა გაიმართა. მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებიდან საინიციატივო ჯგუფებმა საგრანტო კონკურსში საპროეტო წინადადებები წამოადგინეს, საიდანაც 4 საუკეთესო პროექტი დაფინანსდა. პროექტის მიზანია მაჭახელას ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლების განვითარების ხელშეწყობა.

2017 წლის 23 ივნისს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტარციის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი იყო მაჭახელას ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმის განხილვა. მენეჯმენტის გეგმის შემუშავება ხორციელდება UNDP-GEF-ის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ პროგრამის ფარგლებში.2017 წლის 7-8 ივლისს ქ. ბათუმში სასტუმრო რედისონში გაიმართა UNDP-GEF-ის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის 6 თვის ანგარიშის განხილვა.

2017 წლის 13 ივლისს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გაიმართა საოპერაციო გეგმის განხილვის სამუშაო შეხვედრა. მაჭახელას ეროვნული პარკის საოპერაციო გეგმის შემუშავება ხორციელდება პროექტის „აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით.

2017 წლის 19-23 ივლისს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები და მიმდებარე ზონის თემების წარმომადგენლები სასწავლო ტურის ფარგლებში თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე იმყოფებოდნენ. ტურის მიზანს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და მიმდებარე ზონის თემების წარმომადგენლებისთვის თუშეთის დაცული ტერიტორიების და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მისი სარგებლის გაცნობა, დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული წარმატებული ბიზნეს მაგალითების ნახვა წარმოადგენდა. სასწავლო ტური მოეწყო პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) ფინანსური დახმარებით.

2017 წლის 3 აგვისტოს სოფ.ზედა ჩხუტუნეთში ფოლკლორული ფესტივალი „ჩვენი სოფლის მოძახილი“ გაიმართა, რომელშიც ადგილობრივმა ფოლკლორულ გუნდი „მაჭახელა“ მონაწილეობდა, რომლის ჩამოყალიბებას და განვითარებას UNDP-GEF-ის პროექტის ფარგლებში შეეწყო ხელი.

2017 წლის 30 აგვისტოს მაჭახელას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას UNDP-GEF-ის პროექტის წარმომადგენლები ეწვია. ადმინისტრაციაში UNDP-GEF-ის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში განხორციელებული საქმიანობების შესახებ და მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ პრეზენტაცია გაკეთდა.

2017 წლის 25 სექტემბერს სოფ. სინდიეთში სახალხო დღესასწაული „მაჭახლობა 2017“ გაიმართა, სადაც მაჭახელას ეროვნული პარკი იღებდა მონაწილეობას და სტუმრებს დაცული ტერიტორიების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა, ასევე „მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის“ მიმდინარე პროექტის „ნორჩი რეინჯერები“ აქტიურად ჩაერთნენ და დაცული ტერიტორიების ბუკლეტების გავრცელებაში მიიღეს მონაწილეობა.

ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ დაცული ტერიტორიების სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი (GEF), აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია და შავი ზღვის ეკო-აკადემია.

მიმდინარე წლის აგვისტო-სექტემბრის თვეებში პროექტის „ტურისტული მომსახურებისა და ტურისტული ნაკადის გაზრდის განვითარების შესაძლებლობები მაჭახელას ხეობის მოსახლეობისთვის“ ფარგლებში მაჭახელას ხეობაში დაიგეგმა და შეიქმნა 3 ტურისტული მარშუტი: ეთნოგრაფიული ტური „მაჭახელი“, გასტრონომიული ტური „ მაჭახელის ნობათი“ და დუნგას ჩანჩქერების ტური. აღნიშნული ტურისტული მარშუტების შექმნა ეკოტურისტული პრინციპების დაცვით მოხდა, ასევე მომზადდა ტურისტული ბროშურა აღნიშნული ტურისტული მარშუტების შესახებ.

პროექტი განხორციელდა საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის მიერ UNDP_GEF პროექტის „აჭარის რეგიონის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მართვის ეფექტურობის გაუმჯობესება“ ფარგლებში.

2017 წლის 19-20 ოქტომბერს საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის ორგანიზებით საქართველოში მოქმედ ტუროპერატორთა წარმომადგენლებისთვის შედგა საინფორმაციო ტური მაჭახელის ხეობაში. ტურის ფარგლებში სტუმრებმა მოინახულეს მაჭახელას ეროვნული პარკი და ასოციაციის მიერ ხეობაში შექმნილი ახალი ეკო-ტურისტული მარშუტები. ტუროპერატორები ეწვივნენ მარშუტში შემავალ ტურისტული სერვისების მიმწოდებელ ობიექტებს და უშუალოდ გაეცნენ მათ შემოთავაზებებს. საინფორმაციო ტური განხორციელდა UNDP_GEF-ის მხარდაჭერით

მიმდინარე წლის 9 ნოემბერს სასტუმრო რედისონში გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა მაჭახელას ხეობაში განხორციელებული ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგოტექნოლოგიების ტესტირების ანგარიშის შესახებ, რომელიც განხორციელდა UNDP_GEF-ის პროექტის „აჭარის დაცული ტერიტორიების გაფართოება და მათი მართვის დახვეწა“ ფარგლებში.

თანამშრომლობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან, სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან

2017 წლის 26 მაისს, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტში გიდების გადამზადების ტრენინგის მონაწილეებს მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ პრეზენტაცია ჩაუტარდათ და მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ. პრეზენტაციის დასრულების შემდგომ ტრენინგის მონაწილეებისთვის მაჭახელას რეოვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ტური მოეწყო.

2017 წლის 29 ივნისს აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ორგანიზებით მაჭახელას ეროვნულ პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე ტურისტული სააგენტოებისთვის და გიდებისთვის ინფო-ტური მოეწყო. ინფო-ტურის ფარგლებში მონაწილეებს მაჭახელას ეროვნული პარკის შესახებ პრეზენტაცია ჩაუტარდათ და მაჭახელას ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა და არსებული ტურისტული ბილიკების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიეწოდათ. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ინფო-ტურის მონაწილეებისთის მთავარანანგელოზის ბილიკზე ტური მოეწყო.

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს ტურიზმის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული გიდების გადამზადების ტრენინგის მონაწილეებმა ჩაატარეს ტური მაჭახელას ეროვნული პარკში მთავარანგელოზის ბილიკზე. ტურის მიზანს წარმოადგენდა ტრენინგის განმავლობაში მიღებული ცოდნის ტურის განმავლობაში პრაქტიკულად გამოყენება.


ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ადგილობრივ მოსახლეობასთან მოეწყო შეხვედრები, დაცული ტერიტორიების და მათი განსაკუთრებული ფასეულობების, ასევე ადმინისტრაციის მიზნებისა და ქმედებების შესახებ.


მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია


დაცვის განყოფილება

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს 2017 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქმედებების შესრულება, კერძოდ 12 თვის მდგომარეობით:


დაცვის განყოფილების მიერ გადახედილ იქნა მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიებზე არსებული საპატრულო მარშრუტები, რომლებიც დაგეგმილია სეზონურობის მიხედვით. აღნიშნულზე შემდგარია საკვარტლე რუკები, რაზედაც დატანებულია საპატრულო მარშრუტები და ჩაბარებული აქვს დაცვის განყოფილების ყველა თანამშრომელს. ამ ეტაპისთვის დაკორექტირება მოხდა ზამთრის საპატრულო მარშუტების და დატანილ იქნა გისის რუკებზე. აღნიშნულთან დაკავშირებით შედგენილია სამანქანე და საფეხმავლო საპატრულო რუკები, რომელიც აგრეთვე ატვირთულია googe earth -ის პროგრამაშიც.









დაცვის განყოფილების მიერ, ერთობლივად დადგენილ და განახლებულ იქნა ანთროპოგენული ზემოქმედებისთვის ქვეშ მყოფი ტერიტორიები, (უკანონო ჭრა, ნადირობა, თევზჭერა, ტერიტორიის დანაგვიანება და ხანძარსაშიში ადგილები) რაზედაც შედგა შესაბამის ადგილდებარეობების რუკა. აღნიშნულ ტერიტორიებზე მიმდინარეობს ხშირი პატრულირება და ყოველდღიურ კონტროლზეა აყვანილი. ასეთ კვარტლებს ძირითადად მიეკუთვნება ქობულეთის უბნის № 5, 13, 14, 15 16, 19,58, 59, 34, 35, 60, 61, 66, 67, 68, 48 ,49, კვარტლები. ხელვაჩაურის უბნის № 2, 3, 8, 9, 12, 24, 25, 51, 69, კვარტლები. ქედის უბნის № 6, 40, 41, 65, 81, 82, 83, 85, 88, 89, 90, 91 კვარტლები











მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ყოველ თვის ბოლოს დგება მომდევნო თვის ყოველდღიურად ჩაშლილი პატრულირების განმსაზღვრელი მარშრუტები და ბარდებათ რეინჯერებს, რომლის მეშვეობითან კონტროლდება მათი საპატრულო მარშრუტებზე გადაადგილების სისწორე და ადგილმდებარეობა.

რეინჯერების მიერ, ყოველდღიურად მათ ჟურნალებში ფიქსირდება სამცველოში არსებული მდგომარეობა და გატარებული ღონისძიებები, რის შესახებ შემაჯამებელი ინფორმაცია ეწოდება ადმინისტრაციას და მოთხოვნისამებრ სააგენტოს.

პატრულირების რაოდენობა სამივე უბანზე 12 თვის მდგომარეობით



საღამოს და ღამის საათებში პატრულირება სამივე უბანში






რეინჯერთა ტრენინგები კანონაღსრულებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 01 თებერვალს და 01 მარტს რეინჯერებს ჩაუტარდათ გეგმით გათვალისწინებული ტესტირება შემდეგ საკითხებში: საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესები და მრგვალი ხე ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) შესახებ, გარემოსთვის მიყენებული ზიანის განსაზღვრის (გამოანგარიშების) მეთოდიკის გარკვეულ საკითხებში. საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა, ნარჩენების მართვის კოდექსი და ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის მოსაკრებლის გარკვეულ საკითხებში. ტესტირებები ყველამ დადებითად ჩააბარა. ასევე ხშირად ტარდება ზეპირი გასაუბრება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

რ ე ი ნ ჯ ე რ ე ბ ი ს ტ ე ს ტ ი რ ე ბ ა




- *გეგმიური და საკონტროლო რევიზიების შედეგები*

2017 წლის 10 აპრილის ბრძანება #6 §1 შესაბამისად მტირალას ეროვნულ პარკის ხელვაჩაურის, ქობულეთის და ქედის უბნებში ჩატარდა გეგმიური საგაზაფხულო რევიზია. შემოწმებულ სარეინჯეროებში, გეგმიური რევიზიების დროს დაფიქსირდა უკანონო ჭრის ფაქტი. კერძოდ გამოვლენილი სამართალდარღვევა –– 14 აპრილი 2017 წ. ქობულეთის უბანი №4 სარეინჯერო, კვ. №66 უკანონო ჭრის ფაქტი. სამართალდარმღვევი გამოვლენილ და დაჯარიმებულ იქნა. სასამართლო ჯარიმა გამოტანილი დადგენილების მიხედვით - გათავისუფლდეს ადმინისტაციული სახდელისგან და დაეკისროს გარემოზე მიყენებული ზიანის 266, 11 ლარის გადახდა სახელმწიფოს სასარგებლოდ. სამართალლდამრღვევი – ხვიჩა ბრუნჯაძე, მცხოვრები

სოფ. ყოროლისთავი, ხოლო ნადირობა-თევზჭერის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტებს ადგილი არ ქონია.





ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 08 მაისის #10 $10 შესაბამისად მტირალას ეროვნულ პარკის ხელვაჩაურის, ქობულეთის და ქედის უბნების გარკვეულ სარეინჯეროებში ჩატარდა საკონტროლო რევიზია, შემოწმებულ სარეინჯეროებში უკანონო ჭრებს, ნადირობა-თევზჭერის ან სხვა სამართალდარღვევის ფაქტებს ადგილი არ ქონია.

აღნიშნული მასალები გადაგზავნილია სააგენტოში. საკონტროლო საშემოდგომო რევიზიებების დაწყება დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბრიდან.





ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წ 02 ოქტომბრის №23 § 23 ბრძანების შესაბამისად 05 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით, მტირალას ეროვნული პარკის ჩატარებულ იქნა საშემოდგომო გეგმიური რევიზიები. შემოწმების დროს ქობულეთის უბნის #1 სარეინჯეროს კვ N 34 - ში დაფიქსირდა უკანონო ჭრის 2 ფაქტი, სამართალდარრვევები გამოვლენილ იქნა, შედგა მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. აგრეთვე ხელვაჩაურის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 24 - ში დაფიქსირდა ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილების 5 ფაქტი, სამართალდარმღვევები გამოვლენილ იქნა, შედგა მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმები. სხვა რაიმე უკანონო ჭრებს ან ნადირობა-თევზჭერის ფაქტებს ადგილი არ ქონია.





ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 03 ნოემბრის #26 $26 შესაბამისად, 06 ნოემბრიდან 27 ნოემბრამდე მტირალას ეროვნული პარკის შერჩევით სამცველოებსა და კვარტლებში, ჩატარებული გეგმიური საშემოდგომო რევიზიის მასალების სისწორის დადგენის, ასევე დაცვის განყოფილების თანამშრომლების პასუხისმგებლობის ამაღლებისა და უნებართვო ჭრების აღკვეთა-გამოვლენის მიზნით ჩატარებულ იქნა საკონტროლო საშემოდგომო რევიზა. აღნიშნული რევიზიების დროს ქობულეთის უბნის #4 სარეინჯეროს კვ N 66-ში დაფიქსირდა მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ერთი ფაქტი, სამართალდარმღვევი გამოვლენილ იქნა და მის წინააღმდეგ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდაღვევის ოქმი. სხვა რაიმე უკანონო ჭრებს ან ნადირობა-თევზჭერის ფაქტებს ადგილი არ ქონია. აღნიშნულ რევიზიებთან დაკავშირებით წერილობით ეცნობა სააგენტოს.




ტყის იშვიათი ეკოსისტემების დაცვის გაძლიერების მიზნით პარკის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულია გარკვეული ადგილები ესენია - ქობულეთის უბნის N50-ე კვარტალში დაფიქსირებულია დაახოებით 100 ძირამდე უთხოვრის სახეობის დიდხნოვანი ხეები, აქედან კვლევების მიხედვით ყველაზე დიდხნოვანი დაფიქსირდებულ იქნა 409 წლის, რომლის ტაქსაციური დიმაეტრია 157 სმ. აგრეთვე მაქსიმაური ასაკობრივი ზღვრების და ტყის ფორმაციების მიხედვით გამორჩეულია 338 წელი, წიფელი (Fagus orientalis) წიფლნარი შქერის და წყავის ქვეტყით (*Fagetum rhododendroso-laurocerasosum)* . 335 წელი, წიფელი (Fagus orientalis)

(წიფლნარი გვიმრის საფარით (*Fagetum filicicosum*) და 409 წელი, უთხოვარი (Taxus baccata) (რცხილნარ-წაბლნარ წიფლნარი შქერის და წყავის ქვეტყით (*Fageto-Carpineto-Castanetum laurocerasosu- rhododendrosum*). გარდა ამისა, ქობულეთის უბნის #3 სარეინჯეროს კვ. 14, 15 16, 19 53-ში კოლხური ბზის კორომები, წყავისა და შქერის ქვეტყით, ამ ეტაპისთვის რომლებთა სანიტარული მდგომარეობა მძიმეა. N13 და 67-ში კოლხური ჯონჯოლი, კვ. 21, 25, 66, 67,68 49-ში წაბლის კორომები, სანიტარული მდგომარეობის მიხედვით (ხმობა) 30-40% საშუალოდ მძიმეა. კვ. N19-ში აღირიცხა ჰართვისის მუხა. ქედის უბნის კვ. N-9-11-ში „შქერიანი“ (ნამწვავის წყლის ხეობა) დაფიქსირებულია წითელი ნუსხით დაცული სახეობები დაახლოებით 2 ჰა ტერიტორიაზე, ესენია; მედვედევის არყი, ეპიგეა, უნგერნის შქერი, პონტოს მუხა. ხელვაჩაურის უბნის N-24-25-2-8-9-12 ქართული კაკალი და კოლხური თხილი რომელიც წითელი ნუსხით დაცული სახეობებია.




მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორიაზე იდენტიფიცირებულია გარკვეული კვარტლები, სადაც შესაძლებელია ტყეკაფების გამოყოფა, კერძოდ: ქობულეთის უბნის №3 სარეინჯეროს კვ. №-13-ში, №4 სარეინჯეროს კვ. №-48--66--68-ში, ხელვაჩაურის უბნის №1 სარეინჯეროს კვ. №2-3-24-25-ში, ხელვაჩაურის უბნის №2 სარეინჯეროს კვ. 8-12-ში ქედის უბნის №1 სარეინჯეროს კვ. №-6-9-89--91-ში, №2 სარეინჯეროს კვ. №-81-82-87-88-ში, № სარეინჯეროს კვ. №-65-83-ში. წინასწარი დათვალიერებით მტირალას ეროვნული პარკის ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის უბნების სარეინჯეროებში ტრადიციული გამოყენების ზონის კვარტლებში აღირიცხება დაახლოებით 800-900 მ^3 მოთხრილ-მოტეხილი, ფაუტიანი, ზეხმელი და გადაბერებული საშეშე ხე-ტყე.

გამოსაყოფი ტყეკაფის წინასწარი დათვალიერება და დათვალიერების დოკუმენტები მომზადება მოხდება ტყეკაფის გამოყოფის დროს.


რაც შეეხება ტყეკაფების გამოყოფას და მონაცემების ატვირთვას ერთიან მონაცემთა ბაზაში. - ამ ეტაპისთვის მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე ქედის უბანზე გამოყოფილ იქნა კვ. 6 – ში 106, 04 მ^3, ხოლო კვ. 89 –ში 50,22 მ^3 , კვ . 81 – ში 111,06 მ^3 , კვ. 82-ში 61,89 მ^3 და კვ . 9 – ში 83,19 მ^3 . ქობულეთის უბანზე გამოყოფილ იქნა კვ. 19-ში 18,28 მ^3 ხოლო ხელვაჩაურის უბანზე გამოყოფილ იქნა კვ. 3-ში 20,51 მ^3 კვ. 2-ში 22,08 მ^3 და კვ.25 -ში 10,05 მ^3 და აღნიშნული ტყეკაფები ატვირთულია ერთიან მონაცემთა ბაზაში.

2017 წლის დასაწყისიდან დღემდე პარკის ტერიტორიიდან გაცემულ იქნა **573,11** მ^3 საშეშე მერქნი და მთლიანად ნაშთად დარჩენილია **288,20** მ^3

ტყეკაფის გამოყოფა და გაცემის კონტროლი




საშეშე მერქნის გაცემა მოსახლეობაზე – კბ.მ 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით



გაცემული საშეშე ხე-ტყის შესახებ ინფორმაცია ყოველთვიური სატელეფონო კავშირით და ელექტრონული ფორმით მიეწოდება სააგენტოს. 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით პარკის ტერიტორიიდან მთლიანად ათვისებულია **573,11** მ^3 საშეშე მერქნი.

დღეის მდგომარეობით პარკის ტერიტორიაზე ჭრაგავლილ ადგილებს მიეკუთვნება ქობულეთის უბნის N1 სარეინჯეროს კვარტალი N18, 20, 21, 22, N4 სარეიჯეროს კვარტალი N48, 49, 66, 67, 68. ხელვაჩაურის უბნის N1 სარეინჯეროს კვარტალი N24, 25 2, 3, 51, 70, 73. ქედის უბნის N1 სარეინჯეროს კვარტალი N6, 9, 91. N 2 სარეინჯეროს N, 82, 81, 87, 88, 90 კვარტალი. ქედის უბნის N3 სარეინჯეროს კვარტალი N 65, 83, ზემოთ აღნიშნულ კვარტლებში ბუნებრივი განახლება კარგია. ზოგიერთ კვარტლების სამანქანე გზებზე კი დიდი აღმონაცენის გამო გავლაც კი შეუძლებელია.

პარკის ტერიტორიაზე ძირითად კრიტიკულ ადგილს მიეკუთვნება ქობულეთის უბნის N 3 სამცველოს კვ. N14-15-16 და N2 სამცველოს კვ. 53 სადაც ადგილი აქვს ბზის სახეობის ხეების


მასიურ ხმობას, ხოლო ხელუხლებელ ტყის უბნებს კი ძირითადად მიეკუთვნება პარკის N 71, 75, 76, 11, 12, 25, 26, 27, 28, 29, 30, 36 კვარტლები.


დაავადებული ბზები




რეინჯერების მიერ სისტემატურად მოწმდება პარკში არსებული საფეხმავლო, საცხენოსნო და საპატრულო გზები. აქედან გამომდინარე, დღეის მდგომარეობით გარკვეულწილად რეინჯერების მიერ შეძლებისდაგვარად გაწმენდილია დამეწყრილი და ჩახერგილი გზები. რაც შეეხება გპს ხელსაწყოს მეშვეობით რუკებზე დანატას გაკეთებულია და გადაგზავნილია სააგენტოში. რაც შეეხება ეკო-ტურისტული ბილიკებს, ძლიერი თოვლისა და ქარი გამო მოთხრილ მოტეხილია „ცივწყაროს“ მარშრუტზე ათეულობით წიფლის სახეობის ხეები, რომლებმაც მთავარი გზის ჩახერგვა გამოიწვია, დაზიანებულია ბილიკებზე არსებული სკამები, დაფები და მოაჯირები.

ტყეებში არსებულ ტრადიციული სარგებლობის გზების მდგომარეობის შეფასება და რუკებზე დატანა. განსზღვრულ იქნა პარკში არსებული შიდა გზების მდგომარეობა, რომელიც საჭიროებს შეკეთება-გაწმენდას და დატანილ იქნა რუკაზე: ქობულეთის უბნის #1 სარეინჯეროს კვ.21-22-18-10, ქობულეთის უბნის #4 სარეინჯეროს კვ. 66-68, ქობულეთის უბნის #5 სარეინჯეროს კვ.52, ხელვაჩაურის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 2-3-51, ქედის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 6-9-91-89, ქედის უბნის #2 სარეინჯეროს კვ-88-87-90-81 და ქედის უბნის #3 სარეინჯეროს კვ.65-83. აღნიშნული გზების გაწმენდის პრიორიტეტულობა გამომდინარეობს იქედან, რომ ადგილობრივი მოსახლეობა მოიხმარს ბუნებრივ რესურსს (საშეშე მერქანი) და ყოველწლიურად საჭიროებს გზის გაწმენდა-შეკეთებას დამეწყრილი თუ დაზიანებული მონაკვეთებისგან.





რაც შეეხება მტირალას ეროვნულ პარკის წაბლნარებით წარმოდგენილ კორომების მდგომარეობისა და ბუნებრივი განახლების შეფასებას, დღეის მდგომარეობით ქობულეთის უბნის #1 სარეინჯეროს კვ. 21 დაახლოებით (5 ჰა), ქობულეთის უბნის #3 სარეინჯეროს კვ. 13-14 (2 ჰა), ქობულეთის უბნის #4 სარეინჯეროს კვ. 48-66-67-68 (12 ჰა), ქობულეთის უბნის #5 სარეინჯეროს კვ. 44-52 (2 ჰა), ხელვაჩაურის უბნის # 1 სარეინჯეროს კვ 24-25 (4 ჰა) და ხელვაჩაურის უბნის # 2 სარეინჯეროს კვ. 8-9-12 (5 ჰა) არსებული წაბლნარის კორომების სანიტარული მდგომარეობის (ხმობა) ინტენსივობა საშუალოდ მძიმეა 30-40%, რაც გასულ წელთან შედარებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნული სახეობის სანიტარული მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესდა. დაავადების გამომწვევია წაბლის კიბო, რომელიც 2009 წლიდან იწვევს წაბლნარების პოპულაციის და ცალკეული ინდივიდები ხმობას. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილია შესაბამისი ბიოლოგიური პრეპარატის გამოყენება გაჯანსაღების მიზნით, ხოლო მკვდარი ნაწილების ტერიტორიიდან გატანა. გარდა ამისა, ეტაპობრივად მოხდება კანონის შესაბამისად მოთხრილ, მოტეხილი, ხმელი წაბლის სოციალური ჭრის ტყეკაფებში გაცემა ტრადიციული გამოყენების ზონებიდან მოსახლეობის საშეშე ხე-ტყით უზრუნველსაყოფად.

ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები

მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციი რეინჯერების მიერ, ხანძარსაშიშ პერიოდში, მათ სამოქმედო ტერიტორიებზე მიმდინარეოს სადღეღამისო მორიგეობები, შექმნილია უბნების და სარეინჯეროების მიხედვით სწრაფი რეაგირების ჯგუფები, თვალსაჩინო ადგილებში გამოკრულია რეინჯერთა ხანძარსაწინააღმდეგო ჯგუფების სატელეფონო სიები. 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით მტირალას ეროვნულ პარკისა და მის მოსაზღვრედ ხანძარი არ დაფიქსირებულა.






დაცვის განყოფილების მიერ სისტემატურად ტარდება პარკის მიმდებარე სოფლების მოსახლეობასთან ხშირი შეხვედრები და ახსნა-განმარტებითი საუბრები ხანძართან ბრძოლის და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების, ასევე უკანონო ჭრების, ხე-ტყის დატაცების, რეჟიმის დარღვევის, ნადირობა-თევზჭერის აღკვეთის თაობაზე, დაცულ ტერიტორიებზე დაშვებული და აკრძალული ქმედებების გაცნობა, მათი აზრის მოსმენა და გაანალიზება. 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით პარკის მიმდებარე სოფლებში მოწყობილ იქმა 40-მდე დაგეგმილი შეხვედრა, რომელსაც დაახლოებით 520-მდე ადამიანი ესწრებოდა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულზე დგება მოსახლეობასთან გასაუბრების ოქმები.






მოსახლეობასთან დაგეგმილი შეხვედრების დროს დამსწრეთა საერთო რაოდენობა 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით



დაცვის განყოფილების მიერ შესწავლილი და დადგენილია პარკის ტერიტორიაზე სავარუდოდ არსებული მარშრუტები, რომელიც შეიძლება გადასაადგილებლად გამოყენებულ იქნეს ბრაკონიერების მიერ და კონტროლზეა აყვანილი, რაზედაც შედგენილია რუკა. ეს ადგილებია ქობულეთის უბნის №1 სამცველოს კვ. №-35-27-28-ში მდ. ჩაქვისწყლის მიყოლებეზე ბილიკი, №2 სამცველოს კვ. №-53-ში ე. წ. „ლამპარაძეების ღელის“ პირებზე არსებული ბილიკი, №3 სამცველოს კვ. №15-16-ში ე.წ. „ბზონიცის“ წყლის ხეობაში შემავალი ბილიკი, №4 სამცველოს კვ. №-48-49 ში შემავლი ბილიკი, რომელიც ადის მტირალას მთაზე. ხელვაჩაურის უბანში №1 სამცველოს კვ. №-24-25-ში არებული ბილიკი, სადაც გადამფენი ფრინველები მრავლადაა.

ქედის უბანში №1 სარეინჯეროს კვ. №-6-9-78-87-88, რომელიც სავარაუდოდ ხელსაყრელი ადგილია ნადირობისთვის, ასევე №2 სამცველოს №-65-81-83 კვარტლები.



რეინჯერების მიერ, პარკის სხვადასხვა სარეინჯეროებში მიმდინარეობს ფოტოხაფანგების დამონტაჟება და მათზე მუდმივი კონტროლი. დაფიქსირებულია სხვადასხვა ცხოველის ინდივიდი ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის უბნის გარკვეულ კვარტლებში. აღნიშნული მონაცემთა ბაზა ინახება ბუნებრივი რესურსების უფროსს სპეციალისტთან და მოთხოვნის შემთხვევაში იგზავნება სააგენტოში.





ხშირად ტარდება მოულოდნელი რეიდები დირექტორის, დაცვის განყოფილების უფროსის და უფროსი რეინჯერების მიერ, მტირალას ეროვნული პარკის სამივე უბანზე, რომლის დროსაც მოწმდებოდა რეინჯერების საქმიანობა და სამცველოში არსებულ მარშუტებზე გადაადგილების სისწორე. ყოველითვის ბოლოს სეზონურობის მიხედვით (ზაფხული, ზამთარი) დგება მოულოდნელი შემოწმებების გრაფიკები, რომელიც მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

სულ მოწყობილ იქნა 200-მდე მოულოდნელი შემოწმება.




დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი სამართალდარღვევების სახეები და სტატისტიკა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტები 2017 წლის 12 თვის მდგომარეობით



1. გამოვლენილი სამართალდარღვევა — 14 აპრილი 2017 წ. ქობულეთის უბანი №4 სარეიჯერო, კვ. №66 უკანონო ჭრის ფაქტი. სასამართლო ჯარიმა გამოტანილი დადგენილების მიხედვით - გათავისუფლდეს ადმინისტაციული სახდელისგან და დაეკისროს გარემოზე მიყენებული ზიანის 266, 11 ლარის გადახდა სახელმწიფოს

სასარგებლოდ. სამართალლდამრღვევი – ხვიჩა ბრუნჯაძე, მცხოვრები სოფ. ყოროლისთავი






2. გამოვლენილი სამართალდარღვევა –– 19 ივლისი 2017 წ. ქობულეთის უბანი №3 სარეიჯერო, კვ. №14 მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ფაქტი. სასამართლო ჯარიმა გამოტანილი დადგენილების მიხედვით - სიტყვიერი შენიშვნა. სამართალლდამრღვევი – უცხო ქვეყნის მოქ. SHOSHANA EZRA, ქ. IZRAELI -ში.
3. გამოვლენილი სამართალდარღვევა –– 14 ივლისი 2017 წ. ხელვაჩაურის უბანი №2 სარეიჯერო, კვ. №8 თევზსაჭერი საშუალებით გადაადგილება. სასამართლო ჯარიმა გამოტანილი დადგენილების მიხედვით - ადმინისტრაციული სახდელის 250 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. სამართალლდამრღვევი – მოქ. ცენტერაძე ბექა. მცხ: ქ. ბათუმი.
4. გეგმიური საშემოდგომო რევიზიის პერიოდში შემოწმების დროს, ქობულეთის უბანში დაფიქსირდა უკანონო ჭრის 2 ფაქტი, სამართალდარრვევები გამოვლენილ იქნა, აგრეთვე ხელვაჩაურის უბანში დაფიქსირდა ცეცხლსასროლი იარაღით გადაადგილების 5 ფაქტი, სამართალდარმღვევები გამოვლენილ იქნა, შედგა მათ წინააღმდეგ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები. რევიზიების პერიოდში გამოვლენილ სამართალდარმღვევებს (7ფაქტზე) შეეფარდათ შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელები.
5. საკონტროლო საშემოდგომო რევიზიების დროს ქობულეთის უბნის #4 სარეინჯეროს კვ N 66-ში დაფიქსირდა მუნიციპალური ნარჩენებით გარემოს დანაგვიანების ერთი ფაქტი, სამართალდარმღვევი გამოვლენილ იქნა და მის წინააღმდეგ შედგენილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდაღვევის ოქმი.







2016-2017 წლის სამართალდარვევების სტატისტიკა თვეების მიხედვით 4 კვარტლის მდგომარეობით



სამართალდარევები (ადმინისტარციული/სისხლი) - დინამიკა წლების მიხედვით, 2007-2017 წწ.



დანაგვიანების ფაქტები და სტატისტიკა 2007-2017წწ.



ყოველი თვის ბოლოს დაცვის განყოფილების მიერ გაწეული სამუშაოები მოხსენებითი ბარათით წარედგინებბა ადმინისტრაციის დირექტორს. ყოველი კვარტლის ბოლოს დაცვის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოები მოხსენებითი ბარათით წარედგინაბა ადმინისტრაციის დირექტორს და წერილობით სააგენტოს.

რეინჯერების მიერ სისტემატურად მოწმდება პარკში არსებული ინფრასტრუქტურული ერთეულების მდგომარეობა, (ვიზიტორთა ცენტრი, ტურისტული თავშესაფარი, რეინჯერთა საგუშაგო) იწმინდება ჩახერგილი და დამეწყრილი მონაკვეთები საფეხმავლო და საპატრულო გზები.





ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

2017 წლის 12 თვის მდგომარეობით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ ჩაატარა სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. საქმიანობების ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები, ეკო-ჯგუფები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ეროვნული პარკის ვიზიტორები.

თანამშრომლობა საგანმანათლებლო და სხვადასხვა სახელმწფო თუ კერძო დაწესებულებებთან

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ბათუმის, ქობულეთის და ჩაქვის საჯარო და კერძო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაციები, ლექცია-სემინარები და დისკუსიები საქართველოს დაცული ტერიტორიების, მტირალას ეროვნული პარკის საქართველოში გადაშენების პირას მყოფი სახეობების შესახებ.

მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების მიზნებს, საქმიანობებს, მართვას, ეკოტურისტულ პოტენციალსა და სერვისებს, მოსწავლეებმა დიდი დაინტერესება გამოთქვეს სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის მიმართულებით ჩართულიყვნენ. ასევე პერმანენტულად ტარდება მოსახლეობასთან გასაუბრება ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობებზე.

სამოქმედო გეგმის მიხედვით 12 თვის მდგომარეობით ჩატარდა ეკო-საგანმანათლებლო ლექცია სემინარები დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში. შეხვედრები ჩატარდა კერძოდ: ქ. ბათუმის #13 საჯარო სკოლა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოფ.ჩაისუბნის საჯარო სკოლა , ქ. ბათუმის #8 საჯარო სკოლაში, მახინჯაურის საჯარო სკოლა, ჩაქვის წმინდა დავითის სახელობის სასულიერო სკოლა, სოფ.საჩინოს საჯარო სკოლა,ქ.ბათუმის #4,#5,#16 საჯარო სკოლებში.

მიმდინარე წელს ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებების ფარგლებში მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა ინტელექტუალური თამაში ,,გავიგოთ მეტი ბუნებაზე“ თამაშში მონაწილეობას ღებულობდნენ მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ,, ნორჩი რეინჯერები თამაშის ძირითადი მიზანი იყო მეტი ინფორმაციის მიღება და დამახსოვრება მტირალას ეროვნული პარკის შესახებ.თამაშში ყველაზე მეტი სწორი პასუხი სოფ.ჩაისუბნის სკოლამ დააგროვა წამახალისებელი პრიზის სახით გადაეცა ტკბილეული.




მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა გორგაძეები საჯარო სკოლისა და ჩაქვის #1 საჯარო სკოლის მოსწავლეები,შეხვედრაზე განხილული იყო შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემები და მათი გადაჭრის გზები.




4 ოქტომბერს ცხოველთა დაცვის საერთაშორის დღესთან დაკავშირებით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ღონისძიება, რომელშიც მონაწიელობას ღებულობდნენ სოფ. გორგაძეების, სოფ.ჩაქვის. სოფ საჩინოს საჯარო სკოლის მოსწავლეები და პედაგოები ღონისძიებაზე განხილულ იქნა ყველა ის საკითხი, რომელიც პრობლემატურია აღნიშნული მიმართულებით ასევე დაიგეგმა სამომავლოდ სტუდენტებისა და მოსწავლეების ერთობლივი მუშაობა და ჩართვა სხვადასხვა ეკოსაგანმანათლებლო თუ გარემოსდაცვით ღონისძიებებში.წარმოდგენილი პრეზენტაციების შედეგად გამოვლინდა გამარჯვებულები და მათ გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები.

აგვისტოს თვეში პროექტ WMTR-ის გუნდმა აჭარაში მდებარე მტირალას ეროვნულ პარკში 2017 წლის პირველი საზაფხულო ეკო ბანაკი გახსნა. ეკო ბანაკმა, რომელიც 5 დღეს გაგრძელდა, უმასპინძლა სკოლის მოსწავლეებს პროექტის სამიზნე რეგიონებიდან.

გასართობი აქტივობების გარდა, მე–8 და მე–11 კლასის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სემინარებსა და დისკუსიებში:

– სემინარი დაცული ტერიტორიებისა და მტირალას ეროვნული პარკის შესახებ – ერთი დღე რეინჯერის ცხოვრებიდან და პარკში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული პრობლემები

– საუბრები კოცონთან: როგორ ვმართოთ ნარჩენები დაცულ ტერიტორიებზე

– გარემოზე დაკვირვებისას ბავშვებმა განახორციელეს შემდეგი აქტივობები:

ჩაატარეს კვლევა ბუნებაში არსებული ნარჩენების შესახებ;

აღწერეს, თუ რა ტიპის და რა რაოდენობის ნარჩენები შეხვდათ;

განიხილეს თუ რისი გაკეთება შეეძლო დამაბინძურებელს დაბინძურების თავიდან ასაცილებლად ასევე მოეწყო ფილმ ,,სახლი“-ის ჩვენება.




მიმდინარე წლის 25 ივლისს მტირალას ეროვნულ პარკში ,,მტრალასა და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის“ ორგანიზებით ჩატარდა ღონისძიება ერთი დღე რეინჯერთან ერთად "- რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ პროექტში მონაწილე სხვადასხვა ახალგაზრდები, ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში ბუნებისადმი მეტი ინტერესის გაღვივება და იმ საქმიანობების გაცნობა, რომელსაც რეინჯერები ყოველდღიურად ახორციელებენ,ასევე მოეწყო დასუფთავების აქცია. მსგავსი აქტივობები ხელს უწყობს ახალგაზრდების მეტ ჩართულობას გარემოსდაცვით საქმიანობებში.




რეგიონში მტირალას ეროვნული პარკის პოპულარიზაციის მიზნებზე, დაცული ტერიტორიების როლსა და ტურიზმის სექტორში დაცული ტერიტორიების წვლილზე შეეხებოდა საუბარი, მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გამართულ ღონისძიებას, რომელიც ,,მტირალასა და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის“ ორგანიზებით მოეწყო.

შეხვედრაზე სკოლის მონაწილეების მიერ წარმოდგენილი იყო პრეზენტაციები, თუ როგორ ხედავდნენ ისინი ეროვნულ პარკს, მის როლს ტურიზმში და რა პრობლემები არსებობს დრეისთვის ეკოტურიზმის მიმართულებით. მონაწილეებს ღონისძიების შემდეგ გადაეცათ სერთიფიკატები.





მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანოზებით პროექტ ,,ნორჩი რეინჯერის „ მონაწილეებს ჩაუტარდათ ლექცია თემაზე , როგორ გადავრჩეთ ბუნებაში, ლექციის შემდეგ მოსწავლეებს ჩაუტარდათ პრაქტიკული ჩვენება კარვის მომზადების, აწყობის ასევე კოცონის დანთების.

მსგავსი აქტივობების მიზანია თეორიული და პრაქტიკული ცოდინის შერწყმა და რეალურ სიტუაციებში გამოყენება.




მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში სტუმრად ეწვია მეგობარი ჯავახეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები,ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ ვიზიტორთა ცენტრში,რეინჯერთა საგუშაგოზე,გაეცვნენ სოფ.ჩაქვისთავში არსებულ მეურნეობასა და საქმიანობის სახეებს. ვიზიტის ბოლოს კი მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორმა ბნ-ნი დავით ხომერიკმა ჩაატარა შემაჯამებელი პრეზენტაცია მტირალას ეროვნული პარკის შესახებ.




ევროპის მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ორგანიზებით ჩატარდა ვორქშოპი თემაზე: "მემკვიდრეობა და ბიომრავალფეროვნება" დღის მეორე ნახევარში მოეწყო ეკოტური მაჭახელას ეროვნულ პარკში.



მტირალას ეროვნულ პარკს მემორანდუმის ფარგლებში 10 დღიანი ვიზიტით სტუმრად ეწვივნენ აგრარული და თავისუფალი უნივერსიტეტების 30 კაციანი სტუდენტური ჯგუფი,ამ დროის მანძილზე ისინი გაივლიან სასწავლო პრაქტიკებს და განახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმით შესასრულებელ სამუშაოებს,როგორებიცაა:

1-საოჯახო ადგილობრივ ტურისტლ ბიზნესში ზოგადი გათვითცნობიერება. 2-ტურისტული ბილიკების შემოვლა, ტურისტული ბილიკების ანალიზი შეფასება. 3-სოფლის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაცნობა, სამეურნეო საქმიანობაში ჩართვა და სხვ.



მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში სტუმრად იმყოფებოდნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრო მიმართულების სტუდენტები,რომლებსაც მიეწოდათ სრული და ამომწურავი ინფორმაცია ეროვნული პარკისა და დაცული ტერიტორიების,მნიშვნელობი სშესახებ. მსგავსი ტიპის ვიზიტები ხელს უწყობს ახალგაზრდებში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებასა და დაცული ტერიტორიების როლის გაანალიზებას საზოგადოებაში.




მიმდინარე წლის ივნისის თვეში მტირალას ეროვნულ პარკს აჭარის ტურიმის დეპარტამენტის ორგანიზებით ეწვივნენ ბეჭდური მედიისა და ტელევიზიის ჟურნალისტები,ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა აჭარის რეგიონის ტურისტული პოტენციალის გაცნობა




მიმდინარე წელს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის რეინჯერებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ მოხდა მტირალას ეროვნული პარკის ერთ-ერთი ტურისული ბილიკის გაწმენდა-მოწესრიგება, დასუფთავება, რათა ადგილობრივი და უცხოელი ვიზიტორებისათვის ბილიკზე გადაადგილება იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და კომფორტული.




სახალხო დღესასწაული „ჩაქვისთავობა“ სახალხო ზეიმს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რომლებმაც მტირალას ეროვნულ პარკში შეკრებილ მოზეიმეებს დღესასწაული მიულოცეს.





,,მტირალასა და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის „ ორგანიზებით პროექტ ,,ნორჩი რეინჯერების“ მონაწილეები იმყოფებოდნენ საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებზე სადაც უფრო ახლოს , უკეთ გაეცნენ იმ ღირებულებებსა და მნიშვნელობებს , რომლებითაც გამოირჩევა საქართველოს თითოეული დაცული ტერიტორია. პროექტის ფარგლებში ნორჩი რეინჯერები იმყოფებოდნენ კოლხეთის, პრომეთეს, კინჩხას,ოკაცეს დაცულ ტერიტორიებზე დათვალიერების გარდა ჩაუტარდათ საინტერესო ლექციები თითოეული დაცული ტერიტორიის შესახებ.





მიმდინარე წელს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩატარდა პროექტ ,,ნორჩი რეინჯერის“ დაახურვის ღონისძიება,პროექტში ჩართულმა 4 სკოლამ წარმოადგინა თავიანთი ნამუშევარები შეაჯამა გასული 1 წელი. მონაწილეებს ღონისძიების ბოლოს გადაეცათ სერთიფიკატები,ფასიანი საჩუქრები,პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი გზამკვლევი და სხვა სამახსოვრო საჩუქრები, ასევე დაიგეგმა სამომავლოდ პროექტის გარეშე თანამშრომლობის გზები და შესაძლებლობები.

დახურვის ცერემონიას ესწრებოდნენ მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი , სკოლების წარმომადგენლები ასევე UNPD-ის აჭარის წარმომადგენლობა.









მიმდინარე წელს ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის #1 საჯარო სკოლის, წმინდა დავით აღმაშენებლის სასულიერო სემინარიის , სოფ.გორგაძეების საჯარო სკოლისა და სოფ.ჩაისუბნის სკოლის მოსწავლეებს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში ჩაუტარდათ ლექცია-სემინარი თემაზე საქართველოს წითელი წიგნი/ნუსხა ".

აღნიშნული ღონისძიების მიზანია ახალგაზრდებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და იმის გაანალიზება თუ რაოდენ მნიშვნელოვანია იმ გარემოს დაცვა, რომელშიც ვხოვრობთ.

ბათუმში გადამფრენ ფრინველთა საერთაშორისო ფესტივალთან დაკავშირებით სოფ.შუამთაში გადამფრენ ფრინველთა კოშკურის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა ღონისძიება ,რომელის აწარის ტურიზმისა და კურორტების მართვის დეპარტამენტის ორგანიზებით მოეწყო. ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო ფილმი და პრეზენტაციები აჭარის , როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საემიგრაციო კოლიდორის შესახებ.ღონისძიების ბოლოს გაიმართა ქართული ტრადიციული კერძების დაგემოვნება.




მიმდინარე წელს სოფ.ჩაისუბნის საჯარო სკოლაში ჩატარდა ღონისძიება ,,შავი ზღვა ჩვენი საგანძურია“ სადაც წარმოდგენილი იყო ნამუშევრები შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ , ასევე მოეწყო პატარების მიერ შესრულებული ნახატების გამოფენა.




მიმდინარე წელს მტირალას ეროვნულ პარკს საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სასწავლო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები ეწვივნენ პრაქტიკაზე, რომლებმაც მიიღეს სრული და ამომწურავი ინფორმაცია მტირალას ეროვნული პარკის შესახებ.

გარემოსდაცვითი ღონისძიებები და დასუფთავების აქციები

მიმდინარე წლის 22 აპრილს ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო დაბა ჩაქვის საჯარო სკოლის 20 მოსწავლემ, ადმინისტრაციის თანამშრომლებმა და რეინჯერებმა. დასუფთავდა ეროვნულ პარკში შესასვლელი მონაკვეთი, საპიკნიკე ადგილები, მდინარე ჩაქვისწყლის ნაპირები და ვიზოტორთა ცენტრის მიმდებარე ტერიტორია. მოსწავლეებს საჩუქრად გადაეცათ მაისურები.




მიმდინარე წლის 23 აპრილს სახელმწიფო ნაკრძალისა და ეროვნული პარკის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა პრეზენტაცია და ნახატების გამოფენა რომელსაც ესწრებოდნენ რიგითი მოსწავლეები და ,,ნორჩ რეინჯერთა“ კლუბის წევრები.

მიმდინარე წელს ოფიციალურად დაიხურა მტირალას ეროვნული პარკისა და ,,მტირალასა და მაჭახელას მეგობართა ასოციაციის „ ერთობლივი თანამშრომლობით განხორციელებული პროექტი ,,თემის რეინჯერი“

თემის რეინჯერები მტირალას ეროვნულ პარკში განხორციელებული რიგით მეორე პროექტი იყო, რომელიც UNDP-ის დაფინანსებით ხორციელდებოდა,აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა ეროვნული პარკის მიმდებარე ბუფერული სოფლების მეტ ჩართულობასა და ინფორმირებულობას გარემოსდაცვით საკითხებში და დაცული ტერიტორიების მართვის ზოგად პრინციპებში.აღნიშნული პროექტი ხორციელდებოდა შემდეგ სოფლებში: ხალა, ჩაისუბანი, ყოროლისთავი,შუამთა,გორგაძეები.პროექტის დახურვის ღონისძიებაზე მონაწილეებსა და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს წარედგინათ პროექტის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობები, მიღწეული შედეგები და რეკომენდაციები.

მონაწილეებს გადაეცათ ფულადი პრიზები და სახელმძღვანელო,რომელიც პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა და გამოიცა. აღსანიშნავია ის გარემოებაც ,რომ რამოდენიმე მონაწილებ გამოთქვა სურვილი გააგრძელოს თანამშრომლობა მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციასთან.




მიმდინარე წელს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას სტუმრად ეწვია აჭარის ტელევიზიის გადაცემა ,,ბუნების კანონი“-ს გადამრები ჯგუფი , რომელთა მიზანსაც


წარმოადგენდა , ეროვნულ პარკში განხორციელებული ერთ-ერთი პროექტის ,,ნორჩი რეინჯერები“-ს მონაწილეებთან შეხვედრა და ცაწერა საახალწლო გადაცემისთვის.


საუბარი ძირითადად შეეხებოდა ნორჩი რეინჯერების პროექტის არსს, მიზნებს,ასევე მათ მიერ განხორციელებულ საქამიანობებს და სამომავლო ქმედებების გეგმას.






2017 წლის 12 თვის მდგომარეობით სულ ჩატარდა 27 ლექცია-სემინარი. ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და ეკო-ტურებში მონაწილეობა მიიღო 2900 მოსწავლემ მათ შორის 300 სტუდენტი, 650 ადგილობრივი მოსახლე და 119 პედაგოგი. სულ 3969.






ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წელს მტირალას ეროვნულ პარკს 47 460 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 41%-ით არის გაზრდილი (33 774). ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 33% (15 881), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 67%-ს (31 579).




დიაგრამა 1. მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით

2017 წელს ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა 2016 წელთან შედარებით 0.7%-ით არის გაზრდილი, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 75%-ით.




დიაგრამა 2. მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით



დიაგრამა 3. მტირალას ეროვნული პარკის უცხო ქვეყნის მოქალაქე ვიზიტორთა პირველი ხუთეული 2017წ

2017 წელს ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 26 640 ლარი, 2016 წელთან შედარებით (19 449 ლარი) შემოსავლების 37%-ით არის გაზრდილი.



დიაგრამა 4. მტირალას ეროვნული პარკის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები

მტირალას ეროვნული პარკის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები ეკოტურისტული სერვისების მიხედვით გადანაწილდა შემდეგნაირად: ზიპ-ლაინი- 39% (10 350 ლარი), სასტუმრო ნომრები - 29% (7690 ლარი), საპიკნიკე ადგილების გაქირავება - 12% (3270 ლარი), საკარვე ადგილის გაქირავება - 8% (2105 ლარი), სუვენირები - 5% (1447 ლარი) ტურისტული თავშესაფარი - 3% (770 ლარი) და საკონფერენციო დარბაზის, კარვის, საძილე ტომრების და ზურგჩანთების გაქირავება - 1%.

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

მიმდინარე წლის 12, 13 და 18 აპრილს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგი სოფლად არსებული სასტუმრო სახლების წარმომადგენლებისათვის.

2017 წლის განმავლობაში მტირალას ეროვნული ადმინისტრაციაში იმყოფებოდნენ და სრული ინფორმაცია მიეწოდათ ეროვნული პარკის შესახებ WWF-ის წარმომადგენლებს, ევროპის 7 ქვეყნის სამთავრობო დელეგაციებს, აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებს.

2017 წლის 6 ოქტომბერს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ორგანიზებით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციას ჯავახეთის ეროვნული პარკისა და ლეიკარპის ეროვნული პარკის წარმომადგენლები ეწვივნენ. შეხვედრის მიზანს სამუშაო გამოცდილებების გაზიარება წარმოადგენდა.


ბროშურებისა და სხვა საინფორმაციო მასალების გავრცელება სასტუმროებში, საინფორმაციო ცენტრებში და სხვადასხვა ტურიზმის სფეროში დაინტერესებულ ორგანიზაციებთან


მტირალას ეროვნული პარკის პოპულარიზაციის მიზნით მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ტურისტული ბროშურები გავრცელდა ქ.ბათუმსა და ქ. ქობულეთში არსებულ ტურისტულ კომპანიებს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებსა და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს შორის. დაინტერესებულ მხარეებს აგრეთვე მიეწოდა განახლებული ელექტრონული მასალა.

2017 წლის 27 თებერვალს მტირალას ეროვნული პარკის თანამშრომელი ქ. თბილისში შეხვდა ტურისტულ კომპანია "TravelWorld"-ს, რომელსაც გადაეცათ საინფორმაციო ბუკლეტები და ჩაუტარდათ პრეზენტაცია პარკის ბიომრავალფეროვნებისა და ტურისტული სერვისების შესახებ

2017 წლის 12-14 მაისს მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის მე-10 საერთაშორისო გამოფენაზე.

მტირალას ეროვნული პარკის ვიზიტორთა გამოკითხვის





შედეგები

ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

<u>დაცვის განყოფილება</u>

წლის დასაწყისში, ზამთრის სეზონზე მაისის თვის ჩათვლით, პარკის ტერიტორიაზე დიდთოვლობისა და მკაცრი კლიმატის გამო, გადაადგილება გაძნელებულია,რაც ერთგვარ ხელშემწყობ პირობად გვევლინება ბრაკონიერებისა და სხვა სამართალდამრღვევთაგან დაცვის თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში პოტენციური სამართალდამრღვევის სამოქმედო გარემო თითქმის მთლიანადაა შეზღუდული, თუმცა გარემოზე მონიტორინგი მაინც საჭირო იყო და ის უწყვეტად მიმდინარეობდა. რეინჯერებს მუდმივი კონტაქტი ჰქონდა

ადგილობრივ მოსახლეობასთან და საზღვრის დაცვის თანამშრომლებთან. მიმდინარეობდა ახსნა-განმარტებითი სამეთვალყურო სამუშაოები.

- ივნისის თვიდან, სატრანსპორტო კომუნიკაციების გახსნასთან დაკავშირებით მოიმატა, როგორც ბრაკონიერობის საშიშროებებმა, ისე გარემოს დანაგვიანების მოლოდინმა შესაბამისად გავზარდეთ პატრულირების ინტენსივობა და რიტმი. როგორც ცნობილია ჩვენი პარკის ტერიტორიაზე ზაფხულის განმავლობაში ხშირია რელიგიური დღესასწაულები, ამ დროს ხდება დიდი ოდენობის ხალხის თავმოყრა და შესაბამისად იზრდება დანაგვიანებისა და უკანონო თევზაობის საშიშროება, რაც ინტენსიურ კონტროლს მოითხოვს. აქედან გამომდინარე პერიოდულად ვახდენდით საპატრულო გუნდების გადაჯგუფებას ერთი უბნიდან მეორეზე, ინტენსიური პატრულირებისა და კონტროლისათვის.
- აგვისტო სექტემბრის თვეების განმავლობაში ხშირი იყო ხანძრების შემთხვევები,(დაფიქირდა 5 ხანძარი და დაიწვა 150 ჰექტრამდე ტერიტორია, ძირითადად საძოვრები). რაც ასევე რეინჯერთა მთელი შემადგენლობის დაუგეგმავ გადაჯგუფებასა და მობილიზებას მოითხოვდა სალიკვიდაციო ღონისძიებების დროულად ჩასატარებლად.
- ზაფხულის დასაწყისში არღუნის ხეობაში წყალდიდობის შედეგად დაზიანდა 12 კილომეტრიანი სატრანსპორტო გზის მონაკვეთი, მიმდებარე ბუნებრივი გარემო და მცენარეული საფარი. აღდგენითი სამუშაოებისას რამოდენიმე ადგილზე მოხდა გზის მიმდებარე ზოლის კორექტირება და ორი ინერტული მასალის კარიერის გამოყენება.
- ოქტომბრის მეორე ნახევარში დიდთოვლობის გამო გადაიკეტა არხოტისა და შატილის გადასასვლელი უღელტეხილები. ამის გამო არხოტის, მიღმახევისა და შატილის უბნების რეინჯერები გადავიყვანეთ ყოველთვიური როტაციის რეჟიმზე. რაც სასაზღვრო დეპარტამენტის შვეულმფრენის რეისების ციკლზეა დამოკიდებული.
- წლის განმავლობაში გვქონდა 1 მნიშვნელოვანი სამართალდარღვევა უკანაფშვის უბანზე, როდესაც დათვზე სანადიროდ გასული ბრაკონიერების ჯგუფი დავაკავეთ და გავაუვნებელყავით მცხეთა-მთიანეთის გარემოს დაცვის სწრაფი რეაგირების ჯგუფთან ერთად. რამოდენიმე შემთხვევაში რეინჯერთა გამოუცდელობის გამო სამართალდარღვევის (თევზაობის და ნადირობის მცდელობა) ოქმის შედგეანა ვერ მოხერხდა, მაგრამ სამართალდარღვევის მცდელობა დროულად იყო გამოვლენილი და აღკვეთილი.
- აღსანიშნავია ისიც,რომ სათანადო აღჭურვილობისა და უნიფორმის გარეშე რეინჯერებს უჭირთ დაკისრებული ფუნქციის სათანადოდ შესრულება.
- რაც შეეხება დანაგვიანების თემას. რეინჯერების ტურისტებთან ინტენსიური პრევენციული მუშაობის შედეგად პარკის ტერიტორიაზე, წინა წლებთან შედარებით სისუფთავე თვალშისაცემია, თუმცა სოფელ შატილში წლობით ნაგროვები ნარჩენების ნაწილი ჯერ კიდევ გასატანია, რაც მუნიციპალიტეტის დახმარების გარეშე ძნელად მოგვარდება.
- დაცული ტერიტორიების თავმჯდომარის 2017 წლის #5/ა989 (02 ოქტომბერი 2017 წ.) ბრძანების შესაბამისად, ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ, მცხეთა მთიანეთის სატყეო სამსახურის ადმინისტრაციასთან ერთად დაიწყო ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდს მიკუთვნებული ფართობების გადმობარებასთან დაკავშირებული სამუშაოები.
- კლიმატის ნაადრევი ცვლილების (დიდთოვლობა) გამო, უკანაფშავის ტერიტორიაზე მხოლოდ სამუშაოების ნაწილი (გაჩეხილი ტყის აღრიცხვა მარკირებისა და დახარისხების

გარეშე) ჩატარდა, ხოლო პირიქითა ხევსურეთში საერთოდ ვერ მოხერხდა სამუშაოების დაწყება,

- წელს დაიწყო და ჩვენი რეინჯერებისა და სხვა თანამშრომლემის მონაწილეობით მიმდინარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დემარკაციის, ასევე მენეჯმენტის გეგმის შედგენის სამუშაოები.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

მომზადდებულია მასალები 2017 წლის „ბუნების მატიანე“ -სათვის.

სისტემატიურად მიმდინარეობდა ინფორმაციის შეგროვება/დამუშავება. შედგენილია სიები - იშვიათი, ენდემური და წითელი ნუსხის ცხოველებსა და მცენარეების შესახებ, რომლებიც მოცემულია დახარისხებულად ცხრილების სახით.

მიმდინარეობდა მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგი, მათი გავრცელების არეალების დადგენა და აღრიცხვა, კვალის იდენტიფიკაცია. ამ მონაცემების შეგროვება ხდება რეინჯერების მიერ პატრულირების მომენტში, სადაც აღრიცხვას აწარმოებენ როგორც კვალის, ასევე ცოცხალი ინდივიდების შეხვედრიანობის მიხედვით.

ამჟამად, 2017 წელს, რეინჯერთა აღჭურვილობის არარსებობის გამო, ინფორმაცია შეგროვდა და ყურადღება გამახვილდა მხოლოდ მსხვილი ძუძუმწოვრების რამოდენიმე სამიზნე სახეობაზე - ჯიხვზე, ნიამორზე და არჩვის რიცხოვნობაზე. ამ დათვლის შედეგების მიხედვით საერთო რაოდენობა არის: ჯიხვი- 235 სული, ნიამორი - 37 სული, არჩვი - 35 სული, ხოლო რაოდენობები უბნების მიხედვით მოცემულია დიაგრამის სახით.

სისტემატიურად მიმდინარეობდა დაცულ ტერიტორიებზე ნადირისა და პირუტყვის დაზიანების აღრიცხვა რეინჯერების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ამ დროისათვის დაზარალებულია სულ 57 სული შინაური და გარეული ცხოველი სხვადასხვა სარეინჯერო უბანზე, ძირითადად მგლისგან და ერთეულ შემთხვევაში დათვისგან. თვეების მიხედვით მათი განაწილება მოცემულია დიაგრამაზე.

არასისტემატური მოვლენების ზვავების, წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირების პროცესში გამოვლინდა შემდეგი: 1. მარტის თვეში რამოდენიმე ზვავი არხოტის უბანზე (კერძოდ ნაიფქრალის, ჩარხატოს, სასოვანის რუებზე); 2. აპრილის თვეში სამი ზვავი შატილის უბანზე (ტასიეხი, სრელობანი, ქაჩუს ძირი); 3. ივნისის თვეში უხვი ნალექით გამოწვეული წყალდიდობა შატილის , არხოტისა და მიღმახევის უბანზე, დაზიანდა საავტომობილო, საფეხმავლო გზები და ხიდები; 4. ხანძრები შატილის, მიღმახევის და არხოტის უბნებზე, რომელიც გამოწვეული იყო ხანგრძლივი გვალვებისა და მაღალი ტემპერატურისგან.



შატილის უბანზე ზვავი, წყალდიდობა და ხანძარი.




მიღმახევში და არხოტში ნახანძრალი ტერიტორიები

მუდმივად ვაწარმოებდით მეტეოროლოგიური მონაცემების (ტემპერატურის, ქარის მიმართულების) დამუშავებას მეტეოროლოგიური საიტიდან (www.accuweather.com-იდან). ინფორმაციის მიხედვით ოთხივე უბნიდან აღებულია ერთი კონკრეტული ადგილი (სოფელი), რომლის (დღის და ღამის) ტემპერატურის წლიური სახე მოცემულია დიაგრამაზე. მოცემული დიაგრამიდან ჩანს, რომ ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ტერიტორიაზე ძირითადად ერთნაირი ტემპერატურა ფიქსირდება ოთხივე უბანზე, მცირედი სხვაობა მხოლოდ შეიმჩნევა შატილისა და უკანაფშავის უბნებს შორის, რაც თავის მხრივ განპირობებულია მათი კავკასიონის სხვადასხვა ფერდობზე მდებარეობით (შატილი კავკასიონის ჩრდილოეთ , ხოლო უკანაფშავი სამხრეთ ფერდობზე მდებარეობს). ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის მანძილზე მაქსიმალური ტემპერატურა იყო $+39^0$, ხოლო მინიმალური -26^0 , რომელიც შატილის უბანზე დაფიქსირდა.

ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე პირველი თოვლი დათვისჯვრის უღელტეხილზე მოვიდა 27-28 სექტემბერს, ხოლო შატილამდე ჩავიდა 23 ნოემბერს და მანამდე დაიკეტა უღელტეხილიც.

ხოლო რაც შეეხება ქარის მიმართულებებს ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე, ძირითადად გაბატონებულია სამხრეთის ქარები (უფრო ზუსტად კი სამხრეთ-სამხრეთ-დასავლეთის -SSW) და ნაწილობრივ ჩრდილოეთის (ჩრდილო-ჩრდილოეთ-დასავლეთის - NNE). ქარის მიმართეულებები კარგად ჩანს „ქარის ვარდებზე“, სადაც ამჟამად მოცემულია თვალსაჩინოებისთვის დღისა და ღამის „ვარდები“.



მიმდინარეობდა დაცულ ტერიტორიებზე, მობალახე პირუტყვის აღრიცხვა და სამცველო უბნების მიხედვით მოხდა პირუტყვის რაოდენობების დადგენა.

დაცულ ტერიტორიებზე აღირიცხა ფუტკრის სკების რაოდენობები, მეფუტკრეობა ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში ყოველწლიურად უფრო ვითარდება და რიცხოვნულადაც იზრდება, რაც თავისთავად ტერიტორიაზე ყვავილების სახეობების მრავალფეროვნებასა და პროდუქტიულობაზე მიუთითებს. ფუტკრის სკების რაოდენობების განაწილება უბნების მიხედვით მოცემულია დიაგრამის სახით.

დაცულ ტერიტორიებზე სარეინჯერო უბნების მიხედვით მოხდა ამ დროისათვის მოსახლეობის მიერ ხე-ტყის დანახარჯის აღრიცხვა (გამოკითხვით), რომელიც მოცემულია ცხრილში:

მოსახლეობის მიერ ხე-ტყის დანახარჯი სამცველო უბნებზე (კუბ.მეტრი) (2017წლის მონაცემები)					
სარეინჯერო უბანი		მუდმივი მცხოვრები	მომთაბარე	ცხვრის ბინები	ჯამში მთლიანად უბანზე
1.	შატილის უბანი	10-15.		40.	160
2.	მიღმახევის უბანი	20-22.	5-6.		260-270.
3.	არხოტის უბანი				80.
4.	უკანაფშავი უბანი	18-20.	8-10.	20.	

შეგროვდა ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე გავრცელებული სამკურნალო მცენარეების შესახებ ინფორმაცია და გაკეთდა ცხრილი, რომელშიც მოცემულია მცენარის ლათინური და ადგილობრივი სახელწოდებები, ასევე მათი სამკურნალო თისებების აღწერა. ამჟამად ამ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ცხრილში მოცემულია 140 სახეობის მცენარე. (ცხრილის ფრაგმენტი მაგალითისთვის:)

გაკეთდა ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე, ტყეში გავრცელებული საკვებად ვარგისი მცენარეების სია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა იყენებს სხვადასხვა სანელებლად ან კერძის დასამზადებლად (საწებელი, ფხალეულობა, სუნელები და ა.შ). ამჟამად აღრიცხული მცენარეების რაოდენობა შეადგენს 55 სახეობას და მიმდინარეობს მონაცემის შევსება, განახლება.

მიმდინარეობს მუშაობა ფშავ-ხევსურეთში ბუნებრივ საღებავებად გამოყენებული მცენარეების შესახებ ინფორმაციის შეგროვებაზე (ამჟამად 15 სახეობაზეა ინფორმაცია მოცემული ცხრილში).

გაკეთდა ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობების ნუსხა თითოეული უბნის მიხედვით. სადაც ტერიტორიაზე არსებული ყველა კულტურული ძეგლის ადგილმდებარეობა და დანიშნულებაა მითითებული.

2017 წლის ივნისში და სექტემბერში, SPPA-საქართველოს პროგრამის ფარგლებში ფშავ-ხევსურების დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების რეინჯერებისა და ბუნებრივი რესურსების სპეციალისტებისათვის მოეწყო გაცვლითი სამუშაო ვიზიტი მტირალას ეროვნულ პარკში და ლაგოდეხის ნაკრძალში. შეხვედრი დროს გაზიარებული იქნა როგორც სხვადასხვა მიმართულებების, ასევე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის სქემა და ფოტოხაფანგების მუშაობის პრინციპები. ასევე დეკემბრის თვეში კაჭრეთში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „შესაძლებლობების გაძლიერება ჰაბიტატებისა და ფიტოპათოლოგიის გაუმჯობესებული მონიტორინგისათვის“.

აგვისტოსა და ნოემბრის თვეებში დასაწყისში ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავების მიზნით მოწვეულ ექსპერტ ტილ დიტერიხთან ერთად ჩავატარეთ პარკის ტერიტორიების დათვალიერება-მონიტორინგი, შემაჯამებელი სემინარი და საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია, სადაც განხილული იქნა პარკის ტერიტორიაზე არსებული ბიოლოგიური რესურსი, მისი მდგომარეობა და განვითარების გზები. მოხდა მონიტორინგისათვის საჭირო საველე აღჭურვილობის იდენტიფიცირება, დაიგეგმა ფლორისა და ფაუნის ოდენობის აღდგენის/დათვლის მეთოდები და მონაცემთა მართვის სისტემის დანერგვის აუცილებლობა.

წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დაცულ ტერიტორიებზე ზონირებისა და დემარკაციის სამუშაოები. პირველ ეტაპზე მოხდა მთელი ტერიტორიის ადგილზე შესწავლა, ახლა მიმდინარეობს მოსახლეობასთან, რეგიონულ საბჭოსთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან საკონსულტაციო შეხვედრები ტერიტორიების ზონირება დემარკაციის საკითხების დასაზუსტებლად და შესათანხმებლად.

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება

სამოქმედო გეგმის მიხედვით 2017 წლის განმავლობაში მომზადდა პრეზენტაციები მწვანე კალენდრის თემატიკის მიხედვით და ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარე სკოლებში ჩავატარეთ საგანმანათლებლო ლექცია-სემინარები სამ თემასთან დაკავშირებით:

1. „საქართველოს დაცული ტერიტორიები და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი“;

2. „საქართველოს და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნება“;

3. „ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების „წითელი ნუსხის“ სახეობები“;

მოცემული პრეზენტაციები გავაცანით სოფელ გუდრუხის, სოფელ მაღაროსკარის და სოფელ ბარისახოს სკოლის მოსწავლე - მასწავლებლებს. ჩატარებულ ლექცია-სემინარებს დაესწრო სულ 154 მოსწავლე, 20 სკოლის პედაგოგი, და 6 თანამშრომელი.

ფშავ-ხევსურეთის მეგობართა ასოციაციის მიერ მოეწყო შატილისა და შუაფხოს სკოლის მოსწავლეთა ექსკურსია ბორჯომში, ასევე მოეწყო აქცია „ერთი დღე რეინჯერთან ერთად“ შატილის და მიღმახევის უბენბზე, სადაც შუაფხოსა და შატილის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ცნობიერების ამაღლების მიზნით ადმინისტრაციის შემადგენლობისთვის ჩატარდა ტრეინიგები:

- ივლისში, თბილისში. დაცული ტერიტორიების სააგენტოში. თემაზე: დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა,კატეგორიები,ძირითადი საქმიანობები, მრავლფეროვნრბის დათვლის მეთოდიკა,სამართალდარღვევების გამოვლენა და საქმის წარმოება,ხე-ტყის ჭრის წესები და სოციალური სარგებლობა.

- სექტემბერში, ლაგოდეხში. საველე და პრაქტიკული სამუშაოების სპეციფიკისა და უნარ ჩვევების გაზიარება სარეინჯერო სამუშაოებისას.

- ოქტომბრის თვეში SPPA-საქართველოს პროგრამის ფარგლებში, ალგეთის, კინტრიშის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციების, შესაბამისი მეგობართა ასოციაციებისა და ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლებისთვის მოეწყო სასწავლო ვიზიტი ხორვატიის დაცულ ტერიტორიებზე.

-ნოემბერ-დეკემბერში თბილიში, ელკანას ოფისში, ორ ეტაპად. საგრანტე პროექტების მომზადებისა და მართვის შესახებ.

ვიზიტორთა სტატისტიკა

მოსახლეობის გამოკითხვით დადგინდა პარკის ტერიტორიაზე შემოსული ვიზიტორების რაოდენობა 2017 წლის განმავლობაში, რომელმაც შეადგინა 5569 პერსონა.

მიმდინარეობს ფშავ - ხევსურეთისა და საქართველოში არსებული სხვა პარკების ტერიტორიაზე მოქმედი საოჯახო სასტუმროებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა.

მომზადდა პრეზენტაცია პარკის ტურისტული პტენციალის შესახებ.

ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცულ ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის კანონმდებლობის დარღვევების აღკვეთა, სანაკრძალო რეჟიმის დაცვა მიმდინარეობდა დაცვის განყოფილების ოპერატიული გეგმის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია საავტომობილო და საფეხმავლო ყოველკვირეული პატრულირება სარეინჯეროების, ადგილების და დროის მითითებით, ყოველი თვის ბოლო კვირაში იგზავნება მომავალი თვის პატრულირების გეგმა-გრაფიკი დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

2017 წლის 12 თვეში ჩატარებულია სულ 144 საავტომობილო პატრულირება დაცული ტერიტორიის I და II საავტომობილო მარშუტებზე, გარბენილმა მანძილმა შეადგინა 3630კმ.

სახელმწიფო ნაკრძალის რეინჯერმა გურამ ვერულიძემ ჩაატარა ნაკრძალის I, II და III მარშრუტზე 284 პატრულირება ფეხით და განვლილმა მანძილმა შეადგინა 2485,9კმ, ხოლო აღკვეთილის რეინჯერმა გიორგი ქარცივაძემ ჩაატარა აღკვეთილის I, II და III საპატრულო მარშრუტებზე 156 პატრულირება და განვლილმა მანძილმა შეადგინა 1403.7კმ. გიორგი ქარცივაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით ადმინისტრაციის დირექტორის 14.09.2017 წლის #9 ბრძანების შესაბამისად აღკვეთილის რეინჯერის მოვალეობის შესრულება დაევალა ადმინისტრაციის დაცვის განყოფილების უფროსს თეიმურაზ ქათამაძეს, რომელმაც ჩაატარა აღკვეთილის საპატრულო მარშრუტებზე 57 პატრულირება და მან გაიარა ფეხით 506 კმ.

ყოველი კვარტლის ბოლო თვეში რეინჯერებისთვის ტარდებოდა ტრენინგები ადმინისტრაციის მიერ დამტკიცებული და დაცვის განყოფილების მიერ შემუშავებული თემატიკის შესაბამისად.

დაცვის განყოფილების უფროსის მიერ მომზადებულია და წარდგენილია ყოველთვიური ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ ადმინისტრაციის დირექტორისათვის ყოველი თვის ბოლოს.

სისტემატიურად მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი, ადმინისტრაციას უხდება საკუთარი სახსრებითა და დაცვის განყოფილების ძალებით ველზე არსებული ინფრასტრუქტურის შეკეთება, რომელიც უკვე საფრთხეს წარმოადგენს ვიზიტორებისათვის.






ამასთან ერთად აღსანიშნავია ისიც, რომ დაცული ტერიტორიების შესასვლელში რამსარის მცირე გრანტის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჭაობი“-ს მიერ 2012 წელს მოწყობილი ფანჩატური და ქოხი სახურავის გარეშეა დარჩენილი და არაკომფორტულ იერს აძლევს დაცულ ტერიტორიას, 2018 წლის ტურისტული სეზონისათვის ვფიქრობთ, რომ უნდა მოხდეს მათი აღება. ასევე ასაღებია შემოსასვლელში არსებული ბამბუკის ღობე, რომელიც მთლიანად გამოსულია მწყობრიდან და მისი შეკეთებაც უკვე შეუძლებელია.

მიმდინარე წლის 12 თვის განმავლობაში გამოვლენილია 5 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომელზეც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №000463 სამართალდამრღვევ ჯაბა წითელაძეზე, ოქმი #000464 ჯემალ გოგმაჩაძეზე, რომლებიც გადაადგილდებოდნენ ქობულეთის აღკვეთილში იარაღით,

- დაცვის განყოფილებისა და დირექციის მიერ გამოვლენილი იქნა გეგმიური საგაზაფხულო და საკონტროლო რევიზიების დროს სამართალდარღვევების ჩამდენი პირები, რომლებზედაც შედგა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები #000466, #000467 და #0004687 და განსახილველად გადაცემული იქნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის 21 აგვისტოს.
- ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 04.09-ის #4/203 დადგენილებით ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ოჩხამურში მცხოვრებ მოქალაქე პავლე ოსმინკინს მიესაჯა ჯარიმა 400 ლარი და ზარალის ანაზღაურება 989,95 ლარი, ხოლო მოქალაქე ბერიძე ნარიმანს მიესაჯა ჯარიმა 400 ლარი და ზარალის ანაზღაურება 703,86 ლარი . მოქალაქე ნუგზარ ქათამაძის საქმე მისი საქართველოში არ ყოფნის გამო განხილული იქნა შემდგომში მის დაუსწრებლად ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს მიერ, რომელსაც მიესაჯა ჯარიმა 400 ლარი და სახელმწიფოზე მიყენებული ზარალის ანაზღაურება 970, 60 ლარი.



არახანძარსაშიშ დროს დაცვის განყოფილების მიერ შემოწმებული და მწყობრში მოყვანილი იქნა ბალანსზე რიცხული 5 ცეცხლმაქრი. ადმინისტრაციის დირექციის მიერ

- ადმინისტრაციის დირექციის 06.01.2017წლის №01 ბრძანების შესაბამისად ხანძარსაშიშ ადგილებში ძლიერდება პატრულირება დაცულ ტერიტორიაზე, შექმნილია მორიგეობის გრაფიკი და სათვალთვალო კოშკიდან ხდება მიმდებარე ტერიტორიის სისტემატიური დათვალიერება-დაკვირვება, ასევე ტარდება მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობასთან პროფილაქტიკური ხანძარსაწინააღმდეგო საუბრები.

მიმდინარე წლის 10 აპრილიდან 20 მაისამდე ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 10 აპრილის #04 ბრძანებით, ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების, ბუნებრივი რესურსების დაცვის, ტყის კანონმდებლობის დარღვევების და მიწების უკანონო მიტაცების აღკვეთის, არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის მიზნით, ჩატარებული იქნა გეგმიური საგაზაფხულო რევიზია, ხოლო საგაზაფხულო რევიზიის ჩატარების ხარისხის დადგენის მიზნით ადმინისტრაციის და ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტის მიერ ჩატარებული იქნა საკონტროლო რევიზია 30 აპრილიდან 5 მაისამდე სახელმწიფო ნაკრძალში, ხოლო 5 მაისიდან 20 მაისამდე აღკვეთილში.

საკონტროლო რევიზიის შედეგად გამოვლენილი იქნა თვითნებური ჭრები აღკვეთილის სამხრეთით, მოჭრილი და გატანილია აღკვეთილის ტერიტორიიდან 112 ძირი 4სმ- 24სმ დიამეტრის მქონე ხე, მათ შორის 101 ძირი 4სმ-24 სმ დიამეტრის მქონე ევკალიპტი, 4 ძირი 6სმ-24 სმ დიამეტრის მქონე მურყანი და 8სმ-20 სმ დიამეტრის მქონე 7 ძირი აკაცია, სულ მოცულობამ შეადგინა 5,52 კუბ.მ., ხოლო გარემოზე მიყენებული ზარალი არის 2645,45 ლარი.

საკონტროლო რევიზიის დროს გამოვლენილი იქნა გეგმიური საგაზაფხულო რევიზიის დროს აღრიცხულ ოდენობაზე 67 ძირით მეტი მოჭრილი და გატანილი ხე. ინფორმაცია გეგმიური საგაზაფხულო და საკონტროლო რევიზიების შესახებ გადმოგზავნილია სააგენტოში (წერილი#80, 21.06.2017).

2017 წლის 6 ნოემბრის ადმინისტრაციის დირექტორის #10 ბრძანების შესაბამისად ქობულეთის დაცულ ტერიტორიებში ჩატარდა გეგმიური საშემოდგომო რევიზია. რევიზია ჩაატარა დაცვის განყოფილების უფროსმა თეიმურაზ ქათამაძემ ნაკრძალის რეინჯერის გურამ ვერულიძის თანდასწრებით. ქობულეთის სახ. ნაკრძალში 06 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე , ხოლო ქობულეთის აღკვეთილში 12 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე. რევიზიის შედეგად რაიმე რეჟიმის დარღვევა არ დაფიქსირებულა, ხოლო რაც შეეხება საველე ინფრასტრუქტურას არის მთლიანად შესაცვლელი.

დაცულ ტერიტორიაზე 2017 წლის 12 თვის განმავლობაში დანაგვიანების ფაქტები არ გამოვლენილა, ხოლო რაც შეეხება წყალდიდობის მიერ მოტანილ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, რომელიც ბლომად არის ყოველი წყალდიდობის შემდეგ დაცული ტერიტორიების შესასვლელთან და მიმდებარე ტერიტორიებზე დაცვის განყოფილება სხვა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად ალაგებდა და ასუფთავებდა, ასევე სისტემატიურად ალაგებდა და ასუფთავებდა ადმინისტრაციის ეზოს.

2017 წლის 13 სექტემბერს გიორგი ქარცივაძის მიმართ ანტიკორუფციული სამსახურის მიერ აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე, სადაც ბრალად ედება თითქოს დაცული ტერიტორიებიდან უნდა გამოეტანა ჰუმუსი და გაეყიდა, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან ცნობილია ადგილები (სოფელში საკუთარ საკარმიდამოდან და ქალაქში მის დროებით სარგებლობის ფართში) სინჯების აღების, რაც შეეხება ზემოდ აღნიშნულს, ამ საკითხზე ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წყლის ეკოსისტემების და ტორფნარების კონსერვაციის

განყოფილების მიერ გაცემული იქნა ცნობა, რომ დაცულ ტერიტორიებზე ნიადაგის მჟავიანობის გამო ბრალდებაში ხსენებული ჰუმუსოვანი ფენა არ არსებობს, შესაბამისად ვერ მოხდებოდა დაცული ტერიტორიებიდან მისი გამოტანა, რეალიზება და მოხდა პროკურატურის მიერ ბრალდების გადაკვალიფიცირება ქრთამის აღების მუხლიდან თაღლითობის მუხლზე.

დაცვის განყოფილება უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების სააგენტოს შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული ონლაინ ცხრილების შევსებას კვირის მანძილზე გამოვლენილ სამართალდარღვევებზე.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

გადმოგზავნილი იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2016 წლის ,,ბუნების მატიანე“ (18.01.2017 წერილი #10). მომზადებული და გადმოგზავნილი იქნა დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2016 წლის მონაცემები სახელმწიფო სტატისტიკური დაკვირვების შესახებ (13.01.2017 წერილი #09).

სისტემატიურად მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიაზე არასისტემური მოვლენების წყალდიდობების, წყალმოვარდნებისა და სხვა მოვლენების დაფიქსირება:





წლის განმავლობაში დაფიქსირდა 98 წვიმიანი დღე, აქედან დაცული ტერიტორია დატბორილი იყო 46 დღის განმავლობაში

მიმდინარეობს ინვაზიური სახეობა პოლიგონიუმის პოპულაციური განვითარების შესწავლა

გამოყოფილია სამი სამონიტორინგო უბანი ქობულეთის აღკვეთილში:

I სამონიტორინგო ნაკვეთი არის აღკვეთილის ტერიტორიაზე, გზის უშუალო სიახლოვეს, ის დაშორებულია გზიდან 50 მეტრით, ხოლო ცენტრალური ქუჩიდან 250 მ-ით.

პოლიგონიუმის საერთო დაფარულობა აღნიშნულ ნაკვეთზე არის 22%, აქ პოლიგონიუმი წარმოდგენილია ამბროზიასთან ერთად, ინდივიდთა საერთო რაოდენობა აღნიშნულ ფართობზე დაახლოებით 3100-ს წარმოადგენს, საშუალო სიმაღლე 23-25 სმ.


II სამონიტორინგო უბანი მდებარეობს აღკვეთილში პირველი უბნიდან 250 მეტრში, გზიდან 300 მეტრში, აღნიშნულ უბანზე საერთო დაფარულობა იმატებსდა 85-88%-ია, რადგანაც პოლიგონიუმი წყლის მოყვარული მცენარეა და ნაკვეთი არხის განაპირას მდებარეობს, ინდივიდთა საერთო რაოდენობა 60000-ია, საშუალო სიმაღლე 60-65 სმ-ია.

III სამონიტორინგო უბანი მდენარეობს უშუალოდ აღკვეთილისა და ნაკრძალის საზღვარზე, გზიდან 350 მ-ში, მეორე უბნიდან 50 მ-ში, დაფარულობა 50%-ია, ინდივიდთა რაოდენობა 30000 -ია, საშუალო სიმაღლე 40-45 სმ-ია







II და III უბანში შეინიშნება პოლიგონიუმისა და ამბროზიის ჭილით ჩანაცვლება. ნაკრძალში თეთრი ხავსის ხალიჩაზე პოლიგონიუმი არ იზრდება.




თითოეული დომინანტი და ფლაგმანი სახეობებისათვის მომზადებულია რიცხოვნობის დინამიკის გრაფიკები: რუხი ყანჩები, რუხი წეროები, ჭაობის ძელქორები და სხვ. ქვემოთ მოგვყავს რუხი ყანჩების გრაფიკი.



ასევე ტურის, წავის და ნუტრიისათვის შემუშავებულია ასევე რიცხდოვნობის დინამიკები.






ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ მიმდინარეობს დაცულ ტერიტორიაზე გადამფრენი ფრინველების მონიტორინგი, გროვდება ინფორმაცია მიგრირებადი ფრინველების შესახებ. მიმდინარე წლის იანვრის თვეში გადამფრენ ფრინველთა გუნდები არ დაფიქსირებულა. თებერვლის თვეში დაფიქსირდა სულ 1000 ერთეული გადამფრენი ფრინველი, მათ შორის სისინა გედები, მყივანა გედები, მარტის თვეში რეინჯერების მიერ დათვლილია 2864 -მდე გადამფრენი ფრინველი, მრავლად შეინიშნებოდა რუხი ყანჩა, თეთრი ყანჩები, კოკონა, ძელქორი გარეული იხვი. მასიური გადაფრენა ფრინველების დაიწყო მარტის ბოლო კვირას. აპრილის თვეში დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა გადამფრენ ფრინველთა დიდი რაოდენობა, დაახლოებით 9600 ფრინველი, აღინიშნებოდა ისეთი სახეობების მომატება, როგორიცაა თეთრი ყანჩა, ჩვეულებრივი კაკაჩა, ქედანი, ჭაობის ძელქორი, მინდვრის ძელქორი. მაისის თვეში დაფიქსირდა დაახლოებით 7000 გადამფრენი ფრინველი. ივნისის თვეში დაფიქსირებულია 660 -მდე გადამფრენი ფრინველი. ივლისის თვეში 780 ერთეული. აგვისტოს თვეში დაფიქსირებულია 1200-მდე გადამფრენი ფრინველი, მათ შორის მწყერი, გარეული იხვი, მტრედი ქედანი და სხვა. გადამფრენ ფრინველთა დიდი რაოდენობა დაფიქსირდა მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში, ფრინველთა მასიური გადაფრენა დაიწყო 12 სექტემბრიდან, გადამფრენი მტაცებელი ფრინველებიდან აღსანიშნავია კრაზანაჭამია, ძერა, კაკაჩა ჩვეულებრივი, კაკაჩა ველის, კაკაჩა ფეხბანჯგვლიანი, მინდვრის, მდელოსა და ველის ძელქორები, აღსანიშნავია ასევე გადამფრენი კვირიონის დიდი რაოდენობა და მცირე რაოდენობით ყვითელი და წითური ყანჩა, რუხი წერო, შავი და თეთრი ყარყატი.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში დაფიქსირდა 72 სახეობის 23696 გადამფრენი ფრინველი, ოქტომბრის თვეში დაფიქსირებულია დაახლოებით 24000 მდე ფრინველი, მათ შორის გარეული მტრედების, წეროებისა და ბატების სახეობები. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დაფიქსირებულია დაახლოებით 11800 მდე ფრინველი, მათ შორის შოშიების, გარეული

იხვების,სტვენია იხვებისა და ყვავების გუნდები.დეკემბრის თვეში დათვლილი იქნა 6300 ფრინველი.





ადმინისტრაციის რეინჯერების მიერ მიმდინარეობს ადგილობრივი მობუდარი ფრინველების მონიტორინგი, სულ დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირებულია 25 სახეობის ადგილობრივი ფრინველი, მათ შორის გვრიტი, ალკუნი, რუხი ყანჩა, თეთრი დიდი და მცირე ყანჩა, ჩვამა, და სხვა. წლის განმავლობაში დაფიქსირებულია 5000-მდე ადგილობრივი მობუდარი ფრინველი.





წლის განმავლობაში დაფიქსირებულია გლობალურად მოწყვლადი სახეობებიდან 6 სახეობა - თეთრკუდა არწივი- ფსოვი 10 ერთეული, მცირე კირკიტა 20 ერთეული, ღალღა 28 ერთეული, ველის ძელქორი 420 ერთეული, დიდი ჩიბუხა ,,გოჭა“ 36 ერთეული, ბექობის არწივი 4 ერთეული.





ევროპისათვის მოწყვლადი 26 სახეობის 15010, (გარდა ძერასი, ვინაიდან დიდი რაოდენობით იქნა დაფიქსირებული ძერის გადამფრენი გუნდები) ინდივიდი :

#	სახეობა	რაოდენობა
1	დიდი თეთრი ყანჩა (გადამფრენი გუნდები)	2020
2	შაკი	20
3	მცირე თეთრი ყანჩა	8200
4	ქათამურა	30
5	ყვითელი ყანჩა	112
6	შავი ყარყატი	50
7	თეთრი ყარყატი	90
8	წითური ყანჩა	24
9	ძერა (გადამფრენი გუნდები)	დიდი რაოდენობით

10	ჭაობის ძელქორი (გადამფრენი და ადგილობრივი)	1500
11	მინდვრის ძელქორი	62
12	მდელოს ძელქორი	32
13	მცირე ყარაულა	18
14	ალალი	96
15	შევარდენი	36
16	ალკუნი	102
17	ველის კაკაჩა	760
18	ოჩოფეხა	36
19	წერო რუხი	1620
20	ქორცქვიტა	22
21	ყაპყაპი	8
22	დიდი ყარაულა	8
23	სადგისნისკარტა	12
24	ზოლიანკუდა ლია	60
25	მურა მენაპირე	32
26	ივეოსი	60





2017 წლის 12-13 დეკემბერს მონაწილეობა მივიღეთ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ტრენინგში „შესაძლებლობების გაძლიერება ჰაბიტატებისა და ფიტოპათოლოგიის გაუმჯობესებული მონიტორინგისათვის“

ცნობიერების ამაღლება და ეკოგანათლება


2017 წლის 12 თვის განმავლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ქობულეთის რაიონის საჯარო სკოლებთან, შეხვედრები ეწყობოდა

ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, მასთან არსებული ჯგუფის ეკო-კლუბის წევრებთან, ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მოსწავლეებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან. ასეთი შეხვედრები ძირითადად ემსახურება დაცული ტერიტორიების პოპულარიზებასა და მომავალ თაობებში ეკოლოგიური ღირებულებების ჩამოყალიბებას.

ღია გაკვეთილების ჩატარება საგანმანათლებლო დაწესებულებებში დიდ ინტერესს იწვევს მოსწავლე ახალგაზრდობაში, ისინი ეცნობიან საქართველოს დაცულ ტერიტორიებს, სწავლობენ ბუნებაში ქცევის წესებს, რომლებსაც შემდგომში პრაქტიკულად იყენებენ დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტის დროს. ასეთი ტიპის გაკვეთილების მთავარი ამოცანაა ახალგაზრდა თაობას განუვითაროს პასუხისმგებლობის გრძნობა და სიყვარული იმ ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობისადმი, რომელიც წარმოდგენილია დაცულ ტერიტორიებზე და გაუჩინოს სურვილი დაიცვას ეს სილამაზე.

2017 წლის განმავლობაში ჩატარებული იქნა 56 საგანმანათლებლო ლექცია სემინარი ქობულეთის რაიონის საჯარო სკოლებში: ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა კვირიკეს, სოფელ კვირიკეს #2, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის, სოფელ ბობოყვათის, სოფელ დაგვას, დაბა ოჩხამურის, სოფელ ნაკაიძეების, ფარნავაზის საერო სკოლაში, დაბა ჩაქვის #2, სოფელ გორგაძეების, ქვედა სამების, სოფელ ჭახათის, სოფელ ლეღვას, სოფელ ცეცხლაურის, სოფელ ჯიხანჯურის, სოფელ ბუკნარის, სოფელ ციხისძირის, სოფელ ზენითის, სოფელ ლეღვას #1 და #2, სოფელ სახალვაშოს, დაბა ჩაქვის #1, სოფელ ალამბრის, სოფელ გვარას, სოფელ მუხაესტატეს, სოფელ ქობულეთის, სოფელ კონდიდის, სოფელ ზედა სამების, სოფელ წყავროკას, სოფელ შუაღელეს, სოფელ აჭყვისთავის, ქობულეთის #1, #2, #3, #5 და #6 საჯარო სკოლებში, ქობულეთის სასულიერო გიმნაზიაში, ქობულეთის პროფესიულ კოლეჯში და ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში.

სულ ლექცია სემინარებში მონაწილეობა მიიღო 12 თვის განმავლობაში 2112 მოსწავლემ და 305 მასწავლებელმა.







ქობულეთის პროფესიული კოლეჯი ,,ახალი ტალღა“ სოფელ ბობოყვათის საჯარო სკოლა

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ჩატარებული იქნა ჭარბტენიანი ტერიტორიების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომლის მთავარი თემა იყო რამსარის კონვენციის 2017 წლის გზავნილი ,,ჭარბტენიანები ბუნებრივი კატასტროფების წინააღმდეგ“. კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებები ჩატარდა.

3 თებერვალს, ქობულეთის კულტურის ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა ქობულეთის მუნიციპალიტეტთან არსებული ქობულეთის კულტურის ცენტრისა და ეკოკლუბ ,,ეკოქომაგების“ წარმომადგენლებთან, შეხვედრაზე წარდგენილი იქნა ქობულეთის დაცული ტერიტორიების შესახებ პრეზენტაცია.

კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ეკოლოგიურ-საგანმანათლებლო ლექცია სემინარი ქობულეთის ფარნავაზის საერო სკოლაში, სემინარის მთავარი თემა იყო ქობულეთის დაცული ტერიტორიების საერთაშორისო მნიშვნელობა და რამსარის კონვენცია.





თებერვლის თვეში ჩატარებული იქნა ეკო ტური ფოთის #4 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით. ასევე მათთვის მოეწყო შეხვედრა ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში, წარდგენილი იქნა პრეზენტაცია ქობულეთის დაცული ტერიტორიების შესახებ.





ასევე ჩაუტარდათ ეკო ტური ქობულეთის #6 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიმდინარე წლის 22 მარტს.

მიმდინარე წლის 22 მარტს წყლის რესურსების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქობულეთის ფარნავაზის საერო სკოლის ეკო კლუბის წევრების მონაწილეობით ჩატარებული იქნა ბუნებრივი რესურსების განახლების ღონისძიება, კერძოდ მოსწავლეების მიერ აღკვეთილის შესასვლელში დარგული იქნა მურყანის ნერგები.




მიმდინარე წლის 29 აპრილს დედამიწის დღესთან დაკავშირებით შეუერთდით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ აქციას „სუფთად ევროპისკენ“, ადმინისტრაციის ძალებით დასუფთავებული იქნა ვიზიტორთა ცენტრის ახალი შენობის წინ არსებული სკვერი, ასევე შეკეთებული იქნა ეკოპლაჟის ტერიტორიაზე მდებარე საინფორმაციო დაფა, რომელიც დაზიანდა სტიქიის დროს.




მიმდინარე წლის 31 მაისს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული იქნა ეკო ტური სოფელ ხალას საჯარო სკოლისა და ამ სკოლასთან დამეგობრებული თურქეთის საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის.




5 ივნისი- გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე

5 ივნისს გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციამ ვიზიტორთა ცენტრის ახალი შენობის ეზოში მოაწყო მოსწავლეთა მიერ სამომხმარებლო ნარჩენების გამოყენებით დამზადებული ნივთების გამოფენა ღია ცეს ქვეშ, ღონისძიების გზავნილი იყო ,,დაფიქრდი, სანამ გადაყრი, იზრუნე გარემოზე ჩვენთან ერთად.“

ღონისძიების მიზანი იყო პლასტმასის, პოლიეთილენის პარკების მოხმარების შემცირების, ნარჩენების მეორადი გამოყენებისა და გარემოზე ზრუნვის შესახებ ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება, მსგავსი სახის აქტივობა ემსახურება მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობის გზით მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ქობულეთის მუნიციპალიტეტის ექვსი საჯარო სკოლის მოსწავლემ.




მიმდინარე წლის 7 ივნისს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლებისა და გიდებისათვის ინფო ტური მოეწყო. ადმინისტრაციის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პრეზენტაცია, რის შემდეგაც მონაწილეებმა დაათვალიერეს დაცული ტერიტორიები და გაეცნენ ტურისტული მომსახურების სერვისებს.





ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის წყლის ეკოსისტემებისა და ტორფნარების კონსერვაციის განყოფილების მიერ მიმდინარეობს ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის მომზადება, ამასთან დაკავშირებით მიმდინარეობს შემაჯამებელი სამუშაოები.

მიმდინარე წლის 9 მარტს თბილისის ილიას უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული იქნა ფრინველებზე დაკვირვების საველე ტური კოლხეთის ეროვნულ პარკში, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიების, მაჭახელას, მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკების თანამშრომლებმა.

მიმდინარე წლის 27 ივნისს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტური მოეწყო ქობულეთის პროფესიული კოლეჯის ,,ახალი ტალღა“ ფარმაციის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.





არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოხედვა/ecovision-ის ორგანიზებით მიმდინარე წლის 26 ივნისს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ეკოტური მოეწყო ეკობანაკის ,,ეკოხედვა 2017 " მოსწავლეებისათვის.





2017 წლის განმავლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ქობულეთის რაიონის საჯარო სკოლებთან, შეხვედრები ეწყობოდა ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებული ჯგუფის ეკო-კლუბის წევრებთან და სხვა დაინტერესებულ მოსწავლეებთან. ასეთი შეხვედრები ძირითადად ემსახურება დაცული ტერიტორიების პოპულარიზებასა და მომავალ თაობებში ეკოლოგიური ღირებულებების ჩამოყალიბებას.


მიმდინარე წლის 6-დან 20 თებერვლამდე ჩატარებული იქნა ადგილობრივ მოსახლეობაში სოციალური გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი, მოსახლეობის ინფორმირებულობის, ცნობადობისა და ჩართულობის დონის განსაზღვრა იყო გარემოს დაცვით და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის საკითხებში.


გამოიკითხა ქობულეთის მუნიციპალიტეტის 100 მოქალაქე, მათ შორის დაცული ტერიტორიების მიმდებარე დასახლებებიდან, როგორიცაა აგურის დასახლება, დაბა ოჩხამური, და ბაგრატიონის ქუჩა.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გვაქვს გაფორმებული აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან, ქობულეთის რესურსცენტრთან, ქობულეთის მუნიციპალიტეტთან არსებულ ჯგუფთან ,, ეკოკლუბი“.


სულ მიმდინარე წლის განმავლობაში ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 4904 მოსწავლემ, 210 სტუდენტმა, 420 ადგილობრივმა მოსახლემ და 630 მასწავლებელმა.

სულ მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებული იქნა 32 ეკოტური





ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა სტატისტიკა 2016-2017წწ




ვიზიტორთა სტატისტკა


ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს 2017 წლის 12 თვის განმავლობაში 11 286 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის მონაცემებთან შედარებით 23%-ით (2 111) არის გაზრდილი.

აქედან ქართველი ვიზიტორების რაოდენობა შეადგენს საერთო რაოდენობის 83% (9316), ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 17%-ს (1970).

2017 წლის 12 თვის განმავლობაში ქართველ ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 8%-ით, ხოლო უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა 28%-ით.




დიაგრამა 1.ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2008-2017წწ



დიაგრამა 2.ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წწ


2017 წლის 12 თვის განმავლობაში ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა ბელარუსიიდან, რუსეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან.




დიაგრამა 3.ქობულეთის დაცული ტერიტორიების უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა 2017წწ

2017 წლის მონაცემებით (215 ლარი), 2016 წლის მონაცემებთან შედარებით (1705 ლარი). ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა შემცირებულია 89%-ით, ვინაიდან 2017 წლის ტურისტულ სეზონზე არ მომხდარა სასტუმრო ნომრების გაქირავება. გადატანილ იქნა სასტუმრო ნომრებიდან ინფრასტრუქტურის გარკვეული ელემენტები (ტელევიზორები, მაცივრები) ადმინისტრაციის ახალ მისამართზე.


შემოსავლები სერვისების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: სასტუმრო 40ლ, ფოტოალბომი 30 ლ, საკონფერენციო დარბაზის გაქირავება 35 ლ, ბროშურა 16 ლ, თხილამური 94 ლარი.



დიაგრამა 4.ქობულეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები



დიაგრამა 5.ქობულეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები



დიაგრამა 6. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები

დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა

2017 წლის განმავლობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიების შესახებ საინფორმაციო მასალები გავრცელდა საინფორმაციო ცენტრებში და ტურიზმის სფეროში დაინტერესებულ სხვადასხვა ორგანიზაციებში. მომზადდა და მიეწოდა პრეზენტაციები ტურისტულ კომპანიებს.

ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით თანამშრომლობს ადგილობრივ სასტუმროებთან, რომელთანაც სამომავლოდ დაგეგმილია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.

2017 წლის სექტემბრის თვეში ადმინისტრაციამ მონაწილეობა მიიღო რიგით მეექვსე ბათუმის ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ჩატარდა აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის ორგანიზებით. ფესტივალის ფარგლებში გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვება მიმდინარეობდა ჩაქვში, ჩაისუბანის სათვალთვალო პლატფორმაზე, გაიმართა პრეზენტაციები და სემინარები, ფესტივალს ესწრებოდნენ როგორც ქართველი ისე უცხოელი ვიზიტორები.

2017 წლის ნოემბერში მონაწილეობა მიიღო ადმინისტრაციამ ბათუმის ბოტანიკური ბაღის დაარსების 105 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ბოტანიკოსთა სიმპოზიუმში. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ბუნებრივი სიმდიდრისა და ფლორისტული მრავალფეროვნების გრძელვადიან კონსერვაციას და ეკოსისტემის შენარჩუნებას ემსახურება. ასევე ხელს უწყობს მაღალმთიანი აჭარის ტურისტული პოტენციალის გაზრდას.

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

კოლხეთის დაცული ტერიტორიების ფონდის დაფინანსებით დასრულდა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა, რომელიც გაიხსნა 2017 წლის 13 ივლისს.

ვიზიტორთა ცენტრში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების გამო არ მომხდარა შენობის მიღება-ჩაბარება.

გაუკეთდა რეკონსტრუქცია აღმაშენებლის გამზირის #642-თან არსებულ ბილბორდს


სტრატეგიები და მენეჯმენტის გეგმები:


2017 წლის გან,მავლობაში რამდენჯერმე მოეწყო ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ ქობულეთის დაცული ტერიტორიების

ადმინისტრაციის და დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარეები.

პერიოდულად მიმდინარეობდა მენეჯმენტის გეგმის განხილვები, დეკემბრის თვეში ჩატარდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში.

ქობულეთი დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები





ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

დაცვის განყოფილებას ამჟამად პატრულირებისათვის გადაცემული აქვს პიკაპის ტიპის ერთი ავტომანქანა, 5 ცხენი და 4 უნაგირი, რომლებიც ვარგისია ექსპლუატაციისათვის. უბნის უფროსი რეინჯერები და რეინჯერები ახდენენ თავიანთ დაქვემდებარებაში არსებული სამცველოების დაცვას დადგენილი რეჟიმის შესაბამისად. სისტემატურად ხდება ბუნებრივი რესურსების მდგომარეობის დათვალიერება და დაცულ ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის შემოწმება. დაცვის სამსახურის მიერ ხდება ხშირი შემოწმება ხანძარსაშიში ადგილებისა, ხდება მოსახლეობის გაფრთხილება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ხანძარი. ხშირად აქვს ადგილი საძოვრებზე ცეცხლის გაჩენას. ხანძრის თავიდან აცილების მიზნით ხანძარსაშიშ პერიოდში ადმინისტრაცია გამოსცემს შიდა ბრძანებას, რომლის მიხედვითაც ხდება გაფრთხილება (მწყემსები, ვიზიტორები, გამყოლები), რომ მათი მხრიდან არ მოხდეს რაიმე სახის დაუდევრობა და კანონის დარღვევა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი. აღსანიშნავია ასევე სოფ. ტყარშეტთან, სოფ. ჯუთასთან და სოფ. უხათთან მომხდარი ხაძრების ფაქტიც, რომელიც დაცვის განყოფილების თანამშრომლების, სახანძრო სამაშველო სამსახურის და მოსახლეობის დროული რეაგირების შედეგად ლიკვიდირებულ იქნა. მაისის თვეში ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური და საკონტროლო რევიზიები. რევიზიების შედეგად რაიმე დარღვევა არ გამოვლენილა.

დაცვის სამსახური ასევე აქტიურად ახორციელებს მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას ყაზბეგის ეროვნული პარკის შექმნისა და მისი შემდგომი განვითარების მნიშვნელობის შესახებ. ბრაკონიერობის აღკვეთის მიზნით სანადიროდ პოტენციურ ადგილებში დაცვის სამსახური ხშირად აწყობს რეიდებს; მიმდინარე წლის 12 თვის განმავლობაში ჩატარდა მანქანით 155 მოულოდნელი რეიდი და 200 შემოვლა, ხოლო ფეხით და ცხენით შემოვლების რაოდენობაა 1730. პატრულირების დროს ბილიკებზე და გზებზე გავლილი იქნა: ფეხით - 15750 კმ, ცხენით - 4850 კმ. მანქანით - 32100 კმ. სულ: 52700 კილომეტრი.

ასევე დაცვის განყოფილების თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში. (დასუფთავების და დარგვის აქციები, სკოლის მოსწავლეების ველზე გაყვანა და ბუნებაში ქცევის წესების გაცნობაში).




სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

ყაზბეგის ეროვნულ პარკში სამეცნიერო კვლევები პერიოდულად ხორციელდება და იბეჭდება სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებში სტატიების სახით. ამჟამად მიმდინარეობს მონიტორინგი, კვლევის მიზანს შეადგენს ცენტრალური კავკასიონის მაღალ მთაში, კერძოდ ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში არსებული ტყის ტიპებისა და მათ ქვეშ განვითარებული ნიადაგების შესწავლა; სულ შერჩეული გვაქვს 3 სანიმუშო ფართობი; გასული სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში შერჩეული სანიმუშო ფართობებიდან აღებული იქნა მცენარეთა ნიმუშები ჰერბარიუმებისთვის, მონიტოინგი უნდა გაგრძელდეს მომდევნო სავეგეტაციო პერიოდში; მიღებული შედეგები სტატიის სახით დაიბეჭდება სამეცნიერო კრებულში; მსგავსი გამოკვლევა 2003 წელს გაკეთდა ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალის მაგალითზე, თუმცა მას შემდეგ უკვე 13 წელი გავიდა, შესაძლოა ამ ხნის შუალედში კლიმატის ცვლილებამ, ტყის სიხშირის ცვალებადობამ, აგრეთვე სხვადასხვა ფაქტორებმა გამოიწვია მცენარეული საფარის ცვალებადობა, ან სხვა სახის ცვლილებები, რამაც შეიძლება იმოქმედოს მცენარეულ საფარის ცვლილებაზე, რომელიმე სახეობის გადაშენებაზე, ან პირიქით; მიმაჩნია, რომ კვლევის შედეგები საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო იქნება ამ რეგიონისათვის;

მონიტორინგს ვაწარმოებთ თრუსოს ხეობაში არსებულ მინერალურ ტბაზე და ქეთრისის მინერალურ ვოკლუზზე, და მათ მიმდებარედ არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე;

ეროვნულ პარკში ვაწარმოებთ ბუნების ძეგლების მიმდებარე ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების შესწავლას, რათა ვიზიტორებს შეიძლება შევთავაზოთ და გავაცნოთ იქვე არსებული საინტერესო სახეობები, ჰაბიტატები

ვაგროვებთ მასალას სოკოების შესახებ, რომელიც რაიონშია გავრცელებული, გვაქვს 50-ზე მეტი სხვადასხვა სოკო, რომელსაც ესაჭიროება სისტემატიკაში მოყვანა და შემდეგ დაბეჭდვა, ეს საინტერესო იქნება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ქართველი და უცხოელი ვიზიტორებისთვის; სოკოების შეგროვების საქმეში აქტიურად არიან ჩართული საჯარო სკოლის მოსწავლეები.

დაცულ ტერიტორიაზე ვაწარმოებთ სამკურნალო მცენარეების შესწავლას და შეძლებისდაგვარად ჰერბარიუმების გაკეთებას. ჰერბარიუმების შესაქმნელად გვესაჭიროება საჰერბარიუმე ბადეები, ამ საქმეში აქტიურად არიან ჩართული საჯარო სკოლის მოსწავლეები;

უნდა აღინიშნოს, რომ SPPA-საქართველო (დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში) პროგრამის ფარგლებში, ფინანსური მხარდაჭერით ახლო მომავალში დაიბეჭდება ყაზბეგის ეროვნული პარკის სამკურნალო მცენარეები, სადაც შესული იქნება 40 მდე სახეობის ძირითადი სამკურნალო მცენარე

ყოველწლიურად ,წლის ბოლოს ვამზადებთ ,,ბუნების მატიანეს', რომელშიც აღწერილია ეროვნული პარკის მიერ გაწეული საქმიანობა ერთი წლის მანძილზე და ვაგზავნით დაცული ტერიტორიების სააგენტოში; იანვრის თვეში სააგენტოს გადავცემთ ,,ბუნების მატიანეს";

ყაზბეგის ეროვნულ პარკში ყოველი წლის ბოლოს ვადგენთ სტატისტიკურ მონაცემებს ფლორისა და ფაუნის შესახებ, რომელშიც მითითებულია იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი, მოწყვლადი, წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები;ჩვენს მიერ მათი არეალებისა და ბიოეკოლოგიის მონაცემების შესწავლა შემდგომში ხელს შეუწყობს და დაეხმარება ეკოსისტემების აღდგენის,შენარჩუნებისა და კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავებას; ასევე დაცული ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებისა და არაორგანული და დააკმაყოფილებს ნებისმიერი მოქალაქის, ქართველი და უცხოელი ვიზიტორის ინტერესს.

მეტეოროლოგიური მდგომარეობა

მეტეოროლოგიური დაკვირვება ხდება მხოლოდ ვიზუალურად, შესაბამისი ხელსაწყოების უქონლობის გამო;

2017 წლის განმავლობაში განსაკუთრებული მეტეომოვლენა არ დაფიქსირებულა; წინა წელთან შედარებით გამოირჩეოდა ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობით;,,ჯვრის უღელტეხილი'' თითქმის არ ჩაკეტილა.

ზაფხული უნალექო იყო; თითქმის 4 თვის განმავლობაში ნალექი არ ყოფილა;

უნდა აღინიშნოს, რომ წლევანდელი ზაფხულის პერიოდი წინა წლებთან შედარებით გამოირჩეოდა სრული უნალექობით; ამან გამოიწვია სათიბ- საძოვრების, ზოგან ტყიანი

ფართობების სიმშრალე, რაც ხანძრების გაჩენის საშიშროებას ქმნიდა; საბედნიეროდ ეროვნული პარკის ტერიტორიაზე ხანძარი არ დაფიქსირებულა, თუმცაღა პარკის მიმდებარე ტერიტორიებზე სოფ. უხათთან, სოფ. ჯუთასთან საძოვრებზე აღინიშნა ხანძრები, რომლებიც მალევე იქნა ლოკალიზებული

ყაზბეგის ეროვნული პარკის ტყის კულტურებში(ფიჭვი) და ბუნებრივ კორომებში (არყი) მიმდინარეობს გეგმიური ფიტოპათოლოგიური დათვალიერება 22 ივნისი

28 ივლისიდან 2 აგვისტოს ჩათვლით, ყაზბეგის ეროვნულ პარკის თანამშრომლებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს ბიომრავალფეროვნების კომპონენტის, როგორც მენეჯმენტის გეგმის განუყოფელი ნაწილის, პროგრამის შემუშავება და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

სამუშაო შეხვედრას უძღვებოდა მოწვეული გერმანელი ექსპერტი ტილ დიტერიხი, ხოლო შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები და ასევე რეინჯერები, რომელთა ერთ-ერთ უშუალო მოვალეობას დაცულ ტერიტორიებზე არსებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და მონაცემების აღრიცხვა წარმოადგენს.

შეხვედრაზე განიხილა მონიტორინგის არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, განხორციელდა მონიტორინგისათვის საჭირო შესაბამისი საველე აღჭურვილობის იდენტიფიცირება, ასევე გამოვლინდა ველური ფლორისა და ფაუნის სახეობების რაოდენობის დათვლის მეთოდები და მონაცემთა მართვის უფრო დახვეწილი სისტემის დანერგვის აუცილებლობა.




12- 14 სექტემბერს ყაზბეგის ეროვნულ პარკს ესტუმრა გერმანულენოვანი ბანაკი Central Asia and Caucasus school of ecological education (CASEE) ორგანიზებით

მათ ბინა დაიდეს სოფ. ხურთისის მიმდებარედ არსებულ ფიჭვნარებში

ტურზე გასვლამდე სტუმრებმა მოისმინეს პრეზენტაცია ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნებისა მისი ტურისტული პოტენციალის შესახებ ; სემინარი ჩატადა კითხვა-პასუხის რეჟიმში



13-14 სექტემბერს ყაზბეგის ეროვნულ პარკის ადმინისტრაციას ესტუმრა ალგეთის ეროვნული პარკის მრჩეველთა საბჭო და
ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები; ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა მკვიდრი მოსახლეობისათვის დაცული ტერიტორიების არსებობით მიღებული სარგებელის გაცნობა და დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული წარმატებული ბიზნეს გამოცდილების გაზიარება; მოეწყო გასვლითი სამუშაო ტური.
ალგეთის მრჩეველთა საბჭოს წევრები და ადმინისტრაციის თანამშრომლები გაეცნენ პროექტ „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველოს“ ფარგლებში დაფინანსებულ სოციალურ და ბიზნეს პროექტებს, ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის სამუშაო სპეციფიკას და მოინახულეს ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია.
აქ მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დეკემბრის თვეში ხევის ტერიტორიაზე თოვლის საფარი არ ფიქსირდება, ჰაერის ტემპერატურაც შედარებით იმაზე მაღალია, ვიდრე წინა წლების დეკემბრის თვის ჰაერის ტემპერატურები



მსხვილ ძუძუმწოვრების მონიტორინგი

დაცული ტერიტორიის გარკვეულ ადგილებში, მაგ. ,,ხდის ხეობაში ‘’ დაყენებული იქნა ფოტოხაფანგები, რის შედეგადაც დაფიქსირდა ჯიხვები,



არჩვები სახიზნარის კლდის ბუნების ძეგლთან





13 დეკემბერი ჯიხვი ყაზბეგი ჰესის სათავე ნაგებობასთან


სანიმუშო ფართობებზე მონაცემების შეგროვება


უბნების მიხედვით შექმნილ სანიმუშო ფართობებზე მიმდინარეობს მონაცემების შეგროვება, რეინჯერების მიერ ხდება ვიზუალურად დანახული სახეობების აღრიცხვა; რეინჯერების მიერ წარმოებული გასვლების შედეგად მონაცემების წარმოდგენა ხდება ადმინისტრაციაში; წარმოდგენილი მონაცემები შეტანილია შესაბამის ფორმაში, რომლის საფუზველზეც ხდება გარკვეული სახეობების რიცხოვნობის დინამიკის დადგენა; ერთი წლის მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ წინა წელთან შედარებით მომატებულია ჯიხვის, არჩვის, დათვის, ფოცხვერის რაოდენობა;

ყაზბეგის ეროვნული პარკის ტყის კულტურებში(ფიჭვი) და ბუნებრივ კორომებში (არყი) ჩატარდა გეგმიური ფიტოპათოლოგიური დათვალიერება

ეინჯერების მიერ ხდება შესაბამის ფორმებში ვიზუალურად დანახული სახეობების აღრიცხვა; რეინჯერების მიერ წარმოებული გასვლების შედეგად მონაცემების წარმოდგენა ხდება ადმინისტრაციაში; წარმოდგენილი მონაცემები შეტანილია შესაბამის ფორმაში, რომლის საფუზველზეც ხდება გარკვეული სახეობების რიცხოვნობის დინამიკის დადგენა; ერთი წლის მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ წინა წელთან შედარებით მომატებულია ჯიხვის, არჩვის, დათვის, ფოცხვერის რაოდენობა; ვიზუალურად რეინჯერის მიერ ჯვრის უღელტეხილი-არაგვის სათავეებთან ნანახი იქნა არჩვები მაისის თვეში, ასევე განისის მარშრუტზე ნანახი იყო დათვი ბელებით, ასევე მგლის ნაკვალევი,, რომელიც მთელ ტერიტორიაზე მრავლად არიან; ასევე -ხდის ხეობაში ფოტოხაფანგების საშუალებით დაფიქსირდა ჯიხვები; ხდის ხეობაში რეინჯერის მიერ დაფიქსირებულია ასევე ფოცხვერი, რომლის რაოდენობა წინა წელთან შედარებით მომატებულია; თრუსოს ხეობაში რეინჯერის მიერ ვიზუალურად დაფიქსირებულია არჩვი;

2017 წლის მანძილზე ყაზბეგის ეროვნულ პარკის ტერიტორიაზე დაფიქსირებული კვლევების,ფოტოხაფანგების და ვიზუალურად დანახული ძირითადი სახეობების რიცხოვნობის დინამიკა ასეთია





ეკოგანათლება

ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციამ 2017 წლის განმავლობაში გასწია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო საქმიანობა. ძირითად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც სასწავლო დაწესებულებები და ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ორგანიზაციები.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ყაზბეგის რაიონის საჯარო სკოლებში სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის ჩატარდა პრეზენტაციები და ლექცია-სემინარები საქართველოს დაცული ტერიტორიებისა და ყაზბეგის ეროვნული პარკის შესახებ. მოსწავლეები დეტალურად გაეცნენ საქართველოს დაცული ტერიტორიების და ყაზბეგის ეროვნული პარკის მიზნებს, საქმიანობებს, მართვას და ეკოტურისტულ პოტენციალს.

ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ხშირად ტარდება შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომლის ძირითადი მიზანია ეროვნული პარკის საქმიანობის გაცნობა, და მასზე ცნობიერების ამაღლება

ეკოსაგანმანათლებლო პროგრამები

მოხდა არსებული ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, განახლდა ზოგადი პრეზენტაცია დაცულ ტერიტორიებზე და ყაზბეგის ეროვნულ პარკზე, მომზადდა თემატური პრეზენტაციები ეროვნული პარკის ფრინველების, ჰიდროლოგიის, სამკურნალო მცენარეებისა და მთების შესახებ, რომელთა შეთავაზებაც ხდება სკოლებისათვის.

თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

სკოლებში საინფორმაციო შეხვედრების დროს მიღებული ინფორმაციის უკეთ გააზრების, ასევე ყაზბეგის ეროვნული პარკისა და მისი ადმინისტრაციის საქმიანობის უკეთ წარმოჩენის მიზნით რაიონის ყველა საჯარო სკოლაში პერმანენტულად ხდება პრეზენტაციების მომზადება და ჩვენება; ყველა საჯარო სკოლაში ეკოლოგიური კალენდრის მიხედვით მოსწავლეებმა მოამზადეს პრეზენტაციები

3 თებერვალს ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვის დღესთან დაკავშირებით დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი, რომლის მიზანი იყო ჭარბტენიანი ტერიტორიების გაცნობა და მათი მნიშვნელობის საქართველოს ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით



7 თებერვალს სოფ. სნოს საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი, რომლის მიზანი იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების გაცნობა




8 თებერვალს სოფ. არშის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებით,




20 თებერვალს სოფ.სიონის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი მე 8 - 10 კლასის მოსწავლეებთან;

სემინარის ძირითადი მიზანი და მნიშვნელობა იყო მოსწავლე- ახალგაზრდობისთვის დაცული ტერიტორიისა და მისი ბიომრავალფეროვნების გაცნობა



21 თებერვალს დაბა სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიაში ჩატარდა ლექცია-სემინარი თემაზე ცხოველთა დაცვა; მოსწავლე-ახალგაზრდობა გაეცნო ყაზბეგის ეროვნული პარკის ფაუნას, მათ შორის ,,წითელი ნუსხის" სახეობებს; დაისვა საინტერესო კითხვები.

21 თებერვალს დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი; სემინარის ძირითადი მიზანი იყო დაცული ტერიტორიების შესახებ ცნობიერების ამაღლება, კერძოდ ყაზბეგის ეროვნული პარკის და მისი ბიომრავალფეროვნების გაცნობა; მოსწავლეებისა და პედაგოგების მხრიდან დასმული იყო საინტერესო კითხვები.

1 მარტს სოფ. სნოს საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი, ძირითადი თემა იყო ყაზბეგის ეროვნული პარკი და მისი ბიომრავალფეროვნება

15 მარტს სიონის საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი სიცოცხლის, წყლის და მდინარეების დაცვის დღესთან დაკავშირებით;







21 მარტს დაბა სტეფანწმინდის საჯ. სკოლაში ჩატარდა სემინარი ტყის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით;




22 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა; შეხვედრაში მონაწილეობდნენ მე 8-10 კლასის 35 მოსწავლე და პედაგოგები. მოსწავლე ახალგაზრდებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია, სადაც ნათლად იყო წარმოდგენილი მათი დამოკიდებულება წყლის რესურსების მნიშვნელობის, მისი მოვლის და დაცვის შესახებ; შეხვედრაზე დაისვა შეკითხვები როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან; მსგავსი ტიპის შეხვედრები ხელს უწყობს მოსწავლე-ახალგაზრდებში გარემოს დაცვაზე ცნობიერების ამაღლებას.

23 მარტს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სოფ. სნოს საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა; შეხვედრაში მონაწილეობდნენ მე -8 - 10 კლასის მოსწავლეები, საჯარო სკოლის დირექტორი და პედაგოგები; მოსწავლე -ახალგაზრდებმა მოამზადეს პრეზენტაცია წყლის რესურსების მნიშვნელობის, მათი დაცვისა და ადამიანის სასარგებლოდ მისი გამოყენების თვალსაზრისით; დასმული იყო საინტერესო და აქტუალური შეკითხვები როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მხრიდან




24 მარტს დაბა სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიაში დედამიწის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა ღონისძიება - ,,გადავარჩინოთ დედამიწა"; ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სასულიერო გიმნაზიის მოსწავლე -ახალგაზრდობა, რომელთაც მოამზადეს საინტერესო და აქტუალური პრეზენტაცია.

შეხვედრას ესწრებოდნენ სასულიერო გიმნაზიის მე -8 - 11 კლასის მოსწავლეები, პედაგოგები, ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი; დაისვა საინტერესო და აქტუალური კითხვები მოსწავლეების და პედაგოგების მხრიდან; ღონისძიებამ დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც პედაგოგების, ასევე ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მხრიდანაც




25 მარტს მოეწყო დედამიწის დღისადმი მიძღვნილი დასუფთავების აქცია ადგილობრივი მოსახლეობისა და საჯარო სკოლის მოსწავლების ჩართულობით;

27 მარტს ჩატარდა სემინარი სოფ. გორისციხის საჯარო სკოლაში ყაზბეგის ეროვნული პარკის მნიშვნელობის შესახებ;

28 მარტს სოფ. სიონის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა; შეხვედრას ესწრებოდნენ მე 8- 11 კლასის მოსწავლეები, პედაგოგები; მოსწავლეებმა პრეზენტაციის საშუალებით წარმოგვიდგინეს ყაზბეგის ეროვნული პარკის ღირსშესანიშნაობები, როგორც ბიომრავალფეროვნების, ასევე მისი კულტურულ- ტრადიციული თვალსაზრისით; დაისვა კითხვები, პედაგოგების და მოსწავლეების მხრიდან




30 მარტს სოფ. გორისციხის საჯარო სკოლაში ჩატარდა შეხვედრა; შეხვედრის ძირითათი თემა იყო გლობალური დათბობა და მისი გამომწვევი მიზეზები; ნაჩვენები იქნა მოსწავლეების მიერ

მომზადებული საინტერესო პრეზენტაცია დაისვა კითხვები როგორც პედაგოგების, ასევე მოსწავლეების მხრიდან

4 აპრილს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ.არშის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი, რომლის ძირითადი თემა იყო გარემოს დაცვა, შეხვედრას ესწრებოდნენ მე- 7 - 10 კლასის მოსწავლეები და პედაგოგები,შეხვედრას ესწრებოდა აგრეთვე ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორი მოსწავლეებმა პრეზენტაციის სახით წარმოადგინეს, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია დაბინძურებულ გარემოს ადამიანისა და ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის; მოვისმინეთ მათი შეხედულებები, თუ როგორ შეიძლება გარემოს დაცვა და შენარჩუნება დასმული იყო შეკითხვები პედაგოგების და მოსწავლეეის მხრიდან






11 აპრილს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდების მონაწილეობით, დაბა სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიის დარბაზში ჩატარდა ეკო-ღონისძიება ,,გავუფრთხილდეთ დედა-ბუნებას", მოსწავლე-ახალგაზრდებმა წარმოგვიდგინეს საინტერესო პრეზენტაციები; მათ ყურადღება გაამახვილეს გარემოში მიმდინარე როგორც გლობალურ, ასევე რაიონის მაშტაბით არსებულ პრობლემებზე, როგორიცაა ატმოსფეროს, წყლის, ნიადაგის დაბინძურება , რა შედეგი შეიძლება მოყვეს ტყის გაჩეხვას, და ა.შ. შეხვედრას ესწრებოდა 80 ზე მეტი ბავშვი, 10 პედაგოგი, ყაზბეგის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხლმძღვანელი, აღნიშნულ თემებთან დაკავშირებით დასმული იყო საინტერესო და აქტუალური კითხვები როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან;

დასასრულს მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ხოლო ყველა საჯარო სკოლას სამახსოვრო თასები ეკო-საგანმანათლებო სამიანობაში თანადგომისა და აქტიური ჩართულობისათვის შეხვედრის ფინანსური მხარდამჭერი იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია,





დედამიწის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას დაგეგმილი ჰქონდა სხვადასხვა ღონისძიებები; 21 აპრილს ყაზბეგის როვნული პარკის თანამშრომლებმა სოფ. სიონის, დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ერთად მოაწყვეს დასუფთავების აქციები; აქციაში მონაწილეობა მიიღო საჯარო სკოლების 55 მოსწავლემ, 10 პედაგოგმა; ამავე დღეს სოფ. არშის საჯარო სკოლაში მოსწავლეებმა წარმოგვიდგინეს პრეზენტაცია - ,, ვაქციოთ ყოველი დღე დედამიწის დღედ"; სადაც მათ ისაუბრეს დედამიწის დღის მნიშვნელობაზე, საფრთხეებსა და პრევენციის საშუალებებზე;




მიმდინარე წლის 17 მაისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ეკოტური;

სოფლების სიონის და გორისციხის საჯარო სკოლის 25 მოსწავლემ და 2 პედაგოგმა მოინახულა სახიზნარის კლდის ბუნების ძეგლი;

გარდა იმისა, რომ ბუნების ძეგლი საინტერესო გეოლოგიური აგებულებით გამორჩეული ეროზიული სვეტების კომპლექსია, ტერიტორია საინტერესოა თავისი ბიომრავალფეროვნებით;

ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერი იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია





2017 წლის 8 მაისს, სტეფანწმინდაში, პროექტის „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო“ ფარგლებში მოეწყო ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის გახსნის ღონისძიება. ღონისძიებას ესწრებოდნენ გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი გიგლა აგულაშვილი, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) სამხრეთ-კავკასიის ოფისის დირექტორი კლაუს ვაიგელი, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე დავით მარკოზაშვილი, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, ადგილობრივი ხელისუფლების და სხვა დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.მათ ასევე დაათვალიერეს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით, დაბა სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიაში მოსწავლე ახალგაზრდების ფოტო გამოფენა




ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით მოეწყო ეკო-ტური. ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა სოფ. არშის საჯარო სკოლის მე 6-7-8 კლასის 15 მოსწავლე და ერთი პედაგოგი; მოსწავლეებმა დაათვალიერეს არშის ჩანჩქერი და ისტორიული არშის ციხე; ამავე დროს გაიმართა საუბარი თემაზე: როგორ ვისწავლოთ ეკოაზროვნება, როგორ გავუფრთხილდეთ ბუნებას; ამ საკითხებთან დაკავშირებით მათ გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები; დაისვა საინტერესო კითხვები.




17 ივნისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით ეკოსაგანმანათლებლო სამსახურმა მოაწყო ერთდღიანი საფეხმავლო ტური თრუსოს ხეობაში ეკო-ტურში მონაწილეობა მიიღო ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლამ მოსწავლეები ძირითადად შერჩეულნი იყვნენ ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით, როგორიცაა; ფოტოგამოფენები, ვიქტორინები, პრეზენტაციები, ნახატების კონკურსი და ა. შ. აგრეთვე ის მოსწავლეები, რომელნიც დაინტერესებული არიან გაეცნონ თავისი კუთხის ბუნებას, ღონისძიებაში სულ მონაწილეობა მიიღო 75 მოსწავლემ და 5 პედაგოგმა ეკო-ტურში მონაწილეობდნენ ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის თანამშრომლები და დირექტორი,

მეგობართა ასოციაციის დირექტორი და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შალვა ელოშვილი.

აღსანიშნავია, რომ თრუსოს ხეობა ერთ -ერთი ულამაზესი ხეობაა, ხევში; აქ გვაქვს 3 ბუნების ძეგლი, მონაწილენი გაეცნნენ ამ ხეობის ბიომრავალფეროვნებას; მოსწავლეთა ნაწილი ეკო-თამაშებით გაერთო, სხვებმა ვიქტორინაში ჩაბმა არჩიეს, გამარჯვეული გუნდი დაჯილდოვდა ტაშით; გზადაგზა მოსწავლეები გაეცნენ ჰრბარიუმის დამზადების მეთოდიკას ; მიგვაჩნია, რომ ამ ტურს ქონდა დიდი მნიშვნელობა ეკო-საგანმანათლებლო თვალსაზრისით ამასთან ერთად მონაწილებმა მოისმინეს ხეობაში არსებული კულტურულ-ისტორიული სოფლების მოკლე მიმოხილვა. ტურის ფინანსური მხარდამჭერია ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაცია.




1 ივლისს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით, ეკო-საგანმანათლებლო სამსახურმა საჯარო სკოლების ნორჩ რეინჯერებთან ერთად ,მოაწყო ეკო-ტური სოფ. ხურთისის ფიჭვნარებში; შევამოწმეთ ტყის პათოლოგიური მდგომარეობა; მოსწავლეებს ჩაუტარდათ მცირე სემინარი ყაზბეგის ეროვნული პარკის ბიომრავალფეროვნების შესახებ, ამავე დროს, ისინი გაეცნენ ჰერბარიუმის დამზადების მეთოდებს;
28-29 ოქტომბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ორგანიზებთ და ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური თანადგომით მოეწყო ექსკურსია ბორჯომის ეროვნულ პარკში; ღონისძიების მიზანი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის კიდევ ერთი დაცული ტერიტორიის გაცნობა; მასში ჩართული იყვნენ რაიონის ყველა საჯარო სკოლის ნორჩი რეინჯერები, პედაგოგები, მათ მოისმინეს პრეზენტაცია ბორჯომის ეროვნული პარკის , მისი ბიომრავალფეროვნების, ტურისტული ბილიკების შესახებ; რის შემდეგაც დაათვალიერეს ერთ-ერთი ტურისტული ბილიკი, ასევე ბორჯომის სხვა ღირსშესანიშნავი ადგილები ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია მსგავს გაცნობით ტურებს საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიებზე კვლავაც მოაწყობს




29 ნოემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. სიონის საჯარო სკოლაში ჩატარდა სემინარი - ადამიანი და გარემო, სადაც მონაწილეობდნენ მე-5 - 8 კლასის მოსწავლეები, ასევე პედაგოგები სემინარის ბოლოს აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოსწავლეებმა ნახეს პრეზენტაცია , რომელიც მოამზადა მე - 11 კლასის მოსწავლემ, ნორჩმა რეინჯერმა სოფო გუჯარაიძემ. შეხვედრაზე დასმული იყო საინტერესო კითხვები როგორც მოსწავლეების, ასევე პედაგოგების მხრიდან




30 ნოემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. გორისციხის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ მე 5 - 7 კლასის მოსწავლეები; სემინარზე ვისაუბრეთ ყაზბეგის ეროვნული პარკისა და მისი ბიომრავალფეროვნების შესახებ




1 დეკემბერს ყაზბეგის როვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით დაბა სტეფანწმინდის სასულიერო გიმნაზიაში ჩატარდა ლექცია- სემინარი თემაზე - დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა ბუნების დაცვისა და კონსერვაციის საქმეში; სემინარში მონაწილეობდნენ მე-5 - 10 კლასის მოსწავლები და 2 პედაგოგი სემინარის ბოლოს მოსწავლეებმა ნახეს პრეზენტაცია - ყაზბეგის ეროვნული პარკი და მისი ღირსშესანიშნაობები, რომელიც მოამზადეს და უმცროსი ასაკის ,,ნორჩ რეინჯერებს" წარმოუდგინეს მე 10 კლასის ,ნორჩმა რეინჯერებმა" , დაისვა საინტერესო შეკითხვები მოსწავლეების მხრიდან




5 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორანიზებით სოფ. არშის საჯარო სკოლაში მე -6-7-8 კლასის მოსწავლეებთან ჩატარდა ლექცია-სემინარი;სემინარი მიზნად ისახავდა მოსწავლე -ახალგაზრდებში დაცულ ტერიტორიებზე და კერძოდ ყაზბეგის ეროვნულ პარკზე ცნობადობის ამაღლებას




7 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისრაციის ორგანიზებით დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ მე 6 -7- 8 -9 კლასის მოსწავლეები ახლოვდება ახალი წელი, შეხვედრის მთავარი თემა იყო ,, ნუ მოვჭრით ფიჭვს", სემინარზე ვისაუბრეთ ტყისა და მისი მნიშნელობის, როგორც ბიომრავალფეროვნების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტის შესახებ; დაისვა საინტერესო კითხვები მოსწავლე ახალგაზრდების მხრიდან.





8 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ.სნოს საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი, რომლის მონაწილენი იყვნენ მე -5 დან მე 10 კლასის ჩათვლით მოსწავლე ახალგაზრდები. სემინარის ძირითადი თემა იყო ყაზბეგის ეროვნული პარკის შესახებ ცნობადობის ამაღლება, მისი ბიომრავალფეროვნე ბის გაცნობა; უფროსი ასაკობრივი

ჯგუფის ,, ნორჩმა რეინჯერებმა" დაბალი ასაკობრივი ჯგუფის ,,ნორჩი რეინჯერებისთვის" გააკეთეს მოკლე პრეზენტაცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით; დასმული იყო საინტერესო კითვები; სემინარს ესწრებოდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინის ტრაციის დირექტორი ოთარ წამალაიძე, 2 პედაგოგი





11 დეკემბერს მთების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით სოფ. სიონის საჯარო სკოლაში ჩატარდა ლექცია-სემინარი; ღონისძიებას ესწრებოდნენ მე 5 - დან მე-11 კლასის ჩათვლით საჯარო სკოლის მოსწავლეები; აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ,,ნორჩმა რეინჯერებმა" მოამზადეს საინტერესო და აქტუალური პრეზენტაცია; დასასრულს მოსწავლეების მრიდან დაისვა საინტერესო კითხვები; ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის დირექტორმა ბატონმა ოთარ წამალაიძემ მოსწავლე ახალგაზრდებს მისცა რჩევები თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ბუნებაში , რომ თავიდან ავიცილოთ ხანძრები.

27 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგაზებით და მეგობართა ასოციაციის ფინანსური თანადგომით სოფ. სნოს საჯარო სკოლის 12 მოსწავლეს -ნორჩ რეინჯერებს, ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართულობისთვის გადაეცა საახალწლო საჩუქრები




28 დეკემბერს ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ორგანიზებით და ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ფინანსური თანადგომით სოფ. გორისციხის საჯარო სკოლის 13 მოსწავლეს-ნორჩ რეინჯერებს ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისთვის გადაეცა საჩუქრები; საჯარო სკოლის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციას და მის ეკო-საგანმანათლებლო სამსახურს მოსწავლეთა აქტიური ჩართულობისა და მათი დაინტერესებისათვის.





სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება

ეროვნული პარკის მიერ შეირჩა რეინჯერები საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. გამოკითხვა განხორციელდა ყველა სოფელში, საზოგადოებრივი აზრის გამოიკითხვა მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კითხვარების მეშვეობით. ადმინისტრაციის მიერ შერჩეულ რეინჯერებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი კითხვარების შევსების მეთოდოლოგიაზე და კვლევის ჩატარების პრინციპებზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100 რესპოდენტმა ეროვნული პარკის მიმდებარე სოფლებიდან.


ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა

2017 წლის განმავლობაში ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 2000 მოსწავლემ, 70 მასწავლებელმა, სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობდა 100 რესპოდენტი რეგიონიდან. შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 120 ადგილობრივმა მოსახლემ. სულ ეროვნული პარკის ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 2310 ადამიანმა.




ვიზიტორთა სტატისტიკა


2017 წლის განმავლობაში ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიას ესტუმრა 154 085 ვიზიტორი, მათ შორის 54% ქართველი (83 678 ვიზიტორი), ხოლო 46% (70 407 ვიზიტორი) უცხოელია. 2017 წელს 2016 წლის მონაცემებთან შედარებით ვიზიტორთა რაოდენობა გაზრდილია 15%-ით.



დიაგრამა 1. ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა 2010-2017წწ



დიაგრამა 2. ყაზბეგის ეროვნული პარკის ვიზიტორთა სტატისტიკა 2016-2017წწ



დიაგრამა 3. ყაზბეგის ეროვნული პარკის საერთაშორისო ვიზიტორები 2017წ

2017 წელს მონაცემებით 2016 წლის მონაცემებთან შედარებით ქართველი ვიზიტორების რაოდენობა გაზრდილია 32%-ით, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა შემცირებულია 0,1%-ით.

ყაზბეგის ეროვნლ პარკს უცხოელ ვიზიტორებს შორის ყველაზე მეტი ვიზიტორი ესტუმრა რუსეთიდან (42 517 ვიზიტორი), ისრაელიდან (9508 ვიზიტორი), გერმანიიდან (1528 ვიზიტორი), სომხეთიდან (1517ვიზიტორი), აზერბაიჯანიდან (1274 ვიზიტორი).

ინფრასტრუქტურული პროექტები

დასრულდა ყაზბეგის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობის პროცესი, რომელიც გერმანიის მთავრობის და გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KFW) მხარდაჭერით განხორციელდა. შენობაში საგამოფენო სივრცე, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი და ადმინისტრაცია განთავსდება.

თანამშრომლობა დაინტერესებულ მხარეებთან

დაგეგმილია ეკო-საგანმანათლებლო ბილიკის მოწყობა ,,სახიზნარის კლდის ბუნების ძეგლამდე". ყაზბეგის ეროვნული პარკის მეგობართა ასოციაციის ძალისხმევით, პოლონეთის საელჩოსთან ერთად მიმდინარეობს ველობილიკის მოწყობა თრუსოს ხეობაში.

ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაცია

<u>დაცვის სამსახური</u>

2017 წლის იანვრის თვეში ჩატარდა ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციის თათბირი. თათბირზე განხილულ იქნა 2016 წლის შედეგები და 2017 წელს ადმინისტრაციის წინაშე არსებული პრობლემები. იანვრის თვის პირველ რიცხვებში მომზადდა 2016 წლის წლიური ანგარიში, შემუშავდა 2017 წლის სამუშაო გეგმა. მომზადდა საპატრულო მარშრუტების სქემა.




ჭაჭუნას აღკვეთილის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის მიერ თვეში ოთხჯერ ტარდებოდა მოულოდნელი რეიდები, რაზედაც კეთდებოდა შესაბამისი რეაგირება.
საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საძოვრებზე არსებული პირუტყვის სულადობის, სადგომების, საძოვრების ფართობების აღრიცხვის მიზნით შემოვიარეთ ზამთრის ბინები. მუდმივად ხორციელდება მწყემსების კონტროლი არალეგალური ქმედებების ჩადენის პროფილაქტიკის მიზნით.
რეინჯერთა პატრულირება ხორციელდებოდა დირექტორის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით, რომელსაც ერთვის საპატრულო მარშუტების გრაფიკები.

ყოველი კვირის ორშაბათს ხდებოდა ინფორმაციის მომზადება და მიწოდება სააგენტოში კვირის განმავლობაში დაფიქსირებულ დარღვევებზე. ყოველი თვის დასაწყისში ტარდებოდა ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიების ადმინისტრაციის თათბირი, სადაც ხდებოდა განხილვა დაცვის განყოფილების მიერ თვის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. იგეგმებოდა მომავალ თვეში შესასრულებელი სამუშაოები.

ადმინისტრაციის დირექტორის ბრძანება N 26 -ის თანახმად, ახალი წლის მოახლოებასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს აღკვეთილის ტერიტორიაზე უკანონო ნადირობა, ხანძრის გაჩენა და სხვა არალეგალური ფაქტები, 2017 წლის 20 დეკემბრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე დაცვის განყოფილების თანამშრომლები გადავიდნენ სადღეღამისო პატრულირებაზე.

30 ნოემბერს, ცხვრის ფარების ზამთრის საძოვრებზე დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლებიც მდებარეობს აღკვეთილის ტერიტორიების მიმდებარედ, დირექტორმა-ნოდარ ტეტელოშვილმა დაცვის განყოფილების უფროსთან და რეინჯერებთან ჩაატარა თათბირი- გამკაცრდეს კონტროლი აღკვეთილის მოსაზღვრედ მდებარე საძოვრების მეპატრონეების და მწყემსების მიმართ, რათა არ მოეხდეს ჩვენს ტერიტორიაზე საქონლის შემოყვანა.


გამოვლენილი სამართალდარღვევები


12 თვის განმავლობაში შედგენილია 30 ერთეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. აქედან უკანონო ძოვების ფაქტებზე შედგენილია--24ოქმი. რეჟიმის დარღვევის ფაქტზე-6 ოქმი. თანხამ შეადგინა-950ლარი. დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს მიერ განსახილველია 7 სამართალდარღვევის ოქმი.

ყოველი კვირის ორშაბათს ხდებოდა ინფორმაციის მომზადება და მიწოდება სააგენტოში კვირის განმავლობაში დაფიქსირებულ დარღვევებზე.

2017 წლის 12 თვის განმავლობაში პატრულირებისას, სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისას, დაცვის სადგურებზე რეინჯერთა ცვლებთან ერთად დაცვის განყოფილების დაქვემდებარებაში მყოფი ავტომანქანის მიერ განვლილმა მანძილმა პატრულირებისას შეადგინა 15243 კილომეტრი. ავტომანქანით ტერიტორიების პატრულირების პარალელურად რეინჯერების მიერ საპატრულო მარშრუტებზე ცხენით განვლილმა მანძილმა შეადგინა 5645 კილომეტრი.

ჭაჭუნას აღკვეთილის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის დირექტორის მიერ ტარდება მოულოდნელი რეიდები, რაზედაც კეთდება შესაბამისი რეაგირება.





ხანძრების მართვა

2017 წლის დასაწყისში შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ვარგისიანობა და მდგომარეობა.

სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით მოეწყო შეხვედრა დაცული ტერიტორიის მოსაზღვრედ მდებარე მეცხვარეობის ბინების მეპატრონეებთან და ხელი მოვაწერინეთ შეტყობინება-გაფრთხილების ფორმას. დაცვის განყოფილებამ ჩაატარა ტრენინგი ხანძრის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით.

2017 წლის 1 ივნისის შიდა ბრძანება N13 თანახმად, წესრიგში იქნა მოყვანილი ყველა სახანძრო აღჭურვილობა და 1 ივნისიდან 30 სექტემბრამდე ხანძრის გავრცელების პოტენციურ ადგილებში გაძლიერდა პატრულირება.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ხანძრის ფაქტები არ დაფიქსირებულა.

რევიზიები

2017 წლის 3 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით, რეინჯერთა შრომის დისციპლინის განმტკიცების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის, დაცულ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის მიზნით ჩატარდა საგაზაფხულო გეგმიური რევიზია. რევიზიის ანგარიში წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

2017 წლის 26 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით დაცულ ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ცხენების აღკაზმულობის მდგომარეობის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის , გეგმიური რევიზიის ხარისხის შემოწმების მიზნით ჩატარდა საგაზაფხულო საკონტროლო რევიზია. რევიზიის დროს დარღვევები არ გამოვლენილა.

ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის ბრძანება N19 შესაბამისად, 16 ოქტომბრიდან 10 ნოემბრის ჩათვლით ჭაჭუნას აღკვეთილის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა პასუხისმგებლობისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების, საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის აღკვეთის, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურის მდგომარეობის კონტროლის, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მოვლის მიზნით ჩატარებულ იქნა საშემოდგომო გეგმიური რევიზია. ხოლო 10 ნოემბრის ბრძანება N 24 შესაბამისად, 11 ნოემბრიდან 22 ნოემბრის ჩათვლით საშემოდგომო გეგმიური რევიზიის ხარისხის შემოწმების მიზნით, ჩატარებული იქნა საკონტროლო რევიზია.

ჩატარებული რევიზიების შედეგად დადგინდა, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ტერიტორიაზე უკანონოდ მოპოვებული ბუნებრივი რესურსების და მოპოვების საშუალებების ჩამორთმევის ფაქტები არ დაფიქსირებულა. რეინჯერების დღიურებიდან მიღებული

ინფორმაციით დადგინდა, რომ ტერიტორიის ბუნებრივი კომპლექსების და მათი დაცული კომპონენტების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. რევიზიების ანგარიში წარედგინა დაცული ტერიტორიების სააგენტოს.

საანგარიშო პერიოდში მუდმივად ხორციელდებოდა კონტროლი ფოტოხაფანგებზე. ფოტოარქივს შეემატა მრავალი საინტერესო ფოტო. მოპოვებული მასალები გადაგზავნილია დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

მუდმივად ხდებოდა ავტომობილების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის. საანგარიშო პერიოდში ავტომანქანებს ჩაუტარდათ ტექმომსახურებით გათვალისწინებული მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში მდინარის სანაპიროსთან გარემონტდა სამანქანო გზა. დამთავრდა სასტუმროს და სარეინჯეროს ეზოს ახალი მავთულბადით შეღობვა.




აგვისტო-სექტემბერში დამონტაჟდა 5 ამკრძალავი და 4 მიმართულების აღმნიშვნელი ნიშნულები.




სისტემატიურად ხდებოდა ვიზიტიორთა სახლის და ეზოს დასუფთავება. პატრულირებასთან ერთად სისტემატიურად მიმდინარეობს კონტროლი ტერიტორიის დანაგვიანების ფაქტების აღმოსაფხვრელად.

სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

2017 წლის იანვარში მომზადდა ჭაჭუნას აღკვეთილის 2016 წლის ,,ბუნების მატინე.” მიმდინარეობს მუშაობა 2017 წლის ,,ბუნების მატიანის” მოსამზადებლად.

სისტემატიურად ხდება მონაცემთა შეგროვება თვეების მიხედვით ტემპერატურის, ქარის, წვიმის, ყინვის, თოვლისა და გვალვის შესახებ, რაც ასახული იქნება ერთიან ცხრილში და წარმოდგენილი იქნება 2017 წლის „ბუნების მატიანე“-ში. კლიმატური პარამეტრების შესახებ ინფორმაციის პროცესს ახლავს ფენოლოგიური დაკვირვებები. წარმოებული დაკვირვებების შედეგად წელს ზამთარი გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმკაცრით და ხანგრძლივობით.





მარტის II დეკადიდან საგრძნობლად დათბა, ტემპერატურამ მოიმატა და მიაღწია +17-20^{0}M-სს.

მუდმივად წარმოებს არასისტემური მოვლენების-გვალვების, წყალდიდობების და სხვა მოვლენების მონიტორინგი. არასისტემურ მოვლენებს- გვალვებს, წყალდიდობებს და სხვას აღკვეთილის ტერიტორიაზე 3 თვის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

ფრინველების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა ,,წითელი ნუსხის ფრინველების“- ბექობის არწივი, ბატკანძერი, სვავი, ორბი, სარსარაკის მონიტორინგი. მიმდინარეობს დაკვირვება ისეთ მნიშვნელოვან სახეობებზე, როგორებიცაა - კაკაბი, ხოხობი, დურაჯი და სხვა წვრილი ფრინველები.

ტერიტორიაზე ხშირად ფიქსირებთ- სვავის, ორბის, ყაპყაპის, ქედნის, კვირიონის გუნდებს, ხოხობს ერთეული სახით, კაკაბი მცირე გუნდებად.

სარსარაკი IUCN-ის წითელ ნუსხაში და საქართველოს წითელ წიგნში შეტანილი მიმომფრენი ფრინველია. ზამთარს ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე ატარებს. ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით შემოვიდა დეკემბერში, მარტში კი დატოვეს აღკვეთილი.

მოფრინდნენ გარეული ბატები, რომლებიც ბუდობენ დალის მთის წყალსაცავზე.



დალის წყალსაცავზე და მდინარე იორში ვნახეთ გარეული და წითელნისკარტა იხვები, თეთრი წეროები.

ნანახი იქნა ბექობის არწივი და მათი ბუდეები ვერხვის ხეზე №13 კვარტალში, №8,13 კვარტლებში სვავები და ორბები. შაშვი, კაჭკაჭი, ყვავი ჩხართვი ყველგან. ბულბული მცირე რაოდენობით.




	სახეობა	გავრცელება
	ვარხვები,გარეულიბატი,წითელწინისკარტა და გარეული იხვი	№6 დალის მთის წყალსაცავი და №7 კვ
	ბექობის არწივი,ორბი,სვავი, ბატკანძერი, სავათი, ველის არწივი	№ 6 , 8, 9,11,12 კვ.
	კაკაბი, ხოხობი, დურაჯი	№ 6,7,8, 9 ,15 კვ.
	ქედანი, შავი შაშვი, ჩხართვი, ველის კაკაჩა, ბულბული, ყვავი	ყველგან
	სარსარაკი	№4,5,14,15, 16 კვ

მსხვილი ძუძუმწოვარი ცხოველების მონიტორინგის ფარგლებში ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაცია სისტემატიურად ახდენს ,, საქართველოს წითელი ნუსხის“ და სხვა მსხვილი ძუძუმწოვრების მონიტორინგს.

მურა დათვი აღკვეთილის ტერიტორიაზე გვხვდება ერთეულების სახით. ის პერიოდულად მიგრირებს აზერბაიჯანიდან აღკვეთილის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, დაფიქსირდა ტურის რიცხოვნობის ზრდა. საგრძნობლად მოიმატა ლელიანის კატის რიცხვმა. ფოტოხაფანგმაც მრავალჯერ დააფიქსირა ეს ცხოველი. შემცირებულია მელიის რაოდენობა. დაფიქსიეებულია გარეული ღორი №7,8,9 კვარტლებში, ასევე ღორის კოლტის ნაკვალევები.

შედეგები ასახულია ცხრილში. ცხოველებზე დაკვირვებას ვახდენთ კვალის აღრიცხვის მეთოდით, რიცხოვნობის დადგენით.


რეინჯერების დღიურებიდან მიღებულია ინფორმაცია-პატრულირებისას ნახეს აფთრის კვალი და და ფეკალიები.


რეინჯერები ტერიტორიაზე პატრულირების დროს აღწერენ ყველა შეხვედრილ ნადირ-ფრინველს და ცხოველთა ნაკვალევებს.

	სახეობა	გავრცელება
	გარეული ღორი	6, 7, 8, 9კვ.

	მგელი,მელა, ტურა, ენოტი,კურდღელი.	7,9,12, 14 კვ.
	მაჩვი,მაჩვზღარბა, ზოლებიანიაფთარი*,ლელიანის კატა*, წავი*, ნუტრია.	6,7, 8კვ.

ფოტოხაფანგმა მრავალჯერ დააფიქირა გარეული კურდღელი, გარეული ღორი, ლელიანის კატა, მელა, ტურა, მგელი, მაჩვი, მაჩვზღარბა.





მიმდინარეობს დაკვირვება მერქნიან მცენარეებზე, მათ შორის „წითელი ნუსხის“ სახეობებზე - სამხ. აკაკი, ჭალის მუხა, ღვია და საკმლის ხე. ასევე მუდმივ სანიმუშო ფართობებზე. ზამთარი იყო მკაცრი და ხანგრძლივი. თებერვლის ყინვამ და ქარებმა შეაფერხა მცენარეთა ვეგეტაცია. მარტის

მესამე დეკადიდან დათბა და განვითარება დაიწყო ბალახოვანმა საფარმა, კვირტები დაებერა ვერხვს, იალღუნს,. აყვავდა საღსაღაჯი, ტყემალი და შინდი, შეიფოთლა საკმლის ხე.

მუდმივად წარმოებს მცენარეულ საფარზე მდ. ივრის ტერასაზე შერჩეულ შერჩეულ სანიმუშო ფართობზე და ახალაღმონაცენების ზრდა-განვითარებაზე დაკვირვება.


კარგად მიმდინარეობს ბალახოვანი საფარის, ჭალის მუხის, ვერხვის, თელის, ფშატის, იალღუნის და ახალაღმონაცენების ზრდა-განვითარება

მიმდინარეობს ფენოლოგიური დაკვირვება კავკასიის ენდემურ სახეობებზე-ქართული კოწახური, ქართული ზამბახი, ეიხლერის ტიტა. განვითარება დაიწყო ბალახოვანმა საფარმა, დაწყებულია ეიხლერის ტიტას და ქართული ზამბახის ვეგეტაცია, აყვავდება აპრილის I დეკადაში.




ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სამეცნიერო კვლევები და პროექტები:

- „გეობოტანიკური აღწერები“
- „გეოდეზიური კვლევა სეისმური საშიშროების შეფასების მიზნით“. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის მკვლევართა ჯგუფი.
- „ლეშიჭამია ფრინველებზე დაკვირვება“, უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა ჯგუფები; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.




სამეცნიერო კვლევები და პროექტები

ჭაჭუნას აღკვეთილში 10 მაისიდან 5 ივლისის ჩათვლით დაიწყო ფიტოპათოლოგიური კვლევები. K2017 წლის გაზაფხულზე ფოთლოვანი საფარის განვითარებასთან ერთად საკვლევად ავიღეთ: № 8, 5 და 12 კვარტლები. კვლევების შედეგად გამოვლენილ იქნა შემდეგი სახის მავნებლები და დაავადებები: მუხის ფოთოლხვევია (*Tortix viridana),*თელის ჰოლანდიური დაავადება (*Pholiporus sguamsus*), ვერხვის ფოთოლჭამია (*Melacosus populi*). სოკოვანი დაავადებებიდან: მუხის მოთეთრო სოკო (Sohirophyllum commune) , აბედა სოკო (*Fomes igniarus*), საკმლის ხის კორომების დათვალიერებისას აღმოჩნდა კერობრივად ერთეულ ხეებზე

დაზიანებული ფოთლები და რგოლური პარკიხვევიას მატლებიმავნებლებს სერიოზული ზიანი არ გამოუწვევიათ აღკვეთილში.

ეკოგანათლება


2017 წლის 12 თვეში ჭაჭუნას აღკვეთილის ადმინისტრაციამ ჩაატარა შემდეგი ეკო-საგანმანათლებლო ღონისძიებები:



თებერვალში ჩატარდა გამოკითხვა რაიონის 100 მცხოვრებზე საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგსა და შეფასებაზე. შედეგებით შევავსე სპეციალური კითხვარი და გადავაგზავნე სააგენტოში.

ლექცია-სემინარი	76
კვირეული	0
მწვანე აქცია	7
ეკო-ტური	22
მოსახლეობასთან შეხვედრა	67
დასუფთავების აქცია	15

ღონისძიებებში ჩაერთო	რაოდენობა
მოსწავლე	822
სტუდენტი	227
პედაგოგი	185
ადგილობრივი მოსახლე	1121
სხვა	122
სულ	2477







25 მარტს მწვანე კალენდრის მიხედვით ,,დედამიწის საათი“








მწვანე კალენდრის მიხედვით-,,დედამიწის საათი“ მოვაწყვეთ დასუფთავების აქცია ჭაჭუნას აღკვეთილის დაცულ ტერიტორიაზე.





მწვანე კალენდრი მიხედვით ,,დედამიწის დღესთან“ დაკავშირებით ჩავატარეთ გრანდიოზული დასუფთავების აქცია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სოფ. სამრეკლოს, გამარჯვების, ოზაანის და არბოშიკის საჯ. სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები. მოსწავლეები დაიყო ჯგუფებად და დასუფთავდა აღნიშნული სოფლების ცენტრალური გზები, ტაძრების მიმდებარე ტერიტორიები, სკოლის ეზო და შემოგარენი, სპორტული მოედნები.






მწვანე კალენდრის მიხედვით ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოზაანის საჯარო სკოლაში ჩავატარეთ შეხვედრა მოსწავლეებთან და პედაგოგებთან.





ვიზიტორთა სტატისტიკა

2017 წლის განმავლობაში დაცულ ტერიტორიებზე არსებული სერვისების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა ტუროპერატორებს, ტურიზმის საინფორმაციო ცენტრებს, სასტუმროებს, ბროშურები და


რუკები გავრცელდა დაინტერესებულ მხარეებს შორის. გაღრმავდა ურთიერთობები სალაშქრო კლუბებსა და ფედერაციებთან.

ვიზიტორთა სტატიტსიკა

2017 წლის განმავლობაში ჭაჭუნას აღკვეთილს ესტუმრა 3235 ვიზიტორი, რაც წინა 2016 წლის მონაცემებთან შედარებით -1,7%-ით არის შემცირებული.




დიაგრამა 1. ჭაჭუნას აღკვეთილის ვიზიტორთა სტატისტიკა წლების მიხედვით 2010-2017წ.




დიაგრამა 2. ჭაჭუნას აღკვეთილის ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2017წ.

2017 წლის მონაცემებით ვიზიტორთა 47% ქართველი, ხოლო 53% უცხოელია.




დიაგრამა 2. ჭაჭუნას აღკვეთილის ვიზიტორთა სტატისტიკა თვეების მიხედვით 2016-2017წ.




დიაგრამა 3. ჭაჭუნას აღკვეთილის ვიზიტორთა გენდერული სტატისტიკა 2016-2017წ.

შემოსავლების სახეები	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	**სულ**
საკარვე ადგილი				85	60	150	35	35	100	55	30		**550**
საძილე ტომარა													
პარალონი													
შემოწირულობა													
სასტუმრო					175		50				1040		**1265**
ჭოგრიტი													
თევზაობა				140	185	185	30	55	120	80	90		**885**
სულ	**0**	**0**	**0**	**225**	**420**	**335**	**115**	**90**	**220**	**135**	**1160**		**2700**

ტურისტული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი (ლარში)




დიაგრამა 4. ჭაჭუნას აღკვეთილის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2010-2017წწ.




დიაგრამა 4. ჭაჭუნას აღკვეთილის ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები თვეების მიხედვით 2016-2017წწ


ვიზიტორთა გამოკითხვის შედეგები მარშრუტების გამოყენება

2017 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჭაჭუნას აღკვეთილში განხორციელებული მარშრუტებიდან ძირითადად დატვირთული იყო ერთდღიანი მარშრუტები.



2017 წლის საანგარიშო პერიოდის მონაცემებით გამოკითხული 365 ვიზიტორიდან დაცული ტრიტორიის შესახებ ინფორმაცია მიიღო ინტერნეტიდან 5%-მა, პირადი რეკომენდაციით-15%-მა, ტურისტული სააგენტოდან-80%-მა;
2017 წლის საანგარიშო პერიოდის მონაცემებით გამოკითხული 365 ვიზიტორიდან ველურ ბუნებაში ლაშქრობით დაინტერესებული იყო ვიზიტორთა 41%, ბიომრავალეროვნებით-18%, სამეცნიერო საქმიანობით 30%, კულტურული მემკვიდრებით 11%;





ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია

დაცვის განყოფილება

ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებში, წინა წლებთან შედარებით, გამოიკვეთა რეჟიმის დარღვევის, ნადირობისა და თევზაობის კლებამ, აქედან გამომდინარე უფრო მეტი ყურადღება მივაქციეთ საძოვრების მდგომარეობას, სადაც თითქმის ყველგან დარღვეული იყო ცხვრის რიცხოვნობა - ნორმასთან შედარებით მეტი იყო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შევადგინეთ 11 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. მართალია ორმოციოდე დღეში ცხვრის მეპატრონეები ყიდიან ცხვარს და რიცხოვნება ზოგან ნორმაზე ნაკლებიც არის, მაგრამ დარღვევის ფაქტი რჩება ფაქტად.


ფოტოხაფანგების დაყენება დავიწყეთ თეთრობის აღკვეთილში. დავაყენეთ 4 ფოტოხაფანგი. 2-ჩვეულებრივი. 2 - ჯსმ სისტემით.შედეგები გვაქვს.





მომავალში ვგეგმავთ რელიქტურ ტყეში დაყენებას, სადაც გარეული ღორები ბინადრობენ.

რეინჯერებმა პატრულირების დროს გაიარეს ფეხით 7900 კმ-ზე მეტი, ცხენით - 3000 კმ. ხოლო ავტომობილით - 52600კმ. ჩატარებული პატრულირების რაოდენობა შეადგენს843. ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული რეიდების რაოდენობა შეადგენს-1769. მოულოდნელი რეიდები კი- 369.



ჩატარებული პატრულირების შედეგად გამოვლენილია 15 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი: თევზაობა - 1.უკანონო ჭრა - 3. ძოვება - 11.სასამართლომ დამრღვევებს დააკისრა ჯარიმა 970 ლარი. ზიანის ანაზღაურება - 595 ლარი.

დაცვის კონტროლი იხვეწება და თეთრობის ტყის აღკვეთილის ჯავახეთის დაცული ტერიტორიებთან მიერთებასთან დაკავშირებით ვამუშავებთ დაცვის ახალ სტრატეგიას, რადგან ტყესთან მუშაობა ჩვენთვის სიახლეა. ამასთანავე საჭიროა თეთრობის აღკვეთილისათვის შევიმუშაოთ ხანძარსაწინააღმდეგო სტრატეგია. პერიოდულად ვაფრთხილებთ მოსახლეობას, რომლებიც თეთრობის ტყის აღკვეთილთან ხანძარსაშიშ პერიოდში თიბავენ.

საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა და განსაკუთრებით მონადირეებმა იციან ჯავახეთის დაცული ტერტორიების არსებობის შესახებ. ხშირად გვირეკავენ და გვეკითხებიან

და აზუსტებენ ნადირობასთან და თევზაობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ამა წლის მდგომარეობით არ არის არცერთი ნადირობის ფაქტი.

ყოველი თვის ბოლოს სააგენტოში იგზავნება მონაცემები თვის განმავლობაში დაფიქსირებულ დარღვევებზე.როგორც მოგეხსენებათ ჯავახეთის დაცული ტერიტორიები არ არის ხანძარსაშიში, თეთრობის ტყის აღკვეთილი მოგვემატა და ხანძრის საშიშროება გაიზარდა. სპეციალური გადაწვები, რაც მიღებული იყო ვითომდა უკეთესი ბალახის მისაღებად - აღკვეთეთ. ამისათვის საკმაო მუშაობა და დრო დაგვჭირდა. ვიზიტორებს ვუხსნით თუ სად შეიძლება კოცონის ანთება და წასვლამდე კოცონის ჩაქრობის აუცილებლობას უფრო მეტ დროს ვანდომებთ.

2017 წლის 30 მაისის №3 შიდა ბრძანების საუძველზე ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე 2017 წლის 05 მაისიდან 15 მაისამდე ჩატარდა გეგმიური რევიზია, ხოლო 2017 წლის 15 მაისიდან 20მაისის ჩათვლით კი - საკონტროლო რევიზია.

2017 წლის 14 ოქტომბრიდან კი ჩავატარეთ საშემოდგომო რევიზიები.

17 ოქტომბრიდან დავიწყეთ საშეშე მასალის გაცემა დამხმარე ზონის სოფლების გოკიოსა და აზავრეთისათვის. გავეცით 372 კუბური მეტრი საშეშე მასალა (ქარქცეული და ქარტეხილი ზეხმელი ხეები).

თეთრობის ტყის აღკვეთილი მიმაგრებულია უფროს რეინჯერ ედკარ აკოპიანზე და რეინჯერ არმენ პილოიანზე. ორივე ცხოვრობს თეთრობის აღკვეთილიდან 5 კილომეტრის დაშორებით - სოფელ გოკიოში. ისინი შემოვლას ახორციელებენ ავტომობილ სუზუკი-ჯიმნი GA059PA და რეინჯერ არმენ პილოიანის საკუთარი ცხენით (უნაგირი ეკუთვნის ჯდტ-ს ადმინისტრაციას). რეინჯერების ფორმები კარგ მდგომარეობაშია.

საგაზაფხულო რევიზიის შედეგად გამოვლინდა:

II კვარტალი (ჭობარეთის უბანი)104 ქარქცეული ზეხმელი(ფიჭვი). უკანონო ჭრები გამოვლენილი არ არის. ტერიტორია დანაგვიანებული არ არის.

III უბანში 278ქარქცეული ხე (ფიჭვი), 45-ზეხმელი(ფიჭვი). უკანონო ჭრები გამოვლენილი არ არის. ტერიტორია დანაგვიანებული არ არის.

სულდის ჭაობის აღკვეთილი და **კარწახის ჭაობის აღკვეთილი** მიმაგრებულია რეინჯერ სლავიკ ვარტიკიანზე. (ცხოვრობს აღკვეთილის სიახლოვეს). დაზიანებულია ხუთი აღკვეთილის აღმნიშვნელი ნიშნული (შესაძლებელია სტიკერების გადაკვრა). ტერიტორია დანაგვიანებული არ არის. შემოვლა ხორციელდება ძირითადში ფეხით. საკონტროლო და მოულოდნელი - ავტომობილით.

სულდის ჭაობის აღკვეთილი - ავტოავარიის შედეგად დაზიანდა რუქა და რუქის რკინის კონსტრუქცია. აღდგენას არ ექვემდებარება. ზარალი -600 ლარი გადახდილია სახელმწიფო ბიუჯეტში.

მადათაფის ტბის აღკვეთილი მიმაგრებულია რეინჯერ გაგიგა მარკოსიანზე. (ცხოვრობს აღკვეთილის სიახლოვეს, სოფელ სამებაში). დაზიანებულია ორი აღკვეთილის აღმნიშვნელი ნიშნული (შესაძლებელია სტიკერების გადაკვრა). ტერიტორია დანაგვიანებული არ არის.

ბუღდაშენის ტბის აღკვეთილს აკონტროლებს მოძრავი ეკიპაჟი - რეინჯერები სერგეი ბაბაჯანიანი და რეინჯერი კარენ ლევანიანი. დაზიანებულია ორი აღკვეთილის აღმნიშვნელი ნიშნული (შესაძლებელია სტიკერების გადაკვრა). ტერიტორია დანაგვიანებული არ არის.

ხანჩალის ტბის აღკვეთილი მიმაგრებულია რეინჯერ აიკ პოდოსიანზე. (ცხოვრობს აღკვეთილის სიახლოვეს).დაზიანებულია რუქადა ერთი ნიშნული. ტერიტორია დანაგვიანებულია.

ეროვნულ პარკი - დაზიანებულია 2 ნიშნული. აკონტროლებენ რეინჯერები - აიკ პოდოსიანი (ვებხვების ხეობა), სერგეი ბაბაჯანიანი და რეინჯერი კარენ ლევანიანი. კარწახის ტბასთან იყო დანაგვიანების ფაქტი მოყვარული მეთევზეების მიერ. დავასუფთავეთ ჩვენი ძალებით.

ახალი ნიშნულები ყველა ტერიტორიისათვის მივიღეთ - გაზაფხულზე დავამონტაჟებთ.

საკონტროლო რევიზია ჩაატარეს ჯდტ-ს დაცვის უფროსმა ბაღდასარ აკოპიანმა და ბუნებრივი რესურსების უფროსმა სპეციალისტმა ანუშ კარაპეტიანმა.

საკონტროლო რევიზიის მონაცემები დაემთხვა გეგმიური რევიზიის მონაცემებს.სასურველია საპიკნიკეებისა და ფრინველებზე სადამკვირვებლო კოშკების შეღებვა ანტისეპტიკური საღებავით.

ინფრასტრუქტურის მდგომარეობა კარგია.

საძოვრების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია - ზოგიერთი უბანი საჭიროებს დასუფთავებას. შესაბამისი მითითება მიეცათ მოიჯარეებს.

რეინჯერების ფორმების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენლებმა აუღეს ფორმის ზომები ჩვენს თანამშრომლებს ახალი ფორმების შესაკერად.

საქართველოს ბუნებრივი და აგრო-ეკოსისტემების ცხოველთა მრავალფეროვნება, მონიტორინგი, ბიოკონტროლის ფარგლებში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიან ცხოველთა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი სამეცნიერო ჯგუფმა, უცხოელ სპეციალისტებთან ერთად, ამა წლის 01 ივლისიდან ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებზე და მის გარეთ დაიწყეს რუხი წეროების -არჩიბალდის დარგოლვა და GPS-GSM ლოგერებით აღჭურვა რომელიც გაგრძელდა ამა წლის 15 ივლისამდე. ადმინისტრაციის თანამშრომლები ჩართული არიან ზემოთაღნიშნულ ღონისძიებაში.**ცნობისათვის - რუხი წერო -არჩიბალდი მსოფლიოში აღრიცხულია 70 წყვილი, რომელთაგან 20 წყვილი საქართველოშია და აქედან 12 წყვილი ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებშია (მადათაფას ტბის აღკვეთილი და სულდის ჭაობის აღკვეთილი).**

ფრინველებზე დაკვირვება ხდება მუდმივად. რეინჯერები ყოველდღიურად ატარებენ დაცულ ტერიტორიებზე ნანახ ცოცხალი არსებების (ფრინველების, ცხოველების, მწერების, ქვეწარმავლების) აღრიცხვას და ყოველკვირეულ ანგარიშს წარმოადგენენ ადმინისტრაციაში.

უკვე გვაქვს 300მმ-იანი ფოტოობიექტივი და 83 ზუმიანი ფოტოაპარატი. აქედან გამომდინარე გვექნება სურათები ფოტომატიანისთვის და სააგენტოში გადმოსაგზავნად.

ამა წლის 1-2 ივნისს ჯდტ-ს ადმინისტრაციის თანამშრომლებს tjs-ის პროექტის არფისა და ჯავახეთის ფრინველთა საერთო მონიტორინგის განხორციელების შესახებ ზურაბ ჯავახიშვილმა ჩაუტარა ტრენინგი.

თეთრობის ტყის აღკვეთილის გარდა, ყველა დაცული ერთეულის ირგვლივ არის საინფორმაციო დაფები გამაფრთხილებელი მანიშნებლებით.

რეინჯერებს ჩატარებული აქვთ ტრენინგები GPS-თან დაკავშირებით. ყველა თანამშრომელი ფლობს საჭირო ცოდნას - შეუძლია მიაგნოს საჭირო კოორდინატს, აიღოს კოორდინატი, აზომოს ფართობი, დაადგინოს ფართობების საზღვრები, გაიგნოს და აზომოს მარშრუტები. თეთრობის ტყის აღკვეთილში გვყავს ახალი რეინჯერი, რომელსაც ჩვენვე ჩავუტარებთ ტრეინინგს GPS-თან დაკავშირებით.

ამა წლის 2 მარტს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ჯდტ-ის ადმინის- ტრაციაზე მიმაგრებულ ავტომობილებზე დამონტაჟდა ჯპს-ები, რაც საგრძნობლად გვიადვილებს საქმეს მონიტორინგის საქმეში.

შეგვიძინეს რაციები - 3 კომპლექტი, ავტომობილის ვიდეორეგისტრატორები - 4 ცალი და 9 სამკერდე აუდიო-ვიდეო რეგისტრატორი.



ადმინისტრაციაზე რიცხული იარაღის მდგომარეობა და შენახვის მდგომარეობა კარგია.

სალაროს კონტროლი ხდება ყოველთვიურად და ხდება წარდგენა სააგენტოში.

ხდება შემოსავლების დროული შეტანა ბანკის შესაბამის ანგარიშზე და ინფორმაციის წარდგენა სააგენტოში.

მცირეფასიანი ინვენტარის ხარჯვის კონტროლი ხდება მუდმივად და კვარტალური ანგარიშის წარდგენა ხდება სააგენტოში.

სამართალდარღვევის ოქმების ხარჯვის კონტროლი ხდება ყოველთვიურად და კვარტალის ბოლოს ანგარიშის წარდგენა ხდება სააგენტოში.

ყველაზე დიდ პრობლემად მიმაჩნია ხანჩალის ტბის აღკვეთილის სანაპიროს გარკვეული პერიმეტრის დანაგვიანება. სოფელ დიდ ხანჩალისა და პატარა ხანჩალის მოსახლეობა ნაგავს ყრის პატარა ღელეში, რომელიც ჩაედინება ხანჩალის ტბაში. როდესაც ტბა ადიდდება წყალი ნაგავს რიყავს ნაპირზე. ჩვენი ძალებით რამოდენიმეჯერ ჩავატარეთ დასუფთავების აქცია, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სისტემატიურ დანაგვიანებასთან - ამას დასუფთავების აქცია ვერ შველის, ნაგვიანდება ტბაცა და ტბის შემოგარენიც. ჩემი მოსაზრება შემდეგია - არჩევნების შემდეგ, როდესაც ნინოწმინდის მუნიციპალიტეტს ეყოლება ახალი ხელმძღვანელობა, სააგენტოს წარმომადგენელთან ერთად შევხვდეთ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას და მკაცრად დავსვათ საკითხი ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით. საჭიროა რომ ორივე სოფელში დაიდგას ნაგვის ურნები და რეგულარულად იაროს ნაგვის მანქანამ.

ტყითსარგებლობა: ტყეკაფები


უბნის უფროსი რეინჯერის მიერ მოხდა წინასწარი დათვალიერება და გამოსაყოფი ტერიტორიების იდენტიფიცირება, ამის შემდეგ კი ტყეკაფების გამოყოფა.საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წლის #242 დადგენილობის თანახმად თეთრობის აღკვეთილის ჭობარეთის სატყეო უბანზე ადგილობრივი მოსახლეობის სათბობი რესურსის დაკმაყოფილების მიზნით სოციალური ჭრის წესით გამოვყავით 499,292 II ხარისხის (საშეშე) მერქანი, კერძოდ კვ #2 - ში129,99 მ³ , კვ #3 - ში 369,302 მ³ სულ 427 ძირი.ბაზაში ატვირთულია თითოეული გაცემული ბილეთი და წარმოშობის დოკუმენტები.



ქმედი ფოტოხაფანგების(ფოტომახეების) ძუძუმწოვრების მონიტორინგი - ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია იყენებს ფოტოხაფანგებს ბრაკონიერობის გამოვლენისა და მსხვილი ძუძუმწოვრების კვლევისათვის.

2017 წლის ფოტოხაფანგების მიერ გადაღებული ცხოველები

ანალიზი: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2017 წელს მოპოვებული იქნა 200-ზე მეტი ფოტოსურათი, მაგრამ გადაღებული ცხოველების ფოტოსურათი მარტო 10 - ა: **1- გარეული ღორი, 2 - მელა, 3 -**



დათვი , 2 - ირემი , 1 - შველი , 1 - მგელი.ყველაზე ხშირად გადაღებული ცხოველი არის დათვი.

სადაც დაფიქსირებული იქნა ძუძუმწოვრებისა კვლები და ფრინველების სახეობები. ვიზუალური დათვალიერებით ირკვევა, რომ ჯავახეთის დაცული ტერიტორიებზე გავრცელებული ძუძუმწოვრების „წითელი ნუსხის“ სახეობებიდან დიდი რაოდენობა ჭობარეთის უბანზე ბინადრობს(თეთრობი), ფრინველები კი ძირითადად კარწახის, ხანჩალის, ბუღდაშენისა და მადათაფას ტბებზე .

ძირითადად „წითელი ნუსხის“ სახეობებზე მონიტორინგი მიმდინარეობს კვალზე დაკვირვებით, ბინოკლებით დათვალიერებისა და ფოტოხაფანგების გამოყენებით.

საძოვრების მონიტორინგი

ზაფხულის დადგომასთან საძოვრებზე საქონლის აყვანასთან დაკავშირებით ჯავახეთის დაცული ტერიტორიების რეინჯერებს დაურიგდათ შესაბამისი ფორმები საქონლის სულადობის, სქესის და არსებულ მწყემსთა ბინებზე მონაცემთა აღრიცხვის მიზნით. გარდა ამისა მწყემსებთან მოხდა ხელწერილების დადება, რომლის მიხედვითაც იღებენ ვალდებულებას, შეასრულონ ეროვნული პარკის მოთხოვნები და დაიცვან უსაფრთხოების ნორმები.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საძოვრები

ანალიზი:საძოვრებზე საქონლის აყვანასთან დაკავშირებით აღებულია ჯავახეთის ეროვნული პარკი,რომელიც მოქცეულია ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე, ჯდტ-ს საძოვრებზე აქვს სულ 11 ხელშეკრულება.

- **კევლიშვილი გიორგი 1200 ჰა**
- **ჯავახიშვილი თეიმურაზ 400 ჰა**
- **გულიკაშვილი ავთანდილი 500 ჰა**
- **თათევოსიან არარატ 100 ჰა**
- **ხოჯაევი ქამრან 210 ჰა**
- **სოღოიან იურიკ 70 ჰა**
- **ადგოზალოვი იაშარ 177 ჰა**
- **კარაპეტიან რუდიკ 44 ჰა**

▪ ფექრიშვილი ივანე 415 ჰა

▪ ევგენი ასათიანი 379 ჰა


ეკოგანათლება

2017 წლის განმავლობაში ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას ესტუმრა და ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 295 მოსწავლემ, 25 სტუდენტმა და 42 მასწავლებელმ, რომლებმაც დაათვალიერეს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების საგამოფენო დარბაზი , მონაწილეობა მიიღეს ჩატარებულ პრეზენტაციაში და ა.შ.ჯდტ-ს ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს დაესწრო 270 ადგილობრივი მოსახლე. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობა მიიღო 632 ადამიანმა.

2017 წლის განმავლობაში ჩატარდა **21**-ლექცია-სემინარი, **2** - მწვანე აქცია , **3**-ეკო-ტური , **25** - მოსახლეობასთან შეხვედრა, **4**- დასუფთავების აქცია.

თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სასწავლო დაწესებულებებთან. ძირითადად მიზნობრივ ჯგუფებად ითვლება როგორც რეგიონში არსებული სკოლები, ასევე სკოლები ქვეყნის მასშტაბით,უმაღლესი სასწავლებლები, სკოლამდელი აღზრდის



დაწესებულებები.


ჯავახეთის რეგიონში არსებული სკოლებისათვის (ქ.ახალქალაქი, სოფ.ხანჩალი, სოფ.ბოზალი, სოფ. დადაში, სოფ. სულდა და სოფ. გოკიო) რეგულარულად ტარდება შეხვედრები, პრეზენტაციები, ეკოგაკვეთილები დაცული ტერიტორიების როლსა და მნიშვნელობაზე, ბიომრავალფეროვნებასა და ბუნების ცვლილებების საკეთხებზე. გარდა ამისა ჩატარდა ტესტირება ჯავახეთის დაცული ტერიტორიების სტრუქტურისა და წარმოშობის თემებზე.





ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრის საგამოფენო დარბაზში მოსულ სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები ათვალიერებენ საგამოფენო დარბაზს, ნახულობენ



ვიდიოებს ჯავახეთის დაცული ტერიტორიებში მობინადრე ფრინველებზე და ცხოველებზე და დაცული ტერიტორიების შესახებ. იღებენ ინფორმაციას ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ისტორიის, ბიო-მრავალფეროვნებისა და მნიშვნელობის შესახებ.

რეგიონში არსებული სასწავლო დაწესებულებების გარდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიას ესტუმრნენ"ეკოხედვას" მიერ ორგანიზებული საზაფხულო ბანაკის უფროსკლასელი წარმომადგენლები. რომელთათვისაც ჩატარდა პრეზენტაცია საგამოფენო დარბაზში და საპრეზენტაციო დარბაზში. მათ მოისმინეს ინფორმაცია ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ისტორიის, ბიო-მრავალფეროვნებისა და დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის





შესახებ.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრში სტუმრობის შემდეგ სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლები ლშქრობენ კარწახის ტბაზე. სამკურნალო მცენარეების,ბუნების ცვლილებებისა და ჯდტ-ს ისტორიის შესახებ, რომელთა შეთავაზებაც ხდება სასწავლო დაწესებულებებისათვის.

ჯავახეთის დაცული ტერიტორიების მიერ შეირჩა რეინჯერები საზოგადოებრივი აღქმისა და სოციალური გავლენის მონიტორინგისა და შეფასების მიზნით. გამოკითხვა განხორციელდა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ექვსივე კვარტალში: კარწახი, სულდა, ხანჩალი, ბუღდაშენი, მადათაფა და გოკიო. საზოგადოებრივი აზრის გამოიკითხვა მოხდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ წინასწარ განსაზღვრული კითხვარების მეშვეობით. ადმინისტრაციის მიერ შერჩეულ რეინჯერებს ჩაუტარდათ ინსტრუქტაჟი კითხვარების შევსების მეთოდოლოგიაზე და






კვლევის ჩატარების პრინციპებზე. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 90-ზე მერტი მონაწილემ ჯავახეთის დაცული ტერიტორიის მიმდებარე სოფლებიდან.

გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა, რომ წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაზრდილია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე დაცული ტერიტორიის და მისი საქმიანობის შესახებ.


დასუფთავების აქცია

2017 წლის 27 ოქტომბერს ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ხანჩალის ტბის აღკვეთილში ჩაატარეს დასუფთავების აქცია. ნინოწმინდის გამგეობამ ხანჩალის ტბის აღკვეთილში გამოგზავნა ნაგვის გადასაზიდი ავტომობილი, ურომლისოდაც გაძნელდებოდა დიდი რაოდენობის ნაგვის გატანა დაცული ტერიტორიიდან.


ამა წლის 28 აპრილს ქ. ახალქალაქის დაწესებულებებისა და უწყებების თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა დასუფთავების აქციაში. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლებმა გამგეობის, პოლიციის სამმართველოს, მუსიკალური სკოლის, მომავლის სახლისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად დაასუფთავეს ახალქალაქის ციხის მიმდებარე ტერიტორია და ახალქალაქი-ნინოწმინდის გზის გასწვრივი ტერიტორია.

ვიზიტორთა სტატისიტკა


2017 წლის განმავლობაში ჯავახეთის დაცულ ტერიტორიებს 6872 ვიზიტორი ესტუმრა, რაც 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით 1,1%-ით არის გაზრდილი. 2017 წლის მონაცემებით ჯავახეთის დაცული ტერიტორიების 60% ქართველი (4 112 ვიზიტორი), ხოლო 40% უცხოელია (2 760 ვიზიტორი).



დიაგრამა 1. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა სტატისტიკა 2014-2017წწ.



დიაგრამა 2. საერთაშორისო ვიზიტორები



დიაგრამა 3. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული

სერვისებიდან მიღებული შემოსავლები 2015-2017წწ

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა დაცულ ტერიტორიებს შორის

ჯავახეთის და ტბა არპის დაცულ ტერიტორიებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პრეზენტაცია გაიმართა. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების ვიზიტორთა ცენტრს სომხეთის გარემოს დაცვის მინისტრი არცვიკ მინასიანი სტუმრობდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე გრიგალავამ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა.

ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ფარგლებში ორივე დაცულ ტერიტორიებზე მოხდება ტრანსსასაზღვრო ტურიზმის ხელშეწყობა. შემუშავდება ერთიანი რეგიონალური სტანდარტი, ტრანსსასაზღვრო ტურისტული მარშრუტი და ტურისტული პროდუქტი. სტუმრები ტბა მადათაფაზე იმყოფებოდნენ, სადაც გადამფრენფრინველებს დააკვირდნენ. ასევე, ჯავახეთის ეროვნულ პარკში ტრანსსასაზღვრო ველო-რბოლაც გაიმართა, რომელმაც სტარტი მადათაფას ტბაზე აიღო და სომხეთში არპის დაულ ტერიტორიებზე დასრულდა.

ღონისძიება ტრანსსასაზღვრო გაერთიანებული სამდივნოს- TJS -ის მესამე ფაზის ფარგლებში გაიმართა. პროექტი ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) კავკასიის წარმომადგენლობის მიერ ხორციელდება, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს (BMZ) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით.